

მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი



გ. კვერენჩილაძე, თ. მელქაძე

# საუჩანებეთის სახელმწიფო სისტემა

გამომცემლობა "უფლება"

თბილისი 1997

წიგნში, ორსაუკუნოვანი ფრანგული კონსტიტუციონალიზმის ევოლუციური პროცესის ანალიზის ფონზე, რომელსაც ლოგიკური შედეგის სახით მოჰყვა მეხუთე რესპუბლიკის დაფუძნება, განხილულია თანამედროვე საფრანგეთის სახელმწიფო სამართლის საკითხები, წარმოდგენილია სახელმწიფო ხელისუფლების სუბიექტების სამართლებრივი ბუნება და ფუნქციონირება სახელმწიფო სისტემაში.

განკუთვნილია სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოთა მუშაკებისათვის, იურისტებისა და პოლიტოლოგებისათვის, ყველასათვის, ვისაც საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართლისა და, კერძოდ, თანამედროვე საფრანგეთის პოლიტიკურ-სამართლებრივი განვითარების საკითხები აინტერესებს.

წიგნი იბეჭდება საქართველოში საფრანგეთის რესპუბლიკის  
საელჩოს ხელშეწყობით

G. Kverentchkhiladze, O. Melkadze

Le système gouvernemental de la France

Le livre est imprimé grâce au soutien  
de l'Ambassade de la République Française en Géorgie

© გამომცემლობა "უფლება", 1997

# შინაარსი

<b>შესავალი</b> .....	5
1. საფრანგეთის სოციალურ-ეკონომიკური სისტემა.....	5
2. შარლ დე გოლი – რეფორმატორი კონსტიტუციონალისტი.....	7
<b>თავი პირველი. საფრანგეთის სახელმწიფო სამართალი გარდაქმნების გზით</b> .....	13
1-1. ფრანგული კონსტიტუციონალიზმის განვითარების ეტაპები..	13
1-2. მეხუთე რესპუბლიკის კონსტიტუცია–სტრუქტურა და შინაარსი.....	17
1-3. ფრანგული კონსტიტუციონალიზმი ადამიანის უფლებათა შესახებ.....	22
<b>თავი მეორე. პარტიული სისტემა საფრანგეთში</b> ..	30
2-1. ისტორიული ექსკურსი.....	30
2-2 მეხუთე რესპუბლიკის პოლიტიკური სპექტრი.....	34
<b>თავი მესამე. საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი</b> .....	41
3-1. პრეზიდენტი – მეხუთე რესპუბლიკის ცენტრალური ფიგურა...41	
3-2. პრეზიდენტის სამართლებრივი ბუნება.....	46
3-3. პრეზიდენტის უფლებამოსილებანი.....	54
<b>თავი მეოთხე. საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობა</b> .....	68
4-1. მთავრობის სამართლებრივი ბუნება.....	68
4-2. მთავრობის სტრუქტურა.....	71
4-3. მთავრობის ფორმირების წესი.....	77
4-4. პრემიერ–მინისტრისა და მინისტრების უფლებამოსილებანი.....	81
4-5. მთავრობის და პარლამენტის ურთიერთობა.....	86
<b>თავი მესამე. საფრანგეთის რესპუბლიკის პარლამენტი</b> .....	93
5-1. პარლამენტის უფლებამოსილებანი და ფორმირების წესი.....	93
5-2. პალატების შიდა ორგანიზაცია.....	97
5-3. პალატების ფუნქციონირება.....	109
5-4. პარლამენტართა სამართლებრივი სტატუსი.....	113
5-5. საკანონმდებლო პროცესი პარლამენტში.....	117

<b>თავი მემკვსე. საფრანგეთის სასამართლო სისტემა</b> .....	122
6-1. სასამართლო ორგანოები .....	122
6-2. სასამართლო სისტემის სხვა ორგანოები.....	127
<b>თავი მემკვიდე. საკონსტიტუციო კონტროლი საფრანგეთში</b> .....	133
7-1. საკონსტიტუციო საბჭოს სამართლებრივი ბუნება .....	133
7-2. საკონსტიტუციო საბჭოს ფორმირების წესი .....	135
7-3. საკონსტიტუციო საბჭოს უფლებამოსილებანი .....	138
<b>თავი მემრვე. აღბილობრივი მართვის ორგანიზაცია საფრანგეთში</b> .....	144
8-1. აღბილობრივი მართვის სისტემა .....	144
8-2. დეპარტამენტები და კომუნები.....	147
8-3. პარიზის ადმინისტრაციული ორგანიზაცია.....	150
<b>დასკვნა – საფრანგეთის სახელმწიფო სამართლის განსაკუთრებული თავისებურებანი</b> .....	153
<b>ავტორთა შესახებ</b> .....	159



# შესავალი

## 1. საფრანგეთის სოციალურ-ეკონომიკური სისტემა

საფრანგეთი ჩვენი პლანეტის ერთ-ერთი მაღალგანვითარებული სახელმწიფოა ინდუსტრიულ-აგრარული განვითარების უმაღლესი დონით. იგი მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების პირველ ხუთეულში შედის ისეთი მაჩვენებლებით, როგორცაა ეროვნული საერთო პროდუქტის მოცულობა, შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი, სამრეწველო წარმოება, ექსპორტი და სხვა.

საფრანგეთის ეკონომიკის აღმავლობას დასაბამი მისცა შარლ დე გოლის ეპოქამ, ხოლო შემდგომი მთავრობების რეფორმატორულმა პოლიტიკამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მის აღმავლობაში. მთავარი კი ის არის, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში და მისი განვითარების მიზნით სწორად იქნა გააზრებული სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი მთელ ამ პროცესში.

ქვეყნის ეკონომიკის ამოცანების გადაწყვეტის პროცესში სახელმწიფოს ყურადღების აქცენტირება ხდება ეკონომიკის მასაზრდოებელი ისეთი ბერკეტების სრულად ამოქმედებაზე, როგორცაა გადასახადები, საბაჟო პოლიტიკა, კრედიტები, კერძო ინიციატივის განვითარება. ამავდროულად, არ არის უარყოფილი ნაციონალიზებული სექტორის მნიშვნელობაც, განსაკუთრებით ენერჯით უზრუნველყოფის სფეროში. ამასთან, სწორედ ხელისუფლება განსაზღვრავს სახელმწიფო მზრუნველობის პრიორიტეტებს და აფინანსებს ისეთ მნიშვნელოვან, მაგრამ ძვირადღირებულ სფეროებს, როგორცაა ფუნდამენტური გამოკვლევები, ატომური მრეწველობა, ავიაცია, კოსმოსი, ინფორმატიკა და სხვა.

ქვეყნის ეკონომიკური პროცესის გეგმაზომიერი და სამართლებრივი რეგულირების საფუძვლების გამყარების მიზნით, საფრანგეთში შეიქმნა დაგეგმვის გენერალური კომისარიატი და ეკონომიკური ფუნქციების მატარებელი რამდენიმე ორგანიზაცია.

ფრანგ მეწარმეთა ინტერესების დაცვის მიზნით შექმნილია და ფუნქციონირებს საფრანგეთის მეწარმეთა ეროვნული საბჭო, რომელიც დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობაზე. პარლამენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეშვეობით მეწარმეთა ეროვნული საბჭო ახორციელებდა და ახორციელებს მონოპოლიების საერთო პოლიტიკის რეალიზაციას ქვეყნის მასშტაბით. მაგრამ, როგორც კი საფრანგეთის მონოპოლია მომძლავრდა,

იგი აღარ საჭიროებდა სახელმწიფოს მხრიდან ადრინდელ მხარდაჭერას. ამიტომ, ჯერ კიდევ 1965 წელს საფრანგეთის მეწარმეთა ეროვნულმა საბჭომ მოითხოვა სახელმწიფოს ზემოქმედების შეზღუდვა ეკონომიკის მართვის სფეროში, რასაც, ძლიერი მონოპოლისტური ჯგუფების ინტერესების გათვალისწინებით, მოჰყვა კიდევ ეკონომიკის მნიშვნელოვანი დენაციონალიზაცია და მას შემდეგ დიდი მონოპოლიები, ფაქტობრივად, კონტროლის გარეშე განაგებენ ეკონომიკის მთელ რიგ სფეროებს.

საფრანგეთის მეწარმეთა ეროვნული საბჭოს გვერდით არსებობს წვრილი ბურჟუაზიის გამაერთიანებელი სპეციალური ორგანიზაციები, როგორცაა საშუალო და წვრილ მეწარმეთა კონფედერაცია და ვაჭრობის ეროვნული საბჭო. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ორგანიზაციულად დაკავშირებული არ არიან მეწარმეთა ეროვნულ საბჭოსთან, მაინც მისი გარკვეული გავლენის ქვეშ იმყოფებიან.

ცალკე უნდა ითქვას სოფლის მეურნეობაზე, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს საფრანგეთის ეკონომიკაში. მისი ზვედრითი წილი განმსაზღვრელია არა მხოლოდ ქვეყნის საერთო ეროვნული პროდუქტის წარმოების თვალსაზრისით, არამედ იმითაც, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია საფრანგეთის თითქმის ყოველი მეექვსე მოქალაქე (15,8 პროცენტი). სოფლის მეურნეობის სფეროში გაერთიანებულ ფერმერთა ინტერესებს იცავს საფრანგეთის მიწათმფლობელთა ეროვნული ფედერაცია.

ეს რაც შეეხება საფრანგეთის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ზოგიერთ პარამეტრს. ახლა, ვიდრე საფრანგეთის სახელმწიფო სისტემას და მისი კონსტიტუციური განვითარების გზას მიმოვიხილავდეთ, ვფიქრობთ, ზოგადი წარმოდგენისათვის, საჭირო იქნებოდა, საფრანგეთში სახელმწიფოებრიობის განვითარების ზოგიერთი ისტორიულ ეტაპისა და თარიღის სახით წარმოვადგინოთ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქვეყნის მოკლე ბიოგრაფია, რომელმაც უდავოდ განმსაზღვრელი როლი შეასრულა თანამედროვე საფრანგეთის ფორმირებისას.

საფრანგეთი უნიტარული სახელმწიფოა. მართვა-გამგეობის ფორმის მიხედვით იგი რესპუბლიკას წარმოადგენს. მეთვრამეტე საუკუნის დასასრულიდან ფრანგული სახელმწიფოებრიობის განვითარების გზაზე ხუთი ისტორიული პერიოდი უნდა გამოვყოთ: რევოლუციური მონარქია და რესპუბლიკა (1789-1799 წლები); ნაპოლეონის დიქტატურა (1799-1814 წლები); ცენზიანი მონარქია

(1814-1848 წლები); საპრეზიდენტო რესპუბლიკა (1848-1870 წლები) და საპარლამენტო რესპუბლიკა (1870-1958 წლები).

ყველაფერი ეს დღეს ისტორიის კუთვნილებაა. სწორედ ამ ჭრილში შევხებით თითოეულ მათგანს, როცა პირველ თავში ფრანგული კონსტიტუციონალიზმის განვითარების ეტაპებს განვიხილავთ. მაგრამ ჩვენ ყველაფერი ეს მთლიანობაში იმდენად გვაინტერესებს, რამდენადაც თვალი გვინდა გავადევნოთ საფრანგეთის სახელმწიფო სამართლის განვითარების ქრონოლოგიას, რომლის ლოგიკური შედეგის სახით ჩამოყალიბდა დღევანდელი საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკა.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად სწორედ იმას ისახავს, რომ შეისწავლოს იმ ძირითადი ინსტიტუტების სამართლებრივი მდგომარეობა, რომლებიც საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკის სახელმწიფო სამართლის კონსტიტუციურ საფუძვლებს წარმოადგენენ. მასში მოკლედ არის გაშუქებული ქვეყნის ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების კონსტიტუციური განვითარების ეტაპები, განხილულია მათი თანამედროვე სამართლებრივი ბუნება, კომპეტენცია და საქმიანობის ასპექტები. ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების გარდა, ნაშრომი მიმოიხილავს იმ სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებს, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საფრანგეთის კონსტიტუციური მექანიზმის ფორმირებაზე.

## 2. შარლ დე გოლი – რეპორმატორი კონსტიტუციონალისტი

შარლ დე გოლი (1890-1970), გენერალი, საფრანგეთის პოლიტიკური, სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, სამხედრო-თეორეტიკოსი. მის სახელთანაა დაკავშირებული მრავალი მნიშვნელოვანი თარიღი საფრანგეთის პოლიტიკურ თუ სამხედრო სარბიელზე. დე გოლი მონაწილეობდა I მსოფლიო ომში, მეთაურობდა სატანკო პოლკს. II მსოფლიო ომის დროს სათავეში ედგა საფრანგეთის მეხუთე არმიის სატანკო შენაერთებს, ხოლო 1940 წლის ივნისში დაინიშნა სამხედრო მინისტრის მოადგილედ. 1941 წელს დე გოლმა შექმნა “საფრანგეთის ეროვნული კომიტეტი”, რომელიც 1944 წელს საფრანგეთის დროებით მთავრობად გარდაიქმნა. დე გოლის სახელი მჭიდროდაა დაკავშირებული II მსოფლიო ომში ფაშისტ აგრესორებზე გამარჯვებასთან. საშინაო პოლიტიკაში მისი მოღვაწეობის მიზანს, საპრეზიდენტო ტიპის რეჟიმის დამყარება წარმოადგენდა. თავისი გეგმების განხორციელებაში დე გოლი წინააღმდეგო-

ბას წააწყდა, რის გამოც 1946 წლის იანვარში გადადგა მთავრობის მეთაურის პოსტიდან და შექმნა საკმაოდ ძლიერი პოლიტიკური პარტია – "ფრანგი ხალხის გაერთიანება".

1953 წელს, დე გოლის მიერ პარტიის დაშლის გამოცხადების შემდეგ, ხუთი წლის მანძილზე იგი დროებით ჩამოშორდა პოლიტიკურ ცხოვრებას. 1958 წლის გაზაფხულზე სავალუტო-საფინანსო კრიზისითა და დაძაბული ეკონომიკური კონიუნქტურით მოცული საფრანგეთი შეეჯახა ანტირესპუბლიკურ სამხედრო ამბოხებას ალჟირში, რომელსაც მხარს უჭერდა "სახალხო – რესპუბლიკური მოძრაობის" სახელწოდებით ცნობილი, იმ დროისათვის გავლენიანი მემარჯვენე პარტია.

ალჟირის კრიზისმა დე გოლის კარიერაში პოლიტიკურ ასპარეზზე მობრუნების მნიშვნელოვანი ფაქტორის როლი შეასრულა და ამას თავად გენერალმა შეუწყო ხელი. ამ დროისათვის დე გოლი ხმაურიან პარიზს განერიდა და მამულში ჩაჰკირკიტებდა თავის იდეებს და მათი რეალიზაციისათვის ნიადაგს ამზადებდა. როგორც ამბობენ, მან კარგად იცოდა, თუ რა მოვლენები მწიფდებოდა ალჟირში, მაგრამ გაურბოდა თავისი პოზიციის გამოხატვას. ამ დროს მისმა მეგობრებმა ფრანგული გენერალიტეტიდან მოვლენებს ისეთი განვითარებისაკენ უბიძგეს, რომ ქვეყანამ მისკენ მოიხედა.

13 მაისს ალჟირის საზოგადოებრივი გადარჩენის კომიტეტის სახელით გენერალმა მასსიუმ მოითხოვა დე გოლის მეთაურობით შექმნილიყო საზოგადოებრივი გადარჩენის მთავრობა. კვლავ დადგა დე გოლის ჟამი, მაგრამ მას სულაც არ აწყობდა მეთაურობა მეშვეობით ხელისუფლებაში მობრუნება. ორიოდ კვირა დიპლომატიურ თამაშს დასჭირდა, დე გოლი გაემიჯნა მეთაურობებს, მაგრამ მათმა წამოწყებამ შედეგს მაინც მიაღწია. 1958 წლის 29 მაისს რესპუბლიკის პრეზიდენტმა რენე კოტიმ ულტიმატუმით მიმართა პარლამენტის პალატებს, რომ, თუ არ დაუჭერდნენ მხარს დე გოლის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ წარდგინებას, იგი გადადგებოდა.

პრეზიდენტის ულტიმატუმისა და დე გოლის ავტორიტეტის ჯამმა ხმების 59 პროცენტი მოიპოვა. დე გოლს ჰყავდა მოწინააღმდეგეებიც, რომლებიც მისი იმ იდეების გათვალისწინებით, განსაკუთრებით მკვეთრად 1946 წლის 16 ივნისს ბაიეში წარმოთქმულ სიტყვაში რომ გამოვლინდა, ეჭვობდნენ – დე გოლი დიქტატორულ რეჟიმს შექმნიდა. მათ შორის, ვინაც ასეთ ეჭვს გამოთქვამდა, იყო ფრანსუა მიტერანცი – შემდგომში საფრანგეთის პრეზიდენტი.

გამოსავლის ძიებაში საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ გენერალი დე გოლი მთავრობის სათავეში დააყენა მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა დაარწმუნა დეპუტატები, რომ 67 წლის ასაკში დიქტატორის კარიერას არ დაიწყებდა. დეპუტატთა ნაწილი მაინც ყოყმანობდა, შეიძლებოდა თუ არა ამგვარი მტკიცების ნდობა. მიუსხედავად ამისა, ეროვნულმა კრებამ მწვანე შუქი მისცა მისი იდეების რეალიზაციას მეოთხე რესპუბლიკისაგან სრულიად განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმის მქონე სახელმწიფოს ჩამოსაყალიბებლად. ფაქტობრივად, დე გოლმა ასე დაიბრუნა 12 წლის წინ დაკარგული ხელისუფლება. თანაც იმგვარად, რომ მეოთხე რესპუბლიკის უკანასკნელ პრემიერ-მინისტრს ბედმა აგრეთვე 12 წლით მეხუთე რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტობის შანსი არგუნა. დანარჩენი ტექნიკის საქმე იყო და დე გოლს შანსი ხელიდან არ გაუშვია.

დე გოლის ხელისუფლებაში მობრუნება იმთავითვე მსარდაჭერის უმაღლესი გარანტიებით იყო განმტკიცებული. რეალურად კი, ეს ის უფლებამოსილებები იყო, რომელთაც კონსტიტუციები სახელმწიფოთა მეთაურებს საგანგებო ვითარებებთან დაკავშირებით ანიჭებენ.

ჯერ ერთი, ამ შემთხვევისათვის სპეციალურად მიღებული კანონი ექვსი თვის ვადით აძლევდა დე გოლის მთავრობას უფლებას დეკრეტების მეშვეობით ემართა ქვეყანა. ამ დროს პარლამენტი საშემოდგომო არდადეგებზე გავიდა და იმ შემადგენლობით აღარც შეკრებილა.

და მეორე – 1958 წლის 3 ივნისის კონსტიტუციურმა კანონმა, 1946 წლის კონსტიტუციის დარღვევით, დე გოლის მთავრობას კონსტიტუციის გადასინჯვის უფლება მიანიჭა. თუმცა, რა გადასინჯვაზე შეიძლებოდა ყოფილიყო საუბარი, როცა კონსტიტუციური ნორმებიცა და მიმდინარე კანონმდებლობაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, დე გოლის “საკანონმდებლო ინიციატივით” მოსამზადებელი კონსტიტუციის “სამსხვერპლოზე” იქნა გაღებული.

მთავარი ამ კანონში ის იყო, რომ დადგინდა ხუთი ძირითადი პრინციპი, ფუძემდებლური დებულება, რომლებიც გადასინჯვას არ ექვემდებარებოდა. ამ პრინციპების არსი შემდეგში მდგომარეობდა:

1) საყოველთაო საარჩევნო უფლება გამოცხადდა ხელისუფლების ძირითად წყაროდ, მის საფუძველზე უნდა მომხდარიყო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ფორმირება;

2) მკვეთრად გაიმიჯნა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება;

3) მთავრობას დაეკისრა პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე;

4) სასამართლო ხელისუფლება, რომელიც ადამიანთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ძირითადი გარანტი იყო, სრულიად დამოუკიდებლად გამოცხადდა;

5) დაწესდა საფრანგეთისა და მის დაქვემდებარებაში მყოფ ხალხებს შორის ურთიერთობების ახლებური სისტემა.

თავისი შინაარსითა და ბუნებით აღნიშნული პრინციპები ფრანგულ რესპუბლიკურ ტრადიციებს ეფუძნებოდა. სავარაუდოა, რომ ყველაზე მეტად სწორედ ხელისუფლების დანაწილების შემოთავაზებულმა პრინციპმა შეზღუდა დე გოლის ფანტაზია, ხოლო კანონმა მთლიანად გადამწყვეტი როლი შესარულა იმ თვალთახედვით, რომ ეჭვები არ გამართლდა. მოთხოვნა პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის თანამდებობების გაყოფისა და პრემიერ-მინისტრის თუ კაბინეტის პარლამენტის წინაშე პასუხისმგებლობის თაობაზე ნიშნავდა კლასიკური საპრეზიდენტო ხელისუფლების უარყოფას. დადგა საკითხი აღმასრულებელი ხელისუფლების ბიკეფალურობის (ორგვაროვნების) კლასიკური პრინციპის დაცვის აუცილებლობის შესახებ, რაც ითხოვდა აღმასრულებელი ხელისუფლების პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის განაწილებას. ეს იყო სერიოზული წინააღმდეგობა დე გოლის კონსტიტუციური იდეების სარეალიზაციოდ, რასაც შედეგად ის მოყვა, რომ სახელმწიფო სამართლის მიერ აღიარებული რესპუბლიკების ორ კლასიკურ – საპრეზიდენტო და საპარლამენტო სახეებს, დე გოლის საავტორო პრეტენზიის სიახლის სახით, შერეული, ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკა შეემატა.

დე გოლის რეფორმატორულმა იდეებმა საფუძველი დაუდეს ახალი კონსტიტუციის პროექტის შემუშავების პროცესს. დე გოლის შეხედულებები მიმართული იყო ძლიერი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების შექმნისაკენ, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ხელისუფლების სტაბილურობას. შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო მთავრობის ერთიანობა, ადმინისტრაციის საქმიანობის ეფექტურობა, რაც, საბოლოო ჯამში, სახელმწიფოს ავტორიტეტს და სიძლიერეს განაპირობებდა. ამ პრინციპებიდან გამომდინარე, დე გოლმა ჩამოაყალიბა რამდენიმე დებულება, რომლებმაც შემდგომში ასახვა პოვა ახალი კონსტიტუციის ტექსტში. ეს დებულებებია:

ა) სახელმწიფოს გაძლიერება;

ბ) ხელისუფლების დაყოფა დამოუკიდებელ შტოებად და მათ შორის წონასწორობის დაცვა;

გ) ორპალატიანი პარლამენტის შექმნის აუცილებლობა;

დ) ძლიერი პრეზიდენტის ინსტიტუტის შექმნა.

საკონსტიტუციო პროცესი იმით დაიწყო, რომ მთავრობაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი დე გოლის თანამოაზრის მიშელ დებრეს ხელმძღვანელობით, რომელმაც დე გოლის იდეების საფუძველზე მოამზადა კონსტიტუციის პროექტი. აღნიშნული პროექტი საპარლამენტო კომისიებში განხილვის შემდეგ მოწონებულ იქნა მინისტრთა საჭოს მიერ და გამოქვეყნდა. ამის შემდეგ, ტექსტი გადაეცა საკონსულტაციო კონსტიტუციურ კომიტეტს, რომლის შემადგენლობაშიც, მთავრობის წევრების გარდა, შედიოდნენ პარლამენტის პალატების წარმომადგენლები. აღნიშნულ კომიტეტში კონსტიტუციის პროექტის განხილვა საკონსტიტუციო პროცესში საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალება იყო, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პარლამენტის მონაწილეობა აღნიშნულ პროცესში საკმაოდ შეზღუდული იყო და თითქმის ფორმალურ ხასიათს ატარებდა. მთავრობამ საკონსულტაციო კონსტიტუციური კომიტეტის მიერ წარმოდგენილი შენიშვნებიდან მხოლოდ ყველაზე უმნიშვნელო გაითვალისწინა. შემდგომ მიღებულ იქნა სახელმწიფო საბჭოს დასკვნა. მაგრამ, როგორც ამბობენ, რეფერენდუმზე გატანილი პროექტი მაინც ბევრი არაფრით განსხვავდებოდა პირველსაწყისი ვარიანტისაგან.

თავისუფალი მოქმედების გარანტიების ყველა შესაძლებლობა და მთელი თავისი გამომგონებლური ნიჭი, სახალხო მანდატით ზურგგამაგრებულმა და საპარლამენტო კონტროლისაგან თავისუფალმა დე გოლმა უფლებებით დატვირთული საპრეზიდენტო ინსტიტუტის შექმნა-დამკვიდრებას შეაღია.

გენერალი დე გოლი მაქსიმალურად იყენებდა სახალხო მხარდაჭერას, რაც ნათლად ეტყობოდა მთელ კონსტიტუციურ პროცესს, მის ყველა ეტაპს. იგი ყველას მოუწოდებდა მხარი დაეჭირათ კონსტიტუციის პროექტისათვის. პოლიტიკური პარტიების უმრავლესობამ (ცენტრისტებმა, მემარჯვენეებმა, გოლისტებმა) დააფიქსირა მხარდამჭერი პოზიცია, მხოლოდ ერთადერთი — კომუნისტური პარტია იყო კონსტიტუციის დეგოლისეული პროექტის მიღების წინააღმდეგი.

რა თქმა უნდა, აქაც იმუშავა რეფერენდუმის წესით კონსტიტუციის მიღებისათვის დამახასიათებელმა ერთმა განსაკუთრებულმა

თავისებურებამ, საფრანგეთის მოსახლეობამ მხარი დაუჭირა არა იმდენად კონსტიტუციას, რამდენადაც დე გოლთან დაკავშირებული თავისი იმედი და კიდევ ერთხელ მისი მხარდაჭერა დაადასტურა.

კონსტიტუციის ტექსტი პრიმულგირებული იქნა 4 ოქტომბერს. სწორედ ამ დღიდან იღებს სათავეს საფრანგეთის მესუთე რესპუბლიკა.

კონსტიტუციის მოთხოვნების საფუძველზე 23 და 30 ნოემბერს ჩატარდა ეროვნული კრების არჩევნები, ხოლო 21 დეკემბერს ამომრჩეველთა კოლეგიამ, როგორც მოსალოდნელი იყო, სმათა 80%-ით ქვეყნის პრეზიდენტად აირჩია გენერალი შარლ დე გოლი. პრეზიდენტმა მისი თანამებრძოლი და თანამოაზრე მიშელ დებრე პრემიერ-მინისტრად დანიშნა. 1959 წლის აპრილში არჩეულ იქნა პარლამენტის ზედა პალატა—სენატი, რითაც თითქოს დამთავრდა ახალი რეჟიმის ჩამოყალიბების საკმაოდ რთული პროცესი.

ცხადია, 1958 წელს დამკვიდრებული პოლიტიკური რეჟიმი და სახელმწიფო წყობილება გენერალ შარლ დე გოლის სახელს უკავშირდება ისევე, როგორც მისი შემდგომი განმტკიცების ეტაპები. საქმე ის არის, რომ დე გოლის 12 წლიანი საპრეზიდენტო მოღვაწეობა ახალი რეფორმატორული ეტაპებით ხასიათდება (1962, 1964, 1969 წლები). “გოლიზმი”, — წერდა პროგრესული ფრანგი პუბლიცისტი ა. კლოდი, — ეს ერთდროულად იდეოლოგია, კონსტიტუცია და ადამიანია”<sup>1</sup>.

რა თქმა უნდა, კონსტიტუციის საბრლოო სახით ფორმირების პროცესს — დე გოლის ხელისუფლებაში მობრუნებიდან, ვიდრე სარეფერენდუმოდ კონსტიტუციის გატანამდე — დე გოლის საკონსტიტუციო სტრატეგია და ტაქტიკა განსაზღვრავდა. ერთიცა და მეორეც მომხრეთა გამრავლებაზე თუ არა, შენარჩუნებაზე მაინც იყო მიმართული. დე გოლი ხშირად წასულა გამიზნულ და გააზრებულ დათმობაზე კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებული დისკუსიების პროცესში, თმობდა ტექსტში არსებულ სადავო საკითხებს ისე, რომ ტოვებდა ორაზროვნებას, რომლის გადაწყვეტაც დროისა და პრაქტიკის საგანი უნდა გამხდარიყო.

დეგოლისეულმა ტაქტიკამ მისი სტრატეგიული მიზნის განხორციელება განაპირობა, ვინაიდან საფრანგეთის პრეზიდენტს დე გოლს მისცა საშუალება, როგორც მ. ომონი აღნიშნავს, გამოეყენებინა კონ-

1 М. Крутоголов, Президент Французской республики, Москва, Наука, 1980, с.27.



სტიტუცია არა ისეთად, როგორც იგი გახდა მის ტექსტში, არამედ როგორადაც იგი ისურვებდა ეხილა მისი მიღებისას – 1958 წელს.<sup>1</sup>

## თავი პირველი. საფრანგეთის სახელმწიფო სამართალი გარდაქმნების გზით

### 1-1. შრანგული კონსტიტუციონალიზმის ბანკითარების მთავები

საფრანგეთის კონსტიტუციური გამოცდილება, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ ორი საუკუნის მანძილზე აბსოლუტურად განსხვავებული პოლიტიკური რეჟიმების პირობებში ქმნიდა ფრანგული კონსტიტუციონალიზმის თეორიულ და პრაქტიკულ მრავალფეროვნებას, მრავალი ქვეყნისათვის გახდა სამაგალითო. ამას ისიც ადასტურებს, რომ საფრანგეთში დამკვიდრებული ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელი დღეს მსოფლიოს ოცდახუთ ქვეყანაში ფუნქციონირებს.

სწორედ ამიტომ უთქვამს რუსული წარმოშობის ფრანგ იურისტს მირკინ-გეცევიჩს, რომ საფრანგეთის კონსტიტუციური სამართალი საჯარო სამართლის შესწავლის მსურველთათვის ტოლფასი უნდა იყოს იმისა, რასაც წარმოადგენს რომის სამართალი სამოქალაქო სამართლით დაინტერესებულ პირთათვის.<sup>2</sup>

მართლაც, საფრანგეთს დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნისა და ფუნქციონალური გამოცდის ხანგრძლივი და მდიდარი ტრადიცია გააჩნია. მას ზოგჯერ კონსტიტუციათა თავისებურ ლაბორატორიასაც კი უწოდებენ. 1789 წლიდან დღემდე, დე გოლის კონსტიტუცია, ქვეყანაში ოცდამეორე პოლიტიკური რეჟიმის რიგით მეჩვიდმეტე ძირითადი კანონია.<sup>3</sup> მათ შორისაა ხუთი რესპუბლიკის /1791, 1848, 1875, 1946, 1958, წ.წ. / ძირითადი კანონი.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 232.

<sup>2</sup> Исполнительная власть, судебная власть и учредительная власть во Франции (второе издание). Российско-Французская серия "Информационные и учебные материалы", № 8, г. Москва, 1993, с.21.

<sup>3</sup> კონსტიტუციათა რაოდენობასთან დაკავშირებით, სამართლებრივ ლიტერატურაში არსებული აზრთა სხვადასხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მეცნიერთა ნაწილი 1875 წლის საფრანგეთის კონსტიტუციას, რომელიც სამი კონსტიტუციური კანონისაგან შედგებოდა, ერთიან ნორმატიულ აქტად მიიჩნევს.

წინამდებარე თავში ჩვენ მოკლედ განვიხილავთ მათ. შევეხებით ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების განვითარების ეტაპებს, გამოვყოფთ იმ სიახლეებს, რომლებიც თანდათანობით მკვიდრდებოდა საფრანგეთის კონსტიტუციონალიზმში.

1791 წლის კონსტიტუციამ დასაბამი მისცა საფრანგეთის პირველ რესპუბლიკას, როდესაც დააწესა შეზღუდული მონარქიის რეჟიმი. მისი პრეამბულა შეიცავდა 1789 წლის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციას და სპეციალურ თავს, მიძღვნილს "უფლებათა გარანტიებისადმი". ფრანგულ სამართლებრივ ლიტერატურაში გავრცელებულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ აღნიშნული კონსტიტუცია წარმოადგენდა რევოლუციის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის მიღწეული კომპრომისის ნაყოფს. რეალურად კი, კონსტიტუციისა თუ ფრანგული პოლიტიკური და კონსტიტუციური პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სწორედ 1791 წლის ძირითადმა კანონმა შეზღუდა მონარქის ძალაუფლება კონსტიტუციური ნორმებით.

საკანონმდებლო ხელისუფლების უმაღლეს, მუდმივმოქმედ ორგანოდ კონსტიტუციამ გამოაცხადა ერთპალატიანი ეროვნული საკანონმდებლო კრება, რომელიც თავისი უფლებამოსილების ორი წლის მანძილზე მუდმივმოქმედი ორგანოს სახით ფუნქციონირებდა. მისი ვადამდე დათხოვნა აკრძალული იყო. ეროვნული კრება საკმაოდ ფართო უფლებებით აღიჭურვა. და მისი საქმიანობა ქვეყნის მართვა-გამგეობის ყველა სფეროზე ვრცელდებოდა.

აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებდა მეფე, იგი ნიშნავდა მინისტრებს, იდგა საერთო ადმინისტრაციის, სახმელეთო და საზღვაო ჯარების სათავეში, თვალყურს ადევნებდა ქვეყანაში წესრიგის დაცვას და მშვიდობის შენარჩუნებას, მის კომპეტენციაში შედიოდა ადმინისტრაციის თანამდებობის პირების დანიშვნა-განთავისუფლება.

საბოლოო ჯამში, 1791 წლის კონსტიტუცია წარმოადგენდა გარკვეულ კომპრომისს დემოკრატიული წარმოშობის საკანონმდებლო ხელისუფლებასა და მონარქიულ ხელისუფლებას შორის, რომელიც აღმასრულებელი ფუნქციების მატარებელი იყო.

1848 წლის კონსტიტუციით გამოცხადდა მეორე რესპუბლიკა. ამ ახალმა ძირითადმა კანონმა, კონსტიტუციური სიახლის სახით, დაამკვიდრა საყოველთაო საარჩევნო უფლება, რომლის ძალითაც ოცდაერთ წელს მიღწეულ ფრანგ მამაკაცებს შეეძლოთ ესარგებლათ პოლიტიკური უფლებებით. არჩევნები ტარდებოდა თანასწორი,

პირდაპირი და ფარული კენჭისყრის წესით. ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ამიერიდან საკანონმდებლო კრებად იწოდებოდა, 750 წევრისაგან შედგებოდა და სამი წლის ვადით აირჩეოდა. საკანონმდებლო კრება მუდმივმოქმედ ერთპალატიან სტრუქტურას წარმოადგენდა. კონსტიტუციამ დააარსა ახალი ორგანო — სახელმწიფო საბჭო, რომლის ფუნქციებში შედიოდა კანონპროექტებისა და რეგლამენტების მომზადება, ადმინისტრაციის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელება.

კონსტიტუციამ დააწესა პრეზიდენტის პოსტი, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების ერთპიროვნული განმსორციელებელი იყო. პრეზიდენტი აირჩეოდა ხალხის მიერ 4 წლის ვადით. დაწესდა ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაც, რომელსაც ირჩევდა საკანონმდებლო კრება პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებული სამი კანდიდატისაგან. კრება ცდილობდა, რაც შეიძლება მეტად შეეზღუდა პრეზიდენტის უფლებები. პრეზიდენტს არ ჰქონდა ვეტოს უფლება, აკრძალული იყო მისი ხელმეორე ვადით არჩევა და ა.შ. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტს საკმაოდ დიდი უფლებამოსილებები გააჩნდა.

1875 წლის კონსტიტუციამ დააწესა მესამე რესპუბლიკა. მისი მნიშვნელოვანი სიახლე იყო ორპალატიანი პარლამენტის შემოღება. ეროვნული კრება აირჩეოდა 4 წლის ვადით, ხოლო სენატი — 9 წლით. დაწესდა ასაკობრივი ცენზებიც: ეროვნულ კრებაში არჩევისათვის — 25 წელი, სენატში — 40 წელი. პარლამენტი იღებდა კანონებს, გამოჰქონდა გადაწყვეტილებები პოლიტიკურ საკითხებზე, საჭიროების შემთხვევაში ახორციელებდა კონსტიტუციის გადასინჯვას. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება გააჩნდათ პალატების წევრებს და რესპუბლიკის პრეზიდენტს. მთავრობის საქმიანობაზე დაწესდა მკაცრი საპარლამენტო კონტროლი, რომელიც ხორციელდებოდა ზეპირი და წერილობითი შეკითხვების თუ ინტერპელაციის საშუალებებით. სენატი უფლებამოსილი იყო განეხილა პრეზიდენტის სახელმწიფო დელატში ბრალდების საკითხი, მინისტრის მიერ თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენის საქმე.

ქვეყანაში აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებდა პრეზიდენტი და მინისტრები. პრეზიდენტს შეიძლია ვადით ირჩევდა კონგრესი — პარლამენტის პალატების ერთობლივი სხდომა. კონსტიტუციის მოთხოვნის შესაბამისად, პრეზიდენტობის კანდიდატი არ უნდა ყოფილიყო საფრანგეთის სამეფო გვარის შთამომავალი. დაიშვებოდა პრეზიდენტად ხელმეორედ არჩევა. პრეზიდენტი პასუხისმგებელი იყო მხოლოდ უმაღლესი სასამართლოს წინაშე იმ

შემთხვევაში, თუ მას წაუყენებდნენ სამშობლოს ღალატის ბრალდებას. პრეზიდენტი ნიშნავდა მინისტრებს, რომლებიც მინისტრთა საბჭოს შემაღენლობაში შედიოდნენ.

1946 წლის კონსტიტუციით გამოცხადდა მეოთხე რესპუბლიკა, რომლის ინსტიტუტები საკმაოდ ემსგავსება მესამე რესპუბლიკის შესაბამის ინსტიტუტებს. მიუხედავად მსგავსებისა, კონსტიტუციამ გააუქმა აკრძალვა, რომელიც ქალებს არ აძლევდა არჩევნებში მონაწილეობის უფლებას. მესამე რესპუბლიკისაგან განსხვავებით, მნიშვნელოვნად შეიკეცა ზედა პალატის — რესპუბლიკის საბჭოს ფუნქციები. მას აღარ ჰქონდა მთავრობაზე ზემოქმედების არანაირი უფლება. საკანონმდებლო ინიციატივა ეკუთვნოდა პალატების თავმჯდომარეებს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს. კანონპროექტები განიხილებოდა პალატების შესაბამის კომისიებში, ხოლო შემდეგ — პალატების პლენარულ სხდომებზე მიღებულ კანონს ხელს აწერდა და აქვეყნებდა პრეზიდენტი.

პარლამენტს მიენიჭა ზოგიერთი სასამართლო ფუნქციაც. მას შეეძლო საგამოძიებო კომისიის შექმნა, პოლიტიკური საქმეების განხილვა, სამშობლოს ღალატისათვის პრეზიდენტის, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და მინისტრების პასუხისმგებლობაში მიცემაზე დადგენილების მიღება.

კონსტიტუციამ დააწესა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტი. მას ნიშნავდა პრეზიდენტი, ხოლო მინისტრებს — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით — ნიშნავდა სახელმწიფოს მეთაური. მინისტრები პასუხისმგებლები იყვნენ პარლამენტის წინაშე. კონსტიტუციამ დააწესა მკაცრი აკრძალვა მთავრობის წევრთა მიერ სხვა თანამდებობების შეთავსებასთან დაკავშირებით.

უნდა აღინიშნოს, რომ 1946 წლის კონსტიტუციამ საკმაოდ გაზარდა პრეზიდენტის, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და მინისტრების ფუნქციები. პრეზიდენტი უფლებამოსილი იყო დაეთხოვა ეროვნული კრება, იგი პრომულგირებას უკეთებდა კანონებს, ნიშნავდა და ათავისუფლებდა ქვეყნის ძირითადი თანამდებობის პირებს, ჰქონდა შეწყალების უფლება, ხელმძღვანელობდა ეროვნულ უშიშროებას, ზღვისიქითა ტერიტორიებს.

ერთი მნიშვნელოვანი სიახლე მეოთხე რესპუბლიკის კონსტიტუციისა ის იყო, რომ შეიქმნა საკონსტიტუციო კომიტეტი, რომლის ფუნქციებში შედიოდა კანონმდებლობის კონსტიტუციურობაზე კონტროლი. დღევანდელი საკონსტიტუციო კონტროლის უფლებრივი თვალსაწიერის გათვალისწინებით, უცნაურად ჟღერს, რომ მისი

თავმჯდომარე იყო რესპუბლიკის პრეზიდენტი. და მაინც – იმ უფლებრივი კონტურების გათვალისწინებით, რაც კომიტეტს ევალებოდა, მისი შექმნა უდავოდ პროგრესული მოვლენა იყო.

1946 წლის კონსტიტუცია მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია ომისშემდგომი საფრანგეთის დემოკრატიული განვითარების გზაზე. მასში შეტანილ იქნა პროგრესული პრინციპები და დებულებები, მაგრამ მათ საკანონმდებლო განხორციელება არ ეწერათ. ამას მოჰყვა თავდასხმები კონსტიტუციაზე და მიღებიდან ვიდრე 1958 წლამდე პარლამენტში შეტანილ იქნა 99 წინადადება მის გადახედვაზე. სწორედ ამიტომ, ამ კონსტიტუციას ყველაზე ხანმოკლე დღე ეწერა. უკვე 1958 წლის 21 მარტსა და 27 მაისს ეროვნულმა კრებამ მიიღო კონსტიტუციის გადასინჯვის ახალი პროექტები, რაც პრესის მიერ შეფასდა როგორც შარლ დე გოლისათვის ხელისუფლების გადაცემის შემზადება. ფაქტობრივად, ასეც მოხდა. დე გოლი არ დააკმაყოფილა 1946 წლის კონსტიტუციაში შეტანილმა აღნიშნულმა ცვლილებებმა.

## 1-2. მესუთე რესპუბლიკის კონსტიტუცია – სტრუქტურა და შინაარსი

საფრანგეთში ამჟამად მოქმედი კონსტიტუცია ძალაში შევიდა 1958 წლის 4 ოქტომბერს. აქედან იწყება მესუთე რესპუბლიკის ფაქტობრივი სვლა. თუმცა, მისი აღიარება ერთი კვირით ადრე – 28 სექტემბერს მოხდა რეფერენდუმზე. ფაქტობრივად, ეს თარიღი მიიჩნევა მესუთე რესპუბლიკის კონსტიტუციის დაბადების დღედ.

რეფერენდუმზე საფრანგეთის მოსახლეობას შესთავაზეს გამოეთქვა თავისი აზრი კონსტიტუციის პროექტის მიმართ, მაგრამ სინამდვილეში მათ თავისი დამოკიდებულება უნდა გამოეხატათ დე გოლისადმი, რამაც რეფერენდუმს სპონტანური პლებისციტის სახე მისცა და კიდევ დაადასტურა მხარდაჭერის მაღალი დონე<sup>1</sup>.

ფრანგმა ხალხმა მიიღო და რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამოაკვეცა კონსტიტუცია, რომელიც შედგება 15 კარისა და 92 მუხლისაგან:

ფრანგმა ხალხმა საზეიმოდ გამოაცხადა თავისი ერთგულება ადამიანის უფლებებისადმი და პრეამბულაშივე ქვეყნის ძირითადი კანონის შემადგენელ ნაწილებად სცნო ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა 1789 წლის დეკლარაცია და საფრანგეთის 1946 წლის

<sup>1</sup> შედეგები იხილეთ: Ардан Филипп. Франция: Государственная система. Пер. с фран. Москва, Юрид. лит, 1994, с. 22.

2. საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა

კონსტიტუციის პრეამბულა, ხოლო უკვე პირველი კარი ეროვნული სუვერენიტეტის საკითხებს განსაზღვრავს.

საერთოდ, კონსტიტუციებში შემთხვევით არაფერი არ ხდება და არც კარების რიგითობაა შემთხვევითი საფრანგეთის კონსტიტუციაში. მეხუთე რესპუბლიკა უშუალოდ დე გოლზე იყო ძორგებული და მისივე მეცადინეობით იქცა პრეზიდენტი რესპუბლიკის პოლიტიკური სისტემის საძირკვლად. სწორედ ამიტომ, მეოთხე რესპუბლიკის კონსტიტუციისაგან განსხვავებით, აქ მეორე კარი პრეზიდენტის ხელისუფლებას მოიცავს, შესაბამე კარში კი მას მოყვება მთავრობა, რათა აღმასრულებელი ხელისუფლება ერთ მთლიანობაში იყოს წარმოდგენილი. და მხოლოდ მეოთხე კარშია გათვალისწინებული ხელისუფლების საკანონმდებლო შტო — პარლამენტი. ჩვენი აზრით, ასეთი რიგითობის პირობებში უთუოდ ცალკე უნდა განხილულიყო პარლამენტისა და მთავრობას შორის ურთიერთობათა საკითხები. სწორედ ამას ეძღვნება კონსტიტუციის მეხუთე კარი.

კონსტიტუციაში ჩამოყალიბებული პოლიტიკური ინსტიტუტების და აგრეთვე პოლიტიკური ტრადიციის შესაბამისად, საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკა ერთგვარი ჰიბრიდია, მას ახასიათებს როგორც სტანდარტული საპარლამენტო დემოკრატიის, ისე სპარეზიდენტო მმართველობის სხვადასხვა ნიშნები. თუმცა პარლამენტმა ამ სისტემაში დროთა განმავლობაში გარკვეულად მეორეხარისხოვან ადგილზე გადაინაცვლა და, შესაძლოა, შენარჩუნებული იქნა ფრანგული ტრადიციების პატივისცემის გამო, აგრეთვე კონსტიტუციის საკონსულტაციო კომიტეტის არაგოლისტი წევრების დასამშვიდებლად.

პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობამ და დე გოლის პიროვნების ზეგავლენამ თავისი ასახვა ჰპოვა კონსტიტუციის შინაარსში. ფრანგი მკვლევარების აზრით, იგი გარკვეულწილად უარყოფს ზოგიერთ ისეთ ნიშან-თვისებას, რომელიც ტრადიციული იყო ფრანგული დემოკრატიისთვის. საპარლამენტო რესპუბლიკის ნაცვლად, კონსტიტუცია აწესებს მართვა-გამგეობის შერეულ ფორმას, რომელშიც უდავოდ სპარეზიდენტო რესპუბლიკის ნიშნები ჭარბობს. სწორედ ეს გამოიხატა კონსტიტუციურ სტრუქტურათა თანმიმდევრობის ლოგიკაში.

ჩვენი აზრით, მეტიად საინტერესოა ფრანგული საარჩევნო სამართლის ნორმატიული ბაღე. მსჯელობაში გვაქვს ქვეყნის ცხოვრების რიტმი, რომელშიც არჩევნებს თავისი პოლიტიკური ეშხი შეაქვს. იმის გამო, რომ ამ ბადის კოორდინატებად არაჯერადი

ციფრებია განსაზღვრული, ქვეყანა არჩევნების შედეგებიდან — არჩევნების სამზადისზე გადადის. ასეა განუწყვეტელი — არჩევანის წინაშეა ქვეყანა და მოსახლეობაც თანმიმდევრულ საარჩევნო პროცესშია ჩართული. კინაიდან ქვეყნის პრეზიდენტი 7 წლით, ეროვნული კრება 5 წლით, სენატი 9 წლით — 3 წელიწადში მესამედის განახლებით, ზოლო დეპარტამენტის გენერალური საბჭო 6 წლით — 3 წელიწადში სანახევრო განახლებით აირჩევა.

პარლამენტი მონაწილეობას ღებულობს სხვა ორგანოთა ფორმირებაში. მაგალითად, პალატის თავმჯდომარეები ნიშნავენ საკონსტიტუციო საბჭოს წევრებს. ამასთან, კონსტიტუციის მეშვედუ კარი განსაზღვრავს საკონსტიტუციო საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესს. ამ ორგანოს მთავარი დანიშნულებაა კანონების კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენა. საბჭო თვალყურს ადევნებს, რათა პარლამენტი არ გასცდეს საკანონმდებლო სფეროში კონსტიტუციით მისთვის დადგენილ ფარგლებს, აკონტროლებს პრეზიდენტისა და პარლამენტის წევრების არჩევის სისწორეს.

კონსტიტუციის მეექვსე კარში განსაზღვრულია საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადების და რატიფიცირების წესი. დადგენილია, თუ რა ფარგლებში შეიძლება ამგვარი ხელშეკრულების დადება.

საფრანგეთის კონსტიტუციის მერვე და მეცხრე კარები ეძღვნება სასამართლო ხელისუფლებას და მართლმსაჯულების უზენაეს პალატას. სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გარანტიად საფრანგეთში რესპუბლიკის პრეზიდენტი გვეკლინება. ძირითადი კანონით განმტკიცებულია მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოსა და მართლმსაჯულების უზენაესი პალატის კომპეტენცია. მეათე კარი აკანონებს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს უფლებამოსილებას.

კონსტიტუციის მეთერთმეტე — მეცამეტე კარები ამკვიდრებენ ტერიტორიული კოლექტივების და ერთობის კონსტიტუციურ ნორმატიულ საფუძვლებს და გაერთიანების შესახებ შეთანხმებების გაფორმების წესს.

კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმი განსაზღვრულია მეთოთხმეტე კარში. ძირითად კანონში შესწორების შეტანის ინიციატივა ეკუთვნის პარლამენტის წევრებს და რესპუბლიკის პრეზიდენტს, რომელიც მოქმედებს პრეზიერ-მინისტრის წინადადებით. შესწორება ჯერ მიღებული უნდა იქნეს იდენტური რეკლამაციით პარლამენტის პალატების მიერ. საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება რეფერენდუმზე.

გადასინჯვის პროექტის რეფერენდუმზე გატანის აუცილებლობა გამოირიცხება. თუ რესპუბლიკის პრეზიდენტი მას განსახილველად გადასცემს კონგრესის წესით მოწვეულ პარლამენტს და იგი მხარდაჭერილი იქნება კენჭისყრაში მონაწილეთა საერთო რაოდენობის სამი მეოთხედის მიერ. თუმცა, აქვე კონსტიტუცია ადგენს, რომ გადასინჯვას არ ექვემდებარება საკითხი მართვა-გამგეობის რესპუბლიკური ფორმის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი ქვეყნების ახალ კონსტიტუციებში ასახვას პოვენ თანამედროვე ინტეგრაციული პროცესები და ჩნდება სპეციალური თავები თუ კარები, რომლებიც სახელმწიფოთა რეგიონალური გაერთიანებების შესახებ დებულებებს მოიცავენ. სწორედ მაასტრიხტის შეთანხმების მიღებასთან დაკავშირებით, 1992 წელს საფრანგეთის კონსტიტუციაში გაჩნდა კარი – "ევროპის კავშირი"<sup>1</sup>

სხვათა შორის, ასეთი გადაწყვეტილების აუცილებლობა მას შემდეგ დადგა, როცა საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭომ 1992 წლის 9 აპრილის გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ ევროკავშირის შესახებ მაასტრიხტის ხელშეკრულების რიგი მუხლები შეუსაბამოა საფრანგეთის კონსტიტუციისა. სწორედ ამან განაპირობა უკვე 1992 წლის ივნისში პარლამენტის კონგრესის მიერ კონსტიტუციური კანონის მიღება, რომელმაც კონსტიტუცია აღნიშნული კარით შეავსო.<sup>2</sup>

და ბოლოს, როგორც ყველა სხვა ქვეყნის კონსტიტუციაში, განსაკუთრებული საჭიროებისამებრ, აქაც გარდამავალი დებულებები – კარი მეთხუთმეტე – არეგულირებენ ცალკეული მუხლების მოქმედებას გარდამავალი რეჟიმის პირობებში, ვიდრე კონსტიტუცია სრულად შვეა ძალაში და, მამასადამე, სრულყოფილად ამოქმედდება.

ასეთია ძალიან მოკლედ და ზოგადად საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკის სავიზიტო ბარათი – გენერალ შარლ დე გოლის ავტორობით დამუშავებული და მისივე მხარდაჭერის ნიშნად – ძალაში სარეფერენდუმო მარჯვენალებით მიღებული თანამედროვე საფრანგეთის ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკის კონსტიტუცია. ვფიქრობთ, ზოგად წარმოდგენას კონსტიტუციის სამართლებრივ ბუნებასა და კონტურებზე იგი იძლევა, ხოლო, რაც შეეხება მის უფრო ფართო გაშლას, სახელმწიფო სამართლის ძირითადი სუბი-

<sup>1</sup> Сравнительное Конституционное право. Москва, "Манускрипт", 1996, с. 131.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 223.



ექტების მიხედვით, ეს შესაბამის თავებში იქნება უფრო დეტალურად და სრულად წარმოდგენილი.

მაგრამ მანამდე, იმისათვის, რომ მთლიანობაში გაეიაზროთ, თუ როგორი სახით ჩამოაყალიბა დე გოლის კონსტიტუციამ მეხუთე რესპუბლიკა, საჭიროდ მიგვაჩნია მის ყოფაში ერთი ღრმად ჩახედული მეცნიერის მოსაზრება მოვიშველიოთ.

“ეს კონსტიტუცია ამაგრებს პარლამენტური რეჟიმის ძირითად პრინციპს: მთავრობის პასუხისმგებლობას პარლამენტის წინაშე. მაგრამ, ის ქმნის პარლამენტარიზმის ორიგინალურ ფორმას, რომელიც განსხვავებულია კლასიკური საპარლამენტო სისტემისაგან. უპირველეს ყოვლისა, ესაა არათანაბარი პარლამენტარიზმი, სადაც პარლამენტი მორჩილ მდგომარეობაშია მთავრობასთან შედარებით. ეს ნაწილობრივი პარლამენტარიზმია, რომელიც ხელისუფლების დანაწილებასთან მტკიცედაა დაკავშირებული და ეს დამახასიათებელია სავსებით სხვა რეჟიმისათვის”.

ასეთია ცნობილი ფრანგი სახელმწიფოთმცოდნე იურისტის მ. დიუვერჟეს აზრი. როგორ შეედავები ქვეყნის შიგნით რეალური ხედვიდან აღმოცენებულ შეფასებას, თორემ ხელისუფლების დანაწილების კლასიკურ პრინციპებში ერთი შტოს ასეთი “დაგეგმილი” სისუსტე არანაირად არ იკითხება. ამ დროს, შერეული – ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკის ფრანგული ვარიანტი პარლამენტური რესპუბლიკის მაგალითზე ამონაზარდი სახელმწიფო მმართველობის ისეთი ფორმაა, როცა საკანონმდებლო შტო პოლიტიკური მიზანსცენის ფონის პლანზე მოქმედი ძალაა, რომელიც თანდათანობით კიდევ უფრო უძღურდება ზოგიერთი ფუნქციის განხორციელების ნაწილში. იგი მხოლოდ ეპიზოდურად გამოდის ავანსცენაზე აქტიური როლის შესასრულებლად, როცა ახლადარჩეული პრეზიდენტი ახალი მთავრობის ფორმირებას ახდენს. პარლამენტის დეპუტაციაში პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობაზეა დამოკიდებული საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი “გვერდზე” დაუდგება პრეზიდენტს, თუ “პირდაპირ”. ამას, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის. მაგრამ არა პარლამენტისათვის, რომელიც, გააკეთებს რა თავის საქმეს, მრავალი წლით ისევ სცენის სიღრმეში გადაადგილდება და კანონმდებლობს.

### 1-3. ფრანგული კონსტიტუციონალიზმი ადამიანის უფლებათა შესახებ

კონსტიტუციის ძირითადი დანიშნულება, დედააზრი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაა. კონსტიტუცია მოწოდებულია მოქალაქეები აღჭურვოს თავდაცვის იურიდიული საშუალებებით იმდენად და იმგვარად, რომ არ მოხდეს სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მათი უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფა. ამდენად, კონკრეტული ინდივიდები წარმოადგენენ არა უბრალოდ სახელმწიფოს “ქვეშევრდომებს”, როგორც ეს ძველი რეჟიმის დროს იყო, არამედ ისინი პოლიტიკური თუ სამოქალაქო უფლებების მატარებელი სრულყოფილი მოქალაქეები ხდებიან.

ნიშანდობლივია, რომ მოქალაქეობის ინსტიტუტი, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით, საფრანგეთის რევოლუციის პირშია. სწორედ რევოლუციამ შეცვალა ქვეშევრდომობის ინსტიტუტი, რომელიც ფეოდალიზმის სანიდან მომდინარეობდა. ღირშესანიშნავი დოკუმენტი გახდა ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაცია, რომელიც საფრანგეთის დამფუძნებელმა კრებამ 1789 წელს მიიღო და აცხადებდა, რომ “ადამიანები იბადებიან თავისუფალნი და თანაბარნი თავიანთ უფლებებში”. მიზანს “ნებისმიერი პოლიტიკური ასოციაციისა (ანუ სახელმწიფოსი) წარმოადგენს ადამიანის ბუნებრივი და განუყოფელი უფლებების გამიჯვნა”.

მნიშვნელოვანია მსგავსი სასის დოკუმენტების იურიდიული ძალის საკითხი. უდავო იგი არც ფრანგულ კონსტიტუციონალიზმში ყოფილა. საფრანგეთის მესამე რესპუბლიკის სანის იურისტთა ერთი ნაწილი აღიარებდა მის იურიდიულ მნიშვნელობას, მეორე ნაწილი არ ცნობდა. მხოლოდ მეოთხე რესპუბლიკის კონსტიტუციამ მოახდინა ამ დეკლარაციის ლეგალიზება, როცა პრეამბულაში დააფიქსირა იგი, როგორც ამოსავალი დებულება.

მოლიანობაში, ამ მცირე მოცულობის დოკუმენტში, რომელიც სულ ჩვიდმეტი მუხლისაგან შედგება, კონცენტრირებულია ყველაზე მნიშვნელოვანი იდეები და პრინციპები, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ თავისი ცხოველყოფილობა. საქმე კი ის არის, რომ 1789 წლის დეკლარაცია საფრანგეთის ამჟამინდელი კონსტიტუციისა და მოქმედი სამართლის შემადგენელი ნაწილია. ეს დეკლარაცია მოგვიანებით ჩართული იქნა სხვა ქვეყნების საკონსტიტუციო სისტემებშიც (სენეგალი, ჩადი, პორტუგალია).

საფრანგეთის 1958 წლის კონსტიტუციაში არ არის დეტალურად განსაზღვრული მოქალაქეთა ძირითადი უფლებები და თავი-

სუფლებები. მათი არსის სრულად გაგებისათვის აუცილებელი ხდება სხვა წყაროების მოშველიება. საკონსტიტუციო საბჭოს გადაწყვეტილებებიც ერთგვარად ასეთ წყაროს წარმოადგენს. რიგ გადაწყვეტილებებში ამ ორგანოს მიერ ხაზგასმული იქნა ის გარემოება, რომ 1789 წლის დეკლარაცია და 1946 წლის კონსტიტუციის პრეამბულა მოქმედი კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილებია და შეიცავენ ნორმებს მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: ცალკეულ გადაწყვეტილებებში განმარტებულია ცნებები: უსაფრთხოება და თავისუფლება (1981 წლის 15 იანვარი), ასოციაციების თავისუფლება (1971 წლის 16 ივლისი), სინდისისა და განათლების თავისუფლება (1977 წლის 22 ნოემბერი), აზრის გაზრცელების თავისუფლება (1982 წლის 22 ივლისი), საკუთრებისა და მენარმოების უფლება (1982 წლის 16 იანვარი), გაფიცვის უფლება და სხვა.

1789 წლის დეკლარაციამ საჯაროდ გამოაცხადა ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, ე. ი. უფლებები, რომლებიც მუდმივად ახასიათებს და გააჩნია კონკრეტულ ინდივიდს. თანამედროვე ეტაპზე უფლება-თავისუფლებათა წრე, რომელიც განსაზღვრა დეკლარაციამ, ერთი შეხედვით, შეიძლება არც ისე ფართო მოგვეჩვენოს, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ აღნიშნული დოკუმენტის მიღების პერიოდი.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დეკლარაცია შეიცავს, როგორც პოზიტიური სამართლის ნორმებს (9, 11, 13, 17 – მუხლებში), ასევე იდეოლოგიური და პოლიტიკური ხასიათის დებულებებს, რაც მხოლოდ პროგრესულად უნდა შეფასდეს აღნიშნული მომენტის გათვალისწინებით.

გარდა იმისა, რომ დეკლარაციით ყველა ადამიანი თავისუფალი და თანაბარი უფლებების მატარებელია, იგი შეიცავს რამდენიმე ზოგადი ხასიათის ნორმას, რომლებიც აუცილებელია მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების სრული რეალიზაციისათვის. დოკუმენტის მე-4 მუხლით დადგენილია, რომ “თავისუფლება არის შესაძლებლობა იმის კეთებისა, რაც ზიანს არ აყენებს სხვას”. ამგვარად, ადამიანის უფლებების განხორციელებას გააჩნია მხოლოდ ის საზღვრები, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოების სხვა წევრებისათვის იმავე უფლებებით სარგებლობას. ეს საზღვრები კი მხოლოდ კანონით უნდა იყოს დადგენილი. მე-5 მუხლით განმტკიცებულია არანაკლებ მნიშვნელოვანი პრინციპი: “ის, რაც არ არის

აკრძალული კანონით, უნდა განხორციელდეს ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე და არავინ არ არის უფლებამოსილი მოსთხოვოს მოქალაქეს კანონით აკრძალული მოქმედების შესრულება.”

დეკლარაციაში განმტკიცებულია კონკრეტული უფლებები და თავისუფლებები, კერძოდ, უფლებები სასამართლო სფეროში (მუხლი 7-9), აზრის, სინდისის, ბეჭდვის თავისუფლება, საკუთრების უფლება და სხვა.

ვინაიდან უფლებების დაცვა მეტადრე ხელისუფლების დანაწილებას უკავშირდება, ამდენად განსაკუთრებულ ინტერესს იმის გამოსარკვევად, თუ როგორ ხდებოდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპის საკანონმდებლო აღიარება და დამკვიდრება, წარმოადგენს დეკლარაციის მეთექვსმეტე მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ “ნებისმიერ საზოგადოებას, რომელშიც არ არის უზრუნველყოფილი უფლებების განხორციელება და განმტკიცებული ხელისუფლების დანაწილება, არ გააჩნია კონსტიტუცია”. რა თქმა უნდა, იგულისხმება არა იურიდიული, არამედ ფაქტიური კონსტიტუცია, უფრო სწორად დემოკრატიული კონსტიტუციური მართლწესრიგი. აქ საგანგებოდაა წინა პლანზე წამოწეული სამართლის ორი უმნიშვნელოვანესი კვანძი — უფლებებისა და თავისუფლებების გარანტია და ხელისუფლების დანაწილება. ჭეშმარიტად, საზოგადოების დემოკრატიულობის დონე ამ ორ კრიტერიუმზეა დამოკიდებული, მაგრამ არა ცალ-ცალკე, თავისთავად, არამედ მჭიდრო, ცალსახა კავშირში, გამომდინარე იქიდან, თუ რამდენად ანიჭებს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ფაქტობრივი მდგომარეობა ხელისუფლებას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტიის ფუნქციას.

მაგრამ, ნუ მოვყვებით მდგომარეობის იდეალიზებას. ზომ ცნობილია, რომ ადამიანის და მოქალაქის დეკლარაციის მიღებიდან რამდენიმე დღის შემდეგ მიღებულ იქნა საარჩევნო კანონი, რომლის თანახმადაც საფრანგეთის მოქალაქეები, ქონებრივი ცენზის მიხედვით, აქტიურებად და პასიურებად აღმოჩნდნენ გაყოფილნი. ამას გარდა, თავად საფრანგეთის ისტორია, სადაც იშვა აღნიშნული თეორია, დამაჯერებლად ირწმუნება, თუ რაოდენ რთული იყო განვლილი გზა: ორი საუკუნის მანძილზე, დიდი ფრანგული რევოლუციის შემდეგ, ქვეყანაში შეიცვალა ორი იმპერია, ორი ცენზიანი მონარქია, ხუთი რესპუბლიკა, რომელთა შორის მრავალი წლები გაიხარჯა სხვადასხვაგვარი “გარდამავალი” და “დროებითი” რეჟიმების სახით.

ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაციამ, ყოველივე აღნიშნულთან ერთად, ადამიანის განუყოფელი, წმინდა და ხელშეუხებელი უფლებები აღიარა. როგორც ითქვა, სწორედ ამ დეკლარაციამ ჩაუყარა საფუძველი მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების კონსტიტუციური ინსტიტუტის დამკვიდრება-განვითარებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის პრაქტიკაში მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მნიშვნელოვან სამართლებრივ საშუალებებს წარმოადგენენ კონსტიტუციური გარანტიები.

დღეს მოქმედი კონსტიტუციების უმეტესობა შეიცავს დებულებებს მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ. ზოგიერთ შემთხვევაში და მეტწილად ესენი ფართოდ და დეტალურად რეგლამენტირებული თავებია, მაგალითად, იტალიის კონსტიტუციაში. საფრანგეთის კონსტიტუცია ერთგვარი გამონაკლისია, სადაც ზოგადად, ყოველგვარი დეტალიზაციის გარეშე აღიარებულია მოქალაქეთა ძირითადი უფლება-თავისუფლებები, რომლებიც განისაზღვრა ჯერ კიდევ 1789 წლის დეკლარაციით მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ და 1946 წლის კონსტიტუციის პრეამბულით.

1946 წლის კონსტიტუციის პრეამბულა ადასტურებს 1789 წლის დეკლარაციით აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლება-თავისუფლებების პრინციპებს. ფრანგული კონსტიტუციონალიზმის განვითარების ისტორიაში პირველად 1946 წლის კონსტიტუციაში ჰპოვა ასახვა ქალისა და მამაკაცის უფლებების თანასწორობის პრინციპმა. პრეამბულაში გაჩნდა ყველა დროისათვის საკმაოდ დემოკრატიული ნორმა იმის თაობაზე, რომ ნებისმიერ ადამიანს, ვინც იღვენებოდა თავისუფლებისათვის მოღვაწეობისა და ბრძოლის გამო, ჰქონდა რესპუბლიკის ტერიტორიაზე თავშესაფარის მოთხოვნის უფლება.

კონსტიტუციამ ხელშეუხებელ ნორმად გამოაცხადა შრომის უფლება, რომლის შეზღუდვა დაუშვებელია. ამასთან, კონსტიტუციამ შრომა მოქალაქეებს განუსაზღვრა როგორც მოვალეობითი კატეგორია.

მოქალაქეებს მიეცათ უფლება გაერთიანებულიყვნენ პროფესიულ კავშირებად და ამ გზით დაეცვათ თავისი უფლებები და ინტერესები. კანონით დადგენილი წესით გარანტირებული იყო გაფიცვის უფლებაც. მუშა-მოსამსახურეებს თავისი წარმომადგენლების მეშვეობით მიეცათ საშუალება მიედოთ მონაწილეობა საწარმოების მართვასა და შრომის პირობების დადგენაში.

კონსტიტუციის პრეამბულა სახელმწიფოს გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს მოქალაქეთა უფლებების დაცვისა და ამ უფლებების განხორციელების გარანტიების შექმნაში. კერძოდ, სახელმწიფო უზრუნველყოფს ყველა იმ აუცილებელ პირობას, რაც საჭიროა ჯანმრთელობის დაცვის, მატერიალური უზრუნველყოფისა და მომუშავეთა დასვენებისათვის. განსაკუთრებით ხაზგასმულია დედების, მცირეწლოვანი ბავშვებისა და ხანდაზმულთათვის სასიცოცხლო პირობების შექმნის აუცილებლობა. გარდა ამისა, სახელმწიფო ვალდებულია ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ფიზიკური, გონებრივი თუ ეკონომიკური ნაკლის გამო არაქმედუნარიანადაა აღიარებული, უზრუნველყოს საარსებოდ აუცილებელი სახსრებით.

კონსტიტუციამ აღიარა ადამიანის უფლება განათლების მიღებაზე. სახელმწიფო ვალდებულია შექმნას თანაბარი პირობები ბავშვებისა და მოზარდებისათვის განათლებისა და პროფესიის მისაღებად. ძირითადად კანონმა უზრუნველყო კულტურის მიღწევებით თანაბარი სარგებლობის უფლებაც. ამასთან, სახელმწიფოს დაევალია ყველა საფეხურის უფასო საგანმანათლებლო დაწესებულების შექმნა და სასწავლო პროცესის ორგანიზაცია.

კონსტიტუციით დეკლარირებულია საკმაოდ პროგრესული ნორმა საფრანგეთის რესპუბლიკის საერთაშორისო საჯარო სამართლის ნორმებისადმი ერთგულებისა და მათი შესრულების აუცილებლობის თაობაზე. ქვეყანამ აიღო ვალდებულება არ ეწარმოებინა დაპყრობითი და უსამართლო ომები, არ გამოეყენებინა თავისი ძალები ამა თუ იმ ხალხების თავისუფლების წინააღმდეგ. საფრანგეთი მზადყოფნას აცხადებდა შეეზღუდა თავისი სუვერენიტეტი, თუ ეს აუცილებელი იქნებოდა საყოველთაო მშვიდობის მიღწევისა და დაცვისათვის.

საფრანგეთი იღებდა ვალდებულებას მასთან კავშირში მყოფი ხალხებისათვის შეექმნა დამოუკიდებელი თვითმმართველობისა და დემოკრატიული განვითარების პირობები, რის საუძველზეც კონსტიტუციამ უარყო კოლონიზატორული სისტემა.

1946 წლის კონსტიტუციის პრეამბულაში გადმოცემული მოქალაქეთა უფლება-თავისუფლებანი, სახელმწიფოს მიერ მის ქვეშევრდომთა წინაშე ნაკისრ ვალდებულებებთან ერთობლიობაში, გახდა წინაპირობა იმისა, რომ საფრანგეთს სავსებით სამართლიანად

მიანიჭეს. “სოციალური”, “დემოკრატიული”, “ერთიანი” და “განუყოფელი” სახელმწიფოს ეპითეტები.<sup>1</sup>

რაც შეეხება უშუალოდ 1958 წლის კონსტიტუციას, იგი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პრობლემებთან კავშირში ქვეყნის მთლიანობის საკითხს აყენებს. ამ ორი რთული თემის ზოგადი ფორმულის დონეზე განხილვა შემთხვევითი ნამდვილად არ არის. პირველის ძალა მტკიცე გარანტიების პირობებში ყოვლისშემძლე ფენომენია და ეს კონსტიტუციურად ფორმდება, როცა პრეამბულა ასეთ ლოგიკას ავითარებს: “გამომდინარე ამ პრინციპებიდან, აგრეთვე ხალხთა თავისუფალი თვითგამორკვევის პრინციპებიდან, რესპუბლიკა სთავაზობს ზღვისიქითა ტერიტორიებს, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს შეუერთდნენ მას, თავისუფლების, თანასწორობის და ძმობის ზოგად იდეალებზე დაფუძნებულ დემოკრატიული განვითარების მიზნის მქონე ახალ ინსტიტუტებს.”

მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი კონსტიტუციური გარანტია საფრანგეთის კონსტიტუციის მე-2 მუხლშია გადმოცემული და თავად რესპუბლიკის პრინციპის დონეზეა აღიარებული. აქ მოცემული ფორმულა — “ხალხის მმართველობა ხალხის მიერ, ხალხისათვის” რომ ამის თვალნათლივი მაგალითია, ეს ალბათ აქსიომად უნდა მივიჩნიოთ.

პიროვნების თავისუფლების რეალურ დამცველად საფრანგეთში გვევლინება სასამართლო ხელისუფლება, რომელიც მტკიცედ იცავს კონსტიტუციურ პრინციპს, რომ თავისუფლება თვითნებურად არავის არ შეიძლება ჩამოერთვას (მუსლი ნნ). ეს ნორმა განამტკიცებს მოქალაქის პირადი ხელშეუხებლობის საქვეყნოდ აღიარებულ უმნიშვნელოვანეს პრინციპს.

ფრანგულ სამართლებრივ დოქტრინასა და პრაქტიკაში მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა ორი ასპექტისაგან შედგება: პირველი — ეს არის კანონმდებლის მხრიდან მათი ხელყოფისაგან დაცვა და მეორე — სახელმწიფოს, იურიდიული და ფიზიკური პირების მხრიდან ხელყოფისაგან დაცვა. რადგან უფლება-თავისუფლებანი კონსტიტუციურ ხასიათს ატარებენ, მათი დაცვა კანონმდებლის, ე. ი. პარლამენტის ხელყოფისგან საკონსტიტუციო საბჭოს პრეროგატივით, რომელიც აღნიშნულ ფუნქციას ახორციელებს პარლამენტის მიერ კანონის მიღებისა და პრეზიდენტის მიერ

<sup>1</sup> Марсель Прело. Конституционное право Франции. Москва, Иностранная литература, 1957, с. 349.

აქტის პრომულგაციას შორის პერიოდში. რაც შეეხება ადმინისტრაციულ აქტებს, რომლებიც შეიცავენ კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შემზღუდავ ნორმებს, მათ იხილავს ადმინისტრაციული იუსტიციის უმაღლესი ორგანო – სახელმწიფო საბჭო. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი ადგენს ადმინისტრაციული აქტების ძირითად კანონთან შეუსაბამობას და არა მათი კონსტიტუციურობის საკითხს.<sup>1</sup> სახელმწიფო საბჭო ამგვარი შეუსაბამობების აღმოფხვრის გარანტს წარმოადგენს.

საფრანგეთში მოქმედებს კანონი “მედიატორის შესახებ”, რომლის თანახმადაც ყველა ფიზიკური პირი, რომელსაც მიაჩნია, რომ საქთავრობო თუ საზოგადოებრივი დაწესებულებების, რეგიონალური ხელისუფლების თუ სხვა ორგანოების მიერ დარღვეული იქნა მათი უფლებები და თავისუფლებები, უფლებამოსილია საჩივრით მიმართოს რესპუბლიკის მედიატორს.

მედიატორი ევროპაში გავრცელებული ომბუდსმენის ინსტიტუტის ნაირსახეობაა, მაგრამ განსხვავებით ყველა ანალოგისაგან, რომლებიც პარლამენტებთან არიან მიბმული და მათ მიერვე მტკიცდებიან. საფრანგეთში იგი მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ინიშნება ექვსწლიანი ვადით. ასეთი გამონაკლისი გარკვეული ანარეკლია ქვეყანაში მიმდინარე პარლამენტის როლის დაქვეითების საერთო ტენდენციისა.

მედიატორი ხელშეუხებელია, არ შეიძლება მისი დაპატიმრება, დაკავება, მის წინააღმდეგ საქმის აღძვრა და გასამართლება იმ ქმედებისა თუ შესჯდულებების გამო, რომელსაც ახორციელებს და გამოთქვამს თავისი მოვალეობების შესრულების პროცესში. მედიატორის გადაყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ ვითარებასთან დაკავშირებით, როდესაც იგი ვედარ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს.

მოქალაქეების საჩივრები ზემოთ ჩამოთვლილი ორგანოების საქმიანობასთან დაკავშირებით ეგზავნებათ პარლამენტის წევრებს, რომლებიც მხოლოდ მას შემდეგ, რაც განიხილავენ და გადაწყვეტენ საკითხს იმის თაობაზე, შედის თუ არა კონკრეტულ საკითხზე დავის განხილვა მედიატორის კომპეტენციაში, მასვე გადასცემენ.

მედიატორის მსჯელობის საგანი არ შეიძლება გახდეს საჩივარი თავად საქთავრობო, საზოგადოებრივ და რეგიონალურ ორგანოებს ან მათ თანამდებობის პირთა შორის უთანხმოების შესახებ.

<sup>1</sup> Rivero J. Les libertés publiques, T. 1. Paris. 1987, p. 243.



საზგაისამელია ის გარემოება, რომ საკმაოდ შეზღუდულია მედიატორის კომპეტენცია საჩივრის საფუძველზე აღმოჩენილი უფლება-თავისუფლებების დარღვევის აღმოფხვრის საქმეში. თუ იგი ჩათვლის, რომ საჩივარი დასაბუთებულია და ადგილი აქვს მოქალაქის უფლების დარღვევას, შემოუშავენ რეკომენდაციას აღნიშნული დარღვევის აღმოფხვრის წინადადებების თაობაზე და უგზავნის შესაბამის ორგანოს. ამასთან, კანონით დადგენილია მედიატორის რეკომენდაციების განხილვის კონკრეტული ვადები. განხილვის შედეგები უნდა ეცნობოს მედიატორს, ხოლო თუ ეს უკანასკნელი ჩათვლის, რომ პასუხი დაუსაბუთებელია, უფლება აქვს საჯაროდ გამოაქვეყნოს თავისი რეკომენდაციები. ფაქტიურად, ეს არის ის მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც მედიატორს შეუძლია დახმარება გაუწიოს მოქალაქეებს მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საქმეში.

უნდა აღინიშნოს, რომ მედიატორს არ შეუძლია ჩაერიოს სასამართლო პროცესში ან ისეთ საკითხებში, რომლებიც სასამართლოს პრეროგატივაა. იგი უფლებამოსილია მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსთხოვოს იმ ორგანოებს ან ორგანიზაციებს, რომლებსაც ეს ეხებათ, შეასრულონ სასამართლოს გადაწყვეტილება დადგენილ ვადაში. რესპუბლიკის მედიატორი ყოველწლიურად ანგარიშვალდებულია პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე. მისი საქმიანობის შესახებ მოხსენება საჯაროდ ქვეყნდება. უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის მედიატორს არ გააჩნია დარღვევების გამოძიების კომპეტენცია, იგი უფლებამოსილია მხოლოდ ამ დარღვევებზე მიაპყროს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების ყურადღება. ამიტომ, არც ისე ხშირია პრაქტიკაში მედიატორისადმი მოსახლეობის მიმართვები.

მოქალაქეთა და არასამთავრობო ორგანიზაციათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა ხორციელდება საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმებითაც, კერძოდ კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აქტების ჩარჩოებში. საფრანგეთმა მოახდინა სამოქალაქო და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ 1966 წლის საერთაშორისო პაქტის რატიფიკაცია. გარდა ამისა, საფრანგეთი მთელი რიგი საერთაშორისო შეთანხმებების მონაწილეა, რომლებიც ეხება მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს. საფრანგეთმა აგრეთვე მოახდინა ადამიანის უფლებების შესახებ ევროპის 1950 წლის კონვენციის რატიფიკაცია, რის საფუძ-

ველზეც 1973 წლიდან გახდა ადამიანის უფლებების დაცვის ევროპული სისტემის წევრი.

საფრანგეთმა მისთვის სავალდებულოდ აღიარა ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში ევროკომისიისა და ევროსასამართლოს იურისდიქცია, რის საფუძველზეც ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც ჩათვლის, რომ საფრანგეთში ვერ მიაღწია მისი დარღვეული უფლებების აღდგენას, უფლება აქვს მიმართოს ევროსაბჭოს ზემოაღნიშნულ ორგანოებს. ჩვენი აზრით, ეს უფლება საკმაოდ რეალურ გარანტიას წარმოადგენს თითოეული მოქალაქისათვის მათი კონსტიტუციური უფლება-თავისუფლებების დაცვის სფეროში.

## თავი მეორე. პარტიული სისტემა საფრანგეთში

### 2-1. ისტორიული მსახურსი

ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში პოლიტიკურ პარტიებს ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი განეკუთვნებათ, რადგან მათ გარეშე უბრალოდ წარმოუდგენელია თავად სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელება.

საფრანგეთის მდიდარი პოლიტიკური კულტურის მანველებელია ის დემოკრატიული ინსტიტუტები, რომლებიც აქ სანგრძლივი დროის მანძილზე ყალიბდებოდნენ და დღესაც ფუნქციონირებენ. ტრადიციულად, ფრანგები მსოფლიო საზოგადოების შეუნელებელი ინტერესის საგანს წარმოადგენენ. რევოლუციის პერიოდში გაზეთების, სხვადასხვა კლუბებისა თუ წრეების შექმნა და საქმიანობის აღმავლობა მოწმობდა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის დაინტერესებას პოლიტიკით.

1848 წელს მოქალაქეთათვის საყოველთაო საარჩევნო უფლების აღდგენის შესაძლებლობამ საშუალება მისცა მოსახლეობას პოლიტიკური შეხედულებები გამოეხატათ ხმის მიცემის მეშვეობით. სწორედ მესამე რესპუბლიკის პერიოდში ჩამოუყალიბდათ ფრანგებს პოლიტიკური პარტიების და პროფკავშირების შექმნის სურვილი.

XX ს-ის დასაწყისამდე საფრანგეთში პოლიტიკური პარტიები რეალურად არ არსებობდნენ. ისინი თანდათანობით ყალიბდებოდნენ. ვითარდებოდნენ, მაგრამ ნაკლებად აქტიური იყვნენ დასავლეთის სხვა დემოკრატიული პარტიებისაგან განსხვავებით. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ უფრო მკვეთრად გამოინატა პარტიების როლი სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, ქალებისათვის საა-  
არჩევნო უფლების დაკანონებამ პოლიტიკურ პარტიათა რიცხვის  
ზრდა გამოიწვია, მაგრამ ეს პროცესი თანდათანობით შენედა.  
მრავალფეროვანი, ხშირად ბიუროკრატიული და ზოგჯერ, პირიქით,  
ყოველგვარ სტრუქტურულ ერთიანობას მოკლებული პარტიები,  
რომლებიც პიროვნებებსა თუ მიმდინარეობებს შორის ბრძოლით იყ-  
ვნენ დაკავებული, ვერ აღმოჩნდნენ სათანადო სიმაღლეზე. სწორედ  
ამან გამოიწვია პოლიტიკური ცხოვრების ინტენსივობის შენეება  
საფრანგეთში.

ასეა თუ ისე, საფრანგეთისათვის ყოველთვის დამახასიათებელი  
იყო პოლიტიკური პლურალიზმი, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლები აქტი-  
ვობით. ქვეყანაში ათეულობით პოლიტიკური პარტია თუ დაჯგუფე-  
ბა მოქმედებდა და მოქმედებს. მაგრამ აქაც პირველი სიტყვა დე  
გოლისეულმა კონსტიტუციამ თქვა, როცა პირველად ცნო პოლი-  
ტიკური პარტიების როლი ქვეყნის ცხოვრებაში. კონსტიტუციის  
მეოთხე მუხლის თანახმად, პოლიტიკური პარტიები და დაჯგუფებანი  
"იქმნებიან და ახორციელებენ თავის საქმიანობას თავისუფლად, უნდა  
დაიცვან ეროვნული სუვერენიტეტისა და დემოკრატიის პრინციპები".

საფრანგეთის პარტიული სისტემა საზოგადოების ერთ-ერთი  
უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ორგანიზაციის ინსტიტუტია. მისი  
ხასიათი განისაზღვრება ლეგალურად არსებული პოლიტიკური  
პარტიების შესაძლებლობებით—მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო  
ორგანოების მართვა-გამგეობაში და შეკავლენა მოახდინონ მთავრო-  
ბის ფორმირებაზე, სახელმწიფოს საშინაო თუ საგარეო პოლიტი-  
კური კურსის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაზე. საფრანგეთის  
პარტიული სისტემა მრავალპარტიული სისტემის ტიპს მიეკუთვნება  
იმდენად, რამდენადაც ქვეყანაში არა მარტო არსებობს და ლეგალუ-  
რად მოქმედებს მრავალი პარტია, არამედ მთავრობის ფორმირება  
ჩვეულებრივ ხდება რამდენიმე პარტიის წარმომადგენლებით კოალი-  
ციურ საწყისებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ფრანგული მრავალპარტიულობა არ  
ნიშნავს პოლიტიკური ცხოვრების დანაწილებას უამრავ დაჯგუფე-  
ბათა შორის და არც მართვის შეუძლებლობას, რაც შეიძლება ამ  
დანაწევრებას მოჰყვეს. თანამედროვე საფრანგეთის პოლიტიკურ  
რუკაზე გამოკვეთილია ხუთი ძირითადი მიმდინარეობა, რომლებიც  
განსხვავებულ შედეგებს აღწევენ არჩევნებში. ესენია: გოლისტური,

ლიბერალ-ცენტრისტული, სოციალისტური, კომუნისტური და უკიდურესი მემარჯვენე მიმდინარეობები.<sup>1</sup>

შეიძლება დავასახელოთ რამდენიმე ტრადიციულად მნიშვნელოვანი პოლიტიკური პარტია, რომლებიც დღესაც მოქმედებენ პოლიტიკურ სარბიელზე:

– საფრანგეთის სოციალისტური პარტია, რომელიც დაფუძნდა 1920 წელს, რეორგანიზებულია 1971 წელს, შედის სოციალისტურ ინტერნაციონალში, აერთიანებს 180 ათასამდე წევრს;

– მემარცხენე რადიკალების მოძრაობა, რომელიც შეიქმნა 1972 წელს და აერთიანებს 30 ათას წევრს;

– საფრანგეთის კომუნისტური პარტია, შეიქმნა 1920 წელს და ითვლის ნახევარ მილიონამდე წევრს;

– ბურჟუაზიული პარტია – რესპუბლიკის მხარდაჭერის გაერთიანება, გაფორმდა 1958 წელს, გააერთიანა გენერალ შარლ დე გოლის მომხრეები და აერთიანებს 900 ათასამდე წევრს;

– რესპუბლიკური პარტია, რომელიც 1966 წელს შეიქმნა, წარმოადგენს საშუალო და მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს და აერთიანებს 160 ათას წევრს;

– მემარჯვენე ცენტრისტული ბურჟუაზიული პარტია – "სოციალური დემოკრატების ცენტრი", 1976 წლიდან ფუნქციონირებს და 30 ათას წევრს ითვლის;

– ულტრამემარჯვენე ეროვნული ფრონტი – დაფუძნდა 1972 წელს და თავის რიგებში 25 ათას მომხრეს აერთიანებს.<sup>2</sup>

მრავალპარტიული სისტემა საფრანგეთში ნათლად წარმოაჩენს ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების ფორმირების მექანიზმის სპეციფიკას და გულისხმობს მთავრობის შექმნაში ჩვეულებრივ ორზე მეტი პარტიის მონაწილეობას. ეს კი, თავისთავად გავლენას ახდენს საარჩევნო კომპანიის ორგანიზებასა და მიმდინარეობაზე, მთავრობის შექმნის პროცედურასა და მის ფუნქციონირებაზე, პარტიათაშორისი ურთიერთობის ხასიათზე.

რაოდენობრივი თვალსაზრისით, ამ სურათის ერთგვარი შევსება შესაძლებელია, თუ ვიტყვიან, რომ 1993 წლის ეროვნული კრების საყოველთაო არჩევნებში ორმოცზე მეტი წვრილი პარტია

<sup>1</sup> La vie politique. Paris, 1996, p.6.

<sup>2</sup> Иностранное Конституционное право. Под ред. В.В.Маклакова, Москва, Юристъ, 1996, с. 71

მონაწილეობდა, კორსიკისა და ზღვის იქითა დეპარტამენტების პარტიების ჩათვლით.<sup>1</sup>

მიუხედავად ამგვარი პოლიტიკურ-პარტიული ბუმისა, სხვა სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, პარტიებს საფრანგეთში არ გააჩნიათ ზოგადად გაერთიანებებისა და ასოციაციების ფორმათა კატეგორიებისაგან განმასხვავებელი სპეციფიკური იურიდიული ნიშნები. მართალია, კონსტიტუციამ აღიარა პოლიტიკური პარტიებისა და დაჯგუფებების ინსტიტუტი, მაგრამ ვინაიდან არ არსებობს სპეციალური კანონი, მათი შექმნა და საქმიანობა 1901 წელს მიღებული "ასოციაციათა შესახებ" კანონით რეგულირდება და ამიტომაც პარტიების სამართლებრივი მდგომარეობა ასოციაციების საერთო რეჟიმს ემთხვევა და იქმნება ადმინისტრაციულ ორგანოებში დეკლარაციის შეტანით.

ერთი საყურადღებო სიახლე, რაც პარტიული სისტემის მოწესრიგების თვალსაზრისით კონსტიტუციის მიღების შემდგომ გაკეთდა, ის გახლავთ, რომ საკონსტიტუციო საბჭოს 1976 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით, პოლიტიკური პარტიის თავისუფალი შექმნა მიჩნეულია რესპუბლიკის კანონებით აღიარებულ ძირითად პრინციპად. ხოლო რაც შეეხება არარეგისტრირებულ პარტიებს, მათ არ გააჩნიათ იურიდიული პირის უფლებები.

მოგვიანებით, მრავალრიცხოვანი გახმაურებული სკანდალების შემდეგ, 1988 და 1990 წლებში შემოღებულ იქნა შეზღუდვები კერძო პირების მიერ პოლიტიკური პარტიების დაფინანსებაზე და ნორმები პარტიების სახელმწიფო დახმარებაზე. ეს უკანასკნელი ორ ნაწილად იყოფა. პირველი – იმ პარტიებისა და პოლიტიკური დაჯგუფებებისათვის, რომლებმაც ეროვნული კრების არჩევნებზე არანაკლებ 75 საარჩევნო ოლქში (ზღვისიქითა დეპარტამენტებისა და ტერიტორიების გარდა) წამოაყენეს კანდიდატურები, მეორე – პარლამენტში წარმოდგენილი პარტიებისა და დაჯგუფებებისათვის, ფრაქციათა რიცხოვნობის გათვალისწინებით.

კონტროლს ახორციელებს სპეციალურად შექმნილი საარჩევნო კამპანიასა და არჩევნებზე ანგარიშების ეროვნული საკონტროლო კომისია. იმ შემთხვევაში, თუ პოლიტიკური პარტია არ გამოაქვეყნებს თავის საფინანსო ანგარიშებს, იგი კარგავს სახელმწიფო სუბსიდიებზე უფლებას შემდგომი წლისათვის.

<sup>1</sup> იქვე.

## 2-2 მესამე რესპუბლიკის პოლიტიკური სექტორი

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით უკეთეს და უახლეს ანალიზს, ვიდრე ფილიპ არდანის წიგნში, ვერსად ამოიკითხავთ<sup>1</sup>. როგორც არდანი აღნიშნავს, შარლ დე გოლი პარტიული მმართველობის რეჟიმის პრინციპული მოწინააღმდეგე იყო და, მიუხედავად ამისა, კონსტიტუციაში პოლიტიკურ პარტიათა გარკვეული უფლებები მაინც დააფიქსირა. ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნულმა დე გოლისეული კონსტიტუციის მეოთხე მუხლმა ფაქტობრივად დაამკვიდრა პოლიტიკური პარტიის შექმნის პრინციპი. ამ დროს მათი მოღვაწეობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ორ შესლუდვას ექვემდებარება: ჯერ ერთი – ისინი იბრძვიან ამომრჩეველთა ხმებისათვის, როგორც კონკურენტები და მეორე – პატივი უნდა სცენ ეროვნული სუვერენიტეტისა და დემოკრატიის პრინციპებს. ამგვარად, აკრძალულია ისეთი პარტიების საქმიანობა, რომლებიც უცხო ქვეყნის ინტერესებს ემსახურებიან ან ფაშიზმის იდეებს ქადაგებენ, თუმცა ეს არ იწვევს დევნას პარტიული საქმიანობისათვის. არავინ არის უფლებამოსილი მოითხოვოს, რომ შიდაპარტიულმა დისციპლინამ მოაპოვოს ესა თუ ის ფორმა ან საერთოდ, ეჭვქვეშ დააყენოს შიდაპარტიული დემოკრატიის არსებობა.

ახლა, მიმოვიხილოთ დღევანდელი საფრანგეთის პოლიტიკური სექტორის ის ელემენტები, რომლებმაც, მიუხედავად იმისა, რომ წლების მანძილზე სახეც იცვალეს და მდგომარეობაც, ქვეყნის მმართველობის საქმეში მაინც გარკვეულ როლს ასრულებენ. რეალურად კი, მხოლოდ სამი პოლიტიკური დაჯგუფება აცხადებს პრეტენზიას სამთავრობო პარტიად არსებობაზე იმდენად, რამდენადაც ისინი აერთიანებენ ამომრჩეველთა ხმების სულ მცირე 20 %-ს. ეს ეხება რესპუბლიკის მხარდაჭერის გაერთიანებას (გოლისტური). საფრანგეთის დემოკრატიულ კავშირს (ლიბერალ-ცენტრისტული) და სოციალისტურ პარტიას. ამას ემატება, ერთი მხრივ, საფრანგეთის კომუნისტური პარტია, რომელიც სოციალისტური პარტიის მეკავშირე იყო 1981-84 წლებში და, მეორე მხრივ, ეროვნული ფრონტი (უკიდურეს მემარჯვენეთა პარტია), აგრეთვე ის მოძრაობები, რომელთა ზეგავლენა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე საკმაოდ უმნიშვნელია.

1958-68 წლებში საფრანგეთში "ახალი რესპუბლიკის დაცვის კავშირის" სახელით შარლ დე გოლის მიმდევართა პარტია მოქმე-

<sup>1</sup> ფილიპ არდანის აღნიშნული ნაშრომი, გვ. 44-45.

დებდა, მოგვიანებით კი, 70-იან წლებში მას ეწოდა რესპუბლიკის მხარდაჭერის გაერთიანება (რმგ). დე გოლის გარდაცვალების შემდეგ გოლიზმა გარკვეული სახეცვლილება განიცადა, რაც განპირობებული იყო ახალი რეალობის ფონზე ძველი პრობლემების ახლებური შეფასების აუცილებლობით. 1974 წელს პრეზიდენტის პოსტზე არჩეულ ჟისკარ დესტენს მხარი დაუჭირა გოლისტური პარტიის ერთმა ნაწილმა. თავის მხრივ, ახალმა პრეზიდენტმა პრემიერ-მინისტრის პოსტზე წარადგინა გოლისტების ახალი თაობის ლიდერი, რესპუბლიკის მხარდაჭერის გაერთიანების ხელმძღვანელი ჟაკ შირაკი. აკრიტიკებდნენ რა სოციალისტებისა და დამოუკიდებელი რესპუბლიკელების პოლიტიკას, გოლისტებმა, ჟაკ შირაკის ინიციატივით და უშუალო მეთაურობით, შექმნეს ახალი საპროგრამო დოკუმენტები, რომლებიც მოიცავდნენ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს ახლებურ გააზრებას.

პარტიის ლიდერებს შესაძლებლად მიაჩნდათ ეკონომიკური ზრდის ტემპების ამაღლება. მათი აზრით, მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა მოსახლეობის ფართო ფენებისათვის ცხოვრების ნორმალური დონის შენარჩუნება და უმუშევრობის აღმოფხვრა. თავის წიგნში "იმედის გაელვება" ჟაკ შირაკი წერდა: "მე ვერასდროს ვერ ვახერხებდი ამეხსნა ამომრჩევლისათვის..., თუ რატომ არის ეკონომიკურად მომგებიანი ვუსაღოთ ფული უმუშევარს არაფრის კეთებისათვის, იმის მაგივრად, რომ მივცეთ მას სამუშაო". გოლისტები გადაჭრით უარყოფდნენ ეროვნული ეკონომიკის საერთაშორისო ბაზარზე უსიტყვო ორიენტაციას. ისინი შემფოთებას გამოთქვამდნენ საფრანგეთის ბაზარზე უცხოური კაპიტალის შემოდსევის დიდი მასშტაბების გამო. გოლისტების ეკონომიკური მოდელი დაფუძნებული იყო სახელმწიფო რეგულირებისა და თავისუფალი კონკურენციის კანონის გონივრულ შეთავსებაზე. დე გოლისა და ჟორჟ პომპიდუსაგან განსხვავებით, ჟაკ შირაკი ძირითად აქცენტს აკეთებდა წვრილი და საშუალო საწარმოების განმტკიცებასა და დახმარებაზე. მისი აზრით, მოსახლეობის ფართო ფენების წვრილ მესაკუთრებად გადაქცევა შეუწყობდა ხელს სოციალური დაძაბულობის პროცესის შენელებას.

სხვა დოგმებისაგან განსხვავებით, გოლისტების შეხედულებებს სახელმწიფო ინსტიტუტების შესახებ, თითქმის არავითარი ეკოლოგია არ განუცდია. ისინი დაუშვებლად მიიჩნევდნენ ყოველგვარ კო-

რექტივას მეხუთე რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობითი აპარატის სტრუქტურულ სქემაში.

რესპუბლიკის მხარდაჭერის გაერთიანების მანიფესტში ვკითხულობთ: "მეხუთე რესპუბლიკის კონსტიტუციის ბაზაზე შეიქმნა საუკეთესო რეჟიმი, რომელიც კი ოდესმე არსებობდა საფრანგეთში საუკუნეების განმავლობაში. ამ რეჟიმის დაცვა და განმტკიცება სვენი მოძრაობის ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ამოცანაა, წვენ არ დაუშვებთ ამ საკითხში არავითარ კომპრომისს, არავითარ უკანდახევას, არავითარ რეფორმებს, რომელსაც შეუძლია კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ აღმასრულებელი ხელისუფლების პრიმატი".<sup>1</sup>

გოლისტებისათვის საგარეო პოლიტიკაში ევროპულ ინტეგრაციას წამყვანი ადგილი ეკავა. სწორედ ჟაკ შირაკი იყო ევროპული ინტეგრაციის აუცილებლობის კონცეფციის ერთ-ერთი ავტორი და დამცველი. მისი აზრით, "სველი ევროპის ქვეყნები დაილუპებიან, თუ ისინი ვერ შეძლებენ ამ საუკუნის ბოლომდე მიაღწიონ მტკიცე ერთიანობას სუპერსახელმწიფოებისა და განვითარებადი ქვეყნების მზარდი გავლენის საპირისპიროდ". საგარეო პოლიტიკის ფუნდამენტად კვლავ რჩებოდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის მაღალი დონის უზრუნველყოფა, რაც, პირველ რიგში, ბირთვული შეიარაღების გაძლიერებას ითვალისწინებდა.

პარტიული სტრუქტურების კარგად ორგანიზებამ განაპირობა, რომ რმგ 1993 წლის არჩევნებზე მოიპოვა ამომრჩეველთა ხმების 17,3 %, ხოლო ეროვნულ კრებაში – ადგილების 45%. ეს ნათლად ატყვევებდა პარტიის თანდათანობით გაძლიერებაზე, რაც სულ ახლახან, 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებით დადასტურდა. მათი კანდიდატი ჟაკ შირაკი ამომრჩეველთა ხმების 52,6%-ის მფლობელი გახდა, რის შედეგადაც მოიპოვა ქვეყნის პრეზიდენტის პოსტი.

1978 წელს ჟისკარ დესტენის მიერ დაარსებულ იქნა პოლიტიკური გაერთიანება – საფრანგეთის დემოკრატიული კავშირი, რომელსაც თანამედროვე პერიოდში ფრანსუა ლეოტარი ხელმძღვანელობს. იგი სხვადასხვა პარტიებისა და მოძრაობების ალიანსს წარმოადგენს, რომლის ყველა შემადგენელმა დაჯგუფებამ მეტ-ნაკლები ავტონომია და ორგანიზაციული სახე შეინარჩუნა. კავშირი ძირითადად ემხრობა ლიბერალურ ეკონომიკას. მისი ამომრჩევლების უმრავლესობას მმართველი წრეების, ლიბერალური პროფესიისა და პენსიონერთა წარმომადგენლები შეადგენენ. საფრანგეთის დემოკრა-

<sup>1</sup> "ისტორიკომი – როგორც გოლისტის მემორუა". გახ. "ქროული ქონიკ". 1994, №3.



ტიის კავშირი ყოველთვის მჭიდროდ თანამშრომლობდა რესპუბლიკის მხარდაჭერის გაერთიანებასთან, როდესაც ეს უკანასკნელმა მთავრობის შემადგენლობაში შედიოდა და სშირად წარადგენდა რმგ-სთან ერთად საერთო კანდიდატებს ადგილობრივ თუ ცენტრალურ მინისტრის არჩევნებში. 1993 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს კავშირმა ძირითადად ამომრჩეველთა ხმების 15,35% და ეროვნულ კრებაში ადგილების 37%. რაც შეეხება 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებს, საფრანგეთის დემოკრატიის კავშირს თავიანთი კანდიდატი პრეზიდენტის პოსტის დასაკავებლად არ წარუდგენია, მან მხარი დაუჭირა ძირითადად შაკ შირაკის პიროვნებას.

საფრანგეთის დემოკრატიის კავშირში შედიან რესპუბლიკური პარტია და დემოკრატიული ძალა. რესპუბლიკური პარტია წარმოიშვა დამოუკიდებელი რესპუბლიკელების ეროვნული ფედერაციისაგან. იგი თავის შემადგენლობაში აერთიანებს ტრადიციულ კონსერვატორებს, რომლებიც წინააღმდეგი არიან სახელმწიფოს ძსრიდან ეკონომიკაში ყოველგვარი ჩარევისა. რაც შეეხება დემოკრატიულ ძალას, იგი შექმნა 1995 წელს ფრანსუა ბერიუმ, რათა შეეცვალა სოციალ-დემოკრატთა ცენტრი (1976 წელს დააარსა ჟან ლეკანუმ). აღნიშნული გაერთიანება გარკვეულად შუალედურ პოზიციას იკავებს ქრისტიან-დემოკრატიული და სოციალურ-დემოკრატიული მოძრაობების მიმართ. იგი მკვეთრი ევროპული ორიენტაციისა და რეფორმატორული მიდგომებით ხასიათდება.

საფრანგეთის დემოკრატიის კავშირში შემავალი სხვა გაერთიანებები თუ მოძრაობები ნაკლებად გავლენიან პოლიტიკურ ძალას წარმოადგენენ. ესენია: რადიკალისტური პარტია, რომელიც დაარსდა ჯერ კიდევ 1901 წელს, სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც დემოკრატიულ ძალას შეუერთდა 1995 წელს და საფრანგეთის დემოკრატიის სახალხო პარტია, რომელიც შეიქმნა 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ფისკარ დესტენის მიერ. 1965 წელს დაარსებული "პერსპექტივებისა და რეალობის კლუბების" ბაზაზე.

პოლიტიკურ პარტიათა შორის თანამედროვე საფრანგეთში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოციალისტურ პარტიას. 1969 წელს შექმნილი ფრანგი სოციალისტების პარტიის ბაზაზე, რომელიც ძირითადად მუშა-მოსამსახურეებსა და წვრილ ბურჟუაზიას აერთიანებდა და მემარჯვენე ძალების ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა, 1971 წელს ფრანსუა მიტერანის ინიციატივით შეიქმნა სოციალისტური პარტია. მან შეიცვალა რამდენიმე პატარა პარტია,

მემარცხენე დაჯგუფებები. მაშინ, როდესაც 1969 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში სოციალისტთა კანდიდატმა (გასტონ დევეკრი) მოაგროვა ხმათა მხოლოდ 5%, ფრანსუა მიტერანმა განახლებული სოციალისტური პარტიის მეშვეობით შექმნა საკმაოდ ძლიერი, ორგანიზებული პოლიტიკური დაჯგუფების "შექმნა, რომელმაც, საბოლოო ჯამში, უზრუნველყო კიდევაც მისი ხელისუფლების სათავეში მოსვლა. ამგვარი ფაქტი უპრეცედენტო იყო მეზუთე რესპუბლიკის ისტორიაში დღიდან მისი დასაბამისა. სოციალიზმი, რომელსაც ქადაგებდა და ავითარებდა ფრანსუა მიტერანი თავის გამოსვლებში. ატარებდა ჰუმანურ და ლიბერალურ, სოციალურ და პრაგმატულ, დემოკრატიულ და არარევოლუციურ იდეებს. აღნიშნული იდეების საფუძველზე სოციალისტებმა მიაღწიეს ამომრჩეველთა კორპუსის ყურადღების მიპყრობას, განსხვავებით კომუნისტებისაგან. რომელთა იდეები კვლავ რევოლუციური და მარქსისტული თეზისების შემცველი იყო.

1981 წელს გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში პარტიის კანდიდატმა ფრანსუა მიტერანმა გამარჯვება მოიპოვა, ხოლო 1986 წლის საპარლამენტო არჩევნებში პარტიამ ხმათა 31,2% მოაგროვა. სოციალისტების გამარჯვებით დამთავრდა 1988 წლის საპრეზიდენტო არჩევნებიც.

1993 წელს გამართულ საპარლამენტო არჩევნებში პარტიამ, ხოლო 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს მისმა კანდიდატმა ლიონელ ჟოსპენმა მარცხი განიცადა. ამის მიზეზად ფრანგი პოლიტიკოსები თუ იურისტები თავად სოციალისტური პარტიის შინაგანი სტრუქტურული ორგანიზაციის სისუსტეს თვლიან. კერძოდ იმას, რომ პარტია საქმიანობის თავისუფალ ასპარეზს უტოვებდა მის შემადგენლობაში შემავალ მრავალ მიმდინარეობასა და დაჯგუფებას, რამაც საბოლოოდ განაპირობა კიდევაც მისი შესუსტება.

საფრანგეთში 1920 წლიდან არსებობს კომუნისტური პარტია, რომლის კურსიც მდგომარეობს მუშათა ინტერესების დაცვაში. კომუნისტებს უკავიათ წამყვანი ადგილი მსხვილ პროფკავშირულ გაერთიანებაში – შრომის საყოველთაო კონფედერაციაში. ეროვნულ კრებაში 1986 წლის არჩევნების შედეგად მათ მოიპოვეს ხმათა საერთო რაოდენობის 9,8%, ხოლო 1993 წლის საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებში – მხოლოდ 2,8%. 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში კომუნისტების კანდიდატმა მიიღო ხმათა 8,6%.

საპარლამენტო უმრავლესობის ფაქტორმა, როგორც ასეთმა, პარტიული სისტემის თანდათანობითი გამარტივება გამოიწვია. პო-

ლიტიკური პარტიების რიცხვი, მართალია, არ შემცირებულა. მაგრამ იმ პარტიების რიცხვი, რომელთაც პოლიტიკურ თამაშში შეეძლოთ თავისი როლი შეესრულებინათ, ოთხამდე დავიდა — ორი მარჯვნივ და ორი მარცხნივ. სხვა პარტიებს კი კოალიციათა შექმნის დროს ე. წ. "შემავესებელი" როლი ეკისრებოდათ და ეკისრებათ, რა თქმა უნდა, თუ თავად ვის როგორ გაუმართლა არჩევნებში და იქიდან გამომდინარეც თუ ვისთვისან მიესვლება კოალიციაში.

მეხუთე რესპუბლიკის პოლიტიკურმა რეჟიმმა მკოთხედიან დაქუცმაცებული პარტიული სისტემა მიიღო მკვლევარებით. თუ 1958 წლის მაისში ეროვნული კრება 14 ჯგუფს აერთიანებდა, ამავე წლის არჩევნების შედეგად, იმის გათვალისწინებით, რომ თითოეულ ჯგუფში არანაკლებ ოცდაათი დეპუტატისა უნდა გაერთიანებულიყო. მათი რიცხვი ექვსამდე შემცირდა. ამან ძველი პარტიული კავშირების რღვევა გამოიწვია და პარტიებს შორის დაახლოვების საკითხი დააყენა, რაც შედეგომ ზოგიერთი მათგანის გაერთიანებით დამთავრდა. მემარჯვენე გოლისტურმა პარტიამ — "ახალი რესპუბლიკის დაცვის კავშირმა" 576 მანდატიდან, მიმსრობილებთან ერთად, 218 მანდატი და ღომინირებული მდგომარეობა მოიპოვა.

1962 წლის ნოემბრის არჩევნები, რომელიც 5 ოქტომბერს პარლამენტის დათხოვნას მოჰყვა, გოლისტების და მათთან ალიანსში მყოფი პოლიტიკოსების წარმატებით დამთავრდა. რესპუბლიკის მხარდაჭერის გაერთიანებამ 233 მანდატი მოიპოვა, ხოლო დამოუკიდებელმა რესპუბლიკელებმა — 36. დემოკრატიული ცენტრის 55 დეპუტატიდან ნაწილი უმრავლესობას უჭერდა მხარს. ეს იყო მეხუთე რესპუბლიკის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ეტაპი, როცა ჩამოყალიბდა სტაბილური საპარლამენტო უმრავლესობა, რომელსაც ლეგისლაციურის მთელი ვადის მანძილზე ძალუძდა მთავრობის საქმიანობის მხარდაჭერა.

1968 წლის არჩევნებზე მთავრობის მხარდამჭერმა ამ ორმა ძირითადმა პარტიამ გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა. კერძოდ, გოლისტების ახალი სახელწოდებით წარმოდგენილი პოლიტიკური ბირთვის — "რესპუბლიკის მხარდაჭერის გაერთიანებამ" და დამოუკიდებელი რესპუბლიკების პარტიამ, რომელსაც შედეგომ საფრანგეთის დემოკრატიის კავშირი ეწოდა, შესაბამისად 293 და 62 მანდატი მოიპოვეს, რადიკალმა მემარცხენეებმა სერიოზული მარცხი განიცადეს. ხოლო ცენტრისტებისათვის ეს იყო დასასრულის დასაწყისი. ფაქტობრივად, უკვე 1974 წლიდან ცენტრმა, როგორც დამოუკიდებელმა პოლიტიკურმა ძალამ, შეწყვიტა არსებობა. პოლიტი-

კური ცხოვრების ბიპოლარიზაცია რეალობად იქცა და შეიქმნა "ბიპოლარული ოთხეული", რომლის ერთ მხარეს წარმოადგენდნენ გოლისტები და დამოუკიდებელი რესპუბლიკელები, ხოლო მეორე მხარეს – კომუნისტები და სოციალისტები.

ეს ბიპოლარული კონფიგურაცია შენარჩუნებულ იქნა ყველა შემდგომი არჩევნების დროს ვიდრე 1986 წლამდე, თუმცა შეიცვალა დამოკიდებულება მარცხენა ფრთის შემადგენლებს შორის – 1981 წელს სოციალისტებმა 285 მანდატი და აბსულუტური უმრავლესობა მოიპოვეს. სოციალისტების პოზიციას კომუნისტების 44 მანდატიც ამაგრებდა და ხელისუფლება მემარცხენე ძალების ხელში გადავიდა.

1986 წლის არჩევნებზე, მემარცხენეების მიერ თავსმობხეული პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპიდან გამომდინარე, პოლიტიკური ცხოვრების ახალი ფაქტორის სახით წარმოჩინდა ეროვნული ფრონტი და ჟან-მარი ლე პენი, როგორც მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალა.

ეროვნული ფრონტი უპირისპირდება როგორც მარცხენა, ასე ტრადიციულ მარჯვენა დაჯგუფებებს. ფრონტმა 35 სადეპუტატო ადგილი მოიპოვა და მისი ამომრჩეველები კენჭისყრაში მონაწილეთა ათ პროცენტს შეადგენენ, მაგრამ მისი დამოუკიდებლობა მასვე ურთულებს პოლიტიკურ თამაშს. მართალია, 1988 წელს მაჟორიტარული სისტემისკენ მობრუნებამ მისი წარმომადგენლობა ეროვნული კრების შემადგენლობაში ერთ ადგილამდე დაიყვანა, ფრონტის გავლენა ქვეყნის მასშტაბით მაინც მნიშვნელოვანია. ყოველ შემთხვევაში ასე მიიჩნევენ ფილიპ არდანიც.<sup>1</sup>

ეროვნული ფრონტის ავტორიტეტის ზრდა ქვეყნის რიგ რეგიონებში (განსაკუთრებით აღმოსავლეთ საფრანგეთში) ცხადყო 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებმაც.

დიდი ხანი არ არის, რაც საფრანგეთში მორიგი საპარლამენტო არჩევნები გაიმართა. სოციალისტურმა პარტიამ სერიოზული მარცხი განიცადა მემარჯვენეებთან ბრძოლაში. ამასთან დაკავშირებით, საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში აზრიც გამოითქვა პრეზიდენტ ფრანსუა მიტერანის ვადამდე გადადგომის შესახებ, რამაც საზოგადოების უკუურთქცია გამოიწვია, ხოლო პრეზიდენტს საგრძნობლად აუწია რეიტინგი. მიტერანის გარდაცვალების შემდეგ ფრანგმა ხალხმა პრეზიდენტად ჟაკ შირაკი აირჩია, ხოლო თანა-

<sup>1</sup> ფილიპ არდანის აღნიშნული ნაშრომი, გვ. 45-47.

მედროვე ეროვნულ კრებაში პარტიების მანდატები შემდეგნაირადაა განაწილებული: რესპუბლიკის მხარდაჭერის გაერთიანება 258 მანდატს ფლობს, საფრანგეთის დემოკრატიის კავშირი – 205 მანდატს, სოციალისტები – 61 მანდატს, მანდატების მცირე რაოდენობა ერგოთ კომუნისტებსაც. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ბიპოლარული კვარტეტი დაიშალა და პოლიტიკურ ძალთა განლაგებაც შეიცვალა. უცვლელი რჩება მხოლოდ პრეზიდენტის პარლამენტთან ურთიერთობის პრობლემები, რომელიც კვლავაც პრეზიდენტის ხელოვნებაზე დამოკიდებული.

## თავი მესამე. საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი

### 3-1. პრეზიდენტი – მესამე რესპუბლიკის ცენტრალური ფიგურა

საფრანგეთის ისტორიაში ხშირად შეიმჩნევა მიდრეკილება ქარიზმატული მმართველობისაკენ. ამასთან დაკავშირებით ბევრი საინტერესო მოსაზრება და არგუმენტი გააჩნია კოლორადოს უნივერსიტეტის პროფესორს უილიამ საფრანსს, რომელმაც ყოველივე ასახა თავის ფუნდამენტალურ ნაშრომში – "საფრანგეთის პოლიტიკური წყობა".<sup>1</sup> ავტორი აქვე იხსენებს, რომ ბონაპარტიზმი ფართო იდეოლოგიურ სპექტრს მოიცავდა. ნაპოლეონ I-ს, ნაპოლეონ II-ს. ბულანჟეს, შემდგომში კი დე გოლს მხარს უჭერდნენ როგორც მემარჯვენეები, ასევე მემარცხენეები (თუმცა ყოველთვის ერთდროულად არა), რადგან ამ "ეროვნული გმირებისაგან" მოელოდნენ ქვეყანაში წერსიგის დამყარებას და ხელისუფლების ორგანოებში არსებული წინააღმდეგობების გადაჭრას.

მიშელ კროზიეს თანახმად, "საფრანგეთში დღესაც პრევალირებს აბსოლუტური ხელისუფლების კონცეფცია, რომელმაც რაღაც შემოინახა აბსოლუტური მონარქიის ტრადიციისაგან, და რომელშიც რაციონალობისა და მხიარულების გარკვეული ნარევია". სტენდი ჰოფმანი კი შენიშნავს, რომ ფრანგების უმეტესობისათვის მისაღებია უმაღლესი ხელისუფალი, რომელიც აბსტრაქტულია და

---

<sup>1</sup> უ. საფრანი. მმართველობის პრინციპები: აღმასრულებელი ხელისუფლება. კრებული – რესპუბლიკა: საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო, თბილისი, "უფლება", 1996, გვ. 165-191.

ხალხისაგან განყენებული, მაგრამ, იმავდროულად — პიროვნულად ქარიზმატული.<sup>1</sup>

როგორც ჩანს, ცნობილი გენერალი არანაკლებ გათვითცნობიერებული იყო საკუთარი ერის ისტორიისა და ფსიქოლოგიის საკითხებში. სწორედ ამიტომ, ჯერ კიდევ კონსტიტუციის მიღებამდე, შარლ დე გოლი თავისი კონსტიტუციური დოქტრონის გამოქვეყნებისას აღნიშნავდა, რომ სახელმწიფოს ესაჭიროებოდა თავი, ე. ი. ხელმძღვანელი, რომელშიც შეძლებდა დაენახა დინებებზე ამაღლებული ადამიანი, უფლებამოსილი გადაეწყვიტა მთავარი და მისი ბუდის გარანტი.<sup>2</sup> სწორედ ეს დოქტრინა აისახა 1958 წლის კონსტიტუციაში და ფრანგმა ერმა ერთდროულად დაუჭირა მხარი იდეებსაც და მათ ავტორსაც.

გენერალმა შარლ დე გოლმა ბრძოლა სწორი სტრატეგიის შედეგად მოიგო და გამარჯვებულად რჩებოდა, ვიდრე პირველი წლების ტაქტიკა ამ კურსში იყო ჩაწერილი. იქნებ ამიტომ, რაციონალობითა და პოლიტიკური სკეპტიციზმით ცნობილი ფრანგები საოცარი თვინიერებით ეგუებოდნენ დე გოლის ერთპიროვნულ მმართველობას, როცა იგი თავად ახდენდა საკუთარი როლისა და ძალის აფიშირებას, თანაც ზედმეტი თავდაჯერებულობითა და, შეიძლება ითქვას, ერთგვარი გამომწვევი ინტონაციებით აცხადებდა: “განუყოფელი სახელმწიფო ხელისუფლება მთლიანად ეკუთვნის პრეზიდენტს. არ არსებობს სხვა მმართველი სტრუქტურა — იქნება ეს სამოქალაქო, სამხედრო თუ სასამართლო — გარდა იმისა, რასაც ამტკიცებს და მხარს უჭერს პრეზიდენტი”<sup>3</sup>

ხელისუფლების სათავეში მოსული პიროვნებების რეალური ძალაუფლების დონე დემოკრატიულ ქვეყნებში მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის უპირატესად ქვეყნის შიგნით მოქმედი პოლიტიკური ძალების და, რა თქმა უნდა, თავად ხალხის მხარდაჭერაზე. და ვინაიდან ხელისუფლების პერსონალიზება ხშირად ეხმიანება საშუალო მოქალაქის მოთხოვნილებას, მას სჭირდება იმედისათვის ხელმძღვანელი — სახელმწიფოს და ერის ხორციელი სიმბოლო. როგორც მოგახსენეთ, დე გოლი ამ მოთხოვნილებას განსაკუთრებით კარგად გრძობდა და იყენებდა კიდევ, მიუხედავად, რომ მი-

<sup>1</sup> იქვე გვ. 188.

<sup>2</sup> მ. კრუტოგოლოვის აღნიშნული ნაშრომი, გვ. 47.

<sup>3</sup> უ. საფრანი. აღნიშნული კრებული, გვ. 188

სი გმარული სამხედრო ბიოგრაფია და გამორჩეული ინდივიდუალობა მართლაც წარმოაჩენდა მასში ერის წინამძღოლ სიმბოლურ ფიგურას.

მტკიცე კონსტიტუცია, გაჯერებული მაღალი სამართლებრივი კულტურით, და კიდევ უფრო მწვავე, კრიტიკული და ინფორმირებული პრესითა და დამოუკიდებელი ტელევიზიით, აყენებს ქვეყნის ხელისუფლებას, პირველ რიგში, სწორედ პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს აუცილებლობის წინაშე შეინარჩუნონ იმიჯი, ექსტონ დამსახურებული პოპულარობა და არა წამიერი პოპულიზმი, იფიქრონ მომავალ არჩევნებზე. მაშასადამე, თვალი ადევნონ საზოგადოებრივი აზრის ბირჟაზე შეფასებების ცვლილებებს და იმოქმედონ მათზე.

აქ, უდავოდ, მნიშვნელოვანია პრეზიდენტების მაღალი ზნეობრივი თვისებები, რომ არაფერი ვთქვათ მათ საერთო კულტურაზე, სამართლებრივის ჩათვლით. საკმარისია გავიხსენოთ, რომ დე გოლი თავად გადადგა, რასაც მისგან არავინ ითხოვდა, უარი თქვა პრეზიდენტისა და გენერლის პენსიაზე და მემუარების წერით მიღებული შემოსავლით არსებობდა.

დღესაც მაღალი ზნეობისა და კეთილშობილების განსახიერების ეტალონად იგონებს ქვეყანა ყორჟ პომპიდუს. უისკარ დესტენისა და ფრანსუა მიტერანის პრეზიდენტობის პერიოდს. ყველა მათგანს, ნამოღვაწარის შეფასების შედარებით კრიტერიუმად, თან სდევდა დე გოლის აჩრდილი და ყველამ თავისი სახე შეინარჩუნა.

თავისი წინამორბედისაგან, პირველი ესტაფეტით, პომპიდუმ ყველა საკონსტიტუციო იარაღი მიიღო, მაგრამ სათანადოდ ვერ გამოიყენა. მართალია, მას სურდა საპრეზიდენტო ხელისუფლების განმტკიცება, მაგრამ, როგორც ამბობენ, მოსახლეობის თვალში “ჩვეულებრივ ფრანგად” დარჩა, რომლის ავტორიტეტი ძირითადად დე გოლთან მისი სიახლოვით იყო განპირობებული.

უისკარ დესტენის ავტორიტეტი კომპეტენტური ტექნოკრატიის იმიჯს ეფუძნებოდა. იგი ამომრჩეველეთან პირგამტეს პრეზიდენტად დარჩა — თავისი მრავალი წლის კურსს რომ გადაუხვია. ჯერ იყო და ფინანსთა მინისტრად ყოფნისას დე გოლის “ერთპიროვნული მმართველობისადმი” მიდრეკილებას აკრიტიკებდა. მერე, საპრეზიდენტო არჩევნებამდე მოსახლეობას პირობა მისცა, რომ შეამცირებდა პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადას, მოახდენდა ხელისუფლების დეცენტრალიზაციას და პარლამენტის როლის გაძლიერებას. მაგრამ, უისკარ დესტენმა, პირიქით, უდიდესი ძალაუფლების აკუმულირება მოახდინა პრეზიდენტის ხელთ, თუმცა მაინც ვერ შეძლო ეკონომიკური პრობლემების გადასაწყვეტად მისი გამოყენება.

ამ მხრივ, არც მიტერანი ჩამორჩა თავის წინამორბედს. იგი, გოლისტური პოლიტიკისა და სტილის კრიტიკის ფონზე, ცვლილებებისა და დემოკრატიზაციის პლატფორმით მოვიდა ხელისუფლებაში. მიტერანის პრეზიდენტად არჩევასთან დაკავშირებული იყო საერთო იმედი იმისა, რომ იგი პარლამენტისადმი უფრო ანგარიშგებადი იქნებოდა და პრეზიდენტის ავტორიტარული მმართველობის და არჩევის ვადის შეზღუდვებს განასოციებდა, მაგრამ ამოდ. როგორც ჩანს, დე გოლიდან მოყოლებული და სამომავლოდაც, ვიდრე მესუთე რესპუბლიკის კონსტიტუცია იარსებებს, უილიამ საფრანის შეფასება ყველაზე ნიშანდობლივი და ტევადია ამ თვალსაზრისით. იგი ამბობს, რომ "მიტერანის არჩევის შემდეგ გამოჩნდა, რომ საფრანგეთის პრეზიდენტის როლი უკვე თავად განაპირობებს გარკვეულ ქცევას და რიტორიკას, მიუხედავად იმისა, რომ მიტერანის შეხედულება ხელისუფლებაზე უფრო დემოკრატიული იყო, და მას სურდა ავტორიტარიზმის შეცვლა".<sup>1</sup>

ვფიქრობთ, რომ კონკრეტულმა ფაქტურამ უდავოდ წარმოაჩინა პრეზიდენტი, როგორც რესპუბლიკის ცენტრალური ფიგურა, თანაც ფიგურა, რომლის განსაკუთრებულობა დე გოლისაგან მოდის, არა როგორც მხოლოდ მაგალითისა, რომლის გავლენას ვერცერთმა შედგომმა პრეზიდენტმა თავი ვერ დააღწია, არამედ მაღალი დონის შემოქმედისა, რომელმაც თავისი ავტორიტრეტი გამოქვეყნა, ნიშნულად დაუდო მესუსე რესპუბლიკის პრეზიდენტურის ინსტიტუტს და მის ირგვლივ განავითარა კონსტიტუციის სხვა იდეები.

ამიტომ არის, რომ კონსტიტუციის პირველ კარს — "სუვერენიტეტის შესახებ" მოსდევს კარი მეორე — "რესპუბლიკის პრეზიდენტი", რითაც იწყება ხელისუფლების შტოთა კონსტიტუციური საფუძვლების განხილვა.

კონსტიტუციამ შექმნა პრეზიდენტის, როგორც სახელმწიფოს მეთაურის, საკმაოდ ძლიერი ფიგურა, რომელიც სახელმწიფოკარივი ინსტიტუტების დაცვის გარანტად და ქვეყნის პოლიტიკური სუ სამოქალაქო კრიზისი გამოყვანის საშუალებად იქცა.

ქვემოთ ჩვენ სპეციალურად ვაანალიზებთ სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილებებსა და მის ურთიერთობას მთავრობასა და პარლამენტთან, ამიტომ ამჯერად მხოლოდ პრეზიდენტის ძირითადი უფლებამოსილებების ზოგადი განხილვით შემოვიყარავლებით.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 191



მეხუთე რესპუბლიკის პრეზიდენტი ფლობს საპარლამენტო სახელმწიფოს მეთაურის სტატუსს, რომელიც, ფაქტობრივად, არ შეესაბამება მის გაფართოებულ უფლებამოსილებებსა და იმ ადგილს, რომელიც მას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში განეკუთვნება.

თანახმად კონსტიტუციის მეხუთე მუხლისა, რესპუბლიკის პრეზიდენტი არის "სახელმწიფო უმაღლესი ხელისუფლება", ეროვნული დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, ქვეყნის ერთობის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა თუ შეთანხმებების, და რაც უმთავრესია — კონსტიტუციის დაცვის გარანტი. პრეზიდენტი თვალყურს ადევნებს კონსტიტუციის შესრულებას და, როგორც პოლიტიკური და ინსტიტუციური კონფლიქტების არბიტრი, უზრუნველყოფს სახელმწიფო ორგანოთა ნორმალურ ფუნქციონირებას. იგი ითვლება მთავრობის საქმიანობის ძირითად ორგანიზატორად.

პრეზიდენტს არ ეკისრება პოლიტიკური პასუხისმგებლობა თავისი მოქმედებისათვის, დაცულია კონტრასიგნაციის მექანიზმით, არავის წინაშე არ აგებს პასუხს და არავის მიერ არ კონტროლირდება. ამასთან, როგორც უ. საფრანი აღნიშნავს, თეორიულად შეუძლია პოლიტიკურ ბატალიებზე მალეც დადგეს, რადგან არ ხდება მისი აუცილებელი გაიგივება რომელიმე პარტიასთან.<sup>1</sup> ჩვენი აზრით, ეს მხოლოდ თეორიული ასპექტი არ უნდა იყოს. ვინაიდან, ქვეყნის შიგნით სტაბილურობის თვალსაზრისით, ასეთ "ამაღლებას" განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება.

კონსტიტუცია ითვალისწინებს პრეზიდენტის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მხოლოდ მის მიერ სამშობლოს დაღალტის შემთხვევაში. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ "სამშობლოს დაღალტის" ახსნას არ იძლევა არც კონსტიტუცია და არც სისხლის სამართლის კოდექსი. ფრანგი იურისტის მიშელ ვეპროს აზრით, სამშობლოს დაღალტად უნდა მივიჩნიოთ შემთხვევები, როდესაც პრეზიდენტი არღვევს კონსტიტუციურ ნორმებს.<sup>2</sup>

პრეზიდენტის უფლებამოსილებები სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში საკმაოდ ფართოა. იგი წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს, ფლობს საკანონმდებლო უფლებებსაც და ფაქტობრივად ერთმმართველია. ფრანგი იურისტის ბ. ლავერნის აზრით, უფრო ადვილია იმ უფლებათა ჩამოთვლა,

<sup>1</sup> იქვე, გვ. 175.

<sup>2</sup> აღნიშნული რუსულ-ფრანგული სერიის მასალა, №8, გვ. 48.

რაც არ გააჩნია პრეზიდენტს.<sup>1</sup> რეალურად კი იგი ფლობს სელი-სუფლებას; რომელიც აღემატება საპრეზიდენტო რესპუბლიკის მე-თაურის ძალაუფლებას.

ამგვარად; რესპუბლიკის პრეზიდენტის ხელში თავმოყრილია უდიდესი ძალაუფლება. მისი პოზიციები გამაგრებულია მანდატის ვადითა და პირდაპირი საყოველთაო არჩევნებით გარანტირებული ლეგიტიმურობით. როგორც ჩანს, უმაღლესი ეპითეტებიც, რომ პრე-ზიდენტი “საფრანგეთის წარმმართველია” და “სახელმწიფოს საქმი-ანობის სულისჩამდგმელია”. არ მიიჩნევა მისი რეალური ძალაუფ-ლების სრულად მომცველ შეფასებად, თუ პ. ბენდეს-ფრანსს, ცნო-ბილ ფრანგ პოლიტიკურ მოღვაწეს ასეთიც შეიძლება წამოცდეს: “პრეზიდენტი არ არის გვირგვინდადგმული და მთამომავლობითი მონარქი, მაგრამ, იგი მაინც მონარქია”.<sup>2</sup> თუმცა წამოცდენა რას მიქვია, როცა მესუთე რესპუბლიკის ისეთი მეტსახელები გაჩნდა სხვადასხვა წყაროებში; როგორიცაა “პრინსიპატი”, “არჩევითი მო-ნარქია”, “პლებისციტური დემოკრატია”.

პრეზიდენტმა, დე გოლის კონსტიტუციის თანახმად და მის საზღვრებს გარეთ დე გოლისავე “პრაქტიკული” მეცადინეობით, მე-სუთე რესპუბლიკის ცენტრალური ფიგურის ადგილი მოიპოვა. ამი-ერიდან, მესუთე რესპუბლიკის კონსტიტუციურმა სისტემამ ორიენ-ტაცია შეუცვალა საპარლამენტო რეჟიმზე დაფუძნებულ რესპუბლი-კას და სახელმწიფო სამართლის თეორიაში, ცნობილი საპრეზიდენ-ტო და საპარლამენტო რესპუბლიკების გვერდით, როგორც აღვნიშ-ნეთ. ნახევრადსაპრეზიდენტო – ახალი კატეგორიის რეჟიმი დაამ-კვიდრა, რომელმაც შემდგომ ფართო გავრცელება პოვა ევროპის ქვეყნებში; რომელთათვის წმინდა საპრეზიდენტო რეჟიმი, როგორც წესი, მიუღებელი აღმოჩნდა.

### 3-2. პრეზიდენტის სამართლებრივი ბუნება

საფრანგეთის პრეზიდენტის სამართლებრივი ბუნება მნიშვნე-ლოვნად განპირობებულია საარჩევნო სამართლით, კერძოდ, მისი არჩევის წესით: მასში გაერთიანებულია ნორმების ორი ჯგუფი: ერ-თი ძველი; მრავალგზის დავის საგანი, მაგრამ უცვლელი; და მეო-რე – ახალი, დე გოლის პრეზიდენტობის პერიოდშივე სახეშეცვლილი.

<sup>1</sup> მ. ა. კრუტოვოლოვის აღნიშნული ნაშრომი, გვ. 48.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 50.

პრეზიდენტი რომ 7 წლის ვადით აირჩევა — ეს ნორმა ჯერ კიდევ 1873 წელს იყო შემოღებული. შეიდწლიანი მანდატი პრეზიდენტისათვის სტაბილურ, მაგარ ზურგს ნიშნავს. მისთვის განკუთვნილ მნიშვნელოვან პოლიტიკურ როლში შესვლისა და თავის გართმევის თვალსაზრისით, მით უმეტეს, რომ თუ ადრე პრეზიდენტად არჩევის ორი ვადა იყო მაქსიმალური, მეხუთე რესპუბლიკაში ამგვარი შეზღუდვა აღარ არსებობს. და მაინც, შეიდწლიანი მანდატი მრავალრიცხოვან რეფორმატორულ წინადადებებს იწვევს ამ ვადის ხუთ ან ექვს წლამდე დაყვანის თაობაზე.

რეფორმატორი დე გოლი ცდილობდა რეალობა დაედო კანონმდებლობის საფუძვლად. მისი მდგომარეობიდან გამომდინარე რეალობა, ყოველ შემთხვევაში საარჩევნო სამართლის ეტაპობრივი დამუშავებისას, რომელსაც საკუთარ მდგომარეობაზე მორგების პრინციპი ნამდვილად ეტყობოდა.

დე გოლს, როგორც ამბობენ, არ აკლდა რეალობის შეგრძნება და ისიც იცოდა, რომ ფრანგულ სახელმწიფო სამართალში ბევრ რამეს შექმნილი ვითარების ფაქტორი განსაზღვრავს. იმის გათვალისწინებით, რომ ახალ პრეზიდენტს, ისევე როგორც მის პირშმოს — ახალ კონსტიტუციას მხარდაჭერის მაღალი მაჩვენებელი ესაჭიროებოდა, მათ შორის სწორედ ქვეყნის მმართველი ეშელონისაგან გარანტირებული, საპრეზიდენტო არჩევნები ირიბი წესით ამჯობინა.

აქედან გამომდინარე, მეხუთე რესპუბლიკის კონსტიტუციის 1958 წლის რედაქციამ დააწესა პრეზიდენტის არა საყოველთაო—სასაღზო, არამედ საარჩევნო კოლეგიის მიერ არჩევის წესი. საარჩევნო კოლეგიაში შედიოდნენ პარლამენტის, გენერალური საბჭოების, ზღვისიქითა ტერიტორიების ასამბლეების და მუნიციპალური საბჭოების წევრები. პრეზიდენტი ირჩეოდა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით. თუ ვერცერთი კანდიდატი ვერ დააგროვებდა ხმათა ნახევარზე მეტ რაოდენობას, ტარდებოდა მეორე ტური. მასში მონაწილეობდა ის ორი კანდიდატი, რომლებიც ამომრჩეველთა ზემების ყველაზე მეტ რაოდენობას მიიღებდნენ. ამ ეტაპზე გამარჯვებისათვის საკმარისი იყო ხმების ფარდობითი უმრავლესობის მოპოვება.

1961 წლის 11 აპრილს პრეზიდენტმა დე გოლმა დააყენა საკითხი პრეზიდენტის საყოველთაო—სასაღზო არჩევნების წესით არჩევის შესახებ. ასეთი შემოხრუნების მიზანი იყო უმაღლესი ხელისუფლებისათვის ლეგიტიმურობის ხარისხის ამაღლება, დამატებითი ავტორიტეტის მოპოვება და, რაც მთავარია, სახელმწიფოს მეთაურის არჩევასთან დაკავშირებით პოლიტიკური პარტიების ზეგავლე-

ნის შემცირება. მთელი ეს მეცადინეობა კი იქითკენ იყო მიმართული, რომ ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტს ლეგიტიმურობის უმაღლესი ხარისხით გამაგრებული პირადი ავტორიტეტი საშუალებას მისცემდა დაპირისპირებოდა აგრეთვე ხალხის მიერ არჩეულ ეროვნულ კრებას. ზეამაღლებულიყო და გამხდარიყო ეროვნული სუვერენიტეტის გარანტი.

აღნიშნულმა წინადადებამ საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებსა და პარლამენტში მკაცრი კრიტიკა გამოიწვია. მაშინ ღე გოლმა გამოიყენა თავისი საგანგებო უფლება და პარლამენტის გვერდის ავლით რეფერენდუმზე გაიტანა კანონპროექტი, რომელშიც პრეზიდენტის ამომრჩეველთა კოლეგიის მიერ არჩევის წესის საყოველთაო არჩევნებით შეცვლას ითხოვდა. 1962 წლის 28 ოქტომბერს ამომრჩეველთა 61,8 პროცენტის მხარდაჭერით კანონი მიღებულ იქნა.

1962 წლის რეფორმის შემდგომმა პერიოდმა დაგვანახა, რომ შეიცვალა პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულება და საზოგადოებრივი აზრი პრეზიდენტის საყოველთაო არჩევნებით არჩევის წესის მიმართ, რამაც გამოიწვია საპრეზიდენტო არჩევნებში ამომრჩეველთა მონაწილეობის გააქტიურება, ხოლო საყოველთაო გზით პრეზიდენტის არჩევის წესი ფრანგული პოლიტიკური ხასიათის შემადგენელი ნაწილი გახდა.

არსებული წესის თანახმად, საპრეზიდენტო არჩევნები ინიშნება მთავრობის მიერ კონსტიტუციით გათვალისწინებული ვადების დაცვით. კონსტიტუციის მე-7 მუხლის მიხედვით, ახალი პრეზიდენტის არჩევნები ტარდება თანამდებობაზე მყოფი პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუადრეს 35 და არაუგვიანეს 20 დღისა.

ვადამდელი არჩევნები ინიშნება არაუადრეს ოცი და არაუგვიანეს ოცდათხუთმეტი დღისა ვაკანსიის გახსნიდან. ეს ვადები არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო საბჭოს გადაწყვეტილებით დადასტურდება პრეზიდენტის მიერ თავისი მოვალეობის განხორციელებისას დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა.

თუ პრეზიდენტობის კანდიდატების წამოყენების დამთავრებამდე შეიძლია დღის განმავლობაში გარდაიცვლება ან სხვა დამაბრკოლებელი ვითარება გამოუჩნდება ერთ-ერთ პირს, რომელმაც ამ თარიღამდე სულ ცოტა 30 დღით ადრე საჯაროდ განაცხადა სურვილი გახდეს პრეზიდენტობის კანდიდატი, საკონსტიტუციო საბჭოს შეუძლია გადაიტანოს არჩევნები.

პირობები, რომლებიც წარედგინებათ პრეზიდენტობის კანდიდატებს, მოცემულია საარჩევნო კოდექსის 44-ე მუხლში, აქ, კერძოდ,

ნათქვამია, რომ პრეზიდენტი შეიძლება გახდეს 23 წლის ასაკს მიღწეული ფრანგი მამაკაცი ან ქალი. მე-4 რესპუბლიკაში არსებობდა შეზღუდვა—მეფეთა შთამომავლებს და მათი ოჯახის წევრებს არ შეეძლოთ ყოფილიყვნენ კანდიდატები პრეზიდენტის პოსტზე. ამჯერად ეს შეზღუდვა მოიხსნა.

ამასთან, 1962 წლის 6 ნოემბრის კანონმა დააწესა რიგი შეზღუდვები, რომელთა მიზანი იყო პრეზიდენტის პოსტზე "არასერიოზული" კანდიდატურების წამოყენების თავიდან აცილება. აღნიშნული კანონის მე-3 მუხლმა გაითვალისწინა, რომ კანდიდატების შემოთავაზება შეიძლება არანაკლებ ასი ხელმომწერის მიერ, რომელთა შორის უნდა იყვნენ მხოლოდ პარლამენტის წევრები, მერები, გენერალური საბჭოების, ეკონომიკური და სოციალური საბჭოს წევრები.

საკონსტიტუციო საბჭოს მიერ დამტკიცებული კანდიდატთა სიების გამოქვეყნება ხდება მთავრობის მიერ არაუგვიანეს 15 დღისა არჩევნების პირველ ტურამდე.

პრაქტიკამ ნათელი გახადა, რომ ასი ხელმომწერის შეგროვება კანდიდატებისათვის დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა, ამიტომ 1976 წლის 18 ივნისის კანონით ეს რიცხვი ხუთასამდე გაიზარდა.

გარდა ზემოაღნიშნული პირობისა, თითოეული კანდიდატი მოვალეა შეიტანოს გირაოდ 10 ათასი ფრანკი. კანდიდატს, რომელიც არჩევნებში დაძლევეს ხუთპროცენტთან ზღვარს, სახელმწიფო უბრუნებს შეტანილ თანხას თავისი საარჩევნო ხარჯების დასაფარავად.

საარჩევნო კამპანია ოფიციალურად იხსნება არჩევნების პირველ ტურამდე 15 დღით ადრე და იხურება მისი დაწყებიდან 24 საათით ადრე. საარჩევნო კამპანიის მსვლელობაზე დაკვირვება ეკისრება 1964 წლის 14 მარტის დეკრეტით შექმნილ ეროვნულ საკონტროლო კომისიას, რომელიც შედგება საფრანგეთის უმაღლესი სასამართლო ორგანოების წარმომადგენელი ხუთი წევრისაგან და მას ხელმძღვანელობს სახელმწიფო საბჭოს ვიცე-თავმჯდომარე. კომისია აკონტროლებს თითოეული კანდიდატის მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თანაბრად გამოყენების პროექტს. კანდიდატებს ეძლევათ ორი საათი რადიოგამოსვლისათვის და ორი საათი ტელეგამოსვლისათვის. მუნიციპალიტეტების მიერ ხდება საარჩევნო პლაკატებისათვის განკუთვნილი ადგილების გამოყოფა, თითოეული კანდიდატისათვის ერთი პლაკატის გამოკვრის უფლებით. გარდა ამისა, პრეზიდენტობის კანდიდატები უფლებამოსილნი არიან გააგზავნონ წარმომადგენლები ყველა საარჩევნო ოლქში.

იმისათვის, რომ კანდიდატმა საპრეზიდენტო არჩევნების პირველსავე ტურში მოიპოვოს საბოლოო გამარჯვება, უნდა დააგროვოს ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა, ანუ – ორმოცდაათ პროცენტს პლუს ერთი ხმა. იმ შემთხვევაში, თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმათა უმრავლესობა, ორი კვირის შემდეგ ტარდება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს ის ორი კანდიდატი, რომლებმაც პირველი ტური სსკვებზე უკეთესი შედეგებით განვლეს.

არჩევნების მასალები იგზავნება საკონსტიტუციო საბჭოში, რომელიც ამოწმებს და აჯამებს მათ სისწორეს და ოფიციალურად აცხადებს საბოლოო შედეგებს.

ახლადარჩეული პრეზიდენტი თავისი უფლებამოსილებების განხორციელებას შეუდგება არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ. უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთში არსებობს არჩეული პრეზიდენტის მიერ თანამდებობის დაკავების ტრადიციული რიტუალი.

ახლა ზოგიერთი იმ ძირითადი თავისებურების შესახებ, რომლებიც საარჩევნო სამართლის აღნიშნულ ნორმატიულ ბაზასთან ერთად გარკვეულად ავსებს წარმოდგენას პრეზიდენტის სამართლებრივი ბუნების თაობაზე.

პირველ რიგში ის უნდა ითქვას, რომ მეხუთე რესპუბლიკის კონსტიტუციამ პრეზიდენტისა და პარლამენტის ურთიერთობაში ახალი დამოკიდებულება დაამკვიდრა. შედეგად პარლამენტმა დაკარგა არა მარტო პრეზიდენტის არჩევის, არამედ მისი შეცვლის უფლებაც. და, ფაქტობრივად, პრეზიდენტის საქმიანობაზე პარლამენტის ზემოქმედების ყველა ის საშუალება, რაც მეოთხე რესპუბლიკაში არსებობდა, გაუქმებულ იქნა.

მეხუთე რესპუბლიკიდან დაწყებული საფრანგეთის პრეზიდენტმა საკანონმდებლო სფეროში ერთი განსაკუთრებული უფლება მოიპოვა. კონსტიტუციის მეთერთმეტე მუხლის ძალით, მას შეუძლია პარლამენტის გვერდის ავლით რეფერენდუმზე გაიტანოს კანონპროექტი, რომელიც ეხება საჯარო ხელისუფლებათა ორგანიზაციას და ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციას, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციას. თუ პროექტი მოწონებულ იქნა რეფერენდუმზე, პრეზიდენტი პარლამენტის თანხმობის გარეშე ახდენს მის პრომოულგირებას.

გარდა ამისა, პრეზიდენტს უფლება აქვს პრემიერ-მინისტრთან და პარლამენტის პალატების თავმჯდომარეებთან ფორმალური კონსულტაციების შემდეგ, ვინაიდან მათი პოზიციის გათვალისწინება

სავალდებულო არ არის, დაითხოვოს ეროვნული კრება, მხოლოდ ეს არ შეიძლება მოხდეს არჩევნების პირველ წელს.

მეხუთე რესპუბლიკის ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა პრეზიდენტის ურთიერთობა მთავრობასთან. მართალია, თავისი უფლებამოსილებით იგი მეთაურობს აღმასრულებელ ხელისუფლებას — მთავრობას, მაგრამ კონსტიტუცია არ აღიარებს მის მიკუთვნებას მთავრობაზე. უფრო, პირიქით, განაცალკევებს მისგან, როცა მთავრობისადმი ეროვნული კრების უნდობლობის ვოტუმის კონსტიტუციური ნორმა არ ვარაუდობს პრეზიდენტის გადადგომასაც.

სამთავრობო სფეროში პრეზიდენტის უფლებამოსილებები გამოიხატება იმაში, რომ იგი ნიშნავს პრეზიერ-მინისტრს და იღებს მის გადადგომას, ხოლო პრეზიერ-მინისტრის წინადადებით ნიშნავს და ათავისუფლებს მთავრობის წევრებს. პრეზიდენტი თავმჯდომარეობს მინისტრთა კაბინეტის სხდომებს, ხელს აწერს ამ სხდომებზე განხილულ ორდონანსებსა და დეკრეტებს, აკონტროლებს მთავრობის ყველა მოქმედებას.

სპლიერი პრეზიდენტის პირობებში 1958 წლის კონსტიტუციამ საპარლამენტო სისტემისათვის დამახასიათებელი ნორმების მთელი სისტემა განაერცო: სახელმწიფოს მეთაურს უფლება არა აქვს მიიღოს გადაწყვეტილება მთავრობის გადადგომის შესახებ, ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ ეროვნული კრების მიერ მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში; პრეზიდენტს უფლება აქვს პერსონალურად ვამოიწვიოს რომელიმე მინისტრი მხოლოდ პრეზიერ-მინისტრის წინადადების საფუძველზე. ეს წარმოადგენს გამონაკლისს მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობის პრინციპიდან, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ანალოგიური პრაქტიკა დაშვებულია საპარლამენტო სისტემის მთელ რიგ ქვეყანებში.

საფრანგეთში სახელმწიფოს მეთაურის ტრადიციულ უფლებად ითვლება საზღვარგარეთის ქვეყნებსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებში სახელმწიფოს წარმოდგენა, ელჩების დანიშვნა, ომის გამოცხადება / პარლამენტის თანხმობით/. პრეზიდენტი ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირებას.

მეხუთე რესპუბლიკის კონსტიტუციის სერიოზულ სიახლეს წარმოადგენს კონსტიტუციის 52-ე მუხლი, რომლის ძალითაც იგი აწარმოებს მოლაპარაკებებს საერთაშორისო ხელშეკრულებების დასადებად /მეოთხე რესპუბლიკაში მას მხოლოდ ინფორმაციას აწვდიდნენ ამგვარი მოლაპარაკებების მიმდინარეობების თაობაზე/. ეს

უფლება ზრდის პრეზიდენტის ფუნქციებს ქვეყნის საგარეო სფეროს ხელმძღვანელობისას.

ზემოთ მოხსენიებული, დე გოლის მიერ კონსტიტუციაში ასახული სიახლეები გარკვეულ წარმოდგენას იძლევა მესუთე რესპუბლიკის პრეზიდენტის სამართლებრივი ბუნების თაობაზე. ზოგიერთი მათგანი უფრო დეტალურად იქნება განხილული პრეზიდენტის უფლებამოსილებათა საგანთან დაკავშირებით.

მაგრამ მანამდე, იმისათვის, რომ სრული წარმოდგენა შევიქმნათ პრეზიდენტის სამართლებრივ ბუნებაზე, ზოგიერთ ფორმალურ ნორმას ფაქტობრივი მასალა უნდა შევუპირისპიროთ. ყოველივე თქმულისა და იმის გათვალისწინებით, რომ ფრანგულ სახელმწიფო სამართალში ბევრ რამეს განსაზღვრავს შექმნილი ვითარების ფაქტორი, ჩვენც ვეთანხმებით ფრანგ სახელმწიფომცოდნე იურისტთა იმ აზრს, რომ საფრანგეთის მთავრობის სახის ჩამოყალიბების უკანასკნელი ათწლეულების პროცესს საპარლამენტო მთავრობამდე მივყავართ. საქმე ის არის, რომ მთავრობა მჭიდროდაა დაკავშირებული ეროვნულ კრებასთან. ბოლო ხანებში, იმ შემთხვევაში, როცა ეროვნული კრების უმრავლესობა პრეზიდენტის პოლიტიკის მხარდამჭერია და მთავრობაც პრეზიდენტის მხარდაჭერით სარგებლობს, მთავრობის პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე აშკარად ფორმალურ ხასიათს ატარებს. მაგრამ, როცა ეროვნულ კრებაში მიმდინარე პოლიტიკურ ძალთა გადანაწილების შედეგად მთავრობა სიმტკიცესა თუ საკუთარ ძალთა მიმართ რწმენას კარგავს, იმის გამო, რომ სავსებით შესაძლებელია საკუთარი პოლიტიკის გამო ეროვნული კრების წინაშე პასუხისმგებლობის საკითხი დაუდგეს, მთავრობა იძულებული ხდება დეპუტატებთან შემთანხმებლური პოლიტიკის კურსს დაადგეს, რაც იწვევს მის მიერ საპარლამენტო გზით ფორმირებული მთავრობის ნიშნების შექმნას.

სწორედ შექმნილი ვითარების ფაქტორის მნიშვნელობაზე მეტყველებს საფრანგეთის უახლესი ისტორიისათვის მძიმე დღეების ამსახველი ერთი მოვლენა: რადგანაც საკუთარი სურვილისამებრ მორგო დე გოლმა პრეზიდენტის მანტია, ერთგვარად გაუნელდა პასუხისმგებლობის შეგრძნება, უგულისყუროდ მოეკიდა ქვეყნის შიგნით ახალგაზრდობის გუნება-განწყობილების გამომხატველ აქციებს, რომელიც რეალურად სერიოზული საფრთხის მომასწავებელი ხდებოდა.

როგორც ჩანს, ამ დროს შეიძლება რეალობის გრძნობამაც გილალატოს, როცა ეს განსაკუთრებით საჭიროა, მითუმეტეს, სახელმწიფოს მეთაურისათვის.



კონსტიტუციის მიღების შემდგომ წლებში ფრანგ სტუდენტებს უფრო და უფრო უცრუდებოდათ იმედი პრეზიდენტ შარლ დე გოლის პოლიტიკაზე. ჯერ იყო და სტუდენტები თავის პრეტენზიებს გამოთქვამდნენ განათლების სისტემის მიმართ და მოითხოვდნენ მის ისეთ გარდაქმნას, რომ ახალგაზრდობა უკეთ მომზადებულიყო ტექნოკრატიული ეპოქისათვის. შემდგომ ამას დაემატა უკმაყოფილება დე გოლის საგარეო და საშინაო პოლიტიკით. ყოველივე ამან 1965 წელს უმაღლეს ზღვარს მიაღწია და მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ საყოველთაო პროტესტში გადაიზარდა.

პრეზიდენტმა უკმაყოფილების მშვიდობიანი გამოხატულების ფორმები ყურადღების ღირსადაც არ ჩათვალა. შემდეგ კი, როცა გამოსვლების ინტენსივობამ, დემონსტრანტთა რიცხვმა და პოლიციასთან შეტაკებებმა იმატა, ამ დაძაბულობის მოგვარება გადაწყვიტა სრულად მიენდო პოლიციისათვის. ასეთ შეცდომას შკლეგელ ის მოჰყვა, რომ სტუდენტებს მუშებიც შეუერთდნენ და საფრანგეთი საყოველთაო გაფიცვის მიჯნაზე დადგა.

მინისტრებმა პრეზიდენტს მოსთხოვეს ქმედითი ღონისძიებების განხორციელება, მან კი განაცხადა, რომ ჩაატარებდა რეფერენდუმს, რომელიც მისცემდა საფრანგეთის ხალხს შესაძლებლობას შეეცვალა კონსტიტუცია და მუშებსა და სტუდენტებს თავისი უშუალო წარმომადგენლობა ჰქონოდათ სენატში.

პრემიერ-მინისტრმა ჟორჟ პომპიდუმ იცოდა, რომ ასეთი ნაბიჯი სასურველ შედეგს ვერ გამოიღებდა და დაარწმუნა დე გოლი მიეცა მისთვის უფლება ემოქმედა კრიზისული ვითარების განსამუხტად. პომპიდუმ აქტიურად გამოიყენა ეს უფლება: შეზღუდა პოლიციის ქმედებები სტუდენტების წინააღმდეგ, მუშებთან მოლაპარაკება წარმართა ხელფასის თაობაზე, ხოლო დე გოლი დაარწმუნა — დაეთხოვა პარლამენტი და დაენიშნა ახალი არჩევნები, რაც გოლისტებს დიდ უმრავლესობას მისცემდა ეროვნულ კრებაში.

საარჩევნო კამპანიის პროცესში — ტელევიზიით გამოსვლისას დე გოლი ძალიან ხანდაზმული, დაღლილი და უძლური ჩანდა. ძალაუნებურად იბადებოდა კითხვა — გადავიდოდა თუ არა ძალაუფლება პრემიერ-მინისტრის ხელში. არადა, საპრეზიდენტო-საპარლამენტო სისტემის აკვანში, საფრანგეთში, დე გოლს გააჩნდა შანსი განემტკიცებინა საპრეზიდენტო ხელისუფლება, მაგრამ მხოლოდ კრიზისის მოხსნიდან რამდენიმე კვირის შემდეგ გააქტიურდა. თუმცა ის, რომ პრეზიდენტის აუღელვებელ წინადადებას პრემიერის

გადადგომის თაობაზე თვინიერი პომპოდუსგან გართულება არ მოპყლია, როგორც ჩანს, დე გოლს აქტივში არ ჩაეთვალა.

1958 წლის კონსტიტუციით გამარჯვების თეთრ ცხენზე შემჯდარი დე გოლი ყველა მძიმე ვითარებაში კონსტიტუციონალიზმის იმედად რჩებოდა, მაგრამ ერთხელაც "კოკამ წყალი აღარ მოიტანა". ჟორჟ პომპიდუს მიერ განხორციელებული გონივრული ნაბიჯების შედეგად შენარჩუნებული პრეზიდენტისა და ქვეყნის სიმშვიდის მომდევნო წელს, დე გოლს კვლავაც "დასჭირდა" და საფრანგეთის მოსახლეობას სენატთან დაკავშირებულ საკითხზე რეფერენდუმი შესთავაზა. შედეგად მწარე მარცხი განიცადა. დე გოლი იძულებული შეიქნა გადამდგარიყო და პომპიდუს პრეზიდენტობისაკენ გზა გაუსხსნა.

ამგვარად, 1969 წელს 79 წლის დე გოლმა დატოვა პოლიტიკური არენა. ამ ასაკში აქტიურ რეჟიმს მიჩვეულ პრეზიდენტს მის გარშემო შექმნილმა სიცარიელემ სიცოცხლე მოუსწრაფა.

### 3-3. პრეზიდენტის უფლებამოსილება

თანამედროვე საფრანგეთში პრეზიდენტის უფლებამოსილებანი საპარლამენტო მმართველობის ქვეყნის სახელმწიფოს მეთაურის კომპეტენციის ანალოგიურია. ამ დროს, ჯერ კიდევ 1958 წელს, ფრანგი მეცნიერი დებრე, კონსტიტუციური ნორმების ანალიზის საფუძველზე, პრეზიდენტს, მისთვის მიკუთვნებული პოლიტიკური თუ იურიდიული ხასიათის უფლებამოსილებებიდან გამომდინარე, რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების სისტემაში "ქვაკუთხედის" მნიშვნელობას ანიჭებდა.<sup>1</sup>

როდესაც საფრანგეთის პრეზიდენტის უფლებამოსილებების საკითხს ვიხილავთ, უდაოდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ფრანგი იურისტები განასხვავებენ პრეზიდენტის პირად უფლებამოსილებებს და უფლებამოსილებებს, რომელთა განხორციელება ხდება მთავრობასთან ერთად. პირველი სახის უფლებამოსილებების განხორციელება ხდება კონტრასიგნაციის<sup>2</sup> გარეშე, ხოლო მეორე სახის უფლებამოსილებები ითხოვენ პრემიერ-მინისტრის და ცალკეულ შემ-

<sup>1</sup> Серебренников В. П. Конституционное право Франции. Минск, БГУ, 1976, стр. 21

<sup>2</sup> კონტრასიგნაცია /ლათინურიდან – საწინააღმდეგო ხელმოწერა/ – ნიშნავს შესაბამისი მინისტრის ხელმოწერას სახელმწიფოს მეთაურის მიერ გამოცემულ აქტზე, რითაც მინისტრი თავის თავზე იღებს აღნიშნული აქტის მიღების იურიდიულ და პოლიტიკურ პასუხისმგებლობას.

თხვევებში მინისტრთა კონტრასიგნაციას. ამ უკანასკნელს ჩვენ შემდეგ თავში, მთავრობასთან მიმართებაში განვიხილავთ. ამჯერად კი პრეზიდენტის ე. წ. პირად უფლებამოსილებებს შევეხებით, ვინაიდან მესუთე რესპუბლიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე პრეზიდენტის მიერ პირადი უფლებამოსილებების დაკანონება. ამგვარი უფლებამოსილებების ძირითად სფეროებს წარმოადგენს პრეზიდენტის ურთიერთობა პარლამენტთან, სასამართლო ორგანოებთან, მოსახლეობასთან (რეფერენდუმის ჩატარების გზით) და მთავრობასთან, აგრეთვე ზოგიერთ საგანგებო ვითარებასთან დაკავშირებული საკითხთა სფეროში.

პარლამენტთან ურთიერთობის სფეროში პრეზიდენტის უფლებამოსილებების განხორციელება, როგორც აღვნიშნეთ, ხდება ძირითადად კონტრასიგნაციის მექანიზმის გარეშე. ეს უფლებებია პარლამენტისათვის მიმართვის გაგზავნა, პარლამენტის დათხოვნა და პარლამენტის მიერ მიღებული კანონების პრომულგირება.

პარლამენტისადმი პრეზიდენტის მიმართვას მესამე და მეოთხე რესპუბლიკებში თან ახლდა სავალდებულო კონტრასიგნაცია. იგი იყო არა სახელმწიფოს მეთაურის პირადი მიმართვა, არამედ წარმოადგენდა მთავრობის აქტს, რომელიც იწვევდა ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობას პარლამენტის წინაშე. მესუთე რესპუბლიკაში პრეზიდენტის მიმართვა მთავრობის თანხმობას არ საჭიროებს, ამიტომ მთავრობა არ არის პასუხისმგებელი პარლამენტის წინაშე პრეზიდენტის აქტისათვის. პარლამენტისადმი მიმართვის გაგზავნის პრაქტიკა უპირველესად პარლამენტის მიმართ პრეზიდენტის თავაზიანობის გამოვლინებას წარმოადგენს, თორემ ხომ ცხადია, რომ აუდიოვიზუალური საშუალებების ეპოქაში პრეზიდენტს საზოგადოებისადმი პირდაპირი მიმართვის უფრო ხელსაყრელი საშუალებები გააჩნია.

პრეზიდენტის მიმართვები ეგზავნება პალატებს და არ ექვემდებარება მათ განხილვას. და მიუხედავად ამისა, თუ პრეზიდენტი მიმართვას უგზავნის პარლამენტს შესვენების დროს, პალატების მიერ ხდება სპეციალური სესიების მოწვევა.

პარლამენტის დათხოვნის უფლება წარმოადგენს საპარლამენტო სახელმწიფოს მეთაურის ჩვეულებრივ კომპეტენციას. მესუთერესპუბლიკაში პარლამენტის ქვედა პალატის დათხოვნის უფლებაზე არ ვრცელდება აღრე არსებული შეზღუდვები. თანამედროვე პირობებში პრეზიდენტს შეუძლია ქვედა პალატა დაითხოვოს ნებისმიერ დროს. ერთადერთი შეზღუდვა არის ის, რომ ორ ერთმანეთის თანამომდევნო დათხოვნას შორის გასული უნდა იყოს არა ნაკლებ ერთი წლისა. ამასთან, დაცული უნდა იყოს დათხოვნის ფორმები, კერძოდ, პრეზიდენტი ვალდებულია ჩაატაროს წინასწარი კონსულტაციები პრემიერ-მინისტრსა და ორივე პალატის თავმჯდომარესთან.

დათხოვნის უფლება საპარლამენტო რეჟიმის გაწონასწორების ტოლფასი ფაქტორია. იგი აღმასრულებელი ხელისუფლების ხელში პარლამენტისადმი მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობის "საპირწონეა", რომელიც ურთიერთდამოკიდებულების პრინციპიდან გამომდინარე, აწონასწორებს არა მხოლოდ სიტუაციას, არამედ ხელს უწყობს საერთო სტაბილიზაციას, ვინაიდან პრეზიდენტისათვის პარლამენტის ქვედა პალატის დათხოვნის უფლების მინიჭება ხელს უწყობს პარლამენტში არჩევნების შედეგად პრეზიდენტის მხარდამჭერთა უმრავლესობის ჩამოყალიბების პროცესს. სწორედ ასე შეიძლება ითქვას, რომ ხელს უწყობს ამ პროცესს, თორემ მთლიანობაში ეს ურთულესი პროცესია და ამასთან ერთად ბევრ სხვა ფაქტორზეა დამოკიდებული.

საპარლამენტო კანონების პრომულგირება და მათი ხელმეორე განხილვისათვის დაბრუნების უფლება პრეზიდენტის ტრადიციულ კომპეტენციას წარმოადგენს. იგი ხელს აწერს ყველა კანონს, ორდონანსებს და ზოგიერთ დეკრეტს. პრეზიდენტის ამ აქტს პრომულგირება ეწოდება და იგი გულისხმობს მითითებების მიცემას მისი ძალაში შესვლის, გამოქვეყნებისა და შესრულების თაობაზე.

პრეზიდენტი პარლამენტის მიერ მიღებული კანონების პრომულგირებას ახდენს თხუთმეტდღიან ვადაში, მას შემდეგ რაც ისინი მთავრობას გადაეცემა. თუმცა პრეზიდენტს ოფიციალურად ვეტოს უფლება არა აქვს, ამ ვადის გასვლამდე მას შეუძლია პალატებს მოსთხოვოს კანონის ან მისი ცალკეული ნაწილების ხელახალი განხილვა, რაზეც მას არ შეიძლება უარი ეთქვას. ამ გზით სახელმწიფოს მეთაურს შეუძლია გააჭიანუროს მისთვის არასასურველი კანონის მიღება, მაგრამ თუ პარლამენტი კვლავაც დაადასტუ-

რებს თავის პირვანდელ გადაწყვეტილებას, პრეზიდენტი ვალდებულია მოახდინოს კანონის პრომულგირება. პრეზიდენტი უფლებამოსილია პრომულგირებამდე საკონსტიტუციო საბჭოში გადასცეს ყველა კანონი, რათა შემოწმდეს მათი შესაბამისობა კონსტიტუციასთან.

პრომულგაციის პროცედურა ასეთია: პარლამენტის მიერ მიღებული კანონი შესაბამისი პალატის თავმჯდომარის მიერ გადაეცემა მთავრობას, რის შემდეგაც პრემიერ-მინისტრი ამზადებს დეკრეტს კანონის პრომულგირების შესახებ და გადასცემს მას პრეზიდენტს. კანონის ბოლოს აღინიშნება პრომულგირების ადგილი და თარიღი. პრომულგირების გარეშე კანონი იურიდიულად ძალაში შესულად არ ჩაითვლება. სწორედ პრომულგირების დღიდან ითვლება კანონი ძალაში შესულად. პრეზიდენტის ხელმოწერის ქვეშ ხელს აწერენ პრემიერ-მინისტრი და შესაბამისი მინისტრი ან მინისტრები.

არის ორი საკითხი პრეზიდენტის უფლებამოსილებათა სფეროდან, რომლებიც კონტრასიგნაციას ექვემდებარება.

პირველ რიგში, კონტრასიგნაციას ექვემდებარება პრეზიდენტის მიერ პარლამენტის რიგგარეშე სესიის მოწვევის უფლება. ეს ხდება პრემიერ-მინისტრის ან ეროვნული კრების წევრთა უმრავლესობის მოთხოვნის საფუძველზე. ამ სესიების გახსნა და დახურვა ხდება პრეზიდენტის დეკრეტებით და სწორედ ის არის კონტრასიგნაციის საგანი. პრეზიდენტს უფლება აქვს უარი უთხრას რიგგარეშე სესიის მოწვევაზე პრემიერ-მინისტრს, მაგრამ უთუოდ უნდა მოიწვიოს იგი, თუ მოთხოვნა ეკუთვნის ეროვნული კრების წევრთა უმრავლესობას. ფრანგი იურისტის მ. დიუვერჟეს აზრით, ეს გამოწვეულია იმით, რომ საყოველთაო არჩევნების გზით არჩეულ პრეზიდენტს უფლება არა აქვს უარი უთხრას ასევე საყოველთაო არჩევნების გზით არჩეულ ეროვნულ კრებას.

კონტრასიგნაციას ექვემდებარება პრეზიდენტის დიპლომატიური უფლებამოსილებანი, მისი გადაწყვეტილებები დიპლომატიურ სფეროში. ამ წესით ხდება საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაცია, ელჩებისა და საგანგებო დესპანების აკრედიტაცია. კონსტიტუციის 52-ე მუხლით განმტკიცებულია პრეზიდენტის დიპლომატიური უფლებები, კერძოდ, იგი აწარმოებს მოლაპარაკებებს ხელშეკრულებების დადების თაობაზე და რატიფიცირებას უკეთებს მათ. თუ საერთაშორისო შეთანხმება არ ექვემდებარება რატიფიკაციას, პრეზიდენტი ინფორმირებული უნდა იყოს იმ მოლაპარაკების

შესახებ, რომელიც მის დადებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს /ეს ეხება ე. წ. "ჯენტლმენურ შეთანხმებებს"/.

სასამართლო ორგანოებთან ურთიერთობის სფეროში პრეზიდენტის უფლებამოსილებებთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას რაოდენობრივად მცირე, მაგრამ ურთიერთობის არსებითად მნიშვნელოვან საშუალებებზე, რომელსაც ფლობს სახელმწიფოს მეთაური.

საერთოდ, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას შორის ურთიერთობა განპირობებულია ამა თუ იმ სახელმწიფოში ხელისუფლების დანაწილების პრინციპის განხორციელების ხარისხით. ზოგიერთ ქვეყანაში სასამართლო ორგანოები აღმასრულებელი ხელისუფლების მეტ-ნაკლებად მკაცრი კონტროლის ქვეშ იმყოფებიან, რაც არ შეიძლება ითქვას საფრანგეთზე. აქ სასამართლო ხელისუფლება საკმაოდ დამოუკიდებელია და ნაკლებად ექცევა აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენის ქვეშ.

ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს საფრანგეთის პრეზიდენტის შემდეგი უფლებამოსილებანი: საკონსტიტუციო საბჭოს 9 წევრიდან სამს ნიშნავს პრეზიდენტი. საბჭოს ერთ-ერთ წევრს იგი ნიშნავს თავმჯდომარის თანამდებობაზე. მსგავსად პრემიერ-მინისტრის, პალატების თავმჯდომარეებისა და დეპუტატთა ჯგუფებისა, პრეზიდენტს შეუძლია მიმართოს საკონსტიტუციო საბჭოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის ან საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის თაობაზე. სახელმწიფოს მეთაურის ამგვარი გადაწყვეტილებები არ საჭიროებენ არც კონტრასიგნაციას; არც მთავრობის ზეპირ თანხმობას.

საფრანგეთის კონსტიტუციის 64-ე მუხლით დადგენილია, რომ "რესპუბლიკის პრეზიდენტი სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გარანტია". აქედან გამომდინარე, იგი ვალდებულია არა მარტო განუხრელად დაიცვას სასამართლოს გადაწყვეტილებები, არამედ თავად უზრუნველყოს მათ საქმიანობაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ჩაურევლობა. ამასთან, კონსტიტუციამ პრეზიდენტს მიანიჭა სასამართლო ორგანოების ფორმირების პროცესში გარკვეული მონაწილეობის მიღების უფლება. სწორედ სახელმწიფოს მეთაურია თანამდებობრივად მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. 1946 წლიდან 1958 წლამდე ეს ორგანო შედგებოდა თავად მოსამართლეებისაგან არჩეული 4 წევრისაგან, ეროვნული კრების მიერ არჩეული 6 წევრისაგან და მხოლოდ ორი

წვევს ნიშნავდა პრეზიდენტი. იუსტიციის მინისტრი თანამდებობრივად შედიოდა საბჭოს შემადგენლობაში. საბჭოზე იყო დამოკიდებული მოსამართლეთა დანიშვნა-დაწინაურება, მისი მითითებები კი სავალდებულო ხასიათს ატარებდა იუსტიციის მინისტრისათვის. 1958 წლის კონსტიტუციის მიხედვით, მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს ცხრაკაციანი შემადგენლობა (გარდა იუსტიციის მინისტრისა) ინიშნებოდა პრეზიდენტის მიერ, რომლის გადაწყვეტილებანი მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს წევრთა დანიშვნის თაობაზე საჭიროებდა კონტრასიგნაციას.

1993 წელს პრეზიდენტ მიტერანის წინადადებით პარლამენტმა მიიღო კონსტიტუციური შესწორება, რომელმაც სახელმწიფოს მეთაურს ჩამოართვა მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს წევრთა დანიშვნის უფლება. მოხდა მსოფლიო პოლიტიკაში საკმაოდ იშვიათი და უცნაური შემთხვევა, როდესაც თავად პრეზიდენტი გახდა ინიციატორი მისი საკადრო უფლებების შეზღუდვისა. ამგვარმა ნაბიჯმა ფრანგულ საზოგადოებრიობაში მიტერანის ავტორიტეტის მკვეთრი ზრდა განაპირობა და შექმნა ქმედითი გარემო სასამართლო ხელისუფლების რეალური დამოუკიდებლობისა. ამასთან, თუმცა ამგვარი დამოუკიდებლობა კონსტიტუციით დეკლარირებული იყო, აღნიშნული შესწორების მიღებამდე გამოკითხულთა 82 პროცენტი თვლიდა, რომ სასამართლო ხელისუფლება პოლიტიკური ხელისუფლების სრული კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა.<sup>1</sup> უფრო მეტიც, ქალაქ მეცის პროკური ვოლფი ამტკიცებდა, რომ საფრანგეთში სასამართლოს ავტორიტეტი არ გააჩნია საერთოდ აღარ არსებობდა სასამართლო ხელისუფლება. მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო, რომელიც სახუმარო კარიკატურას წარმოადგენდა.<sup>2</sup>

მეხუთე რესპუბლიკის კონსტიტუციამ პრეზიდენტი აღჭურვა შეწყალების უფლებით. გადაწყვეტილებას შეწყალების შესახებ იგი იღებს მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს მოსაზრების გათვალისწინებით. საბჭოს მოსაზრება პრეზიდენტისათვის არაა სავალდებულო: შეწყალების აქტი საჭიროებს კონტრასიგნაციას, მაგრამ ეს პროცედურა ფორმალურ ხასიათს ატარებს. ფრანგი იურისტი მ. დიუვერჟე თვლის, რომ შეწყალება, მიუხედავად კონტრასიგნაციის

<sup>1</sup> Сахаров Н.А. Институт президентства в современном мире. Москва, Юридическая литература, 1994, стр.97

<sup>2</sup> ვ. პ. სერებრენიკოვის აღნიშნული ნაშრომი, გვ. 73

სავალდებულობისა, წარმოდგენს პრეზიდენტის პირად პრეროგატივას. ამასთან, მიუხედავად კონტრასიგნაციისა, მთავრობის პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე შეწყალების აქტის განხორციელებისათვის არ დაიშვება.<sup>1</sup>

მიუხედავად 1981 წლის კანონით სიკვდილით დასჯის გაუქმებისა, შეწყალების უფლება პრეზიდენტს მაინც შეუნარჩუნდა. იგი უფლებამოსილია სასჯელი მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს.

რეფერენდუმის ჩატარების სფეროში პრეზიდენტი გარკვეული უფლებებით სარგებლობს. ამის თაობაზე ადრეც ითქვა, მაგრამ ეს იმდენად მნიშვნელოვანი თავისებურებაა, და განმეორებაც იმად დაგვიჭირდა, რომ მის გარეშე სრულად არ წარმოიდგინება საფრანგეთის პრეზიდენტის სამართლებრივი ბუნება. რეფერენდუმი საფრანგეთის კონსტიტუციური მექანიზმის მნიშვნელოვანი ელემენტია, ვინაიდან, როგორც ძირითადი კანონის მესამე მუხლი აღნიშნავს — “ეროვნული სუვერენიტეტი ეკუთვნის ხალხს, რომელსაც თავისი წარმომადგენლებისა და რეფერენდუმის გზით ახორციელებს”. მაგრამ მოცემული ფორმულის რეალური შინაარსი, სხვა მრავალი ქვეყნის კონსტიტუციისაგან განსხვავებით, პრაქტიკული ფუნქციის მატარებელიცაა, რამდენადაც იგი იურიდიული აქტის ხალხის მიერ პირდაპირი მიღების საშუალებაა.

რეფერენდუმის ჩატარების წინადადების ინიციატორი სუბიექტი შეიძლება იყოს მთავრობა ან პარლამენტის პალატები. წინადადება რეფერენდუმის მოწვევისა და მისი საგნის თაობაზე ქვეყნდება პრესაში. 1958 წლიდან მოყოლებული რეფერენდუმების ჩატარების ინიციატივა ძირითადად პრეზიდენტის მხრიდან მომდინარეობს, რასაც მთავრობის თანხმობა ერთვის თან.

პარლამენტის ინიციატივა რეფერენდუმის ჩატარებასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, შეიძლება მოხდეს მხოლოდ სესიის პერიოდში. თუ საპარლამენტო არდადეგების დროს ამგვარი ინიციატივით გამოვა მთავრობა, იგი ვალდებულია წინასწარ მოიწვიოს პარლამენტის რიგგარეშე სხდომა. ეს მოთხოვნა გამომდინარეობს იმ განზრახვიდან, რომ პარლამენტს გააჩნდეს უფლება დააყენოს მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი ამ უკანასკნელის მიერ დანიშნულ რეფერენდუმთან დაკავშირებით. კონსტიტუციის მე-11 მუხლის

<sup>1</sup> იქვე.



თანახმად, რეფერენდუმზე შეიძლება გატანილ იქნეს “კანონპროექტები, რომლებიც ეხება საჯარო ხელისუფლებათა ორგანიზაციას, იწონებს ერთობის შეთანხმებებს ან ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციას, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციას”. რეფერენდუმის ბოლო ორი ობიექტი საკმაოდ გასაგებია. ერთობის შეთანხმება წარმოადგენს შეთანხმებას საფრანგეთსა და ერთობის წევრ სახელმწიფოებს შორის.<sup>1</sup> საერთაშორისო ხელშეკრულებების მაგალითია “საერთო ევროპული ბაზარი”, “ევროპის ნახშირისა და ფოლადის გაერთიანება” და სხვა. ამასთან რეფერენდუმის პირველი ობიექტი – “ნებისმიერი კანონპროექტი, რომელიც ეხება საჯარო ხელისუფლებათა ორგანიზაციას”, – საკმაოდ არასრულყოფილადაა განსაზღვრული. საჯარო ხელისუფლებაში ფრანგული კონსტიტუციური სამართალი გულისხმობს სახელმწიფოს მეთაურს, პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის პალატებს და ა. შ., ე. ი. იმ ორგანოებს, რომლებიც კონსტიტუციითაა განსაზღვრული. ფრანგი იურისტების უმეტესობის აზრით, ყველა ის კანონპროექტი, რომელიც ცვლის ზემოაღნიშნული ინსტიტუტების სტრუქტურასა თუ კომპეტენციას, კონსტიტუციურ ხასიათს ატარებს და მისი მიღება უკავშირდება კონსტიტუციის გადასინჯვას, რაც უნდა მოხდეს კონსტიტუციის 89-მუხლით დადგენილი პროცედურის ზუსტი დაცვით და არა მე-11 მუხლის მიხედვით.<sup>2</sup>

რაც შეეხება რეფერენდუმის ჩატარების პრაქტიკას, უნდა აღინიშნოს, რომ 1958 წლიდან დღემდე საფრანგეთში ჩატარდა ექვსი რეფერენდუმი, ამათგან ოთხი – შარლ დე გოლის პრეზიდენტობის პერიოდში.

საკანონმდებლო რეფერენდუმის მექანიზმი, როგორც ფრანგი სახელმწიფოთცოდნეები ადასტურებენ, თითქმის ყოველთვის ანგარებითი იყო პრეზიდენტის მხრიდან, ვინაიდან სარეფერენდუმოდ გატანილი კანონპროექტები მოსახლეობის პრეზიდენტისადმი ნდობის დადასტურებას უფრო ემსახურებოდა, ვიდრე ხელისუფლების ინსტიტუტების ფუნქციონირების გაუმჯობესებას. თქმულის საილუსტრაციოდ თვით დე გოლის ზემოაღნიშნული მაგალითი გამოდგება, როცა 1969 წელს, კონსტიტუციის მეთერთმეტე მუხლის თანახმად,

<sup>1</sup> უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთის იმპერიის დამლასთან ერთად შეთანხმებათა ეს კატეგორია პრაქტიკულად გაქრა.

<sup>2</sup> *Le Président de la Cinquième République. Documents d'études*, №1.06. Paris, 1991.

სენატის საქმიანობის ზოგიერთი დებულების გადახედვა განიზრახა. და როცა რეფერენდუმის შედეგებმა მოსახლეობის მხარდაჭერა არ დაადასტურა (გადახედვას ხმა მისცა 10,5 მილიონმა ამომრჩეველმა, ხოლო წინააღმდეგ 11,9 მილიონმა), დე გოლი რეფერენდუმის მეორე დღესვე გადადგა.

კონსტიტუციის მეთერთმეტე და ოთხმოცდამეცხრე მუხლები პრეზიდენტს რეფერენდუმის გარკვეული “გარანტიის” ქვეშ აძლევდა საშუალებას მოეხდინა ზეწოლა კანონშემოქმედებით პროცესზე, რომლის შედეგად მკვიდრდებოდა რეალური კონსტიტუცია, რომელიც ძალზე განსხვავდებოდა ფორმალური კონსტიტუციისაგან. სხვათა შორის, დე გოლის ამ “გამოგონებას” კარგად იყენებდნენ ის პრეზიდენტებიც, რომლებიც წინასაარჩევნო კამპანიისას თავის დემოკრატიულ იმიჯს ამკვიდრებდნენ დე გოლის ავტორიტარული მმართველობის აქტიური კრიტიკის მეშვეობით.

მთავრობასთან ურთიერთქმედების სფეროში პრეზიდენტის განსაკუთრებული პეროგატივები მხოლოდ პრემიერ-მინისტრის დანიშვნის უფლებით არ არის განპირობებული, არამედ იმ ცვლადებებითაც, რომელიც მეხუთე რესპუბლიკის კონსტიტუციამ ამ ურთიერთობებში შეიტანა.

პრეზიდენტის მიერ პრემიერ-მინისტრის დანიშვნისას, მეოთხე რესპუბლიკის პერიოდში ფართოდ იყო გავრცელებული ე. წ. “ჩვეულებრივი კონსულტაციების” პრაქტიკა, რომელთა დროსაც პრეზიდენტი საპარლამენტო ჯგუფებთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს მთავრობის მეთაურის კანდიდატურის თაობაზე. მე-5 რესპუბლიკის კონსტიტუციით ამგვარი პრაქტიკა არ იქნა გათვალისწინებული. ძირითადი კანონის მე-8 მუხლის თანახმად, პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, წყვეტს პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებებს ამ უკანასკნელის მთავრობის გადადგომის შესახებ განცხადების შეტანის გამო. პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის შერჩევა ხდება პრეზიდენტის პირადი შეხედულებებით, შეირჩევა ისეთი კანდიდატი, რომლის პოლიტიკური ორიენტაცია ემთხვევა პრეზიდენტისას. როგორც უკანასკნელი ათწლეულების პრაქტიკა გვიჩვენებს, პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის შერჩევა ხდება პრეზიდენტის მხარდამჭერი საპარლამენტო უმრავლესობიდან. თუმცა ესეც უკვე წარსულის მოგონებაა. დღეს, პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის ურთიერთობათა განმსაზღვრელი ერთი განსაკუთრებული თავისებურება

ის არის, რომ, როცა პრეზიდენტი კარგავს უმრავლესობას პარლამენტში, იგი იძულებული ხდება პრემიერ-მინისტრის პოსტი მათ დაუთმოს და თან მის მიმართ იძულებით ლოიალური ხდება. მაგალითად, პრეზიდენტი მიტერანი წლების მანძილზე "ითმენდა" ასეთი კომპრომისის შედეგად პრემიერ-მინისტრის პოსტზე შემდგარ შირაკსა და ბოლოდიურს. საპარლამენტო უმრავლესობის ამგვარმა შეზღუდვამ და მოთმინების ზღვარმა აიძულა პრეზიდენტი მიტერანი 1981 წლის 22 მაისს და 1988 წლის 14 მაისს თხოვნით მიემართა ქვეყნის მოსახლეობისათვის უზრუნველყოთ მისთვის ეროვნული კრების უმრავლესობა, როგორც გაირკვა, ორივეჯერ ამოდ.

კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერ-მინისტრს და შემდეგ ამტკიცებს მის მიერ წარდგენილ კაბინეტს. როგორც უილიამ საფრანი აღნიშნავს, ტექსტის პირდაპირი ინტერპრეტაცია იმას გულისხმობს, რომ კაბინეტის შედგენის შემდეგ მისი დაშლის უფლება მხოლოდ პარლამენტს აქვს. მაგრამ რეალობაში პარლამენტისათვის კაბინეტის დაშლა ძალიან რთული და სარისკო საქმე იყო, რადგან პრეზიდენტს თავად ჰქონდა პარლამენტის დაშლის უფლება.<sup>1</sup>

გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც კონტრასიგნაცია ფორმალურ ხასიათს ატარებს /მაგალითად, შეწყალების დროს/, პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილებების განხორციელებისას გამოცემული აქტები კონტრასიგნაციას ექვემდებარება. ასეთი აქტები საკმაოდ მრავალრიცხოვანია და მათი მიღება ხდება პრეზიდენტისა და მთავრობის შეთანხმების საფუძველზე.

პრეზიდენტის მიერ პრემიერ-მინისტრის წარდგენილი კაბინეტის წევრების დანიშვნის აქტი სწორედ რომ კონტრასიგნაციას საჭიროებს. ასეთია კონსტიტუციის მერვე მუხლის რეალიზაციის მექანიზმი, რომლის თანახმადაც პრეზიდენტი ნიშნავს მთავრობის წევრებს და წყვეტს მათი უფლებამოსილებების საკითხს.

კონტრასიგნაციას ექვემდებარება აგრეთვე სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობის პირთა დანიშვნაც. განასხვავებენ ორი სახის თანამდებობებს: 1. უმაღლესი, მაგრამ არასამთავრობო თანამდებობებს, რომლების დანიშვნაც ხდება რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით. ასეთი თანამდებობებია: სა-

<sup>1</sup> უ. საფრანი. აღნიშნული კრებული, გვ. 168.

ხელმწიფო საბჭოს მრჩეველები, ელჩები, პრეფექტები, გენერლები, რექტორები, ცენტრალური ადმინისტრაციული ორგანოების დირექტორები, სააპელაციო სასამართლოს გენერალური პროკურორები; 2. მნიშვნელოვანი თანამდებობები, რომლების დანიშვნაც ხდება პრეზიდენტის დეკრეტით, მინისტრთა საბჭოს ჩაურევლად. მაგალითად, მოსამართლეები, ოფიცრები, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორები.

რაც შეეხება პრემიერ-მინისტრს, ბერი უფლება, რომელიც მას მეოთხე რესპუბლიკაში ჰქონდა მინიჭებული, მეხუთე რესპუბლიკის კონსტიტუციით პრეზიდენტს გადაეცა. როგორც უილიამ საფრანი დაასკენის, პირველ შემთხვევაში პრეზიდენტი დროგამოშვებით ესწრებოდა კაბინეტის სხდომებს, მაგრამ პრემიერი მისი რეალური წამყვანი იყო. ახალ კონსტიტუციაში პრემიერი "მთავრობის მეთაურია", მაგრამ პრეზიდენტი იღებს გადაწყვეტილებებს, პრემიერს კი ფაქტიურად რჩება პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის მეკავშირის როლი. შეიძლება ითქვას, რომ მისი მდგომარეობა გარკვეულწილად ემსგავსება 1982 წლამდე პროვინციის პრეფექტის მდგომარეობას, რომელიც უზრუნველყოფდა კავშირს, ერთი მხრივ, სახელმწიფოს მთავრობასა და, მეორე მხრივ, მერიასა და ქალაქის საბჭოს შორის.<sup>1</sup>

ჩვენი აზრით, აღმასრულებელი ხელისუფლების დუალიზმი მეხუთე რესპუბლიკის ის კონსტიტუციური თავისებურებაა, რომელიც საკონსტიტუციო პროცესის დროს მხარდამჭერი ხმების მოპოვების სანაცვლოდ გარკვეული დათმობების გზით დამკვიდრდა ქვეყნის ძირითად კანონში. გაპრეზიდენტებიდან რამდენიმე წლის შედეგ, მეხუთე რესპუბლიკის "მამა-დამფუძნებელი", გენერალი დე გოლი იტყვის — უმაღლეს ხელისუფლებაში დიარქია არ უნდა იყოსო. დიარქია საფიქრებლად გადაექცათ ფრანგ სწავლულ იურისტებსაც, რაზეც არაერთხელ განუცხადებიათ, მაგრამ, როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში დე გოლს განსხვავებული ხედვა ჩამოუყალიბდა და რამდენადაც პრეზიდენტმა საჯაროდ უარყო ხელისუფლების დანაწილების სისტემა ორ თანაბარუფლებიან ხელმძღვანელს შორის სახელმწიფოს სათავეში, გამოსავალიც თავადვე გამოძებნა: საპარლამენტო უმრავლესობით მხარდამჭერილ პრემიერ-მინისტრსა და

<sup>1</sup> იქვე, გვ. 169.

მთავრობას საშინაო საქმეების ფრონტი განუსაზღვრა სამოქმედოდ, ხოლო სხვა მხრივ პრეზიდენტმა უფრო მეტი უფლებები მოითხოვა და მიიღო კიდევ, ვიდრე ამის ამოკითხვა კონსტიტუციის ტექსტიდან შეიძლებოდა.

პრეზიდენტის უფლებებისა და რეალური გადაწყვეტილებების ჩამონათვალი იმდენად ვრცელია, რომ "ორწევრა აღმასრულებელი ხელისუფლება" გარკვეული ხნის მანძილზე, ყოველ შემთხვევაში 1986 წლამდე თითქმის მითად მიიჩნეოდა, აღნიშნავს უ. საფრანი.<sup>1</sup> კონსტიტუცია გარკვეულ დამოუკიდებლობას აძლევს პრემიერ-მინისტრს, დანიშნის შემდეგ თეორიულად მხოლოდ ეროვნულ კრებას შეუძლია მისი განთავისუფლება. მეტიც, კონსტიტუციის მიხედვით, პრემიერს მინიჭებული აქვს უფლებების და პასუხისმგებლობის საკმაო რაოდენობა. მან უნდა წარმართოს სამთავრობო კანონპროექტების შექმნა და მიაღვენოს თვალი მათ გატარებას პარლამენტში, მაგრამ ეს საქმე გაიოლებულია პარლამენტის მოკლე სესიებით, მთავრობის კონტროლით დღის წესრიგზე და პრეზიდენტის მხრიდან პარლამენტის დაშლის შესაძლებლობებით. პრემიერი ამზადებს ბიუჯეტის კანონპროექტს, იცავს მთავრობის პოლიტიკას პარლამენტში და პასუხობს დეპუტატთა შეკითხვებს. პრემიერი, ისევე როგორც სხვა მინისტრები, ზედამხედველობას უწევს სამინისტროების და დეპარტამენტების მუშაობას. იგი აგრეთვე გამოსცემს დადგენილებებს სამინისტროებისათვის, მაგრამ პრეზიდენტს შეუძლია მათ ვეტო დაადოს. გარდა ამისა, პრემიერის კონტროლს სამინისტროებზე ზღუდავს ის ფაქტი, რომ პრეზიდენტი შეიძლება პირადად ჩაერიოს სამინისტროების მუშაობაში ან მხედველობაში არ მიიღოს კაბინეტის რეკომენდაციები.

ზოგიერთ საგანგებო ვითარებასთან დაკავშირებულ საკითხთა სფეროში უნდა აღინიშნოს, რომ მეხუთე რესპუბლიკაში სახელმწიფო რეჟიმს ახასიათებს ერთი თავისებურება, რითაც განსხვავდება მესამე და მეოთხე რესპუბლიკების რეჟიმებისაგან. ეს არის 1958 წლის კონსტიტუციის მე-16 მუხლით გათვალისწინებული "კრიზისული მდგომარეობა", როდესაც სახელმწიფოს მეთაური ჩვეულებრივ უფლებებთან ერთად იძენს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას, მკვეთრად იცვლება მისი სამართლებრივი მდგომარეობა და ურთი-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 169-170.

ერთობა ხელისუფლების სხვა ორგანოებთან და, როგორც ამბობენ, ფაქტობრივად იგი ახორციელებს "დროებით დიქტატურას".

საგანგებო უფლებამოსილების განხორციელება, პოლიტიკური თვალსაზრისით, ერთ-ერთი ძირითადი და საკმაოდ საშიში უფლებაა, რომელიც არ საჭიროებს კონტრასიგნაციას. მისი დაწესება ფრანგი იურისტების კრიტიკული მსჯელობის საგნად იქცა. მათი უმეტესი ნაწილი თვლიდა, რომ კონსტიტუციის მე-16 მუხლი სახელმწიფოს მეთაურს უფლებას აძლევდა ერთპიროვნულად ემართა სახელმწიფო, მისი სურვილისამებრ შეეცვალა მთავრობა და პარლამენტი. ნაწილი მეცნიერებისა გამოთქვამდა შემოფოთებას იმის თაობაზე, რომ მე-16 მუხლი დასაშვებია გამოყენებულ იქნეს დემოკრატიის წინააღმდეგ. ხშირად ისმებოდა წინადადებები მისი შეცვლის შესახებ, მაგრამ წარუმატებლად.

კონსტიტუციის მე-16 მუხლში კონკრეტულადაა მითითებული ის გარემოებები, რომელთა დადგომაც უფლებამოსილს ხდის პრეზიდენტს გამოიყენოს საგანგებო უფლებამოსილებანი. კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ "როდესაც რესპუბლიკის დადგენილებანი, ერის დამოუკიდებლობა, ტერიტორიის მთლიანობა ან საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულება აღმოჩნდება სერიოზული და უშუალო საშიშროების წინაშე, დაირღვევა კონსტიტუციური სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ნორმალური ფუნქციონირება", რესპუბლიკის პრეზიდენტი ახორციელებს შექმნილი მდგომარეობით ნაკარნახევ ღონისძიებებს. აქვე აღნიშნულია, რომ პრეზიდენტი ატარებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ოფიციალურ კონსულტაციებს პრემიერ-მინისტრთან, პარლამენტის პალატების თავმჯდომარეებთან და საკონსტიტუციო საბჭოსთან.

ფრანგი იურისტების აზრით, კონსტიტუციური სამართლის კუთხით მე-16 მუხლი საკმაოდ საშიშ განსაკუთრებულობას წარმოადგენს, რადგან საგანგებო მდგომარეობის დაწესების გამომწვევი გარემოებები საკმაოდ არასრულყოფილადაა განსაზღვრული. ამასთან, საკითხი ნამდვილად არსებობს თუ არა ასეთი გარემოება, წყდება ერთპიროვნულად პრეზიდენტის მიერ. მისი კონსულტაციები პრემიერ-მინისტრთან, პარლამენტის პალატების თავმჯდომარეებთან და საკონსტიტუციო საბჭოსთან ფორმალურ ხასიათს ატარებს და

მათ არ გააჩნიათ სავალდებულო ხასიათი. პრეზიდენტის გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება.<sup>1</sup>

საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის, გენერალ შარლ დე გოლის შეხედულებები კონსტიტუციის მე-16 მუხლის მიმართ ერთმნიშვნელოვნად დადებითი იყო. მისი აზრით, სახელმწიფოსათვის "კრიზისულ ვითარებაში" საპრეზიდენტო დიქტატურის დაწესება ქვეყანას დაღუპვისაგან იხსნიდა და უმოკლეს ვადებში უზრუნველყოფდა კონსტიტუციური სახელმწიფო ხელისუფლების მიერ თავისი ფუნქციების სრულყოფილად შესრულებას.

კონსტიტუციის მე-16 მუხლის გამოყენება ცვლის სახელმწიფოს მეთაურის სამართლებრივ მდგომარეობას, იგი ლეგალურად ხდება უმაღლესი ხელისუფალი, რომელიც იღებს ყველა ზომას კრიზისის დასაძლევად. ეს კი, თავის მხრივ, ცვლის მთავრობისა და პარლამენტის როლს, გარკვეულწილად, შეიძლება ითქვას, რომ აქვეითებს კიდევაც მათ სამართლებრივ მდგომარეობას.

იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა და პალატები ვერ ასრულებენ დაკისრებულ ფუნქციებს, პრეზიდენტი უფლებამოსილია მათ ნაცვლად მიიღოს გადაწყვეტილებანი საკანონმდებლო სფეროში.

ამას გარდა, პრეზიდენტს შეუძლია გადააყენოს მთავრობა და თვითონ განახორციელოს ადმინისტრაციული ხელისუფლების ფუნქციები.

მე-16 მუხლის გამოყენების პერიოდში პრეზიდენტის მიერ მიღებული აქტების კონტროლი მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ პრეზიდენტი კონსულტაციებს ატარებს საკონსტიტუციო საბჭოსთან, თუმცა გადაწყვეტილების მიღებისას ამ უკანასკნელის აზრის გათვალისწინება არ არის სავალდებულო პრეზიდენტისათვის.

რაც შეეხება საგანგებო მდგომარეობის ხანგრძლივობის საკითხს, კონსტიტუციის მე-16 მუხლი მკაფიოდ არ განსაზღვრავს პრეზიდენტის მიერ საგანგებო უფლებამოსილებების გამოყენების ვადას და მისი გაუქმების წესს. ფრანგი იურისტების მოსაზრებით, მე-16 მუხლში მითითებული გარემოებების პირობების შეცვლა ავტომატურად იწვევს პრეზიდენტის მიერ საგანგებო უფლებამოსილებების მოხსნას. ეს ხდება მას შემდეგ, როდესაც აღდგება კონსტიტუციური ხელისუფლების ორგანოების ნორმალური ფუნქციონირება.

<sup>1</sup> А. Демишель, Ф. Демишель, М. Пикемаль. Институты и власть во Франции. Москва, "Прогресс", 1977, стр. 78.

ამგვარად, ყოველივე აღნიშნული იმის ნათელი დადასტურებაა, რომ პრეზიდენტი ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს საფრანგეთის სახელმწიფო მმართველობის სისტემაში. მისი უფლებამოსილებაანი სახელმწიფოს მართვის ნებისმიერ სფეროში საკმაოდ ფართოა. იგი გვევლინება როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი და იმავდროულად, ფლობს საკანონმდებლო უფლება-მოსილებასაც. შეგვიძლია ვთქვათ, რომ პრეზიდენტი საფრანგეთში ფაქტობრივად სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველია.

## თავი მეოთხე. საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობა

### 4-1. მთავრობის სამართლებრივი ბუნება

საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკის ცენტრალური ორგანოები ფორმალურად საპარლამენტო რესპუბლიკის მაგალითზეა აგებული, მაგრამ საბოლოო სახით, ისინი შერეული სისტემის – ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკისათვის დამახასიათებელი თავისებურებებით გაჯერდა. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აღმასრულებელი ორგანოების სამართლებრივი ბუნება. წინა თავში ჩვენ პრეზიდენტის სამართლებრივ ბუნებაზე გვექონდა საუბარი. და რამდენადაც საფრანგეთის მთავრობა სწორედ პრეზიდენტთან ერთად წარმოადგენს აღმასრულებელ ხელისუფლებას, ჩვენი წარმოდგენა სრული არ იქნება, თუ მთავრობის ბუნებას პირველ რიგში ცალკე, ხოლო შემდეგ პრეზიდენტთან მიმართებაში არ განვიხილავთ.

მთავრობის სამართლებრივ ბუნებას ეხება საფრანგეთის კონსტიტუციის მესამე თავი, რომლის თანახმად მთავრობა განსაზღვრავს და ახორციელებს ქვეყნის პოლიტიკას, მას ემორჩილებიან ადმინისტრაციული ორგანოები და შეიარაღებული ძალები.

მთავრობის საქმიანობას ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი. იგი პასუხს აგებს ეროვნული თავდაცვისათვის, ნიშნავს სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობის პირებს, უზრუნველყოფს კანონების შესრულებას. პრემიერ-მინისტრს შეუძლია ზოგიერთი თავისი უფლებამოსილების დელეგირება მოახდინოს მინისტრებსზე. მათ ურთიერთობაში კი მოქმედებს კონტრასიგნაციის მექანიზმი, როცა პრემიერ-მინისტრის აქტებს, რა თქმა უნდა, ამის საჭიროებისას, ხელს აწერენ მინისტრები, რომელთაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა აღ-



ნიშნული აქტების შესრულებაზე. ამასთან, ისიც საყურადღებოა, რომ მთავრობის წევრის ფუნქციები შეუთავსებელია პარლამენტის წევრის მანდატთან. პრემიერ-მინისტრი უძღვება მინისტრთა კაბინეტის საქმიანობას, ხოლო პრეზიდენტის დავალებით, მინისტრთა კაბინეტის და ეროვნული თავდაცვის უმაღლესი საბჭოს სხდომებს. პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებათა ამ რთულ ხლართებში ყველაფერი გასაგები მაშინ გახდება, როცა მთავრობის სტრუქტურას გავეცნობით დეტალურად.

პრეზიდენტთან ურთიერთობაში უფლებამოსილებათა ერთგვარი გადანაწილება აღმასრულებელი ხელისუფლების წარმმართველ ორ სუბიექტს შორის ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის დამახასიათებელი თავისებურებაა და იმთავითვე განსაკუთრებული განსჯის საგანი გახდა. ახლა კი თანამედროვე საფრანგეთის მთავრობის სამართლებრივი ბუნების მეორე მხარე წარმოაჩინა.

დავიწყოთ იმით, რომ საფრანგეთში გამოცხადებულია პარლამენტის წინაშე მთავრობის პასუხისმგებლობის პრინციპი, მაგრამ იგი იმდენი დათქმებითაა შეზღუდული, რომ ფაქტობრივად მისი განხორციელება შეუძლებელია.

როგორც მ. კრუტოგოლოვი აღნიშნავს, თვით კონსტიტუციის ტექსტში გამოსჭვივის იდეა მთავრობის ორ მეთაურზე თუ არა, ყოველ შემთხვევაში, იმის თაობაზე, რომ პრემიერ-მინისტრი არ გახლავთ მისი ერთადერთი მეთაური. სწორედ ამან მისცა საფუძველი ფრანგ იურისტებს მეხუთე რესპუბლიკის პირველ წლებში გამოთქვით მოსაზრება დიარქიის შესახებ მთავრობის ხელმძღვანელობაში.<sup>1</sup>

პირველ წლებში, იმიტომ ითქვა, რომ შემდგომ ნათელ გახდა პრეზიდენტის უფლებრივი პრიმატი.

1975 წელს მეხუთე რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი და დეგოლის საკონსტიტუციო თანაავტორი მ. დებრე წერილში "პრეზიდენტიალიზმი და ასამბლეის რეჟიმი",<sup>2</sup> განიხილავს კონსტიტუციური ნორმების ორმაგი განმარტების შესაძლებლობებს პრეზიდენტიალიზმისა და პარლამენტარიზმის თანაარსებობის პირობებში. თუმცა მ. დებრე, კონსტიტუციის შემოქმედისა და პირველი რეალიზატორიც, უფრო ორმაგ გამოყენებაზე საუბრობს, ვიდრე განმარტებაზე.

<sup>1</sup> მ. ა. კრუტოგოლოვის აღნიშნული ნაშრომი, გვ. 229.

<sup>2</sup> Le Monde, 1975, 6 Juin.

მ. დებრეს აზრით, პირველი გამოყენების მიხედვით, პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის დადგენილია უფლებათა დანაწილება. პრეზიდენტი ინარჩუნებს უპირატესობას, რომელიც მომდინარეობს მისი კონსტიტუციური უფლებებიდან და განმტკიცებულია საყოველთაო არჩევნების განსაკუთრებული ლეგიტიმურობით. მაგრამ პრემიერ-მინისტრს მოქმედებათა თავისუფლება გააჩნია მთავრობის ხელმძღვანელობის, ადმინისტრაციაზე გავლენის, საპარლამენტო საქმიანობაზე ხელმძღვანელობის და საჯარო საქმეთა მიმდინარეობის საკითხებში.

გამოყენების მეორე ტიპის მიხედვით, მთავრობა მხოლოდ პრეზიდენტის აზრისა და ქმედებათა გამოსახულებაა, მმართველობის ამოცანების შემსრულებელი ჯგუფი და მეტწილ გადამწონი ღვედია ზევით მიღებულ გადაწყვეტილებებსა და საპარლამენტო ასამბლეებს, ან საზოგადოებრივ აზრს შორის.

გამოყენების ეს ორი ტიპი შეადგენს კონსტიტუციის ორ "წაკითხვას", ორივე შეესაბამება მას და თავისი განსხვავებულობით იძლევა საშუალებას, როგორც აღნიშნავს მ. დებრე, ჩვენი ფუძემდებლური ნორმები მიუხედავად სხვადასხვა ვითარებებსა და ადამიანებს. ამიტომაც, რამდენიმე წლის მანძილზე უპირატესობა ეძლეოდა მეორე ტიპს.<sup>1</sup>

როგორც ჩანს, "განმარტების" წაკითხვაცა და "გამოყენებაც" დროის ფაქტორზე და იმ პოლიტიკურ კლიმატზეა დამოკიდებული, რომელიც დრომ მოიტანა. აქ, რა თქმა უნდა, მთავარია ვის და როგორ მოერგება მოდელის თარგი. ასეთი შენიშვნა დე გოლის მემკვიდრეებს შეეხება და მათმა მოღვაწეობამ განაპირობა.

ფრანგ იურისტთა აზრი იმის თაობაზე, რომ საფრანგეთის მთავრობა საპარლამენტო ტიპის სახელმწიფოს მთავრობას წარმოადგენს, ბოლო ხანებში ყოველმხრივ გაისინჯა და დადასტურდა. საქმე ის არის, რომ მთავრობა მჭიდროდაა დაკავშირებული ეროვნულ კრებასთან. აღნიშნული მოსაზრება კი იმაში რეალიზდება, რომ საფრანგეთის მთავრობის წევრები იმ პარტიის ან პარტიული კოალიციის წარმომადგენლები არიან, რომელსაც ეროვნული კრების ხმათა უმრავლესობა გააჩნია.

<sup>1</sup> იქვე.

სწორედ ამის გამო, ბოლო პერიოდში მთავრობის პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე საერთოდ ფორმალურ ხასიათს იძენს. ასე იყო მაშინაც, როცა პრეზიდენტი სრულძალოვან ფიგურას წარმოადგენდა, ვინაიდან ეროვნული კრების უმრავლესობა პრეზიდენტის პოლიტიკას უჭერდა მხარს. ასე გახდა მას შემდეგაც, როცა უკანასკნელ ხანებში, მაგალითად, მიტერანის პრეზიდენტობის დროს, ეროვნულ კრებაში პოლიტიკურ ძალთა გადანაწილების შედეგად, პრეზიდენტი იძულებული შეიქმნა პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა პარლამენტის უმრავლესობის ინტერესთა წრეში ეძია. ასე რომ, მთავრობის სამართლებრივი ბუნება, რეალიზაციის თვალთახედვით, მნიშვნელოვნად ეროვნულ კრებაში მიმდინარე პოლიტიკურ ძალთა გადანაწილების პროცესს ექვემდებარება.

#### 4-2. მთავრობის სტრუქტურა

მთავრობა კოლექციალურ ორგანოს წარმოადგენს. კონსტიტუციის შესაბამისად, განასხვავებენ მინისტრთა საბჭოს, რომლის შემადგენლობაში შედიან რესპუბლიკის პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, მინისტრები და სახელმწიფო მდივნები, და რომელსაც პრეზიდენტი ან მისი დავალებით პრემიერ-მინისტრი თავმჯდომარეობს, და მინისტრთა კაბინეტს პრემიერ-მინისტრის თავმჯდომარეობით.

მთავრობის სხდომებზე სახელმწიფო მეთაურის თავმჯდომარეობა თანამედროვე კონსტიტუციურ სამართალში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ თუ საპარლამენტო რესპუბლიკაში აღნიშნული აქტი ძირითადად საპატიო ხასიათისაა და არ შეიცავს სახელმწიფოს მეთაურის მხრიდან მთავრობაზე ზეწოლის მოხდენის საშიშროებას, საპრეზიდენტო რესპუბლიკაში სახელმწიფოს მეთაურის ანალოგიური ფუნქცია არ შემოისაზღვრება მხოლოდ მთავრობის სხდომების ფორმალური თავმჯდომარეობით.

საფრანგეთის მინისტრთა საბჭოზე პრეზიდენტის ზეგავლენის რეალური ფარგლების დადგენა თანამედროვე საფრანგეთის კონსტიტუციური სამართლის ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას წარმოადგენს. არადა, მის უმაღლეს ხარისხზე ის ნორმაც მეტყველებს, მინისტრთა საბჭოს სხდომის თავმჯდომარეობის პრემიერ-მინისტრზე დელეგირებას რომ აკანონებს. კერძოდ კი, ამ ნორმის დათქმა იმის თაობაზე, რომ ამგვარი დელეგირება უნდა ატარებდეს ოფიციალურ

ხასიათს და წინასწარ ცნობილი უნდა იყოს კონკრეტულად მინისტრთა საბჭოს აღნიშნული სხდომის დღის წესრიგი.

მინისტრთა საბჭოს სხდომები იწყება წამყვანი მინისტრების ინფორმაციების მოსმენით. ეწყობა დებატები დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე. საბოლოო სიტყვის უფლება კი პრეზიდენტს ეკუთვნის.

სამოციან წლებში საფრანგეთში მინისტრთა საბჭოს სხდომები არ იყო ნაყოფიერი, ხშირად იშლებოდა კიდევაც. ამის მიზეზი გახდა საბჭოს წევრთა საკმაოდ დიდი რაოდენობა, რაც არ ქმნიდა მუშაობის ხელსაყრელ პირობებს. ამიტომ შემოიღეს სხდომებზე დასწრების სავალდებულობა მხოლოდ იმ სახელმწიფო მდივნებისათვის, რომლებიც უშუალოდ მომხსენებლები იყვნენ. დანარჩენებს კი საჭიროებისამებრ მოიწვევდნენ სხდომაზე. ასეთმა ფორმამ საკმაოდ გაააქტიურა მინისტრთა საბჭოს ფუნქციონირება.

მინისტრთა კაბინეტი იურიდიულად ის ორგანოა, რომელიც ამზადებს მასალებს მინისტრთა საბჭოს სხდომებზე მისაღები გადაწყვეტილებებისათვის.

მესამე და მეოთხე რესპუბლიკებში მინისტრთა კაბინეტი საკმაოდ მნიშვნელოვან სამთავრობო ორგანოს წარმოადგენდა, რადგან მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ავტომატურად ამტკიცებდა მინისტრთა საბჭო. მეხუთე რესპუბლიკაში მინისტრთა კაბინეტმა ეს პრეროგატივა დაკარგა, და საერთოდ, უკანასკნელ წლებში მინისტრთა კაბინეტი თანდათანობით კარგავს ფუნქციებს. ეს მოვლენა მ. დიუვერჟეს აზრით, აიხსნება იმით, რომ პრეზიდენტი ატარებს იმავე პოლიტიკურ კურსს, რასაც ეთანხმება მთავრობა და ეროვნული კრების წევრთა უმეტესობა. ამის გამო, იმ ფუნქციების განხორციელება, რაც გააჩნდა მინისტრთა კაბინეტს, თანდათანობით გადავიდა ცალკეული მინისტრების გამგებლობაში და ახლა ისინი წყვეტენ ამა თუ იმ პრობლემის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე განხილვის საკითხს.<sup>1</sup>

მიუხედავად იმისა, რომ მინისტრთა საბჭოს სხდომები ყოველისმომცველ ხასიათს ატარებენ, მათი გადაწყვეტილებები მზადდება საბჭოს წევრთა ვიწრო წრის, ცალკეული ჯგუფების მიერ, როგორცაა სამინისტროთაშორისი საბჭოები. მათი საქმიანობა გარკვეულწილად რეგლამენტირებულია და ისინი იქმნება განსაზღვრული

<sup>1</sup> ვ.პ. სერებრენიკოვის აღნიშნული ნაშრომი, გვ. 197.

ვადით. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი საბჭოების წევრთა რაოდენობა გარკვეულწილად შეზღუდულია /აერთიანებენ მინისტრებს და კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებით დაინტერესებულ სახელმწიფო მდივნებს/, მათი მნიშვნელობა საკმაოდ დიდია და მინისტრთა საბჭო ხშირად იფარგლება სამინისტროთაშორისი საბჭოს რეკომენდაციის უბრალოდ დამტკიცებით.

მეოთხე რესპუბლიკაში ამგვარი საბჭოები იშვიათად იკრიბებოდა, ძირითადად პრეზიდენტის არყოფნის პერიოდში. მეხუთე რესპუბლიკაში კი პირიქით ხდება — პრეზიდენტი სულ უფრო ხშირად თავმჯდომარეობს აღნიშნული საბჭოების სხდომებს, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში სხდომას პრემიერ-მინისტრი უძღვება.

სამინისტროთაშორისი საბჭოს სხდომების დღის წესრიგი დგება პრეზიდენტის შეხედულებისამებრ და იგი მოიცავს ქვეყნის გამგებლობის ნებისმიერ საკითხს, დაწყებული ყოფითი საკითხებით და დამთავრებული საერთაშორისო შეხვედრებით.

სამინისტროთაშორისი საბჭოების მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ ეროვნული თავდაცვის საკითხთა საბჭო და ეკონომიკურ საკითხთა საბჭო. ჩვენი აზრით, სწორედ ამგვარი საბჭოების არსებობამ განაპირობა მინისტრთა კაბინეტის როლის დაკნინება.

მთავრობის საკონსულტაციო ორგანოს თანამდროვე საფრანგეთში წარმოადგენს ეკონომიკური და სოციალური საბჭო, რომლის წინამორბედი — ეროვნული ეკონომიკური საბჭო დაარსებულ იქნა 1925 წელს. 1946 წლის კონსტიტუციამ იგი კონსტიტუციურ ორგანოდ აქცია. 1958 წელს კონსტიტუციამ კი მის კომპეტენციას და სამართლებრივ ბუნებას მეთავე თავი დაუთმო.

საბჭო ახორციელებს საკონსულტაციო საქმიანობას ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში. მისი შემადგენლობა 230 წევრით განისაზღვრება, რომელთაც ხუთი წლის ვადით ნიშნავს მთავრობა. ამასთან, დაცულია პარიტეტულობის პრინციპი, რის შედეგადაც საბჭოს შემადგენლობაში შედიან მეწარმეები, პროფესიული კავშირებისა და სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლები. საბჭო დაყოფილია ცხრა სექტორად, რომელთა სპეციალიზაცია მკვეთრად გამოხეულია ერთმანეთისაგან. აღნიშნული სექტორების საქმიანობის ძირითადი ამოცანაა საბჭოს სხდომების მოსამზადებლად კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციების მოპოვება და დამუშავე-

ბა. საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და იღებს რეგლამენტს საქმიანობის წესების შესახებ.

ეკონომიკური და სოციალური საბჭო არ წარმოადგენს გადაწყვეტილებების მიმღებ ორგანოს. მისი საქმიანობა და კომპეტენცია მხოლოდ საკონსულტაციო ხასიათისაა. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საბჭოსთვის სავალდებულოა დასკვნების მიწოდება სენატისათვის იმ გვემებსა თუ კანონპროექტებზე, რომლებიც ეკონომიკური ან სოციალური ხასიათისაა. მოლიანობაში, უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოს საქმიანობა საკმაოდ პასიურ ხასიათს ატარებს. იგი ორთვიან ვადაში მხოლოდ ორი დღით იკრიბება და მის მიერ წარმოდგენილი დასკვნებიც საკმაოდ მცირეა — არ აღემატება წელიწადში ოც დასკვნას.

თუ მესამე და მეოთხე რესპუბლიკების მთავრობის მეთაური "მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ" იწოდებოდა, 1958 წლის კონსტიტუციამ დააწესა ტერმინი "პრემიერ-მინისტრი". ამ ცვლილებას გარკვეული იურიდიული საფუძველი გააჩნდა, რამდენადაც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობის ფუნქციები კონსტიტუციამ სახელმწიფოს მეთაურს გადასცა.

როგორც აღვნიშნეთ, პრემიერ-მინისტრის დანიშვნა პრეზიდენტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრეროგატივაა. "პრემიერი" განუსაზღვრელი ვადით ინიშნება. და მაინც, ეს "განუსაზღვრელობა" იმ ნორმით არის შემოსაზღვრული, რომ ახალი საპრეზიდენტო არჩევნები პრემიერ-მინისტრის ავტომატურ გადადგომას იწვევენ. ეს პრინციპი კი საფრანგეთში არსებული პოლიტიკური რეჟიმის სპეციფიკიდან გამომდინარეობს, რამდენადაც სახელმწიფოს მეთაურის მიერ განხორციელებული სამთავრობო დანიშვნები მისი საკმაოდ რეალური პრეროგატივაა.

პრემიერ-მინისტრს უფლება აქვს ნებისმიერ დროს განაცხადოს გადადგომის შესახებ. ამის ახსნა შეიძლება ჯანმრთელობის მდგომარეობით, პირადი მოტივებით, პოლიტიკური მოსაზრებებით, აგრეთვე სახელმწიფოს მეთაურთან არსებული სერიოზული უთანხმოებით.

იმ შემთხვევაში, როცა წარმოიშობა გარემოებები, რომლებიც შეუძლებელს ხდის პრემიერ-მინისტრის მიერ თავისი ფუნქციების ნორმალურ განხორციელებას, იგი თავად ნიშნავს თავისი მოვალეობის შემსრულებელს. ეს შეიძლება იყოს ყველაზე უხუცესი ან სამთავრობო საქმიანობის თვალსაზრისით, ყველაზე დიდი გამოცდილე-

ბის მქონე მინისტრი. ასეთი სახის დანიშვნა ფორმდება პრეზიდენტის დეკრეტით. ამასთან, დაცული უნდა იყოს ორი პირობა: შესვენება პრემიერ-მინისტრის მუშაობაში უნდა იყოს ხანმოკლე და მისი მოვალეობის შემსრულებლის საქმიანობა მხოლოდ მიმდინარე საქმეებზე უნდა გავრცელდეს. ხოლო, რაც შეეხება ვაკანსიის შემთხვევას, ახალი პრემიერ-მინისტრი სასწრაფოდ დაინიშნება პრეზიდენტის მიერ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ პრემიერ-მინისტრის ამგვარი "დროებითი რეჟიმი" უკანასკნელ წლებში ფაქტობრივად უარყოფილ იქნა.

1958 წლის კონსტიტუციამ პრემიერ-მინისტრი ისეთი უფლებებით აღჭურვა, რომელთა გატარება მას დამოუკიდებლად, მინისტრებთან შეუთანხმებლად უნდა შეეძლებოდა. ეს იყო ერთგვარი მცდელობა შეექმნათ ე. წ. მინისტრთა იერარქიულობა, რაც რეალურად ვერ განხორციელდა, ვინაიდან თავად კონსტიტუციის 21-ე მუხლი მკაფიოდ მიუთითებდა, რომ პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს არა მთავრობას, არამედ მთავრობის საქმიანობას. გამოდის, რომ პრემიერ-მინისტრის მიერ მთავრობის ხელმძღვანელობა გამოიხატება გადაწყვეტილებათა მომზადებისა და შესრულების ნაწილში, მაგრამ არა თავად გადაწყვეტილებების მიღებაში. ამავდროულად, იგივე 21-ე მუხლი სხვაგვარად ამტკიცებს პრემიერ-მინისტრის ავტორიტეტს მთავრობის სხვა წევრების მიმართ და უფლებამოსილს ხდის გადაჭრას შესაძლო კონფლიქტები მთავრობის წევრებს შორის.<sup>1</sup>

1958 წლის კონსტიტუცია მინისტრებს "მთავრობის წევრებს" უწოდებს. მათ გარდა მთავრობაში შედიან სახელმწიფო მდივნები – სახელმწიფო მნიშვნელობის უწყებების ხელმძღვანელები და სახელმწიფო მინისტრები, რომლებიც მთავრობის კონკრეტულ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ. ფაქტობრივად, სახელმწიფო მინისტრის წოდებით რესპუბლიკის პრეზიდენტის ნდობით აღჭურვილი პირები სარგებლობენ, რომლებიც მის კონკრეტულ დავალებებს ასრულებენ.

როგორც უილიამ საფრანი აღნიშნავს, საფრანგეთის მთავრობაში თანამდებობების და წოდებების რთული იერარქიაა. მინისტრების პორტფელის მნიშვნელობა და პოლიტიკური მდგომარეობა ძლიერ განსხვავებულია. ზუდა საფეხურზე არიან კაბინეტის, ანუ "სრული" მინისტრები, მათ შორის თავდაცვის, ფინანსთა, საგარეო საქმეთა,

<sup>1</sup> აღნიშნული რუსულ-ფრანგული სერიის მასალა №8, გვ. 63

იუსტიციის, შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრები. გარკვეულ შემთხვევაში "სრულ" მინისტრს შეიძლება მიენიჭოს სახელმწიფო მინისტრის წოდება, რაც ასახავს მის განსაკუთრებულ მამართლებას პრეზიდენტთან ან პრემიერთან.

"სრული" მინისტრების შემდეგ მოდიან უმცროსი მინისტრები (დელეგირებული მინისტრები და სახელმწიფო მდივნები), რომლებიც კაბინეტში არ შედიან და, ჩვეულებრივ, პრემიერს ან რომელიმე მინისტრს ექვემდებარებიან.<sup>1</sup>

თუ ადმინისტრაციული თვალსაზრისით, თითოეული მინისტრი სარგებლობს ე. წ. "ოპერატიული თავისუფლებით", რაც ვრცელდება კონკრეტულად მათი კომპეტენციის ჩარჩოებს შიგნით, პოლიტიკური თვალსაზრისით, მინისტრი ვალდებულია დაემორჩილოს მთლიანობაში მთავრობის მიერ დაკავებულ პოზიციას. აქ მოქმედებს პოლიტიკური პასუხისმგებლობის პრინციპი. მინისტრი პასუხისმგებელია მთავრობის მიერ გატარებულ პოლიტიკაზე, უნდა დაემორჩილოს მას, თუ არა — უნდა გადადგეს.

საფრანგეთის კაბინეტი სწორედ პოლიტიკური პასუხისმგებლობის პრინციპით მოქმედებს. ეს ნიშნავს, რომ ინდივიდუალური წევრები სახალხოდ უნდა დაეთანხმონ კაბინეტის საერთო პოზიციას ყველა საკითხზე. ეს პრინციპი ხშირად ირღვეოდა მეოთხე რესპუბლიკაში, სადაც კაბინეტი განსხვავებული პოლიტიკური ძალების კოალიციებს წარმოადგენდა და პარტიები მოითხოვდნენ თავიანთი წარმომადგენლებისაგან პარტიული პოზიციის გატარებას. მინისტრები ხანდახან დაინტერესებულნი იყვნენ უთანხმოების გაღვივებაში, რადგან კაბინეტის გადადგომის შემთხვევაში ისინი პარლამენტში ბრუნდებოდნენ და კვლავ პოსტის მიღების იმედი ჰქონდათ შემდგომი კაბინეტის ფორმირებისას. სწორედ ამიტომ, მეხუთე რესპუბლიკაში გადამდგარ მინისტრს აეკრძალა პარლამენტში დაბრუნება და იგი უფრო "უფრთხილდება" კაბინეტს, თუმცა ეს არ გამოიცხავს პერიოდულ უთანხმოებას კაბინეტის შიგნით.

თითოეული მინისტრი თავის ირგვლივ იკრებს თანამშრომლების ჯგუფს, რომლებიც მასთან დაკავშირებული არიან პოლიტიკური საქმიანობით. მინისტრის გადადგომა იწვევს მისი პირადი კაბინეტის დაშლას. თავის მხრივ, მინისტრის კაბინეტი აგებულია იე-

<sup>1</sup> უ. საფრანი. აღნიშნული კრებული, გვ. 177-178.



რარქიულობის პრინციპების დაცვით და თავის საქმიანობას ორი მიმართულებით ასორციელებს: ა/ურთიერთობები სამინისტროს გარეთ არსებულ ორგანოებთან /კორესპონდენციის მიღება, გარჩევა, მნახველთა მიღება, ურთიერთობა პარლამენტთან და ა. შ/ და ბ/ურთიერთობები სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სამსახურებთან.

კონსტიტუცია არ ზღუდავს სამინისტროთა რაოდენობას, რითაც უტოვებს პრემიერ-მინისტრს უფლებას შექმნას ახალი სამინისტროები. მეხუთე რესპულიკის პირველი წლებიდან დღემდე მთავრობის რაოდენობრივი შემადგენლობა თითქმის განუსრელად იზრდებოდა.

1958 წელს, როცა დე გოლი დროებით დაინიშნა პრემიერად, 24 მინისტრი იყო, ხოლო 1988 წელს, როკარის პრემიერობისას – 49. მინისტრთა პოსტების შექმნა და პორტფელების დარიგება შესაბამისი პერიოდის პრობლემებსა და საჭიროებებს ასახავს.<sup>1</sup>

### 4-3. მთავრობის ფორმირების წესი

მთავრობის დანიშვნა ხორციელდება სახელმწიფოს მეთაურის მიერ საკმაოდ რთული პროცედურის დაცვით. პრეზიდენტი შეარჩევს და ნიშნავს პრემიერ-მინისტრს. ამ დროს იგი ითვალისწინებს პარლამენტში პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობას, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში შეუზღუდავია.

პრემიერ-მინისტრი შეარჩევს მინისტრებისა და სახელმწიფო მდივნების კანდიდატურებს და დასამტკიცებლად წარუდგენს პრეზიდენტს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საპარლამენტო რესპუბლიკაში სახელმწიფოს მეთაური ვალდებულია დანიშნოს მინისტრებად პრემიერ-მინისტრის მიერ შეთავაზებული კანდიდატურები. პრეზიდენტის პირად შეხედულებებს შეთავაზებული კანდიდატურების მიმართ, იურიდიული თვალსაზრისით, მნიშვნელობა არ აქვს.

აღნიშნული დებულების ირგვლივ არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც. მაგალითად, ფრანგი იურისტი ჟ. ბიურდო კონსტიტუციურ ნორმას პრეზიდენტის მიერ პრემიერ-მინისტრისაგან წარმოდგენილი კანდიდატურების დამტკიცების შესახებ თავისებურად განმარტავს. მას მიაჩნია, რომ მთავრობის დაკომპლექტებისას პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის უნდა არსებობდეს თანხმო-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 176

ბა მინისტრთა კანდიდატურების ირგვლივ. ამიტომ, მისი აზრით, მთავრობა პრაქტიკულად ყალიბდება პრეზიდენტის გადაწყვეტილებით.<sup>1</sup>

მეხუთე რესპუბლიკაში, კონსტიტუციის ძალით, მთავრობა იურიდიულად არსებობს მისი დანიშვნის მომენტიდან. იგი არ საჭიროებს ეროვნული კრებისგან თანხმობის მიღებას. მიუხედავად ამისა, მთავრობის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი პირობაა ეროვნული კრების ნდობა, რომლის მოსაპოვებლად ახლად დანიშნული მთავრობა მართავს საპარლამენტო დებატებს სამთავრობო პროგრამის ირგვლივ.

ნდობის საკითხზე კენჭისყრისას მთავრობა შეიძლება გადაყენებულ იქნეს, თუ მის წინააღმდეგ ხმა მისცა კენჭისყრაში მონაწილე დეპუტატთა უმრავლესობამ.

მთავრობის წევრის ფუნქციები შეუთავსებელია საქმიანობის სხვა ფორმებთან. კონსტიტუციის 23-ე მუხლი უკრძალავს მთავრობის წევრებს პრაქტიკულად ნებისმიერ საქმიანობას, რაც არ უკავშირდება მინისტრის ფუნქციებს. მთავრობის წევრს უფლება არა აქვს იყოს საკონსტიტუციო, ეკონომიკური და სოციალური საბჭოს წევრი. მაგრამ, პირველ რიგში, შეუთავსებლობა მიმართულია საპარლამენტო მანდატის მიმართ. ამგვარი აკრძალვა არ არსებობდა მესამე და მეოთხე რესპუბლიკებში, იგი დააწესა 1958 წლის კონსტიტუციამ. ეს, მ. დიუვერჟეს აზრით, იმით აიხსნება, რომ აღნიშნული შეზღუდვა მიმართულია “საპარლამენტო ზნეობის გარდაქმნისაკენ”. მისი თქმით, 1958 წლამდე მთელი საპარლამენტო ცხოვრება მიმართული იყო დაუოკებელი მისწრაფებებით მინისტრობისაკენ. იმის გადაწყვეტამ, რომ პარლამენტარი არ შეიძლება იყოს მინისტრი, რადიკალურად შეცვალა წარმოდგენა პარლამენტზე.<sup>2</sup>

თუ დეპუტატი ან სენატორი მთავრობის წევრად დაინიშნა, მან ერთთვის ვადაში უნდა აირჩიოს საპარლამენტო მანდატი ან მინისტრის პოსტი. დეპუტატის და სენატორის არჩევასთან ერთად ხდება მისი, მოადგილედ წოდებულ, ე. წ. “დუბლიორის” არჩევაც, რომელიც პარლამენტარის მთავრობის წევრად დანიშვნის შემთხვევაში იკავებს მის ადგილს პარლამენტში. არჩევნების მაჟორიტარული სისტემის დროს “დუბლიორის” შერჩევა ხდება არჩევნების ჩატარების მომენტისათვის ოკავად კანდიდატის მიერ. “დუბლიორის” სახე-

<sup>1</sup> ვ. პ. სერებრენიკოვის აღნიშნული ნაშრომი, გვ. 106

<sup>2</sup> იქვე, გვ. 108.

ლი წერილი ასობით ფიგურირებს ბიულეტენში კანდიდატის გვერდით. პროპორციული სისტემის დროს ადგილმონაცვლეობა უზრუნველყოფილია იმ კანდიდატის მიერ, რომლის გვარიც საარჩევნო სიაში არჩეული კანდიდატის შემდეგაა განთავსებული.

იმის გამო, რომ შეუთავსებლობა არ გულისხმობს აურჩევლობას, მთავრობის წევრს უფლება აქვს წამოაყენოს თავისი კანდიდატურა საპარლამენტო არჩევნებში. პარლამენტში არჩევის შემთხვევაში იგი ვალდებულია გააკეთოს არჩევანი პარლამენტარის მანდატსა და მინისტრის პოსტს შორის, თუ კვლავაც დადგება საკითხი მისი მინისტრად დანიშვნასთან დაკავშირებით.

1958 წლის კონსტიტუციის ერთგვარ სიახლეს წარმოადგენს მთავრობის წევრთათვის კერძო პროფესიული საქმიანობის აკრძალვა. ეს აკრძალვა დაწესდა იმისათვის, რათა ბოლო მოღებოდა მთავრობის წევრის მიერ თავისი პროფესიის ბოროტად გამოყენებას. საქმე ეხებოდა ძირითადად ადვოკატის პროფესიას. ზოგიერთი მინისტრი-ადვოკატი აგრძელებდა თავის საადვოკატო პრაქტიკას მასშინაც, როცა იგი მთავრობის წევრი იყო. ეს უკანასკნელი კი დაუშვებელი მორალური ზეგავლენის გამოძწევვ საფუძველს წარმოადგენდა.

რადგან მთავრობის ფორმირებასთან დაკავშირებულ ამ გარკვეულწილად ნეგატიურ მხარეს შევხებით, ცალმხრივი წარმოდგენა რომ არ შეგვექმნას, ალბათ ისიც უნდა ვთქვათ, რომ საფრანგეთში, აშშ-საგან განსხვავებით, ძნელია ძირითადად დიდი ბიზნესმენებისაგან დაკომპლექტებული მთავრობის წარმოდგენა. ტიპური ფრანგულ კაბინეტში უნივერსიტეტის და ლიცეუმის პროფესორებისა და ინტელექტუალების საკმაოდ მაღალი პროცენტია, რაც, თავის მხრივ, წარმოუდგენელი იქნებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში.<sup>1</sup>

გადადგომის შემთხვევაში მთავრობის ყოფილი წევრები უფლებამოსილნი არიან დაიკავონ ძველი თანამდებობა, მაგრამ, როგორც ითქვა, ეს არ ეხება დეპუტატის ძველი მანდატის დაბრუნებას. და, ამას გარდა, გარკვეული შეზღუდვით ვრცელდება ხელმძღვანელ პოსტებზე იმ დაწესებულებებში, რომლებიც სახელმწიფო დოტაციას იღებენ. ყოფილ მინისტრებს ასეთ თანამდებობებზე დაბრუნება შეუძლიათ გადადგომიდან არაუადრეს 6 თვისა.

<sup>1</sup> უ. საფრანი. აღნიშნული კრებული გვ. 177.

კონსტიტუციის მე-8 მუხლი ითვალისწინებს, რომ პრეზიდენტი წყვეტს პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებას ამ უკანასკნელის მიერ მთავრობის გადადგომის შესახებ განცხადების შეტანის გამო. მთავრობის სხვა წევრთა გათავისუფლება ხდება პრემიერ-მინისტრის წინადადებით.

საპარლამენტო ტრადიციების თანახმად, პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ უნდა უკავშირდებოდეს ან ეროვნული კრების მიერ მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადებას, ან ეროვნულ კრებაში კენჭისყრისას სამთავრობო კანონპროექტის თუ პროგრამის წარუმატებლობას.

პრეზიდენტს შეუძლია მთავრობის გადადგომის თავიდან აცილება, თუ ეროვნული კრების მიმართ გამოიყენებს დათხოვნის მუქარას. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ ფაქტს მხოლოდ რამდენიმეჯერ ჰქონდა ადგილი.

კონსტიტუციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე, პრეზიდენტს არ შეუძლია პრემიერ-მინისტრის განთავისუფლება, თუ ეს უკანასკნელი სარგებლობს ეროვნული კრების ნდობით და მხარდაჭერით.

მთავრობის გადადგომის სფეროში 1958 წლის კონსტიტუციამ განაგრძო მმართველობის საპარლამენტო ფორმისთვის დამახასიათებელი ტრადიციული ნორმები. ეს ნორმები შეგვიძლია მოკლედ ასე ჩამოვაყალიბოთ: სახელმწიფოს მეთაურს არა აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილება მთავრობის გადადგომის შესახებ, ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ ეროვნული კრების მიერ მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში. პრეზიდენტს უფლება აქვს ინდივიდუალურად გამოიწვიოს რომელიმე მინისტრი მხოლოდ პრემიერ-მინისტრის წინადადების საფუძველზე. ეს წარმოადგენს გამონაკლისს მთავრობის კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპიდან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ანალოგიური პრაქტიკა დაშვებულია მმართველობის საპარლამენტო სისტემის მთელ რიგ ქვეყნებში.

1958 წლიდან მოყოლებული, წინა რესპუბლიკების სამთავრობო არასტაბილურობასთან შედარებით, მეხუთე რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრებმა თანამდებობაზე ყოფნის გასაოცარი ხანგრძლივობის მაგალითები გვიჩვენეს. ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ მათ პირად დამსახურებას არ შეიძლება მიეწეროს. აქ, უსათუოდ, მნიშვნელოვანია პრეზიდენტთა კეთილმოწყობის ფაქტორი. და საერთოდ, არა მხოლოდ პრემიერ-მინისტრებთან დაკავშირებით, პრეზიდენტები ან-

გარიშს უწევდნენ ეროვნული კრების შემადგენლობას და ცდილობდნენ კაბინეტში აესახათ პოლიტიკურ ძალთა რეალური თანაფარდობა. მეორე მხრივ, რამდენადაც პრეზიდენტს პარლამენტის დაშლის და კაბინეტის დათხოვნის უფლება ერთობლივად გააჩნია, მთავრობის წევრები ყოველთვის საკმაოდ დამოკიდებულ მდგომარეობაში არიან.

მესამე და მეოთხე რესპუბლიკასთან შედარებით, მეხუთე რესპუბლიკას კაბინეტის მეტი სტაბილობა ახასიათებს, მაგრამ ეს სტაბილობაც საკმაოდ პირობითია. მაშინ, როცა 1958-95 წწ. საფრანგეთში მხოლოდ ხუთი პრეზიდენტი იყო, გამოიცვალა 12 პრემიერი და 23 კაბინეტი. გარდა ამისა, თითოეულ კაბინეტში ხშირად ხდებოდა ცვლილებები ან მინისტრების გადაყვანა ერთი სფეროს ხელმძღვანელობიდან მეორეში. არცთუ იშვიათად მინისტრები პოსტებს ტოვებდნენ პრეზიდენტთან უთანხმოების გამო.

#### 4-4. პრემიერ-მინისტრისა და მინისტრების უფლებამოსილება

როგორც კოლეციალურ ორგანოს, მთავრობას არ გააჩნია საკუთარი უფლებამოსილებები, რადგან მისი ყველა კოლექტიური გადაწყვეტილების მიღება ხდება მინისტრთა საბჭოში, სადაც თავმჯდომარეობს პრეზიდენტი. მინისტრთა კაბინეტი და სამინისტროთაშორისი საბჭოები გადაწყვეტილებებს არ იღებენ და მინისტრთა საბჭოსათვის მასალების მომამზადებელ ორგანოებს წარმოადგენენ. მხოლოდ პრემიერ-მინისტრსა და მინისტრებს გააჩნიათ საპეციალური ნორმატიული აქტების საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილებები, რომელთა განხორციელება შეუძლიათ პრეზიდენტის თანხმობის გარეშე. მათ შორის აღსანიშნავია მარეგლამენტირებელი, კანონების მიღებასთან დაკავშირებული და კანონთა შესრულებასთან დაკავშირებული უფლებამოსილებანი.

მარეგლამენტირებელი უფლებამოსილების ცნება მეხუთე რესპუბლიკის კონსტიტუციამ განსაზღვრა როგორც სამართლებრივი ნორმების ავტონომიური დეკრეტებით დადგენის მთავრობის აღიარებული უფლება, რაც არ უნდა წარმოადგენდეს პარლამენტის კომპეტენციას.

პრემიერ-მინისტრს თავისი დეკრეტებით უფლება აქვს აწარმოოს მარეგლამენტირებელი საქმიანობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს დეკრეტები უნდა წარმოადგენდნენ ე. წ. "მარტივ დეკრეტებს", რომლებიც არ საჭიროებენ მინისტრთა საბჭოს განხილვას.

კონსტიტუციის 34-ე მუხლით დადგენილ ჩარჩოებში პარლამენტს შეუძლია შემოიზღუდოს ზოგადი პრინციპების დადგენით და გადასცეს პრემიერ-მინისტრს მარეგლამენტირებელი ლეკრეტებით კანონის ძირითადი დებულებების დაზუსტების უფლება.

კონსტიტუციის 21-ე მუხლის თანახმად, პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს მთავრობის საქმიანობას. აქ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ მინისტრთა საბჭოს სხდომებს პრეზიდენტი თავმჯდომარეობს. ამითაა გამოწვეული ის ვითარება, რომ პრემიერ-მინისტრი დამოკიდებულია იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც ლებულობს მინისტრთა საბჭო. მ. დიუვერჟეს აზრით, იგი ხელმძღვანელობს მთავრობის საქმიანობას “იმ გადაწყვეტილებათა ჩარჩოებში, რომლებიც მიღებულ იქნა მინისტრთა საბჭოს სხდომებზე პრეზიდენტის თავმჯდომარეობით”.<sup>1</sup>

მთავრობის საქმიანობის ხელმძღვანელობისათვის პრემიერ-მინისტრს შეუძლია გარკვეული უფლებების გამოყენება. მაგალითად, უარი განაცხადოს დეკრეტის იმ პროექტზე ხელმოწერაზე, რომელიც კონკრეტულ სამინისტროებს ეხება. ამით მას შეუძლია თავის გადაწყვეტილებას დაუმორჩილოს შესაბამისი სამინისტროების ხელმძღვანელობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კონფლიქტები პრემიერ-მინისტრსა და მთავრობის სხვა წევრებს შორის იშვიათი მოვლენაა.

პრემიერ-მინისტრის პირად უფლებამოსილებებს მიეკუთვნება უფლება დაესწროს და გამოვიდეს პარლამენტის პალატების სხდომებზე. მას შეუძლია მოითხოვოს პარლამენტის რეგარეშე სესიის მოწვევა. ეროვნულ კრებასა და სენატს შორის უთანხმოების წამოჭრის შემთხვევაში პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება შერეული კომისიის შექმნის თაობაზე. მასვე შეუძლია პირადად მიმართოს სენატს და მოითხოვოს სამთავრობო პოლიტიკის შესახებ დეკლარაციაზე თანხმობის მიღება.

პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია მიაწოდოს პრეზიდენტს თავისი მოსაზრება ეროვნული კრების მოსალოდნელი დათხოვნის, ან კონსტიტუციის მე-16 მუხლის გამოყენების თაობაზე, რომელიც მას საგანგებო უფლებებს ანიჭებს. მაგრამ, ყველა შემთხვევაში, ეს პრემიერ-მინისტრის პირადი მოსაზრება იქნება და პრეზიდენტისთვის მისი გათვალისწინება არ არის სავალდებულო.

<sup>1</sup> ვ. პ. სერებრენიკოვის აღნიშნული ნაშრომი, გვ. 115.

პრემიერ-მინისტრს შეუძლია მიმართოს საკონსტიტუციო საბჭოს იმ საპარლამენტო კანონის თუ საერთაშორისო ხელშეკრულების თაობაზე, რომელიც, მისი აზრით, ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.

პრემიერ-მინისტრი კოორდინაციას უწევს და აკონტროლებს ყველა სამთავრობო ქვედანაყოფის საქმიანობას. გარდა ამისა, ხელმძღვანელობს ისეთ სამსახურებს, რომლებსაც მასთან მჭიდრო კავშირი აქვთ, მაგალითად, დოკუმენტებზე მუშაობის ღირეექციას, საჯარო სამსახურის ღირეექციას, ტერიტორიების დაგეგმვის ღირეექციას და ა. შ.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ თავისი უფლებებით პრემიერ-მინისტრი იურიდიულად და ფაქტობრივად მთავრობის საქმიანობის ძირითადი წარმმართველი ძალაა, თუმცა ამ საქმიანობის მიმართულებას საზღვრავს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

რაც შეეხება მინისტრების კომპეტენციას, იგი განმტკიცებულია დეკრეტებით, რომლებიც მიიღება მინისტრთა საბჭოს მიერ. როგორც აღვნიშნეთ, მათ გააჩნიათ ორი სახის პირადი უფლებამოსილებები. პირველი ეხება მათი უწყებების მართვას, ხოლო მეორე – პარლამენტთან ურთიერთობას.

გარკვეული სამთავრობო უწყების ხელმძღვანელი თანამდებობის დაკავებით მინისტრები უმაღლეს საფეხურზე დგანან სამინისტროთა ადმინისტრაციული სისტემის იერარქიაში. თითოეული მინისტრი უფლებამოსილია თავის დაქვემდებარებაში იყოლიოს სახელმწიფო მდივნები, რომლებიც მინისტრის მიერ გარკვეული უფლებების დელეგირების შედეგად მართავენ სამინისტროს გარკვეულ სექტორს.

მინისტრებს აქვთ მარეგლამენტირებელი უფლებამოსილებები, რომელთა რეალიზაცია ხდება დადგენილებების სახით, რომლებიც მიიღება მოქმედი კანონებისა და დეკრეტების საფუძველზე და მიმართულია მათდამი დაქვემდებარებული სამინისტროების საქმიანობის უკეთ წარმართვისაკენ. მინისტრებს უფლება აქვთ პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით დანიშნონ თავიანთი უწყების თანაშემრობლები.

მინისტრი ხელს აწერს პრეზიდენტის და პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებას, რომელიც ეხება მის გამგებლობაში მყოფ უწყებას თუ სფეროს.

ყოველი მინისტრი უფლებამოსილია დაესწროს და გამოვიდეს პარლამენტის სხდომებზე. ისინი გამოდიან მთლიანად მთავრობის სახელით. როდესაც საქმე მათდამი დაქვემდებარებული უწყების

საქმიანობას ეხება, მინისტრებს უფლება აქვთ მიიღონ ან უარყონ დეპუტატების თუ სენატორების შესწორებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთში, როგორც წესი, თითქმის ყოველ სამინისტროს გააჩნია საკუთარი კონტროლის ორგანო ან ინსპექცია, რომელიც ახორციელებს ადმინისტრაციის საქმიანობაზე კონტროლს. ინსპექციები აკონტროლებენ საერთო წესრიგის დაცვას, შეფასებას აძლევენ ადმინისტრაციის საქმიანობის ეფექტიანობას, ადგენენ მათ საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებებში თანამდებობის პირების პასუხისმგებლობას. ამასთან, ინსპექციის ორგანოებს არ გააჩნიათ გადაწყვეტილებების მიღების უფლება.

შედარებით განსხვავებულ მდგომარეობაში იმყოფებიან ე. წ. სამინისტროს გენერალური ინსპექციები, რომელნიც ფაქტობრივად მინისტრთა ორგანოს წარმოადგენენ. მათ მიერ მიღებული აქტები განაპირობებენ მინისტრთა გადაწყვეტილებებს და ამდენად, არა მარტო არსებული ვითარების კონსტატაციას ახდენენ, არამედ საკითხის გარკვეულ გადაწყვეტასაც განსაზღვრავენ.

საფრანგეთში, როგორც წესი, გენერალური ინსპექციები შესაბამისი სამინისტროს ჩარჩოებში მოქმედებენ. გამონაკლისს წარმოადგენენ შინაგან საქმეთა სამინისტრო, ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროს გენერალური ინსპექციები. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინსპექციას, სხვა ცენტრალური უწყების მიმართვის პირობებში, შეუძლია გააკონტროლოს შესაბამისი უწყების საქმიანობა. ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს ინსპექციას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შეუძლია ნებისმიერი ცენტრალური ორგანოს გაკონტროლება.

ყოველივე ზემოთ თქმული პრემიერ-მინისტრისა და მინისტრების ე. წ. იურიდიული უფლებამოსილებანია. ფაქტობრივი უფლებამოსილებანი მეტწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის იგი გარანტირებული არა მხოლოდ იურიდიული ნორმებით, არამედ სამთავრობო გუნდის შემადგენლობით. მხედველობაში გვაქვს, თუ რამდენად პრეზიდენტის გუნდია იგი სრულად და რამდენად უფრთხილდება მის მთლიანობას ამ გუნდის “სელექციონერი” პრეზიდენტი.

უ. საფრანი, მეხუთე რესპუბლიკის ისტორიულ “პრაქტიკაზე” დაყრდნობით, დაასკვნის, რომ კაბინეტი ან ცალკეული მინისტრები შეიძლება შეიცვალოს, როცა პრეზიდენტს სურს მთავრობას ახალი



ორიენტაცია ან იმიჯი მისცეს, ხანდახან კი პრეზიდენტმა შეიძლება გამოიყენოს მინისტრი ან მთელი კაბინეტი განტევების ვაცად.<sup>1</sup> სწორედ ამაზე მეტყველებენ ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი ციფრები, როცა 38 წლის მეხუთე რესპუბლიკას მეხუთე პრეზიდენტი “შეეძინა”, რომლებმაც 12 პრემიერი და კიდევ უფრო მეტი – 23 კაბინეტი გამოიცვალეს. ინდივიდუალური მსხვერპლი კი გაცილებით მეტი იყო. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

დე გოლმა გაათავისუფლა რამდენიმე განათლების მინისტრი განათლების რეფორმისადმი ხალხის კრიტიკული დამოკიდებულების გამო და პრემიერი პომპიდუ 1968 წლის მოვლენების შემდეგ; ჟისკარ დესტენმა – საფოსტო მინისტრი ფოსტის მუშაკთა დიდი გაფიცვის შემდეგ და თავდაცვის მინისტრი კი – ჯარში დაბალი ანაზღაურებით უკმაყოფილების გამო; მიტერანმა – საგარეო საქმეთა მინისტრი აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობის გართულებასთან დაკავშირებით და თავდაცვის მინისტრი – “გრინფისის საქმის” გამო, რომლის გახმაურებაც უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა თავად პრეზიდენტს.

შემთხვევით არ არის პომპიდუს პრემიერ-მინისტრობიდან გათავისუფლების ფაქტი მოტანილი. “მოწინააღმდეგე პრემიერთან და ეროვნულ კრებასთან “თანაარსებობის” აუცილებლობამ ძლიერი პრეზიდენტი კონსტიტუციურ მონარქს დაამსგავსა.”<sup>2</sup> უ. საფრანი თავის მოსაზრების შეფასებით ნაწილში ორიგინალური არ არის. ასეთი შეფასება ხშირად გამოუთქვამთ ფრანგ იურიისტებს, მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ ყველა სხვა შემთხვევაში იგი დე გოლის პრეზიდენტობის პერიოდთან იყო დაკავშირებული. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ის, რაც “საავტორო” უფლებით ზუსტად მოირგო დე გოლმა, სრული ეფექტურობით არ მოქმედებს მას შემდეგ.

უ. საფრანმა კონსტიტუციური მონარქის მეორე პასიური ტიპი ამოიკითხა მიტერანში, ვინაიდან მან თავის მიზნად აღიარა: “მეთვალყურეობა, რომ მთავრობის და პარლამენტის გადაწყვეტილებები საზიანო არ აღმოჩნდეს ეროვნული ერთიანობისა და კეთილდღეობისთვის”. ამით მიტერანმა განაცხადა, რომ საშინაო საქმეებში იტოვებს უფლებას, როცა აუცილებელია, გააცნოს თავისი მოსაზ-

<sup>1</sup> უ. საფრანი. აღნიშნული კრებული, გვ. 183

<sup>2</sup> იქვე, გვ. 175

რება ხალხს და გააფრთხილოს საზოგადოებრივი ინტერესებისათვის შესაძლო ზარალის თაობაზე.<sup>1</sup>

ეს გამონათქვამი მიტერანის ტაქტიკას აფიქსირებდა, როცა ეროვნული კრების ძალთა თანაფარდობის გათვალისწინებით იძულებული შეიქმნა პრემიერ-მინისტრად ჟაკ შირაკი დაენიშნა. ძალაუფლების ამგვარი დანაწილების მიტერანისეულმა ექსპერიმენტმა თავისი შედეგი გამოიღო. უ. საფრანი ფრაგმენტულ რეტროსპექტივაზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ მიტერანის საშინაო პოლიტიკის არენიდან ნაწილობრივი ჩამოშორების შემდეგ, მისმა რეიტინგმა აიწია და მისი საპრეზიდენტო სტატუსი უფრო მისაღები გახდა. შირაკმა კი, რადგან ვერც კაბინეტი შეკრა და ვერც თავისი პოლიტიკის გატარება შეძლო, ფაქტობრივად, 2 წელიწადში მარცხი განიცადა.<sup>2</sup>

დღეს უფრო ვრცელი რეტროსპექტივა იმას ადასტურებს, რომ მიტერანის ტაქტიკა ჟ. შირაკის წინააღმდეგ სტრატეგიაში მარცხს ნიშნავდა. პოლიტიკაშიც არის რაუნდების სისტემა, სადაც საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად განსაზღვრულია ამომრჩეველთა სიმპატიის პრიზი.

#### 4-5. მთავრობის და პარლამენტის ურთიერთობა

ვიდრე მთავრობისა და პარლამენტის ფუნქციონალური ურთიერთობის თემას შევეხებოდეთ, თუნდაც მისი ქმედითობის ობიექტური შეფასებისა და, მაშასადამე, ვითარების ფაქტობრივი შეცნობის მიზნით, უპირველესად საფრანგეთის ხელისუფლების ამ ორი შტოს ურთიერთქმედების რეალურ საფუძველს ჩაევწვდეთ.

ეს ურთიერთობა, პრინციპში, პოლიტიკურ ინტერესთა ასპარეზია, რომელიც არც სტატისტიკას და, თქვენ წარმოიდგინეთ, ხშირად არც ლოგიკას ექვემდებარება. იმ ფაქტმა, რომ მეხუთე რესპუბლიკის ყოველი მეორე პრემიერ-მინისტრი და მრავალი მინისტრი ყოფილი პარლამენტარები არიან, შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს, თითქოს ეს შერეული სახელმწიფო სისტემის შიგნით ტრადიციული პარლამენტარიზმის პრიმატს მოასწავებდეს.

როგორც უ. საფრანი აღნიშნავს, დაახლოებით სამი ათწლეულის მანძილზე თითქმის აქსიომად მიიჩნეოდა, რომ პარლამენტის მხარდაჭერა პრემიერისადმი სასურველი იყო, მაგრამ არა — გადამ-

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 176.

წყვეტი. პომპიდუ აღნიშნავდა, რომ “პრეზიდენტი ეროვნული კრების შემადგენლობას ითვალისწინებს,... მაგრამ მისი მონა არ არის”. თუ მეოთხე რესპუბლიკაში პრეზიდენტი თანხმდებოდა პრემიერის გადაყენებას, როგორც კი ეს უკანასკნელი პარლამენტის ნდობას კარგავდა, მეხუთე რესპუბლიკაში პრეზიდენტმა შეიძლება შეინარჩუნოს პრემიერი, თუნდაც პარლამენტმა უნდობლობა გამოუცხადოს. ასე მოხდა 1962 წელს, როცა დე გოლმა, მიუხედავად პარლამენტის მოთხოვნისა, პომპიდუ დატოვა პრემიერის პოსტზე.<sup>1</sup>

პრეზიდენტი ყოველთვის პრეზიდენტად რჩება. მაშინაც, როდესაც იძულებულია ანგარიში გაუწიოს პარლამენტს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის შერჩევასთან დაკავშირებით. ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკის იდეა – შერეულ სისტემად, მათ შორის იმიტომაც იწოდება, რომ თუ პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას საერთო პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით არ შეარჩევს, მერე მოუწევს გარკვეულ დათმობებზე წასვლა. ესეც შერეული სისტემის თავისებურებაა და ისიც, ამის შედეგად რომ სახელისუფლო პრიმატის მონაცვლეობა მოჰყვება ასეთ “შემთანხმებლურ” საკადრო გადაწყვეტილებას.

მაგრამ, ხომ ცხადია, რომ პრეზიდენტს ყოველთვის პრეზიდენტად დარჩენა უნდა. ამ შემთხვევაში პრემიერ-მინისტრის შერჩევისას პარლამენტის პოზიციის გათვალისწინება, თითქოს თანამშრომლობაზე გამიზნული, სირთულეებსაც უქმნის პრეზიდენტს. ეს თანამშრომლობა კი შეიძლება პრეზიდენტის მიერ პრემიერ-მინისტრის გათავისუფლებით დამთავრდეს, თუ ამ უკანასკნელს მის თვალში პარლამენტის ზედმეტი ნდობა აქვს. უ. საფრანმა აღნიშნულის მაგალითად პომპიდუს პრეზიდენტობის ეპოქა მოიშველია, როცა მან 1972 წელს შაბან-დელმასი აშკარად მოიშორა, ვინაიდან შენიშნა მისი პოპულარობის ზრდა ეროვნულ კრებაში და ეს თავისთვის საზიანოდ მიიჩნია. ამასთან, პრეზიდენტმა დაუფარავად ახსნა პირადი გადაწყვეტილების არსი განცხადებით, რომ შაბან-დელმასის დატოვება პოსტზე შექმნიდა სიტუაციას, როცა “პრემიერი... ზედმეტ ძალაუფლებას იძენს... და პრეზიდენტს მხოლოდ სიმბოლურ როლს უტოვებს.”<sup>2</sup>

როგორც ვხედავთ, ამ ურთიერთობაში ფერიცვალების აქტიურ ფიგურად პომპიდუ მოიხსენიება. დე გოლმა 1962 წელს, პარლამენ-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 184.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 185.

ტის უნდობლობის მიუხედავად, პრემიერ-მინისტრის პოსტზე შეინარჩუნა პომპიდუ, როცა იგი სჭირდებოდა. 1972 წელს უკვე პრეზიდენტმა პომპიდუმ მოიშორა პრემიერი შაბან-დელმასი, როცა იგი არ სჭირდებოდა. მაგრამ ამ ათწლეულის შუა პერიოდში უკვე დეგოლმა მოიმოქმედა პომპიდუს მიმართ ის, რაც პომპიდუმ შაბან-დელმასის მიმართ. ასეთი რამ საფრანგეთის პოლიტიკაში იშვიათობა არ გახლავთ. ხშირად უკეთებიათ ქვეყნის მეთაურებს ის, რაც წინასაარჩევნო კამპანიის დროს თავისი წინამორბედების პოლიტიკაში უკრიტიკებიათ, ამომრჩეველთა მხარდაჭერა მოუპოვებიათ და კრიტიკის საგნის შეცვლა არც უცდიათ.

უ. საფრანმა პომპიდუს დამოკიდებულება პრემიერისადმი რიგით ფაქტად როდი მოიხსენია. მან ამ ურთიერთობის სამართლებრივ ასპექტს გაუსვა ხაზი, ვინაიდან პომპიდუს აღნიშნული ფაქტით სურდა შეეხსენებინა ქვეყნისათვის, რომ საპარლამენტო უმრავლესობა არ იყო გადამწყვეტი ქვეყანაში და იგი მაინც პრეზიდენტზე იყო დამოკიდებული. მსგავსი პოზიცია დაუფიქსირებიათ თავისი პრეზიდენტობისას ფრანსუა მიტერანსა და ჟისკარ დესტენსაც, მაგრამ, ყოველივე ეს 1986 წლის არჩევნებამდე ხდებოდა, რომელმაც საპრეზიდენტო უმრავლესობას დაუპირისპირა ხალხის ნებასურვილის ამსახველი საპარლამენტო უმრავლესობა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უმრავლესობა არც შეკრული იყო და არც დისციპლინირებული, და მიტერანი შეძლებდა მის მანიპულირებას, მაგრამ პრეზიდენტი ხედავდა, რომ მისი მხარდაჭერა ამომრჩეველებში დაქვეითებული იყო და ბრძოლას “თანაარსებობა” ამჯობინა.

1988 წელს პრეზიდენტის ძალაუფლების დიდი ნაწილი აღდგა, მაგრამ მისი დამოკიდებულება პარლამენტთან ორაზროვანი დარჩა. არ არის გამორიცხული, რომ პრეზიდენტს ბევრჯერ ჰქონდა ცდუნება როკარისგან განთავისუფლებისა, მაგრამ მისი პოპულარობა პარლამენტშიც და საზოგადოებაშიც ამგვარ ნაბიჯს მეტად სარისკოს გახდიდა.<sup>1</sup>

ყოველივე აღნიშნულთან დაკავშირებით, მთავრობისა და პარლამენტის ფუნქციონალური ურთიერთობის თემის განხილვაზე გადასვლამდე შეიძლება დავასკვნათ, რომ უმთავრესი ამ ორ სუბი-

<sup>1</sup> იქვე.

ექტს შორის პოზიციების შეთავსებადობაა, მაშინ ურთიერთობაც გამოდის და თანამშრომლობაც შედეგიანობით ხასიათდება.

მთავრობასა და პარლამენტს შორის ურთიერთობა მოიცავს საკანონმდებლო საქმიანობას, ქვეყნის ბიუჯეტს და ხორციელდება ინფორმაციული და საკონტროლო კავშირების მეშვეობით. თუმცა ურთიერთობის ზოგიერთი ფორმა თუ საშუალება ერთმანეთს უკავშირდება, შეიძლება ითქვას, გადაჯაჭვულია კიდევაც.

საკანონმდებლო სფეროში მთავრობისა და პარლამენტის ურთიერთობაზე შემდეგ თავში გვექნება საუბარი. აქ, ამ ურთიერთობის მნიშვნელობასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ მხოლოდ: საფრანგეთის "რაციონალიზებული" პარლამენტის ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი მთავრობასთან "პარტნიორობისა" სწორედ ის გახლავთ, რომ პარლამენტის მიერ მიღებული ყველა კანონის 95% სამთავრობო ინიციატივისაა. ამჯერად კი ინფორმაციულ და საკონტროლო კავშირებს მიმოვიხილავთ და ამ უკანასკნელის პოზიციიდან შევხებით ქვეყნის ბიუჯეტს.

მთავრობასა და პარლამენტს შორის წარმოუდგენელია ნორმალური ურთიერთობა, თუ მათ შორის არ ხდება ინფორმაციის გაცვლა. ეს შეიძლება მოხდეს სამთავრობო დეკლარაციების წარდგენით ან მთავრობისადმი ზეპირი თუ წერილობითი შეკითხვების გაგზავნის სახით. სამთავრობო დეკლარაციები შეიძლება წარედგინოს პარლამენტის ორივე პალატას. მათ მოსდევს დებატები, რომლებიც იშვიათად მთავრდება კენჭისყრით.

მთავრობის საერთო პოლიტიკურ დეკლარაციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კონსტიტუციის 49-ე და 50-ე მუხლებით, შეუძლიათ გამოიწვიონ საკითხის განხილვაზე დასმა. ამიტომ მთავრობა ხშირად ცდილობს პარლამენტს წარუდგინოს მარტივი ინფორმაციული ხასიათის დეკლარაციები ეკონომიკური, სასკოლო განათლების, ტერიტორიების დაგეგმვის პოლიტიკის შესახებ. მთავრობა დეკლარაციების მეშვეობით ინფორმაციას აწვდის პარლამენტს მისი საგარეო საქმიანობის თაობაზე. ინფორმაციის მიღების ტრადიციულ მეთოდს წარმოადგენს შეკითხვები, რომელთა მეშვეობითაც დეპუტატები მთავრობის წევრებს მიმართავენ. 1974 წლის ივნისში ეროვნულმა კრებამ ზეპირი შეკითხვების ადრე არსებულ პროცედურასთან დამატებით შემოიღო საპარლამენტო კონტროლის ახალი ფორმა "შეკითხვები მთავრობას". ამგვარი შეკითხვები სადეპუტატო

კონტროლის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. წერილობითი შეკითხვები ეხება მთავრობის საქმიანობის ცალკეულ მიმართულებებს და ეგზავნება იმ მინისტრს, ვის გამგებლობაშიცაა აღნიშნული საკითხები. ასეთი შეკითხვები, რომლებიც იბეჭდება “ქურნალ ოფისიელში”, ყოველწლიურად 16 ათასამდეა.

ზეპირი შეკითხვები და მათზე პასუხები საპარლამენტო სესიის პერიოდში პლენარულ სხდომებზე წარმოებს. მათ შეიძლება დებატებიც მოჰყვეს. პირველ შემთხვევაში, მინისტრის პასუხის შემდეგ, სიტყვა შეუძლია აიღოს შეკითხვის ავტორმა, დასასრულს – ისევ მინისტრმა. მეორე შემთხვევაში, მინისტრის პასუხის შემდეგ, შეკითხვის ავტორის გარდა, შეიძლება გამოვიდნენ სხვა დეპუტატებიც. ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს მთავრობისადმი ზეპირი შეკითხვები, ამისათვის ოთხშაბათობით დეპუტატთა პალატის დილის სხდომის პირველი ორი საათია გამოყოფილი. შეკითხვებს აძლევენ დეპუტატთა ჯგუფების წარმომადგენლები იმ დროის ფარგლებში, რომელიც გამოყოფილია მათთვის.

საფრანგეთის კონსტიტუციური სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს კონტროლი აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე. ამ კონტროლის რამდენიმე ფორმა არსებობს. მთავრობისადმი ნდობის საკითხის დაყენება ხდება მაშინ, როდესაც თვითონ პრემიერ-მინისტრი უკავშირებს ნდობის საკითხს მთავრობის პროგრამას ან ზოგადპოლიტიკური ხასიათის განცხადებას. მისი გამოსვლის შემდეგ იმართება დებატები, ხოლო დებატების დასასრულს – ღია კენჭისყრა. მიიღებენ რა რეზოლუციას გაკიცხვის შესახებ, დეპუტატებს შეუძლიათ დააყენონ მთავრობის ნდობის საკითხი, რაც ხელმოწერილი უნდა იყოს დეპუტატთა არანაკლებ ერთი მეთოდის მიერ და განიხილება შეტანიდან 48 საათის შემდეგ. მის მისაღებად საჭიროა ეროვნული კრების დეპუტატთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობა.

თუ გაკიცხვის რეზოლუცია მიღებულ იქნა, პრემიერ-მინისტრი მოვალეა გამოაცხადოს თავისი მთავრობის გადადგომა. მეხუთე რესპუბლიკის ისტორიაში ასეთი რამ მოხდა ერთხელ – 1962 წელს, როცა გადააყენეს ჟორჟ პომპიდუს კაბინეტი.

ეროვნულ კრებას თავისი კომისიების მეშვეობით აქვს მთავრობის საქმიანობის კონტროლის კიდევ ერთი შესაძლებლობა: ან გამოიძახებს და მოუსმენს თავის სხდომაზე მინისტრს, ან შექმნის

სპეციალურ კომისიას, რომელსაც უფლება აქვს მოუსმინოს ნებისმიერ მინისტრს. დეპუტატთა პალატას აგრეთვე აქვს უფლება შექმნას დროებითი /მხოლოდ 6 თვით/ კომისიები ფართო უფლებამოსილებით ცალკეული კონკრეტული ფაქტის ან სახელმწიფო სამსახურების საქმიანობის გამოსაკვლევად. მნიშვნელოვანია დროებითი საკონტროლო კომისიების საქმიანობის წვლილი.

კონსტიტუციით გათვალისწინებული კონტროლის კიდევ ერთი სახეა საგამოძიებო კომისიის შექმნის შესაძლებლობა, რომელიც უფლებამოსილია დაადგინოს მთავრობის წევრის ბრალეულობა სამთავრობო ფუნქციის შესრულების პერიოდში ჩადენილ სამართალდარღვევებში. კომისია შეიქმნება იმ შემთხვევაში, თუ წინადადებას მისი შექმნის თაობაზე მხარს დაუჭერს ორივე პალატის აბსოლუტური უმრავლესობა.

პრაქტიკამ უჩვენა, რომ კონტროლის ამ ფორმას განხორციელება არ უწერია. მეხუთე რესპუბლიკის ისტორიაში იგი არცერთხელ არ გამოუყენებიათ იმის შიშით, რომ მუდმივი მწვავე პოლიტიკური ბრძოლის გამო პარლამენტი მართლმსაჯულების ორგანოდან პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა სამსჯავროდ გადაიქცეოდა.

მთავრობისადმი კონტროლის შედარებით ახალი სახეა საპარლამენტო წარმომადგენლობების შექმნა. პარლამენტის საკონტროლო პროცესში წარმატებით ჩაჯდა საპარლამენტო წარმომადგენლობები — მუდმივმოქმედი, კონკრეტულ სფეროებში სპეციალიზებული ინსტიტუტები, რომლებიც მოწოდებული არიან დაეხმარონ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს განახორციელოს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ეფექტური კონტროლი. დღეისათვის საფრანგეთში შექმნილია ოთხი წარმომადგენლობა: ევროპის საკითხებთან დაკავშირებით, დემოგრაფიულ საკითხებთან, დაგეგმარებასთან და მეცნიერულ-ტექნოლოგიური არჩევანის შეფასებასთან დაკავშირებით.

წარმომადგენლობების ამოცანები იმაში მდგომარეობს, რომ თვალყური ადევნონ მათთვის განსაზღვრულ სფეროებში მიმდინარე პროცესებს და შედეგები მოახსენონ პარლამენტის პალატებს. თავისი საქმიანობის პროცესში წარმომადგენლობები ისმენენ სხვადასხვა თანამდებობების პირების ინფორმაციებს, ხოლო 1990 წელს სპეციალური კანონით მიენიჭათ მინისტრების მოსმენის უფლებაც.

მიღებული ინფორმაციების საფუძველზე წარმომადგენლობების წევრები ამზადებენ ანგარიშს გაწეული საქმიანობისა და დაგროვე-

ბული მასალების შესახებ და რეკომენდაციის ფორმით წარუდგენენ პარლამენტის კომპეტენტურ კომისიებს. წარმომადგენლობებს უფლება აქვთ მიიღონ თავისი შიდა რეგლამენტები.

მთავრობისადმი პარლამენტის კონტროლის ყველაზე ქმედითი სახეა საბიუჯეტო სფერო. სწორედ პარლამენტი იღებს კანონს ბიუჯეტის შესახებ. ყოველწლიურად, საშემოდგომო სესიის დროს, მთავრობას შემოაქვს მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტი. იგი შედგება 140-მდე ცალკეული ბროშურისაგან, რომელშიც, სხვა მონაცემების გარდა, დაწვრილებით არის მითითებული თითოეული სამინისტროს ხარჯები. კანონპროექტის განხილვისას ეროვნულ კრებას ეკუთვნის პირველი და საბოლოო სიტყვა, რადგან მას ჯერ დებუტატები იხილავენ და სწორედ ისინი, სენატორებთან ერთად, ამტკიცებენ საბოლოოდ.

დისკუსიას ბიუჯეტის საკითხზე ძირითადად ამზადებს ქვედა პალატის საფინანსო კომისია. მაგრამ ამ დიდ სამუშაოში მონაწილეობენ სხვა კომისიებიც. დისკუსია პლენარულ სხდომებზე ორ ეტაპად წარმოებს — კანონპროექტის ორი ძირითადი ნაწილის შესაბამისად. პირველი ეტაპი, რომელიც შემოსავლებს ეხება, დაახლოებით ერთ კვირას გრძელდება და კენჭისყრა წარმოებს მუხლობრივად. მეორე ეტაპი გულისხმობს გასავლების განხილვას და იგი რამდენიმე კვირას გრძელდება. თითოეული სამინისტროსთვის თანხების გამოყოფაზე ტარდება კენჭისყრა.

ბიუჯეტზე დებატები შემოიფარგლება 70 დღით: 40 დღე ეძლევა ეროვნულ კრებას, 20 დღე — სენატს. დანარჩენი 10 დღე საჭიროა ბიუჯეტის პროექტის პალატებს შორის მოძრაობისათვის. თუ ვადა ამოიწურა და ბიუჯეტი განხილული არ არის, გათვალისწინებულია მისი ამოქმედება სამთავრობო დეკრეტის სახით.

ამრიგად, აღმასრულებელი ხელისუფლება და კერძოდ, მთავრობის საქმიანობა, მეხუთე რესპუბლიკაში მუდმივი საპარლამენტო კონტროლის ქვეშ იმყოფება. კონტროლის ამგვარი სახე იმ ღონისძიებების ერთობლიობაა, რომლებიც საშუალებას აძლევენ პალატებს ჩამოაყალიბონ თავისი წარმოდგენები მთავრობის მოღვაწეობის შესახებ და მის მიერ განხორციელებული პოლიტიკის მიმართ სერიოზული უთანხმოების შემთხვევაში გადააყენონ კიდევაც მთავრობა.



# თავი მეხუთე. საფრანგეთის რესპუბლიკის პარლამენტი

## 5-1. პარლამენტის უფლებამოსილება და ფორმირების წესი

‘თუ საფრანგეთის 1946 წლის კონსტიტუცია სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში პარლამენტს პირველ ადგილს უთმობდა, 1958 წლის კონსტიტუციამ საპარლამენტო ინსტიტუტს მეოთხე თავი დაუთმო. ამგვარი წყობა შემთხვევითი არ არის, იგი ასახავს იმ იერარქიას, რომელიც კონსტიტუციის ავტორებმა დააწესეს საჯარო ხელისუფალთა შორის, გამოუყვეს რა მასში პარლამენტს მესამე ადგილი. 1958 წლის კონსტიტუციის თავდაპირველმა ტექსტმა ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლების დაწესებით რამდენადმე შეზღუდა ქვეყნის ცენტრალური წარმომადგენლობითი ორგანოს უფლებამოსილებები. ამ პროცესს ხელი შეუწყო 1962 წლის კონსტიტუციურმა რეფორმამ, რომელმაც დააწესა პრეზიდენტის პირდაპირი და სახალხო კენჭისყრით არჩევის წესი. ამ რეფორმამ განაპირობა პარლამენტის ქვედა პალატის—ეროვნული კრებისა და რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ ხელისუფლების ერთი და იმავე წყაროდან — საარჩევნო კორპუსიდან თანაბრად მიღების წესი.

1958 წლის კონსტიტუციამ მნიშვნელოვნად შეზღუდა პარლამენტის, განსაკუთრებით კი ეროვნული საბჭოს უფლებები. კონსტიტუციამ მას წაართვა საკანონმდებლო ხელისუფლების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც მთავრობას გადაეცა, მათ შორის იმ ნაწილშიც, რომელიც პარლამენტის კომპეტენციას შეადგენდა. ბიუჯეტის განხილვის დროს პარლამენტს არ შეუძლია კანონპროექტში რაიმე ცვლილების შეტანა, თუ იგი გამოიწვევს სახელმწიფო ხარჯების ზრდას. მაშასადამე, პარლამენტს არ შეუძლია რაიმე სოციალური ღონისძიების გატარება და მას მხოლოდ ბიუჯეტის დამტკიცების უფლება რჩება.

და მაინც, მიუხედავად პარლამენტის საერთო ავტორიტეტის ერთგვარი დაქვეითებისა, რასაც ადგილი აქვს საფრანგეთის სახელმწიფო სისტემაში, პარლამენტის უფლებამოსილება მაინც მნიშვნელოვანია. მას გააჩნია საკანონმდებლო ფუნქცია, იგი იღებს ბიუჯეტს, ფლობს გარკვეულ სასამართლო ფუნქციებს, განსაზღვრულ ფარგლებში აკონტროლებს მთავრობის საქმიანობას. 1

• საფრანგეთის პარლამენტი შედგება ორი პალატისაგან: ქვედა-ეროვნული კრებისა და ზედა-სენატისაგან.

აქტიური საარჩევნო უფლებით საფრანგეთის მოქალაქე სარგებლობს 18 წლის ასაკიდან, თუ იგი სრულად ფლობს პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებებს. ამომრჩეველი უნდა აკმაყოფილებდეს ბინადრობის ცენზს, რომელიც ოლქის ტერიტორიაზე არანაკლებ 6 თვით სავალდებულო ცხოვრებას გულისხმობს. არჩევნებზე არ დაიშვებიან სულიერად ავადმყოფები და ის პირები, ვინც სასჯელს იხდის.

თითოეული ამომრჩეველი ვალდებულია პირადად გაიაროს რეგისტრაცია და წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტები. საარჩევნო სიები დგება თითოეულ კომუნაში და ყოველწლიურად ხდება მათი გადასინჯვა. ამომრჩეველებს ურიგდებათ ბარათები, რომლებსაც წარადგენენ ხმის მიცემის დროს. ზოგადი წესის მიხედვით, კენჭისყრა ხორციელდება უშუალოდ და თითოეულ ამომრჩეველს აქვს ერთი ხმის უფლება. დასაშვებია ხმის მიცემა მინდობილობით.

ეროვნული კრების წევრები აირჩევიან ხუთი წლის ვადით, პირდაპირი, საყოველთაო და ფარული კენჭისყრით. ეროვნული კრება შედგება 577 დეპუტატისაგან. ეროვნული კრება შეიძლება დათხოვნილ იქნეს პრეზიდენტის მიერ, კონსტიტუციის მეთერთმეტე მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

ეროვნული კრების წევრობის კანდიდატი უნდა იყოს საფრანგეთის მოქალაქე, არანაკლებ 23 წლისა. კანდიდატთან ერთად, როგორც უკვე აღინიშნა, ხდება მისი მოადგილის, "დუბლიორის" წამოყენება, რომელიც, არჩევის შემთხვევაში, იღებს სადეპუტატო მანდატს დეპუტატის გარდაცვალების, გადადგომის, მთავრობის ან კონსტიტუციური საბჭოს წევრად დანიშვნის შემდგომ. "დუბლიორი" უნდა პასუხობდეს იმავე მოთხოვნებს, რაც წარედგინება დეპუტატობის კანდიდატს. არ შეიძლება დეპუტატობის კანდიდატის ერთზე მეტ საარჩევნო ოლქში წამოყენება. აღსანიშნავია ერთი თავისებურება. პარლამენტის ერთ-ერთი პალატის წევრს უფლება აქვს მიიღოს მეორე პალატის არჩევნებში მონაწილეობა. თუ იგი არჩეულ იქნება, შეუწყდება პირველი პალატის წევრობა.

ეროვნულ კრებაში კანდიდატის წამოყენებისას აუცილებელია საარჩევნო შენატანი, რომელიც დაუბრუნდება კანდიდატს, თუ იგი

დააგროვებს საარჩევნო ხმების არანაკლებ ხუთი პროცენტს. თითოეული საარჩევნო ოლქიდან ხდება მხოლოდ ერთი დეპუტატის არჩევა.

ეროვნული კრების არჩევნებისას გამოიყენება მაჟორიტარული სისტემა. არჩევნებში გამარჯვებისათვის კანდიდატმა უნდა მიიღოს ხმათა საერთო რაოდენობის უმრავლესობა. თუ პირველი ტური გამარჯვებულს ვერ გამოაყენეს, მეორე ტურში დაიშვება ორი კანდიდატი, რომელთაც პირველ ტურში უკეთესი შედეგი მოიპოვეს. მეორე ტურში და, მაშასადამე, არჩევნებში გამარჯვებისათვის საკმარისია ხმების უბრალო უმრავლესობა. მაგრამ, პროცედურა არც ისე მარტივია, როგორც ეს პირველი შეხედვით ჩანს. ორივე შემთხვევაში იგი შემოსაზღვრულია მნიშვნელოვანი დათქმებით. კერძოდ, პირველ ტურში გამარჯვებისათვის საჭირო ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა არ უნდა იყოს რეგისტრირებულ ამომრჩეველთა ხმების მეოთხედზე ნაკლები. ხოლო, რაც შეეხება მეორე ტურს, მასში დაიშვება არა უბრალოდ უკეთესი შედეგის მფლობელი ორი კანდიდატი, არამედ იმ პირობით, რომ მათ მიერ პირველ ტურში მოპოვებული ხმები არ უნდა იყოს რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რიცხოვნობის 12,5 პროცენტზე ნაკლები.

სენატი შედგება 322 წევრისაგან. იგი არ შეიძლება დათხოვნილ იქნეს. მისი ფორმირების წესი განსხვავებულია, ვიდრე ქვედა პალატისა. სენატორები აირჩევიან ირიბი კენჭისყრით 9 წლის ვადით. მეხუთე რესპუბლიკის დამაარსებელთა მოსაზრებით, სენატის ფორმირების განსაკუთრებულმა წესმა მას უნდა მიანიჭოს ეროვნული კრებისგან განსხვავებული პოლიტიკური სახე. ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ხდება სენატის ერთი მესამედით განახლება. ამგვარი განახლების მთავარი მიზანია ზედა პალატაში პრეზიდენტის მხარდამჭერი უმრავლესობის შენარჩუნება და მისი მკვეთრი ცვალებადობის თავიდან აცილება. თუმცა თანდათანობით შენაცვლების ამ მექანიზმს სხვა დანიშნულებაც გააჩნია. იგი ფუნქციების შესრულების საქმეში ხელს უწყობს მაღალი დონის შენარჩუნებას და შემკვიდრობითობას.

სენატის არჩევა ძირითადად ხდება სამსაფეხურიანი არჩევნებით. სენატორები აირჩევიან თითოეული დეპარტამენტის კოლეგიაში, მთლიანობაში საარჩევნო კოლეგია შედგება დაახლოებით 108 ათასი წევრისაგან, რომელთაგან 600 დეპუტატია, 3000-ზე მეტი – გენერალური და რეგიონალური მრჩეველი და დაახლოებით 104

ათასი — მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები. აქედან გამომდინარე, ფაქტიურად, ამ უკანასკნელთა მიერ ხდება სენატის არჩევა.

სენატორების არჩევნები ტარდება დეპარტამენტის მთავარ ქალაქში და წარმოებს შერეული სისტემით. ცამეტ დეპარტამენტში, სადაც აირჩევა სენატის 5 და მეტი წევრი, არჩევნები ტარდება პროპორციული სისტემით, ხოლო სხვა დეპარტამენტებში — მაჟორიტარული სისტემით.

ამგვარად, თვით პარლამენტის შიგნით ეროვნული კრების საპირისპიროდ დგას სენატი, რომლის უმთავრესი დანიშნულება ისაა, რომ მხარი დაუჭიროს მთავრობას. ამით აიხსნება ის, რომ 1958 წლის კონსტიტუციით ეროვნულ კრებასთან შედარებით მნიშვნელოვნად გაფართოვდა სენატის უფლებები და შეიქმნა ორგანო, რომელიც ყოველთვის შეიძლება დაუპირისპირდეს ეროვნულ კრებას, თუმცა ეს არც ისე ადვილია.

საქმე ის არის, რომ პარლამენტის პალატების არათანაბარუფლებიანობა განპირობებულია მათი არჩევის წესით. ეროვნული კრების ლეგიტიმურობის ხარისხი განმტკიცებულია პირდაპირი არჩევნებით, მაშინ, როცა სენატის ირიბი არჩევნები აქვეითებს მისი ლეგიტიმურობის ხარისხს. ყველაფერი დანარჩენი, მათ შორის პარლამენტის უფლებამოსილებათა განხორციელების საქმეში მათი აქტივობისა და მონაწილეობის დონეც, ამ დისპროპორციას ადასტურებს და მისი გავლენის ქვეშაა მოქცეული.

საკანონმდებლო სფეროში სენატი სათათბირო პალატის ფუნქციას ასრულებს. საკანონმდებლო აქტების განხილვის პროცესში დაყოვნებისა და ხარისხობრივი გაუმჯობესების როლი თვით პალატის შემადგენლობის ნაწილობრივი განახლების პრინციპით არის რეგულირებული, ვინაიდან, როგორც ითქვა, მეშვიდრეობითობის პირობების გათვალისწინებით, იგი განაპირობებს კვალიფიკაციის უმაღლეს დონეს სენატში. აქ, ამასთან, სენატორთა უფლებამოსილების ხანგრძლივი ვადაც და ისიც, რომ გამორიცხულია მათი დათხოვნა, გარკვეულ მნიშვნელობას იძენს. განსაზღვრულია ის ფაქტორიც, რომ სენატს არ შეუძლია დაუპირისპირდეს კანონის მიღებას და ამიტომ მათი ძირითადი ამბიციები სასარგებლო მხარეზე — კანონმდებლობის ხარისხობრივი დონის გაუმჯობესებაზე "იხარჯება". ყველაფერი კი იმის შედეგია, რომ საკანონმდებლო სფეროში ორივე პალატას იდენტური უფლებამოსილებანი გააჩნია,

ვიდრე მათ შორის წინააღმდეგობა არ წარმოიშვება. ასეთ შემთხვევაში კი უკანასკნელი სიტყვა ეროვნულ კრებას ეკუთვნის, რომელიც, რა თქმა უნდა, თავის პოზიციას იცავს ბოლომდე.

არსებობს სხვა განმასხვავებელი ნორმებიც. სენატს არ შეუძლია დააყენოს მთავრობის ნდობის საკითხი, მოითხოვოს პარლამენტის რიგგარეშე სხდომის მოწვევა. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ სენატის თავმჯდომარეა ის პიროვნება, რომელსაც, კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში, ეკისრება პრეზიდენტის მოვალეობების დროებითი შესრულება.

## 5-2. პალატების შიდა ორგანიზაცია

საფრანგეთის 1958 წლის კონსტიტუცია არ შეიცავს ბევრ მონაცემს პარლამენტის ორგანიზაციისა და საქმიანობის შესახებ. ეს პრობლემა ძირითადად წყდება ორგანული და ჩვეულებრივი კანონებით, აგრეთვე ეროვნული კრებისა და სენატის რეგლამენტებით, რომელთაც თითოეული პალატა თვითონ იღებს.

რეგლამენტების შედგენა და შეცვლა ხდება დამოუკიდებლად, მთავრობისა და მეორე პალატის ჩაურევლად. პალატების რეგლამენტები წარმოადგენენ კონსტიტუციის შესაბამის თავისებურ კოდექსებს მათი საქმიანობის წესის შესახებ.

ეროვნულმა კრებამ და სენატმა თავის “რეზოლუციებში” დააზუსტეს კონსტიტუციაში გაუთვალისწინებელი ზოგიერთი დეტალი. საფრთხე ის არის, რომ ეს რეგლამენტები ცალკეულ შემთხვევაში კონსტიტუციის ნორმების თავისუფალ ინტერპრეტაციას უშვებენ. ამიტომაც ისინი საკონსტიტუციო საბჭოს მხედველობის არეში მოქცეული. რეგლამენტები, კონსტიტუციასთან შესაბამისობის მიზნით, კონტროლირდება საკონსტიტუციო საბჭოს მიერ როგორც მათი მიღების, ასევე ფუნქციონირების პერიოდში.

ახლადარჩეული პარლამენტის პალატები თავის საქმიანობას იწყებენ შიდა ორგანოების ფორმირებით და ესეც რეგლამენტით არის დარეგულირებული.

თითოეულ პალატას გააჩნია თავისი ბიურო-კოლეგიალური ორგანო, რომლის მოვალეობაა პარლამენტის საქმიანობის, პალატების სამსახურების ხელმძღვანელობა. ბიუროს შემადგენლობაში შედიან პალატის თავმჯდომარე, ვიცე-თავმჯდომარეები /6-ეროვნულ კრებაში, 8-სენატში/ და მდივნები /შესაბამისად 12 და 8/. ბიურო

ხელმძღვანელობს საპარლამენტო სამსახურების მუშაობას, ხელს უწყობს საკანონმდებლო პროცესის გვემაზომიერ წარმართვას და უზრუნველყოფს პარლამენტის პალატების ყოველდღიურ ფუნქციონირებას.

ახლადარჩეული პალატის პირველ სხდომას თავმჯდომარეობს უზუცესი დეპუტატი, ხოლო მდივნის ფუნქციებს ასრულებენ ახალგაზრდა პარლამენტარები. ამ სხდომაზე არჩევნების გზით ხდება პალატის ბიუროს ფორმირება. ეროვნული კრების რეგლამენტის მიხედვით, ბიურო, შეძლებისდაგვარად, პალატაში არსებული პოლიტიკური ძალების ერთგვარ ნაკრებს უნდა წარმოადგენდეს.

პალატების თავმჯდომარეებს მინიჭებული აქვთ მნიშვნელოვანი უფლებები: ისინი ხელმძღვანელობენ დებატებს, მათი ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფება მრავალრიცხოვანი ტექნიკური სამსახური. თითოეული პალატის თავმჯდომარე ნიშნავს საკონსტიტუციო საბჭოს სამ წევრს, მას უფლება აქვს მიმართოს საბჭოს რომელიმე კანონის კონსტიტუციასთან შეუსაბამობის თაობაზე.

რესპუბლიკის პრეზიდენტი პალატების თავმჯდომარეებთან ატარებს კონსულტაციებს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების და ეროვნული კრების ვადამდელი დათხოვნის თაობაზე. სენატის თავმჯდომარეს ოფიციალურ თანამდებობის პირთა იერარქიაში მესამე ადგილი უკავია, ხოლო ეროვნული კრების თავმჯდომარეს — მეოთხე. ამიტომაც, იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტის პოსტი ვაკანტურია, ახლის არჩევამდე სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობას ასრულებს სენატის თავმჯდომარე.

ვიცე-თავმჯდომარეები ცვლიან თავმჯდომარეს პალატების სხდომების დროს. მდივნები კი აკონტროლებენ ხმის მიცემის პროცედურას, თვალყურს ადევნებენ სხდომების ოქმების რედაქტირებას.

გარდა თავისი ფუნქციებისა, ეროვნული კრების ბიუროს ეკისრება კონგრესის, პალატების ერთობლივი სხდომის ბიუროს ფუნქციების შესრულება.<sup>1</sup>

თითოეულ პალატაში ყოველკვირეულად იკრიბება თავმჯდომარეთა კონფერენცია, რომელშიც შედიან თავმჯდომარეები, ვიცე-თავმჯდომარეები, საპარლამენტო ფრაქციების თავმჯდომარეები, მუდმივი კომისიების თავმჯდომარეები და გენერალური კომისიების თავმჯდომარეები. კონფერენციის ძირითადი დანიშნულებაა პალატის სხდომის დღის წესრიგის შედგენა. ამასთან, კონსტიტუციის 48-ე მუხლის თანახმად, პალატის სხდომის დღის წესრიგში მთავრობის

მიერ შეტანილი კანონპროექტების ან მოწონებული საკანონმდებლო წინადადებების განხილვა ხდება იმ რიგითობის შესაბამისად, რომელსაც თვითონ მთავრობა დაადგენს. ამიტომ კონფერენციას ესწრება მთავრობის წარმომადგენელი, რომელთან შეთანხებითაც ხდება სესიის ძირითადი დღის წესრიგის შედგენა.

პალატის ბიუროს მოვალეობაში შედის პალატის დამხმარე სამსახურების საქმიანობის ორგანიზაცია, რომელთა კანდიდატების შერჩევა ხდება კონკურსის წესით!

ეროვნულ კრებასთან არსებული სამსახურები იყოფა ორ ჯგუფად. პირველი არის გენერალურ სამდივნოს დაქვემდებარებული, ხოლო მეორე – ადმინისტრაციული სამსახურები.

გენერალურ სამდივნოს დაქვემდებარებული სამსახურები უზრუნველყოფენ პალატების საკანონმდებლო საქმიანობას. ესენია: სხდომის სამსახური, მუდმივი კომისიების სამსახური, საპარლამენტო ინფორმაციის და პუბლიკაციების სამსახური, სტენოგრაფიული ანგარიშების სამსახური. ქვედა პალატის გენერალურ მდივანს ექვემდებარება ბიბლიოთეკა, არქივი, კვლევითი ცენტრი.

ადმინისტრაციულ სამსახურებს წარმოადგენენ: დოკუმენტაციის სამსახური, საოქმო, სატრანსპორტო, სოციალური, ფინანსური და სამედიცინო სამსახურები.

თითოეულ პალატაში იქმნება საპარლამენტო ჯგუფები, რომლებიც პოლიტიკურ ჯგუფებად ან ფრაქციებად იწოდებიან. ისინი ერთი პარტიის წევრებს აერთიანებენ. ფრაქციის შექმნისათვის წევრთა მინიმალური რაოდენობა ეროვნულ კრებაში არის ოცი, ხოლო სენატში – თხუთმეტი პარლამენტარი.

საფრანგეთის მდიდარი საპარლამენტო ტრადიციებისა და გამოცდილების ფონზე, უკვე რამდენიმე ათწლეულის მანძილზე საპარლამენტო ფრაქციები განიხილება როგორც ქვეყნის სახელმწიფო მექანიზმის მნიშვნელოვანი ელემენტი, ძლიერი პოლიტიკური წარმონაქმნი, რომლებიც რეალურ გავლენას ახდენენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის წარმართვაზე და ყველა დონის მმართველობაზე.

საფრანგეთის პარლამენტში პოლიტიკური ჯგუფები იქმნება ახალი ლეგისლატურის პირველი სესიის დაწყებისას და ყოველწლიურად – საგაზაფხულო სესიის განახლების პერიოდში. მოყოლებული 1932 წლიდან, საპარლამენტო ჯგუფების დაფუძნება ხდე-

ბა შესაბამისი პალატის ბიუროში პოლიტიკური დეკლარაციის წარდგენით, რომელიც ხელმოწერილია ჯგუფის თავმჯდომარისა და წევრთა მიერ. აღნიშნული დეკლარაცია ქვეყნდება პარლამენტის "ოფიციალურ მაცნეში".

პარლამენტის წევრს უფლება აქვს იყოს მხოლოდ ერთი საპარლამენტო ჯგუფის შემადგენლობაში. ეს წესი ფრანგულ საპარლამენტო სამართალში 1910 წლიდან მოქმედებს. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ პოლიტიკური პროცესის ლოგიკამ განაპირობა საპარლამენტო ჯგუფების შექმნა მათ ოფიციალურ აღიარებამდე.

პოლიტიკური ჯგუფების შექმნა განიხილება როგორც პარლამენტის წევრთა უფლება და არავითარ შემთხვევაში მათ მოვალეობას არ წარმოადგენს. 1946 წლის კონსტიტუციის მზადების პერიოდში წამოყენებულ იქნა წინადადება კონსტიტუციური ნორმით დეკლარებულინათ პარლამენტარი, რომელიც არჩეული იყო ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიიდან, შესულიყო შესაბამისი პარტიის საპარლამენტო ჯგუფის შემადგენლობაში. მაგრამ აღნიშნული წინადადება არ იქნა გაზიარებული, რადგან ეწინააღმდეგებოდა წარმომადგენლობითი მანდატის პრინციპს, რომელიც არჩეულ პარლამენტის წევრს საქმიანობის პროცესში უნარჩუნებდა აზრის გამოთქმის სრულ თავისუფლებასა და გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უფლებას. ამრიგად, პარლამენტის წევრს გააჩნია კანონიერი უფლება არ გაერთიანდეს არცერთ არსებულ საპარლამენტო ჯგუფში. შეიძლება ითქვას, რომ ეს წამგებიანია თავად პარლამენტარისათვის, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფრაქციები საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობაში და პარლამენტარებიც, რომლებიც ამ პროცესში არ მონაწილეობენ, ერთგვარად ინდიფერენტულ მდგომარეობაში ექცევიან.

ამასთან დაკავშირებით, საკვებით გამართლებულია ფრანგულ საპარლამენტო სამართალში განსაკუთრებული სადეპუტატო სტატუსის, კერძოდ "მიმხრობილი" დეპუტატის სტატუსის არსებობა. პარლამენტის წევრებს, რომლებიც არ შედიან არცერთი საპარლამენტო ჯგუფის შემადგენლობაში, უფლება აქვთ მიუერთდნენ რომელიმე მათგანს საკუთარი სურვილის მიხედვით, ამ ჯგუფის ბიუროსთან შეთანხმებით. როგორც პრაქტიკამ ცხადყო, ყველაზე ხშირად აღნიშნული უფლებით სარგებლობენ პარლამენტარები, რომ-



ლებიც არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრები არ არიან ან ისინი, ვინც წარმოადგენენ ისეთ პოლიტიკურ პარტიას, რომელმაც არჩევნების შედეგად ვერ შეძლო საპარლამენტო ჯგუფის შესაქმნელად საკმარისი რაოდენობის მანდატების მიღება. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ფაქტი, როდესაც 1978 წელს მემარცხენე რადიკალები შეუერთდნენ სოციალისტების ჯგუფს.

ზემოთ აღწერილი მოთხოვნების გარდა, რომლებიც აუცილებელია საპარლამენტო ჯგუფის შესაქმნელად (პოლიტიკური დეკლარაციის მიღება-წარდგენა, პარლამენტართა სათანადო რაოდენობა), არსებობს კიდევ ერთი გარემოება, რომელიც განმტკიცებულია პარლამენტის პალატების რეგლამენტებით. ამ გარემოების თანახმად, დაუსუბებელია პოლიტიკური ჯგუფების შექმნა პირადი, ადგილობრივი თუ პროფესიული ინტერესების დაცვის მიზნით. აღნიშნული აკრძალვა განპირობებულია იმ საშიშროებით, რომელიც აღნიშნული მოტივებით შექმნილი საპარლამენტო ჯგუფების წევრებს აქცევდა იმპერატიული მანდატის მფლობელებად.<sup>1</sup>

პოლიტიკური ჯგუფების შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებები მოხსენდება პალატის თავმჯდომარეს სათანადო განცხადებით და ქვეყნდება პარლამენტის “ოფიციალურ მაცნეში”, რის შედეგადაც პარლამენტარები თუ ამომრჩევლები მუდმივად ინფორმირებულნი არიან პარლამენტში მიმდინარე ცვლილებების თაობაზე.

საპარლამენტო ჯგუფის წევრებს შორის არსებობს მტკიცე პარტიული დისციპლინა. ხაზგასასმელია ფრაქციების საქმიანობის მნიშვნელოვანი პრობლემა—ერთსულოვნება კენჭისყრის დროს. მესამე რესპუბლიკის პერიოდში ერთი და იმავე საპარლამენტო ჯგუფის წევრები ერთსა და იმავე საკითხზე კენჭისყრისას საკმაოდ ხშირად განსხვავებულ პოზიციებს იკავებდნენ. მეოთხე რესპუბლიკის პერიოდში კი საპარლამენტო ჯგუფების მონაწილეობამ კენჭისყრაში უფრო ორგანიზებული და მტკიცე ხასიათი მიიღო. აღნიშნული ტენდენცია შედარებით უფრო გაძლიერდა მეხუთე რესპუბლიკის დაარსების მომენტიდან.

საპარლამენტო ჯგუფების საქმიანობის პროცესის განხილვისას ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ-ერთ არსებით პრობლემას, რომელიც უკავშირდება პოლიტიკური პარტიისა და მისი საპარლამენტო

<sup>1</sup> Prélot M. Institutions politiques et droit constitutionnel. Onzième édition. Paris, 1990, p. 820.

ჯგუფის ურთიერთობას. ეჭვგარეშეა, რომ საფრანგეთის პოლიტიკური პარტიების წესდებები შეიცავენ ნორმებს მისი რიგებიდან არჩეული პარლამენტის წევრების აღნიშნული პარტიის საპარლამენტო ჯგუფში შესვლის სავალდებულობის თაობაზე. სწორედ პოლიტიკური პარტია განსაზღვრავს საპარლამენტო ჯგუფის საქმიანობის ძირითად მიმართულებებსა და პრიორიტეტებს. ფრანგი იურისტი მ. დიუვერჟე საპარლამენტო ჯგუფებს პოლიტიკური პარტიების საპარლამენტო ორგანოებს უწოდებს.<sup>1</sup> პოლიტიკური პარტია ძირითადად საპარლამენტო ჯგუფის მეშვეობით ახორციელებს თავისი წევრების საქმიანობის კონტროლს და გარკვეულ პოლიტიკურ კურსს ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში. აღნიშნული გარემოება იმით კი არ აიხსნება, რომ არჩეული დეპუტატი მორალურ ვალდებულებებს განიცდის მხარდამჭერი პარტიის წინაშე, არამედ იმ მომენტით, რომ ჩამოყალიბებული და განვითარებული სახელმწიფო მექანიზმის არსებობის პირობებში პარლამენტარი, ისევე როგორც ნებისმიერი პოლიტიკური მოღვაწე, ვერ მიაღწევს მნიშვნელოვან წარმატებას რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან კავშირის გარეშე. მხოლოდ მუშაობის გუნდური პრინციპი აძლევს საშუალებას პარლამენტის წევრს დანიშნულ იქნეს ამა თუ იმ სახელმწიფოებრივ თანამდებობაზე.

პრაქტიკულად, ყველა ფრანგი მკვლევარი იზიარებს იმ პოზიციას, რომ პოლიტიკური ჯგუფები დიდ გავლენას ახდენენ ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობაზე და საპარლამენტო ცხოვრების ძირითად რგოლს წარმოადგენენ. პოლიტიკური ჯგუფები ფლობენ საკმაოდ ფართო უფლებამოსილებებს და აქტიურად იყენებენ კიდევაც მათ ყოველდღიურ პრაქტიკაში. ისინი მონაწილეობენ პარლამენტის პალატების ორგანოების ფორმირების პროცესში, მათი თავმჯდომარეები შედიან პალატების ხელმძღვანელ ორგანოებში, მონაწილეობენ პარლამენტის მუდმივი და სპეციალური კომისიების დაკომპლექტებაში პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპების დაცვის საფუძველზე. საპარლამენტო ჯგუფების უფლებები საკმაოდ მნიშვნელოვანია პარლამენტის საჯარო სხდომების მსვლელობისას. შეიძლება ითქვას, რომ ე. წ. ორგანიზებული დებატების ჩატარების წესი სწორედ საპარლამენტო ჯგუფების არ-

<sup>1</sup> Duverger M. Le système politique français. Paris, 1990. p. 346.

სებობითაა განპირობებული. ჯგუფის თავმჯდომარეს უფლება აქვს მოითხოვოს სხდომის შეჩერება, პალატის ბიუროს კვორუმის კენჭისყრამდე შემოწმება. ღია კენჭისყრის ჩატარება. მნიშვნელოვანია საპარლამენტო ჯგუფების როლი პარლამენტის ზოგიერთი საკონტროლო ფუნქციის განხორციელებისას, რაც ძირითადად მთავრობის მიმართ შეკითხვების დასმის დროს ფრაქციისთვის გარკვეული დროის რაოდენობის გამოყოფაში მდგომარეობს.

ფრაქციის წევრები იკავებენ მათთვის განკუთვნილ სექტორს სხდომათა დარბაზში. თითოეულ ფრაქციას გააჩნია თავისი ბიურო, რომლის შემადგენლობაში შედიან ფრაქციის თავმჯდომარე და ვიცე-თავმჯდომარეები. ბიუროს დაქვემდებარებაშია სამდივნო და ტექნიკური თანამშრომლები, რომელთა შერჩევის წესსა და ანაზღაურებას ადგენს თვით ფრაქცია.

საბოლოოდ, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ საპარლამენტო ჯგუფები წარმოადგენენ არა მარტო საპარლამენტო საქმიანობის, არამედ საფრანგეთის მთელი პოლიტიკური სისტემის აქტიურ სუბიექტებს. სხვადასხვა პოლიტიკურ წარმონაქმნებს შორის სწორედ მათ უჭირავთ მნიშვნელოვანი ადგილი საფრანგეთში. ისინი გადამწყვეტ გავლენას ახდენენ ხელისუფლების ორგანოების მიერ გადაწყვეტილებების მიღებაზე და ღებულობენ უშუალო მონაწილეობას ხელისუფლების ორგანოების ფორმირებაში.<sup>1</sup>

საუკუნეზე მეტი ხნის ძლიერი საპარლამენტო ტრადიციების არსებობამ განაპირობა ფრანგულ საპარლამენტო ცხოვრებაში ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის დამკვიდრება და განვითარება, როგორცაა საპარლამენტო კომისიები. არსებობს კომისიათა ორი ძირითადი სახეობა — მუდმივი და სპეციალური. მათ ჩარჩოებში შესაძლებელია შეიქმნას შერეული საგამომიებო, საკონტროლო და განსაკუთრებული (ე. წ. “ად ჰოკ”-ის) კომისიები.

ფრაქციების ბიუროთა მიერ ხდება წინადადებების დასმა მუდმივ კომისიებში მათი წევრების შეყვანის თაობაზე. კანდიდატები არჩეულად ჩაითვლებიან, თუ კომისიის შემადგენლობის გამოკვეთებიდან 1 საათის განმავლობაში პარლამენტის 30 წევრი არ გამოთქვამს მოტივირებულ პროტესტს კონკრეტული კანდიდატის მიმართ. პალატის წევრს უფლება აქვს იყოს მხოლოდ ერთი მუდმივი კომი-

<sup>1</sup> Кернмов А. Д. Парламентские группы в Национальном Собрании современной Франции. "Государство и право", 1993, №12, с. 114.

სიის შემადგენლობაში. მუდმივი კომისიების მოღვაწეობის ძირითადი სფერო ვრცელდება საჯარო ხელისუფლების ორგანიზაციასა და საქმიანობის წარმართვაზე (საგარეო ურთიერთობები და ა. შ.). პალატებს არა აქვთ უფლება შექმნან მუდმივი კომისიები საკუთარი შეხედულებებით. არსებული საპარლამენტო პრაქტიკისაგან განსხვავებით, როდესაც მუდმივი კომისიები პარლამენტის პალატების ნება-სურვილის მიხედვით იქმნებოდა, 1958 წლის კონსტიტუციამ გაითვალისწინა თითოეულ პალატაში მხოლოდ ექვსი მუდმივი კომისიის არსებობა. კომისიები იქმნება ერთი წლით — ეროვნულ კრებაში და სამი წლის ვადით — სენატში. მათი შემადგენლობა კი შეძლებისდაგვარად სრულად ასახავს პარლამენტში არსებული პოლიტიკური ჯგუფების სპექტრს. უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა კანონპროექტი თუ საკანონმდებლო წინადადება მზადდება და განიხილება პარლამენტის მუდმივ კომისიებში

1 ეროვნული კრება შედგება შემდეგი კომისიებისაგან: კულტურის, ოჯახისა და სოციალური საქმეების საკითხთა კომისია; საგარეო საქმეთა კომისია; ეროვნული თავდაცვისა და შეიარაღებული ძალების კომისია; ფინანსების, ზოგადი ეკონომიკისა და გეგმის საკითხთა კომისია; კონსტიტუციური კანონების, კანონმდებლობის და რესპუბლიკის ადმინისტრაციის საკითხთა კომისია; წარმოებისა და ვაჭრობის საკითხთა კომისია.

სენატის კომისიები განსხვავდება ქვედა პალატის კომისიებისაგან დასახელებითა და კომპეტენციებით. ეს კომისიებია: კულტურის საქმეთა კომისია; ეკონომიკის და დაგეგმვის საქმეთა კომისია; სოციალურ პრობლემათა კომისია; საფინანსო, საბიუჯეტო კონტროლისა და ეკონომიკური გამოთვლების კომისია; საგარეო საქმეთა, თავდაცვისა და შეიარაღებული ძალების საქმეთა კომისია; კონსტიტუციური კანონების, კანონმდებლობის, საყოველთაო კენჭისყრის და საერთო მართვის საკითხთა კომისია.<sup>1</sup>

ეროვნული კრების თითოეულ კომისიას ჰყავს თავისი ბიურო, რომელშიც შედიან თავმჯდომარე, ვიცე-თავმჯდომარეები და მდივნები /ყოველი კომისიის 30 წევრზე მოდის ერთი მდივანი/. ბიუროს არჩევა ხდება ფარული კენჭისყრით. ხმათა თანაბარი რაოდენობის დაგროვების შემთხვევაში არჩეულად ითვლება ასაკით უხუცესი კანდიდატი.

ბიურო არსებობს სენატის მუდმივ კომისიებშიც, რომელთა შემადგენლობაში სავალდებულოა წარმოდგენილი იყოს ყველა ფრაქცია. კომისია ნიშნავს ბიუროს თავმჯდომარეს, ოთხ ვიცე-თავმჯდომარეს და ოთხ მდივანს.

საპარლამენტო კომისიებში კანონპროექტების განხილვას არ გააჩნია საჯარო ხასიათი. დგება სხდომების ოქმები, ხდება კომისიის ყოველკვირეული ბიულეტენის გამოცემა. 1958 წლის კონსტიტუციის 43-ე მუხლის თანახმად, კანონპროექტები და საკანონმდებლო წინადადებები მთავრობის ან პალატების მოთხოვნის საფუძველზე გადაიგზავნება მათ განსახილველად სპეციალურად შექმნილ კომისიაში. თუ ასეთი მოთხოვნა არ დადგება, პროექტებს განიხილავენ მუდმივი კომისიები.

ამრიგად, მუდმივი კომისიები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საკანონმდებლო პროცესში კანონპროექტების შემუშავების და მომზადების გზით. მათ აგრეთვე, მსგავსად აშშ-ს კონგრესისა, უფლება აქვთ მოიწვიონ და სხვადასხვა საკითხებზე მოუსმინონ ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეებს.

საფრანგეთის 1958 წლის კონსტიტუციის 43-ე მუხლის თანახმად, პარლამენტში შეიძლება შეიქმნას სპეციალური კომისიები კანონპროექტისა თუ საკანონმდებლო წინადადების შესწავლის ან პარლამენტისათვის განსახილველად მომზადების მიზნით. ამგვარი კომისიების შექმნის ინიციატივა შეიძლება მომდინარეობდეს როგორც მთავრობის, ასევე პარლამენტის მხრიდან. გადაწყვეტილება სპეციალური კომისიის შექმნის შესახებ მიიღება კენჭისყრის შედეგად, თუ შექმნის ინიციატორია მუდმივი კომისია, საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარე ან სულ ცოტა ოცდაათი პარლამენტარი. დასაშვებია კომისიის შექმნა კენჭისყრის გარეშეც იმ შემთხვევაში, თუ მისი შემადგენლობის გამოცხადების შემდეგ პალატის თავმჯდომარე არ მიიღებს მოტივირებულ პროტესტს კონკრეტული წევრის მიმართ მთავრობის, საპარლამენტო ჯგუფის ან მუდმივი კომისიის ხელმძღვანელობისაგან. ეროვნულ კრებაში, სპეციალური კომისიების შემადგენლობაში ფრაქციების წარმომადგენლობის პროპორციულობის პრინციპის დაცვით, გაერთიანებულია 57 წევრი (1989 წლამდე ქვედა პალატის რეკლამენტი სპეციალურ კომისია-

ში 31 დეპუტატის შეყვანას ითვალისწინებდა<sup>1</sup>). ამასთან, მხოლოდ 28 დეპუტატი შეიძლება იყოს მუდმივი კომისიის შემადგენლობაში, ხოლო სენატის სპეციალური კომისიების შემადგენლობა სმათა უმრავლესობით არჩეული 24 წევრით განისაზღვრება.

სპეციალური კომისიის ვადა გრძელდება განსახილველად გადაცემული საკითხის ბედის გადაწყვეტამდე. მის მუშაობას ხელმძღვანელობს ბიურო, რომელიც შედგება თავმჯდომარის, ორი ვიცე-თავმჯდომარის, ორი მდივნისა და აღნიშნული მომხსენებლისაგან. მეხუთე რესპუბლიკის საპარლამენტო პრაქტიკისათვის ცნობილია შემთხვევები, როდესაც სპეციალური კომისიის თავმჯდომარის პოსტზე არჩეულ იქნა ოპოზიციის წარმომადგენელი. სპეციალური კომისიის შესწავლის ობიექტი, როგორც აღვნიშნეთ, შეიძლება იყოს ნებისმიერი კანონპროექტი ან საკანონმდებლო წინადადება, მათ შორის საფინანსოც, თუმცა ეს პრაქტიკაში იშვიათად ხდება. სპეციალური კომისიები, ძირითადად, იქმნება რამდენიმე მუდმივი კომისიის კომპეტენციის მომცველი დოკუმენტების განსახილველად თუ შესამუშავებლად, ან პირიქით, კონკრეტული, მაგრამ ღრმად შესასწავლი საკითხის გადასაწყვეტად.

თუ თვალს გადავაავლებთ სპეციალური კომისიის ინსტიტუტის გამოყენების პრაქტიკას მეხუთე რესპუბლიკაში, შეიძლება ითქვას, რომ მათი შექმნის მოთხოვნა საკმაოდ იშვიათად დგებოდა დღის წესრიგში. მართლაც, 1959-1990 წლებში საკმაოდ მცირე რაოდენობით შეიქმნა ამგვარი კომისიები, საშუალოდ წელიწადში იქმნებოდა 2-3 კომისია. გარდა ამისა, მათი ფუნქციონირების ინტენსივობა, მუდმივ კომისიებთან შედარებით, საკმაოდ დაბალია. მაგალითისათვის, თუ 1990 წელს მუდმივმა კომისიებმა, მთლიანობაში აღებული, 307 სხდომა ჩაატარეს, სპეციალური კომისიები მხოლოდ 20-ჯერ შეიკრიბნენ. მათი საქმიანობის შედეგებიც საკმაოდ უმნიშვნელოა. 2915 საკანონმდებლო აქტიდან, რომლებიც მიღებულ იქნა ეროვნული კრების მიერ 1959-1989 წლებში, მხოლოდ 35 დოკუმენტი (1%) მომზადდა სპეციალური კომისიების მიერ. სწორედ ამგვარი პასიურობა საპარლამენტო ცხოვრებაში იწვევს სპეციალური კომისიების შექმნის იშვიათობას. გარდა ამისა, მეცნიერები თვლიან, რომ სპეციალური კომისიების გამოყენების არაეფექტუ-

<sup>1</sup> Les commissions de l'Assemblée Nationale. Paris, 1990, p. 37.

რობა განპირობებულია თვით კომისიის საქმიანობის ხანგრძლივობით და მისი წევრი პარლამენტარების სხვა საპარლამენტო საქმეებით დაკავებულობით<sup>1</sup>.

მიუსხლავად წარუმატებლობისა, თავისთავად პროგრესულად გვეჩვენება სპეციალური კომისიების იდეა. ამის დასტურად რამდენიმე მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ. კერძოდ, საკანონმდებლო წინადადებები და კანონპროექტები ხშირად მოიცავენ საკითხთა ისეთ წრეს, რომელიც სცილდება მუდმივი კომისიის კომპეტენციას. ამ შემთხვევაში კი, საკითხის სიღრმისეული შესწავლის მიზნით, სავსებით გამართლებულია სპეციალური კომისიის შექმნა, რომლის შემადგენლობაში ერთდროულად რამდენიმე მუდმივი კომისიის წარმომადგენლებიც შედიან. გარდა ამისა, სპეციალური კომისიების შექმნით მნიშვნელოვნად მცირდება მუდმივი კომისიების დატვირთვა და ბოლოს, სპეციალური კომისიების წევრთა პროფესიონალიზმი და დაინტერესებულობა კონკრეტული საკითხისადმი ხშირად შეიძლება დამატებით გარანტიად იქცეს საკანონმდებლო ტექსტის კვალიფიციურად და სერიოზულად მომზადებისათვის.

გარდა მუდმივი და სპეციალური კომისიებისა, საფრანგეთის პარლამენტში იქმნება დროებითი შერეული კომისიები პარიტეტულ საწყისებზე – თითოეული პალატიდან შეიღ-შვიდი წევრი. ამ სახის კომისიები იქმნება პარლამენტის პალატებს შორის უთანხმოების შემთხვევაში. საქმე ისაა, რომ პრაქტიკაში პალატები არც თუ იშვიათად შეგნებულად აჭიანურებენ საკანონმდებლო პროცედურას, ხანგრძლივი დროის მანძილზე იზილავენ სადავო საკითხებს, რის შედეგადაც კანონპროექტი ან საკანონმდებლო წინადადება “მაქოსებური” პრინციპით უსასრულოდ მოძრაობს ეროვნული კრებიდან სენატში და პირიქით. სწორედ ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლად, კომპრომისული წინადადების შესამუშავებლად და საკანონმდებლო ტექსტის იდენტური რედაქციის მიღების პროცესის დასაჩქარებლად ხდება დროებითი შერეული კომისიების ინსტიტუტის გამოყენება. კომისია ირჩევს თავის ბიუროს, რომელშიც შედის თავმჯდომარე, ვიცე-თავმჯდომარე და მომხსენებელი თითოეული პალატიდან. კომისია ფუნქციონირებას წყვეტს იმ სადავო საკითხის ბედის გადაწყვეტისთანავე, რომლის გამოც იგი შეიქმნა.

<sup>1</sup> Иностранное Конституционное право. Под ред. В. В. Маклакова, М., Юристъ, 1996, с. 95.

პარლამენტი უფლებამოსილია, განსაზღვრულ საკითხებზე ინფორმაციის შეგროვებისა და სათანადო დასკვნის მიღების მიზნით, შექმნას საგამოძიებო კომისიები, ხოლო საჯარო სამსახურების ან სახელმწიფო დაწესებულებების ადმინისტრაციული, ფინანსური თუ ტექნიკური მართვის შესასწავლად – საკონტროლო კომისიები. კომისიათა ამ ორ სახეობას შორის დადგენილი განსხვავება მეტწილად თეორიულ ხასიათს ატარებს, რადგან მათი ფორმირებისა და ფუნქციონირების სამართლებრივი რეჟიმი პრაქტიკულად იდენტურია. აღნიშნული კომისიების საქმიანობის სფერო საკმაოდ ფართო და მრავლისმომცველია – ენერგეტიკის, სოციალური უზრუნველყოფის, სოფლის მეურნეობის განვითარების, ბანკებისა და სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციის, ეკოლოგიის პრობლემები.

რაც შეეხება განსაკუთრებულ, ე. წ. “ად ჰოკ”-ის კომისიებს, ისინი იქმნებიან პარლამენტარისათვის საპარლამენტო იმუნიტეტის ჩამორთმევის, მისი დაკავების შეჩერების ან მის მიმართ სასამართლო დევნის აღძვრის შემთხვევების განსახილველად. მეხუთე რესპუბლიკის დაარსებიდან 1992 წლის ჩათვლით საფრანგეთის ეროვნულ კრებაში დაისვა ოცდახუთი მოთხოვნა საპარლამენტო იმუნიტეტის ჩამორთმევის შესახებ და ცხრა მოთხოვნა – დეპუტატის დევნის ან პატიმრობის შეწყვეტის თაობაზე. შედეგად შეიქმნა ოცდახუთი განსაკუთრებული კომისია. “ად ჰოკ”-ის კომისიაში შედის 15 წევრი – ქვედა პალატაში, ხოლო სენატში – 30 წევრი. ისინი ინიშნებიან პოლიტიკური ჯგუფების პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის დაცვით. კომისიას ჰყავს ბიურო, რომლის შემადგენლობაში შედიან თავმჯდომარე, ორი ვიცე-თავმჯდომარე, ორი მდივანი და დანიშნული მომხსენებელი. კომისიის უფლებამოსილება წყდება პალატისათვის სათანადო დასკვნის წარდგენისა და განსახილველი საკითხის ბედის გადაწყვეტისთანავე. აუცილებელია აღინიშნოს, რომ 1959 წლიდან 1992 წლის ჩათვლით 25 მოთხოვნიდან საპარლამენტო იმუნიტეტის ჩამორთმევის შესახებ დაკმაყოფილდა მხოლოდ სამი მოთხოვნა; დევნის შეწყვეტის შვიდი მოთხოვნიდან დაკმაყოფილდა სამი, ხოლო პარლამენტარის დაკავების შეჩერების ორი მოთხოვნიდან ორივე უარყოფილი იქნა პარლამენტის მიერ.<sup>1</sup>

<sup>1</sup> Керимов А. Д. Комиссии “ad hoc” в Национальном Собрании Франции. “Государство и право”, 1994, №8-9, с. 171.



### 5-3. პალატების ფუნქციონირება

პარლამენტის ფუნქციონირების პრინციპი განისაზღვრება, ერთი მხრივ, იმ წესებით, რაც შემოღებულ იქნა მეხუთე რესპუბლიკის დამფუძნებლების მიერ პარლამენტის საქმიანობის "რაციონალიზაციის" მიზნით და მეორე მხრივ, საპარლამენტო ტრადიციებით. ეს წესები განმტკიცებულია კონსტიტუციით, ორგანული კანონებით და პალატების რეგლამენტებით.

ეროვნული კრება და სენატი უფლებამოსილია განახორციელონ თავიანთი კომპეტენცია მხოლოდ მაშინ, როდესაც პარლამენტი ატარებს სხდომებს. პალატების კომისიებს უფლება აქვთ შეიკრიბონ სესიებს შორის პერიოდშიც, მაგრამ პრაქტიკაში ეს საკმაოდ იშვიათად ხდება.

1958 წლის კონსტიტუცია, რომელიც უშუალოდ არეგულირებს პარლამენტის სესიების ჩატარების წესს, განასხვავებს მათ სამ სახეს: ჩვეულებრივი სესიები, საგანგებო სესიები და ე. წ. "საკუთარი უფლებით" მოწვეული სესიები.

მეხუთე რესპუბლიკის პარლამენტი, კონსტიტუციის 28-ე მუხლის თანახმად, სესიებზე იკრიბება წელიწადში ორჯერ. ამ სესიების მაქსიმალური ხანგრძლივობა წელიწადში 170 დღეა პირველი სესია იხსნება ორ ოქტომბერს და გრძელდება ოთხმოცი დღე. ხოლო მეორე სესია ორ აპრილს იხსნება და ოთხმოცდაათ დღეს გრძელდება. თუ ორი ოქტომბერი ან ორი აპრილი დაემთხვა არასამუშაო დღეს, მაშინ სესია იხსნება მომდევნო პირველ სამუშაო დღეს.

მიუხედავად იმისა, რომ არსად არაა აღნიშნული, საშემოდგომო სესია ძირითადად ეძღვნება ბიუჯეტის განხილვას, ხოლო საგანგებო სესიებს მთავრობის პროგრამას. გარდა ამ საკითხებისა, სესიებზე ხდება მრავალი საკანონმდებლო ხასიათის პრობლემის განხილვა-გადაწყვეტა.

არის შემთხვევები, როდესაც საჭიროა ჩვეულებრივი სესია გაგრძელდეს კონსტიტუციური ვადების გადაცილებით. მაგალითად, თუ პალატამ მიიღო მთავრობის გაკიცხვის რეზოლუცია და ამ დროს ამოიწურა სესიის კონსტიტუციური ვადა, ხდება მისი გაგრძელება, რათა მოხდეს კენჭისყრა მთავრობისადმი ნდობის საკითხზე.

ჩვეულებრივი სესიები უცვლელ ვადებში ტარდება და არ საჭიროებს აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან რაიმე მოწვევის აქტს. სწორედ ეს ორი ნიშანი განასხვავებს მათ სესიების

სხვა სახეებისაგან.<sup>1</sup> გარდა ამისა, მხოლოდ ჩვეულებრივ სესიაზე შეუძლია პარლამენტს თავისი კომპეტენციის სრული განხორციელება.

ჩვეულებრივ სესიებს შორის პერიოდში შეიძლება მოწვეულ იქნეს პარლამენტის საგანგებო სხდომა. კონსტიტუციის 29-ე მუხლი ითვალისწინებს ამგვარი სხდომის მოწვევის შესაძლებლობას როგორც პრემიერ-მინისტრის, ასევე ეროვნული კრების დეპუტატთა უმრავლესობის მოთხოვნით. დეპუტატთა მოთხოვნის საფუძველზე რესპუბლიკის პრეზიდენტი იღებს დეკრეტს სხდომის მოწვევის შესახებ. ხოლო პრემიერ-მინისტრის მოთხოვნა ამას არ საჭიროებს.

პრემიერ-მინისტრის მოთხოვნით მოწვეული საგანგებო სესია გრძელდება განუსაზღვრელი ვადით, დღის წესრიგის ამოწურვამდე. საგანგებო სესია, რომლის მოსაწვევად საჭიროა დეპუტატთა 250 კაციანი ჯგუფის მოთხოვნა, გრძელდება 12 დღის განმავლობაში. საგანგებო სხდომის დღის წესრიგში ცვლილებების ან დამატების შეტანა არ ხდება სხდომის გახსნის შემდეგ.

კონსტიტუციის 29-ე მუხლში მითითებულია, რომ "მხოლოდ პრემიერ-მინისტრს შეუძლია მოითხოვოს ახალი სესიის მოწვევა სესიის დახურვის შესახებ დეკრეტის გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადის ამოწურვამდე". ეს მომენტი, ჩვენი აზრით, ჩადებულია იმისათვის, რათა არ მოხდეს დეპუტატთა მოთხოვნით საგანგებო სესიების ხშირად მოწვევა.

საგანგებო სესიის გარკვეულ ნაირსახეობას წარმოადგენს პარლამენტის სხდომების ჩატარება რეგლამენტით გათვალისწინებულ სესიებს შორის, როცა მის მოწვევას არ სჭირდება არანაირი აქტი. კონსტიტუციის მე-12, მე-16 და მე-18 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. პარლამენტი ავტომატურად იკრიბება. ეს ხდება, როცა: დათხოვნილის ნაცვლად არჩეული ეროვნული კრება ატარებს 15 დღიან სხდომას; პარლამენტი "საკუთარი უფლებით" იკრიბება პრეზიდენტის მიერ საგანგებო ზომების მიღების შემთხვევაში; პარლამენტი სპეციალურად მოიწვევა სახელმწიფოს მეთაურის მოსმენის მიზნით.<sup>1</sup>

1958 წლის კონსტიტუცია უშუალოდ არეგულირებს საპარლამენტო სხდომების რეჟიმს. 33-ე მუხლის თანახმად, ორივე პალა-

<sup>1</sup> Национальное собрание Франции (его состав и роль в системе верховной власти). Второе издание, Российско-Французская серия "Информационные и учебные материалы", №18, Москва, 1993, с. 31.

ტის სხდომები ღიაა. სრული ანგარიში კამათის შესახებ ქვეყნდება პარლამენტის "ოფიციალურ მოამბეში". პრემიერ-მინისტრის ან წევრთა ერთი მეთოდის მოთხოვნით პალატებს შეუძლიათ ჩაატარონ დახურული სხდომები. პალატების სხდომები სესიების პერიოდში ტარდება სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკევობით დღის მეორე ნახევარში და წყდება შუადღემდე. პალატების სხდომებს თავმჯდომარეობს პალატის თავმჯდომარე ან ერთ-ერთი ვიცე-თავმჯდომარე.

სხდომების საჯაროობა უზრუნველყოფილია საზოგადოების დასწრებით. მნიშვნელოვანი საპარლამენტო სხდომები გადაიცემა ტელევიზიით, ხოლო დებატების შედეგები ქვეყნდება "ოფიციალურ მოამბეში". ხდება აგრეთვე სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშების შედგენა, რომელიც შემდგომ ქვეყნდება.

პარლამენტის სხდომები განცალკევებულად ტარდება. ეროვნული კრების რეზიდენცია ბურბონთა სასახლეა, სენატი ლუქსემბურგის სასახლეში იკრიბება. პალატების გაერთიანებული სხდომები კი ვერსალში ტარდება.

პალატების რეგლამენტები ითვალისწინებენ რიგ ღონისძიებებს სხდომების ორგანიზებისა და მიმდინარეობის, კერძოდ, დისციპლინის განმტკიცების შესახებ. ამ ღონისძიებებს იყენებს პალატის თავმჯდომარე ან სხდომის თავმჯდომარე. ეროვნული კრების რეგლამენტის 70-ე მუხლი ითვალისწინებს დეპუტატებისათვის შემდეგ დისციპლინურ სანქციებს: წესრიგის დაცვის მოთხოვნა ოქმში შეტანით და თვიური ხელფასის ერთი მეოთხედის დაკავებით; გაკიცხვა; მკაცრი გაკიცხვა, რომელიც იწვევს ნახევარი თვის ხელფასის დაკავებას. ამ სანქციის გამოცხადება ხდება პალატის ბიუროს მიერ, ყოველგვარი კენჭისყრის გარეშე. აღნიშნული დისციპლინური ზომები მიიღება იმ პარლამენტართა მიმართ, რომლებიც არღვევენ წესრიგს, შეურაცხყოფას აყენებენ კოლეგებს, მთავრობის წევრებს ან პალატას და მის თავმჯდომარეს.

როდესაც ვესებით საკითხს პალატების სხდომების შესახებ, უნდა გამოვყოთ მასთან დაკავშირებული სამი პროცედურული ელემენტი. ესენია: სხდომის დღის წესრიგის დამტკიცება, საპარლამენტო დებატები და კენჭისყრა. მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული მათგანი.

მეხუთე რესპუბლიკის პარლამენტის პალატები საკუთარი სხდომის დღის წესრიგის თვალსაზრისითაც მოკლებული არიან

დამოუკიდებლობას. კონსტიტუციის 48-ე მუხლის მიხედვით, პალატების სხდომების დღის წესრიგში მთავრობის მიერ შეტანილი კანონპროექტის ან მოწონებული საკანონმდებლო წინადადების განხილვა ხდება იმ რიგითობის შესაბამისად, რომელსაც მთავრობა დაადგენს. აქედან გამომდინარე, მთავრობას ენიჭება არა მარტო გადაწყვეტი როლი დღის წესრიგის ფორმირებაში, არამედ იგი, ფაქტობრივად, სრულად დაეპატრონა ამ პროცესს, პარლამენტის სხდომები წარმართება მთავრობისათვის სასურველი დღის წესრიგით.

პარლამენტის მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს საპარლამენტო დებატები. მისი ორგანიზაცია ეკისრება პალატის თავმჯდომარეთა კონფერენციას. იგი საზღვრავს დებატების დროს და მას ანაწილებს საპარლამენტო ჯგუფების მიხედვით. დებატებში მონაწილეობის მიღებისათვის საჭიროა გამომსვლელთა სიაში ჩაწერა. i

პალატების რეგლამენტები გამომსვლელთათვის არ შეიცავენ დროში რაიმე შეზღუდვებს. მათი მოხსენება უნდა ჩატარდეს ეთიკის ნორმების მკაცრი დაცვით. თუ გამომსვლელი გადაუხვევს განსახილველი თემის ჩარჩოებს, სხდომის თავმჯდომარე მას აძლევს შენიშვნას.

რიგ შემთხვევებში, როდესაც გადაწყვეტილების მიღება არ უნდა გაჭიანურდეს მრავალრიცხოვანი გამოსვლებით /მთავრობის დეკლარაციის, გაკიცხვის რეზოლუციის განხილვის შემთხვევები/, დაშვებულია "შეზღუდული დებატების" ჩატარება. რეგლამენტის სპეციალური მუხლით ამ შემთხვევაში განისაზღვრება ზუსტი დრო თითოეული გამომსვლელისათვის, არაუმეტეს 5 წუთისა. ზოგჯერ რეგლამენტი ზღუდავს არა გამოსვლის ვადას, არამედ გამომსვლელთა რაოდენობას. მაგალითად, პროცედურულ საკითხებზე გამოსვლის უფლება აქვთ მხოლოდ წინადადების ავტორს, ერთ გამომსვლელს, რომელსაც საწინააღმდეგო პოზიცია გააჩნია და მთავრობის წარმომადგენელს.

i ენჭისყრა წარმოადგენს პალატების ფუნქციონირების ძირითად აქტს. სწორედ ამ გზით ხდება ამა თუ იმ საკითხზე კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება. კონსტიტუციის 27-ე მუხლის თანახმად, ენჭისყრა პარლამენტში ხდება უშუალოდ დეპუტატის მიერ. ამასთან, ორგანული კანონის ძალით, დასაშვებია ხმის მიცემის უფლების დელეგირება ერთი პარლამენტარის მიერ მეორისათვის და

დადგენილია ის შემთხვევები, როდესაც დასაშვებია ამგვარი დელეგირება /ავადმყოფობა, უბედური შემთხვევა, მივლინებები, საერთაშორისო ორგანოების მუშაობაში მონაწილეობის მიღება/. პარლამენტის წევრს, რომელიც არ ღებულობს მონაწილეობას კენჭისყრაში, შეიძლება დაუკავდეს ხელფასის გარკვეული ნაწილი.

ფრანგული კონსტიტუციური სამართალი ასხვავებს კენჭისყრის სამ სახეს, როგორცაა ფარული, ანონიმური და ღია კენჭისყრა.

ფარული კენჭისყრა ტარდება მხოლოდ პერსონალური დანიშვნების დროს, როცა ბიულეტენი ურნაში ჩაიშვება უშუალოდ პარლამენტარის მიერ. ამ შემთხვევაში ხმის მიცემის დელეგირება არ დაიშვება.

ანონიმური კენჭისყრა ტარდება ხელის აწევით ან ადგილიდან ადგომით. მას მიმართავენ იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა ხელის აწევით შემოწმდეს კენჭისყრის შედეგები. ამ დროს არ ხდება ხმის მიცემის შედეგების პერსონიფიცირებული აღრიცხვა და ამიტომ იწოდება ეს კენჭისყრა "ანონიმურად".

ღია კენჭისყრის დროს თითოეული პარლამენტარი აზრს საჯაროდ გამოხატავს. იგი გამოიყენება, როდესაც საქმე ეხება მნიშვნელოვან საკითხებს და საზოგადოებისათვის აუცილებელია თითოეული პარლამენტარის პოზიციის ცოდნა! თანამედროვე პირობებში ღია კენჭისყრა ეროვნულ კრებაში ელექტრონული სისტემით ტარდება, ხოლო სენატში ასეთი სისტემა საერთოდ არ არის. თუ ელექტრონული სისტემა მწყობრიდან გამოვა, კენჭისყრა ხდება სახელობითი ბიულეტენებით.

#### **5-4. პარლამენტართა სამართლებრივი სტატუსი**

პარლამენტის წევრთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ საუბრისას, უნდა გამოვყოთ, სამი ძირითადი მომენტი. ესენია: საპარლამენტო მანდატის სხვა ფუნქციებთან შეუთავსებლობა, საპარლამენტო იმუნიტეტი და პარლამენტართა მატერიალური მდგომარეობა.

პარლამენტართა სამართლებრივი სტატუსის მნიშვნელოვანი ელემენტია ამომრჩეველებთან მისი ურთიერთობის ხასიათი. ამ მხრივ ფრანგული პარლამენტის წევრები განიხილებიან როგორც მთელი ერის წარმომადგენლები და ისინი თავის ფუნქციებს ახორციელებენ წარმომადგენლობითი და არა იმპერატიული მანდატის საფუძველზე. კონსტიტუციის 27-ე მუხლის თანახმად, ყოველგვარი იმპერატიუ-

ლი მანდატი ბათილია. იმპერატიული მანდატის აკრძალვა ფრანგულ კანონმდებლობაში განიხილება როგორც პარლამენტართა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალება.

ფრანგი კანონმდებელი საკმაოდ კონკრეტულად ადგენს პარლამენტარის სტატუსს, რაც ხელისუფლების დანაწილების პრინციპებიდან გამომდინარეობს და ცდილობს უზრუნველყოს არა მარტო პარლამენტის წევრთა, არამედ მთლიანად პარლამენტის იურიდიული დამოუკიდებლობა აღმასრულებელი ხელისუფლების ზეგავლენისაგან. კანონი განასხვავებს კანდიდატთა აუზრევლობას და თანამდებობრივ შეუთავსებლობას. პირველი ეხება დეპუტატობისა და სენატორობის კანდიდატებს. პარლამენტში არ შეიძლება არჩეულ იქნენ პირები, რომელთაც უკავიათ გარკვეული თანამდებობები, მაგალითად, გენერალური ინსპექტორი, მოსამართლე, ოფიცერი, აკადემიის რექტორი და ინსპექტორი, პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი და სხვა.

შეუთავსებლობის პრინციპი კი წარმოიშობა არჩევნების შემდეგ და გულისხმობს, რომ არჩეულ პირს არ შეუძლია შეუთავსოს თავისი მანდატი გარკვეულ თანამდებობებს. ასეთი თანამდებობებია საკონსტიტუციო საბჭოს წევრი, ეკონომიკური და სოციალური საბჭოს წევრი, მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს წევრი, მინისტრი და სხვა.

საფრანგეთში დაწესებულია შეზღუდვები საპარლამენტო მანდატისა და კერძო პროფესიული საქმიანობის შეთავსების სფეროში. ეს შეზღუდვები აღნიშნულია საარჩევნო კოდექსში. კერძოდ, საპარლამენტო მანდატი შეუთავსებელია ისეთ თანამდებობებთან, როგორცაა წარმოების ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარე, გამგეობის წევრი ან თავმჯდომარე, დამკვირვებელთა საბჭოს თავმჯდომარე, გენერალური დირექტორი და მისი მოადგილე, საფინანსო ორგანოების ხელმძღვანელი, იმ საწარმოების ან საზოგადოებათა ხელმძღვანელი, რომელთა საქმიანობის მიზანი მოგების მიღებაა.

პირი, რომელიც არჩეულ იქნა პარლამენტის წევრად, ვალდებულია 15 დღის განმავლობაში უარი განაცხადოს მის მანდატთან შეუთავსებელი ფუნქციების შესრულებაზე. ამ წესის დამრღვევს საკონსტიტუციო საბჭოს მიერ ჩამოერთმევა მანდატის უფლება შესაბამისი პალატის ბიუროს ან იუსტიციის მინისტრის ინიციატივით. სხვათა შორის, პარლამენტარის უფლებამოსილებიდან შეუთავსებლობა ყველაზე უფრო მკაცრად კონტროლირებადია. იმ ორგანოში,

სადაც პარლამენტარი არჩევამდე იმყოფებოდა, იგი ითვლება პარლამენტში მივლინებულად და მას უნარჩუნდება შრომის სტაჟი. მანდატის უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ იგი უბრუნდება თავის ძველ თანამდებობას.

პარლამენტის წევრს ეკრძალება თავისი გვარის გამოყენება /წოდების მითითებით/ საფინანსო, სავაჭრო თუ საწარმოო დაწესებულების რეკლამისათვის.

რაც შეეხება სამხედრო სამსახურს, მშვიდობიან პერიოდში პარლამენტარები მისგან თავისუფლებიან, თუ მათ არ გააჩნიათ საპირისპირო მოთხოვნა. იმ შემთხვევაში, როცა პარლამენტის წევრი გადის სამხედრო სამსახურს, მას არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს დებატებში, ხოლო ხმის მიცემა შეუძლია მხოლოდ დელეგირების წესით: საყოველთაო-სამხედრო მობილიზაციის შემთხვევაში პარლამენტის წევრები ინარჩუნებენ თავის მანდატს.

პარლამენტის წევრი თავისი მოვალეობების შესრულების დროს დაცული უნდა იყოს, საქმიანობაში მისთვის ხელის შეშლა, ვისი მხრიდანაც არ უნდა იყოს ეს, დაუშვებელია.

1958 წლის კონსტიტუციის 26-ე მუხლით განმტკიცებულია საპარლამენტო იმუნიტეტის ტრადიციული პრინციპები და გამოყოფილია ისეთი ორი მომენტი, როგორიცაა პარლამენტარის დევნისა და დაპატიმრების დაუშვებლობა და საპარლამენტო ხელშეუხებლობა.

საპარლამენტო იმუნიტეტის ცნებაში იგულისხმება იმ სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ პარლამენტის წევრის განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმს მართლმსაჯულებასთან მიმართებაში და ხელს უწყობენ მას საკუთარი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებაში.<sup>1</sup>

პასუხისგებაში პარლამენტარის მიცემის დაუშვებლობა გულისხმობს, რომ არ შეიძლება მისი მოვალეობის შესრულებისას გამოთქმული აზრისთვის დევნა, ძებნა, დაპატიმრება, დაკავება ან გასამართლება. სესიის დროს პარლამენტის წევრის დევნა ან დაპატიმრება დანაშაულის ან გადაცდომის ჩადენისათვის დაშვებულია მხოლოდ იმ პალატის თანხმობით, რომლის შემადგენლობაშიც იგი შედის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას დანაშაულზე წაასწრეს.

<sup>1</sup> Депутат парламента в зарубежных государствах. Москва, "Юридическая литература", 1995, с. 96.

სესიებს შორის პერიოდში პარლამენტის წევრის დაპატიმრება დაშვებულია პალატის ბიუროს თანხმობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაკავებულია დანაშაულის ჩადენის ადგილზე, საბოლოოდაა მსჯავრებული ან ნებადართულია მისი დევნა. პარლამენტის წევრის დევნა წყდება, ხოლო დაკავებული პირი გათავისუფლდება შესაბამისი პალატის მოთხოვნის საფუძველზე.

ზემოაღნიშნული დებულებებიდან ჩანს, რომ ხელშეუხებლობა არ ნიშნავს პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევას. ეს პრინციპი გულისხმობს დევნისა და უკანონოდ დაკავებისაგან პარლამენტარის დაცვას.

მეხუთე რესპუბლიკის პრაქტიკიდან ჩანს, რომ საპარლამენტო პალატები, როგორც წესი, უარს ეუბნებოდნენ სასამართლო ორგანოებს მოთხოვნებზე, როდესაც პარლამენტარის დევნა აშკარად პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. ასე მაგალითად, 1959 წლიდან 1992 წლის სექტემბრამდე 25 შემთხვევიდან მხოლოდ სამჯერ იქნა მიცემული თანხმობა პარლამენტართა პასუხისმგებაში მიცემის საკითხზე.

ყოველი დეპუტატი არჩევისთანავე ვალდებულია წარადგინოს საფინანსო ანგარიში, თუ რა სახსრები იყო დახარჯული მის წინასაარჩევნო კამპანიაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში საკონსტიტუციო საბჭო მის არჩევას ბათილად გამოაცხადებს. გარდა ამისა, დეპუტატი ვალდებულია ორი კვირის ვადაში წარადგინოს ეროვნული კრების ბიუროში “ღირსების დეკლარაცია” – პირადი საკუთრების ოდენობის მითითებით. იგივე უნდა გააკეთოს მანდატის ვადის გასვლისას.

პარლამენტში მუშაობისათვის დეპუტატები იღებენ ყოველთვიურ ხელფასს, რამაც 1992 წლის ბოლოსათვის 38,5 ათასი ფრანკი შეადგინა, მაშინ როცა მინიმალური ხელფასი ქვეყანაში 5,8 ათასი ფრანკი იყო. 1993 წლიდან იგი დაბევრილია საშემოსავლო გადასახადით. დეპუტატის ხელფასის ოდენობა ისეთი გაანგარიშებული, რომ უზრუნველყოს მისი ფინანსური დამოუკიდებლობა, ააცილოს იმის საჭიროება, რომ საპარლამენტო საქმიანობას შეუთავსოს კიდევ რაიმე პროფესიული. ამ თანხის გარდა, პარლამენტარებს დამატებით ეძლევათ ე. წ. “დახმარება ფუნქციონირებისათვის”, რაც ხელფასის ოდენობის მეოთხედს შეადგენს. ამ დროს გაითვალისწინება ის, რომ დეპუტატებს, დადგენილი წესით, ხელფასის ნაწილი ყოველთვიურად შეაქვთ თავიანთი საპარლამენტო ჯგუფის საქმიანობის საფინანსო უზრუნველყოფის ფონდში.



ამას გარდა, პარლამენტის წევრებს ეძლევათ შესაძლებლობა შეღავათიან პირობებში მიიღონ კრედიტები ავტომანქანის და საცხოვრებელი ბინის შესაძენად. ყოველ პარლამენტარს გააჩნია საჩუქარო კაბინეტი. მასთან ერთად იმყოფებიან მდივანი და საპარლამენტო ატაშე.

თითოეული დეპუტატი ყოველთვიურად იღებს დაახლოებით 50 ათას ფრანკს ორი თანამშრომლის და სამდივნოს შენახვისათვის. მას შეუძლია უფასოდ იმგზავროს მატარებლით საფრანგეთის ტერიტორიაზე, აგრეთვე აქვს წელიწადში 40 უფასო ავიაბილეთი პარიზსა და თავის საარჩევნო ოლქს შორის მგზავრობისათვის. სადეპუტატო ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებული სატელეფონო საუბრები და საფოსტო გზავნილებანი უფასოა.

## 5-5. საკანონმდებლო პროცესი პარლამენტში

მეხუთე რესპუბლიკის დამარსებელთა მისწრაფება საპარლამენტო რეჟიმის რაციონალიზაციისაკენ ყველაზე უფრო მკვეთრად აისახა პარლამენტის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციაზე – საკანონმდებლო საქმიანობაზე.

საფრანგეთის პარლამენტი იღებს სამი სახის კანონს. ესენია: ჩვეულებრივი, ორგანული და კონსტიტუციაში ცვლილების შემტანიანუ კონსტიტუციური კანონები.<sup>1</sup> მეხუთე რესპუბლიკის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს საკანონმდებლო სფეროში პარლამენტის კომპეტენციის შეზღუდვა. კონსტიტუციის 34-ე მუხლი ადგენს იმ საკითხთა ნუსხას, რომელთა საფუძველზე პარლამენტი უფლებამოსილია აწარმოოს კანონშემოქმედებითი საქმიანობა.<sup>2</sup> პარლამენტი იღებს ჩვეულებრივი კანონების პაკეტს, რომლებიც ეხება საზოგადოებრივ და პირად თავისუფლებას, დამნაშავეობისა და სამართალდარღვევათა პრობლემებს, სახელმწიფო ბიუჯეტს, გადასახადებს, ეროვნული თავდაცვისა და ადგილობრივი მმართველობის ძირითად პრინციპებს, განათლების სისტემას, საკუთრების რეჟიმს, შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის სისტემას. დანარჩენი საკითხები მთავრობის კომპეტენციას განეკუთვნება. დავები ამა თუ იმ სფეროს რეგულირების კუთვნილების შესახებ წყდება საკონსტიტუციო საბჭოს მიერ.

ჩვეულებრივი კანონების გარდა, საფრანგეთის პარლამენტი იღებს ორგანულ კანონებს, რომლებიც 1958 წლის კონსტიტუციით შეყვანილ იქნა სახელმწიფო სამართლის წყაროთა სისტემაში. ამგვარი კანონების დანიშნულებაა კონსტიტუციაში მითითებული ორ-

განობის საქმიანობის წესის დადგენა. ორგანული კანონები მიიღება კონსტიტუციაში მითითებული ბლანკეტური ნორმების საფუძველზე) სხვაგვარად რომ ვთქვათ, ორგანული კანონები თავისი იურიდიული ძალით ერთგვარ შუალედურ პოზიციაზეა კონსტიტუციურ და ჩვეულებრივ კანონებს შორის და საკანონმდებლო იერარქიაში შუალედურ რგოლს წარმოადგენენ. ორგანული კანონებით ხდება კონსტიტუციის განვრცობა. ჩვეულებრივი კანონები უნდა შეესაბამებოდნენ არა მარტო ძირითად კანონს, არამედ ორგანულ კანონებსაც.

პარლამენტი უფლებამოსილია ცვლილება შეიტანოს კონსტიტუციაში. ეს ხდება ძირითადი კანონის 89-ე მუხლის საფუძველზე. ინიციატივის უფლება ამ შემთხვევაში ეკუთვნის პარლამენტის წევრებს და პრეზიდენტს, რომელიც მოქმედებს პრემიერ-მინისტრის წინადადებით. კანონის პროექტი, რომელსაც ცვლილება შეაქვს კონსტიტუციაში, წინასწარ ცალ-ცალკე განიხილება პალატებში, მაგრამ საბოლოო რედაქციით პალატების მიერ მიღებული კანონის პროექტი იდენტური უნდა იყოს!

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება გააჩნიათ პარლამენტარებს და პრემიერ-მინისტრს. რესპუბლიკის პრეზიდენტი ფორმალურად ამგვარი უფლებით არ არის აღჭურვილი.

მთავრობის ან დეპუტატთა მიერ შემოთავაზებული პროექტი შედის ეროვნული კრების ბიუროში. იგი აქ რეგისტრირდება და ეძლევა ოფიციალური ნომერი. ამ მომენტამდე პროცედურა ერთნაირია, მხოლოდ ამის შემდეგ იწყება განსხვავებები. დეპუტატის საკანონმდებლო წინადადებას, ეროვნული კრების სხდომის დღის წესრიგში ჩასმამდე, განიხილავს ქვედა პალატის ბიურო და ადგენს, შეესაბამება თუ არა იგი კონსტიტუციის მე-4 მუხლს, რომელიც კრძალავს დეპუტატთა ყოველგვარ ინიციატივას, რასაც თან შეიძლება მოჰყვეს ხარჯების ზრდა ან ბიუჯეტში შემოსავლის შემცირება.

მთავრობას ამ მხრივ უფრო მეტი შესაძლებლობები აქვს, ვიდრე დეპუტატთა პალატას, მას აქვს პრიორიტეტული უფლება ეროვნული კრების დღის წესრიგში შეიტანოს პროექტები თავისი არჩევანით, დააყენოს ამა თუ იმ პროექტის მიუღებლობის საკითხი, რასაც დაასაბუთებს იმით, რომ განსახილველად შეტანილი საკითხები განეკუთვნება მთავრობის კომპეტენციას. მთავრობა ამ შემთხვევაში იყენებს ე. წ. "კენჭისყრის ბლოკირების" მეთოდს.

დე გოლის კონსტიტუციის ერთი მნიშვნელოვანი ნოვაცია ის გახლავთ, რომ მთავრობა ჩართულია საკანონმდებლო პროცესის ყველა სტადიაზე. მიღებული კანონების უძრავლესობა სამთავრობო წარმოშობისაა და ხაზგასმით აღნიშნავს თანამედროვე სახელმწიფოში აღმასრულებელი ხელისუფლების დომინირებულ მდგომარეობას.

ფილიპ არდანის აზრით, აღმასრულებელი ხელისუფლება პოლიტიკური სისტემის მამოძრავებელი ძალაა, ხოლო კანონპროექტები ხდება საზოგადოებაზე მისი ზემოქმედების მოხერხებული ინსტრუმენტი. ამის მიუხედავად, პარლამენტარები ჩართულნი არიან ამ ვითარებაში და ყოველთვის არ ესმით, რომ პარლამენტი ამოდ იხარჯება საკანონმდებლო წინადადებებზე, რომლებიც არასდროს არ იქნება მიღებული.<sup>1</sup>

მეხუთე რესპუბლიკის კონსტიტუცია შესაძლებლობას აძლევს მთავრობას თავს მოახვიოს პალატას ნებისმიერი კანონპროექტი განხილვის გარეშე, თუ იგი დაკავშირებულია ნდობის საკითხთან. კონსტიტუციის 49-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მთავრობის მიერ შემოთავაზებული ტექსტი ამ შემთხვევაში ითვლება ავტომატურად მიღებულად, თუ ოპოზიცია 24 საათის განმავლობაში არ შეიტანს უნდობლობის რეზოლუციას. თუმცა ასეთი რეზოლუციის შეტანა ვერ უშველის ოპოზიციას, რომელსაც არა ჰყავს უძრავლესობა პალატაში და, აქედან გამომდინარე, არა აქვს არანაირი შანსი გაიტანოს თავისი რეზოლუცია უნდობლობის შესახებ.

მთლიანობაში, უარყოფითი ნიშნების მიუხედავად, ეს მუხლი იცავს მთავრობას მოსალოდნელი დესტაბილიზაციისაგან კანონმდებლის მხრიდან და საშუალებას აძლევს მას არ წაიბორძიკოს თითოეულ ნაბიჯზე ყოველდღიურ საქმიანობაში.

განსახილველად მიღებულ კანონპროექტს ან საკანონმდებლო წინადადებას ბიურო გადასცემს პალატის ერთ-ერთ მუდმივ კომისიას, რომელიც მოისმენს რა მოხსენებას, აზრთა გაცვლის შემდეგ გამოიტანს დასკვნას, რომლითაც რეკომენდაციას იძლევა მიიღოს ან უარყოს შესაბამისი ტექსტი, ან შეიტანოს მასში შესაბამისი შესწორებები. ამის შემდგომ, “თავმჯდომარეთა კონფერენციის” გადაწყვეტილებით, ეს ტექსტი შეიტანება ეროვნული კრების სესიის დღის წესრიგში.

<sup>1</sup> ფილიპ არდანის აღნიშნული ნაშრომი, გვ. 115.

პალატის პლენარულ სხდომაზე ხდება კანონპროექტის განხილვა. ჩვეულებრივ, დებატები იწყება პრემიერ-მინისტრის ან იმ მინისტრის გამოსვლით, რომლის კომპეტენციასაც განეკუთვნება კონკრეტული საკითხი და შესაბამისი კომისიის მოხსენებით. მთავრობის წევრები დაიშვებიან ორივე პალატაში, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში მათ უნდა მოუსმინონ პარლამენტარებმა. დისკუსიის ხანგრძლივობას ადგენს “თავმჯდომარეთა კონფერენცია”. მისი დამთავრების შემდეგ პალატა აწყობს მუხლობრივ განხილვას, სხდომის თავმჯდომარე ასახელებს თითოეულ მუხლს და შეთავაზებულ შესწორებებს. მთავრობისა და კომისიის წარმომადგენლები სურვილისამებრ გამოთქვამენ აზრს. მუხლებთან დაკავშირებით დეპუტატებს შეუძლიათ აიღონ 5 წუთიანი სიტყვა. შესწორებებზე პალატა უსმენს მათ ავტორს და ერთ ორატორს, რომელსაც საწინააღმდეგო აზრი აქვს, ცალ-ცალკე კენჭს უყრის თითოეულ შესწორებას, შემდეგ თითოეულ მუხლს, რის შედეგადაც სხდომის თავმჯდომარე კენჭისყრაზე აყენებს მთლიანად კანონპროექტს.

პარლამენტის მიერ კანონპროექტის ტექსტის საბოლოოდ მიღებისათვის საჭიროა ორივე პალატამ ერთი და იმავე ფორმულირებით მოიწონოს იგი. ერთი პალატის მიერ მიღებული ტექსტი შემდეგ გადაეცემა მეორე პალატას. თუ სენატი ცვლის ეროვნული კრებიდან შემოსულ ტექსტს, ის უბრუნდება კრებას ახალი განხილვისათვის და პირიქით. ამ თანამიმდევრულ მოსმენას უწოდებენ “მაქოსებურს” და პრინციპში ეს შეიძლება გაგრძელდეს მანამ, სანამ ორივე პალატა არ მიიღებს საერთო ტექსტს. მაგრამ მთავრობას აქვს უფლება შეაჩეროს სასწრაფოდ მისაღები პროექტის მოძრაობა პალატებს შორის და დაავალოს კომპრომისული ტექსტის შემუშავება 7 დეპუტატისა და 7 სენატორისაგან შემდგარ პარიტეტულ კომისიას. თუ კომისია ვერ შეძლებს შეიმუშაოს ასეთი ტექსტი ან ერთ-ერთი პალატა არ მიიღებს მას შეთანხმებული ფორმულირებით, მთავრობა უფლებამოსილია მოითხოვოს, რომ დეპუტატთა პალატამ გამოიტანოს საბოლოო გადაწყვეტილება. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სწორედ ასე მიიღება პოლიტიკურად მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტების დიდი უმრავლესობა.

პარლამენტის კომპეტენციაში შედის ფინანსური ხასიათის კანონების მიღება, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება ძირითადად ბიუჯეტი და ის კანონები, რომლებსაც შეაქვთ ცვლილება-დამატებები ბი-

უჯეტის კანონში. 1958 წლის კონსტიტუციამ დააწესა განსხვავებული პროცედურა საფინანსო კანონების მომზადება-მიღებისათვის. ყოველწლიურად, იანვრის თვიდან იწყება მომდევნო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მზადება. პრემიერ-მინისტრის ბრძანებით, აღნიშნული ფუნქცია ფინანსთა მინისტრს ეკისრება. აღნიშნული პროექტი სექტემბრის თვეში განიხილება მინისტრთა საბჭოში და შემდგომ, არაუგვიანეს ოქტომბრის პირველი სამშაბათისა, წარედგინება პარლამენტს. პარლამენტის მიერ საფინანსო ხასიათის კანონების განხილვისა და მიღების პროცედურა რამდენადმე განსხვავდება ჩვეულებრივი საკანონმდებლო პროცედურისაგან. ეს განსხვავება, ძირითადად, მდგომარეობს საფინანსო კანონების განხილვა-მიღებისათვის ვადების განსაზღვრაში. ბიუჯეტი პარლამენტმა უნდა მიიღოს მთავრობის მიერ პროექტის გადაცემიდან 70 დღის განმავლობაში. ეს ვადაც განაწილებულია პალატების მიხედვით — ეროვნული კრება პროექტს იხილავს 40 დღის განმავლობაში, რის შემდეგაც იგი გადაეცემა სენატს, რომელმაც 20 დღის ვადაში უნდა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება. 10 დღიანი ვადა გამოყოფათ პალატებს საფინანსო კანონის ტექსტის იდენტური რედაქციის მისაღებად. იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი დაწესებული 70 დღიანი ვადის განმავლობაში ვერ შეძლებს მომდევნო წლის ბიუჯეტის მიღებას, მთავრობა უფლებამოსილია პროექტის ძირითადი დებულებები აამოქმედოს და ძალაში შეიყვანოს საკუთარი ორდონანსების მეშვეობით. უნდა ითქვას, რომ ბიუჯეტის ამგვარი გზით მიღება საკმაო იშვიათობას წარმოადგენს. 1958 წლიდან მოყოლებული, აღნიშნული უფლება მთავრობამ მხოლოდ ერთხელ, 1979 წელს გამოიყენა.

ეროვნულ კრებაში არსებობს ე. წ. შემოკლებული საკანონმდებლო პროცედურები, რომლებიც გამოიყენება, როცა ესა თუ ის კანონპროექტი არ იწვევს სერიოზულ კამათს. ერთ-ერთი ასეთი პროცედურაა კენჭისყრა განხილვის გარეშე. განხილვის გარეშე საკითხის კენჭისყრაზე დაყენების მოთხოვნის უფლება აქვს მთავრობას ან კომისიას, რომელმაც არსებითად განიხილა აღნიშნული საკითხი.

შემოკლებულ საკანონმდებლო პროცედურას მიეკუთვნება საკითხის განხილვისას დებატების ხანგრძლივობის შეზღუდვა. ამგვარი მოთხოვნის დაყენების უფლება აქვს მთავრობას ან კომისიას, რომელმაც არსებითად განიხილა ეს საკითხი. თუ მიღებულ იქნა ამგვარი საკანონმდებლო პროცედურა, საკითხის განხილვაში მონა-

წილებას იღებენ მთავრობის წარმომადგენლები, პალატის თავმჯდომარე, კომისიის მომხსენებელი და საკითხის ავტორი. დაიშვება 5 წუთიანი გამოსვლების უფლების მიცემა ფრაქციათა თითო წარმომადგენლისათვის.

სენატში არის საკითხის დაუკონებლივ განხილვის განსაკუთრებული პროცედურა. მისი მოთხოვნა შეუძლია კომპეტენტურ კომისიას. (პარლამენტის მიერ კანონის მიღების შემდეგ იგი ეგზავნება მთავრობას, რომელიც გადასცემს მას რესპუბლიკის პრეზიდენტს. პრეზიდენტი ახდენს კანონის პრომულგირებას და აქვეყნებს მას ორკვირიან ვადაში. თუმცა, ამ ვადის გასვლამდე პრეზიდენტს უფლება აქვს დაუბრუნოს კანონი პარლამენტს მთლიანად ან ნაწილობრივ ხელახალი განხილვისათვის. გარდა ამისა, კანონი საბოლოო დამტკიცებამდე შეიძლება წარედგინოს სათანადო დასკვნისათვის საკონსტიტუციო საბჭოს.)

## თავი მმმმსმ. საფრანგეთის სასამართლო სისტემა

### 6-1. სასამართლო ორგანოები

ხელისუფლების დანაწილების პრინციპები — თეორიულად, ხოლო რეეში — პრაქტიკულად ერთმანეთისაგან გამიჯნავენ საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო სისტემებს. პარლამენტი კანონმდებლობს, მთავრობა უზრუნველყოფს კანონების შესრულებას, ხოლო სასამართლო იყენებს კანონებს კერძო პირთა შორის კონკრეტული დავების გადასაჭრელად.

საფრანგეთის სასამართლო სისტემა შედგება საკასაციო, სააპელაციო და იმ სასამართლოებისაგან, რომლებიც პირველი ინსტანციის საქმეებს განიხილავენ.

საკასაციო სასამართლო, რომელიც სასამართლოთა სისტემის ზედა რგოლს წარმოადგენს, საფრანგეთის სახელმწიფო დაწესებულებათა შორის ერთ-ერთი უძველესია. 1967 წლის რეფორმამ იგი დაყო ექვს პალატად, რომელთაგან ხუთი იხილავს სამოქალაქო საქმეებს, ერთი — სისხლის სამართლის საქმეებს. თავის მხრივ, სამოქალაქო საქმეთა პალატები დაჯგუფებულია სამოქალაქო დავების, სავაჭრო და საფინანსო დავების და სოციალურ საკითხთა განმსილველ პალატებად. 1982-1983 წლების დეკრეტების თანახმად, საკასაციო სასამართლო შედგება პირველი თავმჯდომარისაგან,

პალატების თავმჯდომარეებისაგან, 84 სასამართლოს წევრისაგან, 36 მრჩეველისაგან, აგრეთვე საკასაციო სასამართლოს გენერალური პროკურორისა და ოცი ადვოკატისაგან.

საკასაციო სასამართლოს დადგენილების გამოტანა ხდება ერთ-ერთი პალატის ან პალატების საერთო სხდომის მიერ. უმაღლესი კოლეგიალური ორგანოა პლენუმი, რომელიც შედგება სასამართლოს პირველი თავმჯდომარისაგან, პალატების თავმჯდომარეებისაგან და თითოეული პალატის ორი უხუცესი წევრისაგან.

საქმეთა უმრავლესობა განიხილება ცალკეულ პალატებში. პალატის დადგენილების გამოტანა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც განსახილველი საკითხი სცილდება ერთი რომელიმე პალატის კომპეტენციას. პლენუმი მოიწვევა მნიშვნელოვანი ხასიათის საქმეთა განსახილველად.

საკასაციო სასამართლოს კომპეტენციაში შედის ქვემდგომი ორგანოების დადგენილებებზე საკასაციო საჩივრების განხილვა. ამასთან, სასამართლო განიხილავს საჩივრებს არა კონკრეტული ფაქტების მიმართ, არამედ პროცესუალური ნორმების დარღვევის შემთხვევებზე. სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო უფლებამოსილია გადასინჯოს ძალაში შესული განაჩენი ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო. განაჩენის გაუქმების შემთხვევაში საქმე ხელახალი განხილვისათვის უბრუნდება ქვემდგომ სასამართლოს. თუ საქმის ფაქტობრივი გარემოებები ეჭვს არ იწვევს, საკასაციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. საკასაციო სასამართლოს დადგენილებები კონკრეტულ საქმეებზე დიდ გავლენას ახდენს ქვეყანაში სასამართლო პოლიტიკის გატარებაზე.

სააპელაციო სასამართლოთა სისტემა საფრანგეთში ორ ჯგუფად იყოფა. პირველი ჯგუფი შედგება 30 სააპელაციო სასამართლოსაგან, რომელთა იურისდიქცია ვრცელდება დეპარტამენტებზე. მეორე ჯგუფს შეადგენს 5 სააპელაციო სასამართლო, რომლებიც მოქმედებენ საფრანგეთის ზღვისიქითა ტერიტორიებზე. თითოეული სააპელაციო სასამართლო ატარებს იმ ქალაქის სახელს, სადაც მისი ადგილსამყოფელია. სასამართლოს საქმიანობას ხელმძღვანელობს პირველი თავმჯდომარე. სააპელაციო სასამართლო შედგება სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა პალატებისაგან, რომლებიც თავის მხრივ იყოფა სავაჭრო და სპეციალურ საკითხთა

განმხილველი ქვედა პალატებისაგან. პარიზის სააპელაციო სასამართლო შედგება 25 პალატისგან. საქმეთა განხილვა ხდება კოლეგიებზე, რომლებიც შედგება არანაკლებ სამი წევრისაგან, ხოლო სამოქალაქო საქმეების განმხილველი კოლეგია — ხუთი მოსამართლისაგან.

სისხლის სამართლის საქმეთა პალატები, პალატის თავმჯდომარის და ორი მოსამართლის შემადგენლობით, განიხილავენ ქვემდგომი სასამართლოების მიერ გამოტანილ განაჩენებზე სააპელაციო საჩივრებს. სააპელაციო საჩივრის განხილვის შემდეგ პალატა ტოვებს განაჩენს ძალაში, ან თავად გამოაქვს ახალი გადაწყვეტილება. მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში ხდება პალატის მიერ საქმის გადაგზავნა ქვემდგომ სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის. თითოეული სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობაში არსებობს საბრალდებო კამერა, რომლის თავმჯდომარე აკონტროლებს ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის დროს პროცესუალური ნორმების დაცვას.

სამოქალაქო საქმეთა პალატები იხილავენ ქვემდგომი სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებზე სააპელაციო საჩივრებს.

პირველი ინსტანციის სასამართლოები იყოფა ორ ჯგუფად: სამოქალაქო საქმეთა განხილვა ხდება დიდი პროცესის ტრიბუნალების და მცირე პროცესის ტრიბუნალების მიერ, ხოლო სისხლის სამართლის საქმეებს იხილავენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები, გამასწორებელი ტრიბუნალები და საპოლიციო ტრიბუნალები. ტერმინი “ტრიბუნალი” გულისხმობს არა მათ საგანგებო ხასიათს, არამედ სხვა სასამართლოებთან მიმართებაში მათი კომპეტენციის მოცულობას.

დიდი პროცესის ტრიბუნალები არსებობენ თითოეულ დეპარტამენტში. მათ შემადგენლობაში შედიან თავმჯდომარე და მოსამართლეები. საქმეთა განხილვა წარმოებს სამი მოსამართლისაგან შემდგარ კოლეგიებზე. გარკვეული კატეგორიის საქმეებზე დაშვებულია ერთპიროვნული სასამართლო განხილვა, რაზეც სავალდებულოა მხარეთა თანხმობა. დიდი პროცესის ტრიბუნალის კომპეტენციაში შედის ქონებრივი ხასიათის სამოქალაქო საქმეების განხილვა, რომელთა სასარჩელო თანხა აღემატება 30 ათას ფრანკს, აგრეთვე დავები მოქალაქეობის, შვილად აყვანის, ქორწინებისა და განქორწინების საკითხებზე. თუ რომელიმე დეპარტამენტში არ არის სავაჭრო საქმეთა ტრიბუნალი, მის ფუნქციებს დიდი პროცესის ტრიბუნალი ასრულებს.



მცირე პროცესის ტრიბუნალები დაწესდა 1958 წელს. მათ შეეცვალეს მოსახლეობის მიერ არჩეული საერო მოსამართლეები. ტრიბუნალები განლაგებულია დეპარტამენტების მთავარ ქალაქებში, აგრეთვე მსხვილ კანტონებში და ისინი თითო მოსამართლისაგან შედგებიან.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების კომპეტენციაში შედის მძიმე სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა. ისინი მდებარეობენ პარიზში და დეპარტამენტების მთავარ ქალაქებში. თითოეული სასამართლოს შემადგენლობაში შედის თავმჯდომარე, სამი მოსამართლე და ცხრა ნაფიცი მსაჯული. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სესიები ტარდება, როგორც წესი, კვარტალში ერთხელ. გადაწყვეტილების მიღება ხდება სათათბირო ოთახში ერთობლივად, ნაფიც მსაჯულთა და მოსამართლეთა მიერ, ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით. პირველი ინსტანციის სხვა სასამართლოებისაგან განსხვავებით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაწყვეტილება არ ექვემდებარება სააპელაციო წესით გასაჩივრებას.

გამასწორებელი ტრიბუნალები<sup>1</sup> განიხილავენ საქმეებს სისხლის სამართლის დანაშაულების შესახებ პირველი ინსტანციით. გამასწორებელი ტრიბუნალის ფუნქციები შეუძლია იკისროს დიდი პროცესის ტრიბუნალმა, რომლის შემადგენლობაში არის სისხლის სამართლის საქმეთა პალატა. გამასწორებელი ტრიბუნალები საქმეებს განიხილავენ სამი მოსამართლისაგან შემდგარ კოლეგიებზე. საქმეთა გარკვეული კატეგორია, რომელიც ეხება საგზაო მოძრაობის, თევზჭერისა და ნადირობის წესების დარღვევას, განიხილება ერთპიროვნულად მოსამართლეთა მიერ. პროცესებში, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე გრძელდება, მონაწილეობენ სათადარიგო მოსამართლეები. ისინი ცვლიან ძირითად მოსამართლეებს, რომლებიც ავადმყოფობის თუ სხვა გარემოებათა გამო ვერ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას.

საპოლიციო ტრიბუნალები<sup>2</sup> პირველი ინსტანციის სასამართლოთა ნაირსახეობას წარმოადგენენ. ისინი იხილავენ ნაკლებად მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულთა საქმეებს, რომელთა ჩადე-

<sup>1</sup> საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის I მუხლის თანახმად, სისხლის სამართლებრივი დანაშაულისათვის სასჯელი იწოდება გამასწორებლად.

<sup>2</sup> საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის I მუხლის თანახმად, ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის სასჯელი იწოდება საპოლიციოდ.

ნისათვის ჯარიმა არ აღემატება 10 ათას ფრანკს. მათ მიერ საქმეთა განხილვა ხდება მცირე პროცესის ტრიბუნალების მოსამართლეთა მიერ ერთპიროვნულად. საპოლიციო ტრიბუნალები იხილავენ როგორც სისხლის სამართლის, ასევე სამოქალაქო დავებს.

სასამართლოთა სისტემაში სპეციალური ქვედანაყოფის სახით შედიან არასრულწლოვანთა საქმეების განხილველი დაწესებულებები. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იხილავს 16-დან 18 წლამდე არასრულწლოვანთა მიმართ მძიმე სისხლის სამართლის საქმეებში ბრალდების საკითხებს. საქმეთა განხილვაში მონაწილეობს სამი მოსამართლე და ცხრა, ნაფიცი მსაჯული.

13-დან 15 წლამდე არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულების საქმეებს იხილავენ დიდი პროცესის ტრიბუნალებთან შექმნილი არასრულწლოვანთა საქმეების ტრიბუნალები. ეს ტრიბუნალები შედგებიან არასრულწლოვანთა საქმეების მოსამართლეებისაგან და ორი მსაჯულისაგან /ასესორისაგან/, რომლებიც ინიშნებიან სამი წლის ვადით იუსტიციის მინისტრის მიერ. არასრულწლოვანთა საქმეების ტრიბუნალების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს სპეციალურ პალატაში.

საფრანგეთის სასამართლო სისტემის თავისებურებას წარმოადგენს სასჯელის აღმასრულებელი მოსამართლის ინსტიტუტის არსებობა, რომელიც უფლებამოსილია აქტიურად ჩაერიოს მსჯავრდებულთა მიერ სასჯელის მოხდის პროცესში. მოსამართლე მონაწილეობს სასჯელის აღსრულების რეჟიმის შეცვლაში, მსჯავრდებულთა სოციალური პირობების გაუმჯობესების ღონისძიებებში, შუამდგომლობს მათ ვადადღე ადრე გასათავისუფლებლად. სასჯელის აღმასრულებელი მოსამართლე ინიშნება სამი წლის ვადით დიდი პროცესის ტრიბუნალის წევრთაგან.

ქვეყნის სასამართლო სისტემაში გამოყოფილია რიგი სასამართლო დაწესებულებები, რომლებიც სპეციალიზებული არიან გარკვეული კატეგორიის საქმეთა განხილვაზე. მათ მიეკუთვნებიან სავაჭრო საქმეთა ტრიბუნალები, პროდიუმთა საბჭოები, სოციალური დაზღვევის საკითხთა კომისიები, საადგილმამულო დავებთან დაკავშირებული ტრიბუნალები და სხვ.

სავაჭრო საქმეთა ტრიბუნალები შედგება სამი მოსამართლისაგან /კონსულები/. მათი არჩევა ხდება ორი-სამი წლის ვადით კო-

მერსანტების ან სავაჭრო კომპანიების წევრებისაგან. სავაჭრო საქმეთა ტრიბუნალები არსებობენ საფრანგეთის მსხვილ ქალაქებში. ისინი იხილავენ სავაჭრო გარიგების მონაწილე მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, საწარმოთა ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, მეწარმეებისა და ბანკირების ვალდებულებათა თაობაზე წამოჭრილ პრობლემებს.

პროდიუმთა /პატიოსნებით განთქმულ პირთა/ საბჭოები მოწოდებული არიან გადაჭრან ინდივიდუალურ შრომით ხელშეკრულებებთან დაკავშირებული კონფლიქტები. ისინი არსებობენ ყოველ დეპარტამენტში. საბჭოები შედგება მეწარმეთა და შრომელთა რიგებიდან არჩეული მრჩეველებისაგან. საქმეთა განხილვა ხდება მცირე პროცესის ტრიბუნალის მოსამართლის მონაწილეობით. 1985 წელს შეიქმნა პროდიუმთა უმაღლესი საბჭო, რომელიც წარმოადგენს იუსტიციის და შრომის მინისტრებთან არსებულ საკონსულტაციო ორგანოს.

საფრანგეთის სასამართლო ორგანოთა სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მართლმსაჯულების უზენაეს პალატას, რომელიც აირჩევა პარლამენტის პალატების მიერ თავისი წევრებისაგან. მის შემადგენლობაში შედიან 12 მოსამართლე და მათი 6 მოადგილე. 1958 წლის კონსტიტუციის მიხედვით, მართლმსაჯულების უზენაესი პალატა იქმნება რესპუბლიკის პრეზიდენტის სახელმწიფო ღალატში ბრალდების, აგრეთვე მინისტრთა მიერ მძიმე დანაშაულების ჩადენის საქმეთა განსახილველად. ამ ბრალდებათა განხილვა და ბრალდებულის მართლმსაჯულების უზენაესი პალატისათვის გადაცემა ხდება მხრლოდ და მხოლოდ პარლამენტის ორივე პალატის გადაწყვეტილებით. 1963-1981 წლებში საფრანგეთში საგანგებო ორგანოს სახით არსებობდა სახელმწიფო უშიშროების სასამართლო, რომელიც განიხილავდა სახელმწიფოს საშინაო თუ საგარეო უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა საქმეებს.

## 6-2. სასამართლო სისტემის სხვა ორგანოები

ქვეყნის სასამართლო სისტემისაგან დამოუკიდებლად, რომლის უმაღლეს რგოლს წარმოადგენს საკასაციო სასამართლო, საფრანგეთში ფუნქციონირებს ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოთა სისტემა. ისინი განიხილავენ სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა საქმიანობის მიმართ გამოთქმულ საჩივრებს. ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოთა სისტემას ხელმძღვანელობს სახელმწიფო

საბჭო, რომელსაც ფორმალურად თავმჯდომარეობს პრემიერ-მინისტრი, მას კი ცვლის იუსტიციის მინისტრი. ფაქტობრივი ხელმძღვანელობა ვიცე-თავმჯდომარეს ეკუთვნის.

სახელმწიფო საბჭო ორი ფუნქციის მატარებელია. როგორც იუსტიციის უმაღლესი ორგანო, სახელმწიფო საბჭო კონტროლს ახორციელებს ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაზე. უკანასკნელთა გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს ადმინისტრაციულ სასამართლოებში. მეორე მხრივ, საბჭო ასრულებს აგრეთვე საკასაციო ინსტანციის მოვალეობას სააპელაციო ადმინისტრაციული სასამართლოების მიმართ საანგარიშო პალატიდან, საფინანსო დისციპლინის სასამართლოდან და ა. შ. შემოსულ საქმეებზე.

სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობაში შექმნილია დავათა განმხილველი სექცია, რომელიც თავის მხრივ ცხრა ქვესექციას აერთიანებს. ქვესექციები იხილავენ ადმინისტრაციული იუსტიციის ქვემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებებთან დაკავშირებულ საკასაციო და სააპელაციო საჩივრებს. სახელმწიფო საბჭოს სექცია პირველი ინსტანციის წესით იხილავს პრეზიდენტის, მთავრობის თუ ცალკეული მინისტრების მიერ გამოცემული აქტების მიმართ გამოთქმულ საჩივრებს.

სახელმწიფო საბჭო იმავდროულად მთავრობასთან სახელმწიფო მმართველობის საკონსულტაციო ორგანოს წარმოადგენს. სხვაგვარად მას მთავრობის “პრივილეგირებულ მრჩეველს” უწოდებენ. კონსტიტუციის 38-ე და 39-ე მუხლების თანახმად, საბჭო აუცილებელი წესით იძლევა წინასწარ დასკვნებს მთავრობის კანონპროექტებზე, რომელსაც მთავრობა დელეგირებული კანონმდებლობის აქტების სახით გამოსცემს “საჯარო ადმინისტრაციის რეგლამენტების” პროექტებზე. საბჭო კონსულტაციას უწევს მთავრობას და მინისტრებს იურიდიულ საკითხებზე და ზოგიერთ შემთხვევებში – საკუთარი ინიციატივით შეუძლია სახელმწიფო ორგანოების ყურადღება მიაპყროს საერთო ინტერესებიდან გამომდინარე ამა თუ იმ აქტის გამოცემის აუცილებლობაზე.

სახელმწიფო საბჭოს მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა 1958 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ, როცა ახალი ურთიერთობა ჩამოყალიბდა საკანონმდებლო და მარეგლამენტირებელ ხელისუფალთა შორის. უკანასკნელთა აქტები უკვე არ განიხილება, როგორც კანონის განვითარების მიზნით გამოცემული აქტი. მათ

მოიპოვეს დამოუკიდებელი და განმსაზღვრელი როლი. ამასთან კავშირში გაფართოვდა და დამოუკიდებელი მნიშვნელობა შეიძინა აღმასრულებელი ხელისუფლების აქტებზე კონტროლის ფუნქციამ. თუმცა იგი არ წარმოადგენს სპეციალურად გამოყოფილ მის ფუნქციას. უბრალოდ, იგი რეალიზდება ხელისუფლების გადაჭარბებასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის პროცესში. თავისი დადგენილებით სახელმწიფო საბჭო აუქმებს კონსტიტუციასთან შესაბამო აქტებს. ამასთან, საბჭოს თავის საკონსულტაციო დასკვნებში, მთავრობის მთელ რიგ აქტებთან დაკავშირებით, შეუძლია გამოთქვას მოსაზრება ქვეყნის ძირითად კანონთან მათი შესაბამისობის თაობაზე<sup>1</sup>.

მმართველობის ორგანოთა საქმიანობაზე საჩივრების ძირითადი მასა განიხილება ადმინისტრაციული ტრიბუნალების მიერ. ისინი შედგებიან თავმჯდომარის და ოთხი წევრისაგან. 1987 წელს შეიქმნა ხუთი ადმინისტრაციული სააპელაციო სასამართლო. თითოეული მათგანის კომპეტენცია რამდენიმე დეპარტამენტის ფარგლებში ვრცელდება. ადმინისტრაციული სააპელაციო სასამართლო წარმოადგენს ერთგვარ შუალედურ რგოლს ადმინისტრაციულ ტრიბუნალებსა და სახელმწიფო საბჭოს შორის. მისი გადაწყვეტილებების გასაჩივრება შესაძლებელია სახელმწიფო საბჭოში.

საფრანგეთის 1958 წლის კონსტიტუციით დადგენილია, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტს, რომელიც ითვლება “სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გარანტიად”, ეხმარება მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო. ეს არის ფრანგი მოსამართლეებისა და პროკურორების საქმეთა უმაღლესი ადმინისტრაციული ორგანო, რომლის უმთავრესი ამოცანაა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა.

კონსტიტუციის 65-ე მუხლის თანახმად, მაგისტრატურის უმაღლეს საბჭოს ხელმძღვანელობს რესპუბლიკის პრეზიდენტი. მისი მოადგილის მოვალეობას ასრულებს იუსტიციის მინისტრი. მათ გარდა საბჭოს შემადგენლობაში შედის პრეზიდენტის მიერ ოთხი წლით დანიშნული ცხრა წევრი ერთი განმეორებითი არჩევის უფლებით.

მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო შედგება ორი პალატისაგან: ერთი კომპეტენტურია მოსამართლეების მიმართ, ხოლო მეორე –

<sup>1</sup> Иностранное Конституционное право. Под ред. В. В. Маклакова, Москва, Юристъ, 1966, с. 110.

პროკურორების მიმართ. რესპუბლიკის პრეზიდენტი და იუსტიციის მინისტრი, ისევე როგორც საბჭოს სხვა წევრები, გაერთიანებული არიან ორივე პალატის შემადგენლობაში. პალატები განიხილავენ არა მხოლოდ კანდიდატურების შერჩევა-რეკომენდაციას, არამედ მათი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებსაც.

საფრანგეთის სასამართლოთა სისტემის მოსამართლეები ინიშნებიან რესპუბლიკის პრეზიდენტის დეკრეტით. საკასაციო სასამართლოს თანამდებობის პირები და სააპელაციო სასამართლოთა პირველი თავმჯდომარეები ინიშნებიან მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე, ხოლო დანარჩენი მოსამართლეები — მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს დადებითი დასკვნის საფუძველზე იუსტიციის მინისტრის წარდგინებით. ადმინისტრაციული ტრიბუნალების მოსამართლეები ინიშნებიან მთავრობის დეკრეტებით შინაგან საქმეთა მინისტრის იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებული წარდგინების საფუძველზე. როგორც წესი, საერთო კომპეტენციის მოსამართლეები ინიშნებიან მაგისტრატურის ეროვნული სკოლის დამთავრების შემდეგ საკონკურსო შერჩევის წესით. ადმინისტრაციულ სასამართლოთა მოსამართლეები ინიშნებიან ეროვნული ადმინისტრაციული სკოლის დამთავრების შემდეგ. საკასაციო სასამართლოს შემადგენლობაში დასანიშნ პირებს წარედგინებათ განსხვავებული მოთხოვნები: მაღალ თანამდებობაზე მოსამართლედ მუშაობის დიდი გამოცდილება, უნივერსიტეტის პროფესორად მუშაობა და სხვ. მოსამართლის შეცვლა დაიშვება მხოლოდ მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს მიერ მძიმე დანაშაულის ჩადენის ან ავადმყოფობის შემთხვევაში. მოსამართლეები 65 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ გადადებიან. საკასაციო სასამართლოს პირველი თავმჯდომარისათვის და მოსამართლეებისათვის, 1988 წელს დადგენილი წესების თანახმად, ზღვრული ასაკია შესაბამისად 66 და 68 წელი.

დანაშაულთა უმეტესი ნაწილის გამოძიებას აწარმოებს სასამართლო პოლიცია, რომლის ოფიცრებს უფლება აქვთ დამოუკიდებლად განახორციელონ წინასწარი მოკვლევა, ცალკეული პროცესუალური მოქმედებები. საპოლიციო მოკვლევის შემდეგ წინასწარ გამოძიებას ატარებს მომკვლვეი მოსამართლე, რაც სავალდებულოა მძიმე დანაშაულთა საქმეებისათვის. მომკვლვეი მოსამართლეები ინიშნებიან სამი წლის ვადით დიდი პროცესის ტრიბუნალის წევრთაგან.

საფრანგეთის რესპუბლიკის ცენტრალიზებულ ორგანოს წარმოდგენს პროკურატურა, რომელსაც ხელმძღვანელობს იუსტიციის მინისტრი. თითოეულ სააპელაციო სასამართლოს განკარგულებაშია გენერალური პროკურორი და მისი თანაშემწეები. გენერალური პროკურორი იუსტიციის მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში იმყოფება. თავის მხრივ, გენერალური პროკურორის მითითებები სავალდებულოა პროკურატურის თანამშრომლებისათვის. მას ემორჩილებიან სასამართლო პოლიციის თანამდებობის პირებიც. გენერალური პროკურორი უშუალოდ ან მისი მოადგილეების მეშვეობით გამოდის ბრალმდებლად სააპელაციო სასამართლოში და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში. რესპუბლიკური პროკურორები<sup>1</sup> ზედამხედველობენ გამასწორებელ ტრიბუნალებს და ახორციელებენ სისხლის სამართლებრივ დევნას აღნიშნული ტრიბუნალების მოქმედების ფარგლებში. ისინი უშუალოდ ან მოადგილეების მეშვეობით გამოდიან ბრალმდებლად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოებში, გამასწორებელ ტრიბუნალებში და საპოლიციო ტრიბუნალებში. საჭიროების შემთხვევაში პროკურატურის წარმომადგენლები მონაწილეობენ სამოქალაქო პროცესებში ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოებში.

პროკურატურის ორგანოთა სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საკასაციო სასამართლოსთან არსებულ გენერალურ პროკურორს.

სასამართლო პროცესში მხარეთა ინტერესების დაცვის ფუნქცია აკისრიათ ადვოკატებს. 1971 წლამდე საფრანგეთში, პროფესიული მომზადების თვალსაზრისით, ასხეავებდნენ დიდი პროცესის ტრიბუნალის რწმუნებულ ადვოკატს და სავაჭრო საქმეთა ტრიბუნალის რწმუნებულ ადვოკატს. ამჟამად ეს ორი ინსტიტუტი შერწყმულია და ერთიანდება ადვოკატის პროფესიაში. დიდი პროცესის ტრიბუნალთან შექმნილია ადვოკატთა კოლეგია, რომელსაც ხელმძღვანელობს ადვოკატთა საბჭო. ადვოკატთა კოლეგიაში ჩარიცხვისთვის სავალდებულოა უმაღლესი იურიდიული განათლება, ადვოკატთა პროფესიული მომზადების ერთწლიანი კურსების გავლა და შესაბამისი სერტიფიკატის მიღება. ადვოკატებს უფლება აქვთ აწარმოონ ინდივიდუალური პრაქტიკა ან შექმნან საადვოკატო კანტორები. საკასაციო სასამართლოში ან სახელმწიფო საბჭოში გამოსვლის უფლება მინიჭებული აქვთ მხოლოდ იმ ადვოკატებს,

<sup>1</sup> საფრანგეთში რესპუბლიკურ პროკურორებად იწოდებიან გენერალური პროკურორის ქვემდგომი პროკურორები.

რომლებიც საკასაციო სასამართლოს ადვოკატთა კოლეგიის შემადგენლობაში შედიან.

აქვე, მოკლედ გვინდა შევეხოთ საფრანგეთში საანგარიშო პალატის კომპეტენციასა და საქმიანობის წესს. ჩვეულებრივ, საკონტროლო თუ საანგარიშო პალატები პარლამენტთან დაკავშირებულ ორგანოებს წარმოადგენენ. მათი უფლება-მოვალეობათა კვანძიც პარლამენტის თემას უკავშირდება და საკანონმდებლო ორგანოსთან მიმართებაში განიხილება. მაგრამ საფრანგეთის საანგარიშო პალატა იმდენად სპეციფიკურია სწორედ უფლებამოსილებათა განხორციელების ფორმებით, შინაგანი მოწყობისა და სასამართლოს სისტემასთან კავშირის თვალსაზრისით, რომ მისი განხილვა სასამართლო სისტემის სხვა ორგანოებთან მთლიანობაში უფრო გამართლებულად მიგვაჩნია.

საანგარიშო პალატა საფრანგეთში 1807 წლიდან მოქმედებს, რომელიც თანამედროვე პერიოდში, კონსტიტუციის 47-ე მუხლის თანახმად, მთავრობასთან და პარლამენტთან ერთად ახორციელებს ქვეყანაში ფინანსური ხასიათის კანონების შესრულების კონტროლს. აღნიშნული ფუნქციების განხორციელებაში საანგარიშო პალატასთან მჭიდრო კავშირი აქვთ საფინანსო დისციპლინის სასამართლოს და სახელმწიფო სამსახურის რენტაბელობისა და ღირებულების შემსწავლელ ცენტრალურ კომიტეტს. საანგარიშო პალატასთან არსებობს პროკურატურა, გენერალური პროკურორისა და ორი მოადგილის შემადგენლობით, რომლის ამოცანაა საფინანსო სფეროში სახელმწიფო ინტერესების დაცვა და სასამართლო პრაქტიკის ზედამხედველობა.

საანგარიშო პალატის იურიდიული კომპეტენცია მხოლოდ სახელმწიფო ბუღალტრებზე ვრცელდება. იგი აწვდის წინადადებებს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს ფინანსური მართვის სრულყოფის ღონისძიებების შესახებ. 1971 წელს პალატასთან შეიქმნა საგადასახადო საბჭო, რომელიც ზედამხედველობს ქვეყანაში გადასახადების განაწილების პროცესს. მოყოლებული 1982 წლიდან, საანგარიშო პალატა წარმოადგენს რეგიონალური საანგარიშო პალატების გადაწყვეტილებების სააპელაციო ინსტანციას.



# თავი მეშვიდე. საკონსტიტუციო კონტროლი საზრანგეთში

## 7-1. საკონსტიტუციო საბჭოს სამართლებრივი ბუნება

საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკის კონსტიტუციურ ნოვაციას წარმოადგენს საკონსტიტუციო საბჭო. პირველად საფრანგეთის სახელმწიფოებრივ ინსტიტუციონალიზმში 1958 წლის კონსტიტუციამ ისეთი იურისდიქციული ორგანო დაამკვიდრა, რომელიც აღიჭურვა საკანონმდებლო ხელისუფლების საქმიანობაზე კონტროლის რეალური უფლებამოსილებით. საკონსტიტუციო საბჭო ფაქტობრივად არა მხოლოდ პარლამენტზე ზემდგომ ორგანოდ მოგვევლინა, არამედ იგი წყვეტს სადავო საკითხებს მთავრობასა და პალატებს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ორგანოს საკმაოდ მრავალფეროვანი და ხანგრძლივი პრაქტიკა გააჩნია, დავა საკონსტიტუციო საბჭოს სამართლებრივი ბუნების შესახებ დღესაც გრძელდება. მეცნიერთა ერთი ნაწილისათვის /ჟ. ვედელი, მ. პრელო, ლ. ფავორე/ იგი სასამართლო ორგანოა, რომელსაც რიგი სპეციფიკური ნიშან-თვისებები ახასიათებს. ჟ. ბიურდო კი თვლის, რომ საკონსტიტუციო საბჭო პოლიტიკური ორგანოა, რაც მისი უფლებამოსილებების ბუნებიდან გამომდინარეობს. მ. დიუვერჟე და ა. ორიუ იკავებენ შუალედურ პოზიციას ამ ორ მოსაზრებას შორის, მაგრამ მ. დიუვერჟე იხრება ჟ. ბიურდოს მოსაზრებებისაკენ, ა. ორიუ კი — ჟ. ვედელის და სხვათა პოზიციისკენ.

მ. დიუვერჟეს აზრით, საკონსტიტუციო საბჭო არის ორგანო, რომელიც ახორციელებს პოლიტიკური ხასიათის უმაღლეს იურისდიქციას, რაც გამოიხატება პარლამენტის მიერ მიღებული კანონების კონსტიტუციურობისა და საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების სისწორის კონტროლში.<sup>1</sup>

გამოთქმა “პოლიტიკური ხასიათის იურისდიქცია” ასახავს ამ ინსტიტუტის გაორებულ ხასიათს, რაც, ერთი მხრივ, იმაში გამოიხატება, რომ საკონსტიტუციო საბჭოს დანიშნულებაა სასამართლო ფუნქციების შესრულება, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ეს ფუნქციები ხორციელდება პოლიტიკურ სფეროში, უფრო მეტიც, პოლიტიკური მიზნებისათვის, მეორე მხრივ, იმაში, რომ საკონსტიტუ-

<sup>1</sup> ვ.კ. სერებრენიკოვის აღნიშნული ნაშრომი, გვ. 172.

ციო საბჭოს წევრებს უნდა გააჩნდეთ მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, მაგრამ მათი დაკომპლექტება პოლიტიკურ ხასიათს ატარებს.

გაცილებით კონსერვატიულ პოზიციას იკავებს ა. ორიუ. იგი აღნიშნავს, რომ საკონსტიტუციო საბჭო წარმოადგენს ორბუნებოვან ორგანოს. მისი პრეროგატივები ძირითადად სასამართლო ხასიათს ატარებენ, მაგრამ, წევრთა დანიშვნის წესისა და საბჭოს შემადგენლობის მიხედვით, მას მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური ხასიათი გააჩნია. თუმცა, ა. ორიუს თვალსაზრისით, ამ უკანასკნელ დამახასიათებელ ნიშანში შეიმჩნევა შერბილების გარკვეული ტენდენცია.

რაც შეეხება საკონსტიტუციო საბჭოს ორგანიზაციულ საფუძვლებს, აქ გასათვალისწინებელია, როგორც მ. დიუვერჟეს აზრი იმის თაობაზე, რომ საკონსტიტუციო საბჭოს შექმნის იდეა განპირობებულია ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკით, აგრეთვე მარსელ პრელოს თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ საკონსტიტუციო საბჭო წარმოადგენს სპეციფიკურ ეროვნულ ინსტიტუტს, რომელიც შეერწყა და დაეფუძნა კანონიერებაზე კონტროლის განხორციელების საფრანგეთში არსებულ ტრადიციებს.<sup>1</sup>

მიუხედავად სახელწოდებისა, საკონსტიტუციო საბჭოს ფუნქციები “საბჭოს” სახით მეტად შეზღუდულია და ატარებენ მეორეხარისხოვან ხასიათს. უფრო ხშირად საბჭო გამოდის “მოსამართლის” ან საჯარო ხელისუფლების საქმიანობის “რეგულატორის” როლში. როგორც “რეგულატორს”, საბჭოს შეუძლია პარლამენტის მეურვედ გამოსვლა საერთაშორისო ხელშეკრულების და შეთანხმებების კონსტიტუციურობის დადასტურების ნაწილში. როგორც “მოსამართლე”, საკონსტიტუციო საბჭო ზედამხედველობას უწევს პარლამენტის და პრეზიდენტის არჩევნების, აგრეთვე რეფერენდუმების ჩატარების სისწორეს, წყვეტს ამ პროცესების დროს წარმოშობილ დავებს.

საკონსტიტუციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს და დეკლარაციებს, გამოთქვამს მოსაზრებებს მხოლოდ იმ საკითხებზე, რაც კონსტიტუციითა და 1958 წლის 7 ნოემბრის ორდონანსით – “კონსტიტუციური საბჭოს ორგანული კანონით” და შემდგომ მასში შეტანილი შესწორებებითა და დამატებებით მის კომპეტენციას მიეკუთვნება. გადაწყვეტილების მიღების ჩვეულებრივი ვადაა 1 თვე,

<sup>1</sup> იქვე, გვ. 172-173.

მაგრამ მთავრობის მოთხოვნით იგი შეიძლება შემცირდეს 8 დღემდე. კვორუმი შედგება შვიდი მრჩევლისაგან. საბჭოს გადაწყვეტილებები საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალში გაბატონებულია ორი მოსაზრება, თუ რა მიზანს ემსახურება პარლამენტის მიერ მიღებული კანონების კონსტიტუციურობაზე კონტროლი. პირველი მოსაზრება იმას ადასტურებს, რომ კონტროლის მიზანია მოქალაქეთა კონსტიტუციით აღიარებული უფლებების კანონმდებლის ხელყოფისაგან დაცვა, ხოლო მეორე კი იმას, რომ კონტროლი ხორციელდება საჯარო ხელისუფლების ინტერესების დაცვისათვის, რათა შენარჩუნებულ იქნეს კონსტიტუციით დადგენილი ფუნქციების მათ შორის გამოიყვანა.

1958 წლის კონსტიტუციით საბჭოს საკონტროლო საქმიანობა თავისი ბუნებით მეორე ტიპს მიეკუთვნება. ამ აზრს ადასტურებს მ. დიუვერჟე, რომელსაც მიაჩნია, რომ საკონსტიტუციო საბჭოს ძირითადი მიზანია პარლამენტი შეინარჩუნოს იმ ჩარჩოებში, რომელშიც იგი ახლმა რეჟიმმა მოაქცია, ვინაიდან, ფაქტობრივად, ამგვარი კონტროლი ის რეალური საშუალებაა, რაც დე გოლის კონსტიტუციამ პარლამენტის წინააღმდეგ მთავრობას მიანიჭა.<sup>1</sup>

## 7-2. საკონსტიტუციო საბჭოს ფორმირების წესი

საკონსტიტუციო საბჭო თავის შემადგენლობაში აერთიანებს ორი კატეგორიის წევრებს – უფლების მიხედვით და დანიშვნით. პირველს განეკუთვნება ყველა ყოფილი პრეზიდენტი, რომელთაც საკუთარი სურვილისამებრ შეუძლიათ სიცოცხლის ბოლომდე დარჩნენ საკონსტიტუციო საბჭოს შემადგენლობაში. მეორე კატეგორიას შეადგენს 9 არჩევითი წევრი, რომელთაგან სამ წევრს ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი, ხოლო სამ-სამს – პარლამენტის პალატების თავმჯდომარეები. ეს დანიშვნა მათი პირადი უფლებაა. საკონსტიტუციო საბჭოს წევრები ინიშნებიან 9 წლით, ყოველ სამ წელიწადში შემადგენლობის ერთი მესამედით განახლების პირობით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო საბჭოს შემადგენლობის ფორმირებაში ჩართული სამივე სუბიექტი თითო წევრს ნიშნავს ყოველი სამი წლის შემდეგ. ხელმეორედ დანიშვნა დასაშვებია, თუ

<sup>1</sup> იქვე, გვ. 175

გარკვეული პირი საბჭოს შემადგენლობაში იმყოფებოდა სამ წელზე ნაკლები ვადით, მისი წინამორბედის გადადგომისა თუ გარდაცვალების გამო რომ დანიშნეს. საბჭოს წევრთა გამოწვევა შეუძლებელია, რაც მათი დამოუკიდებლობის გარკვეული გარანტიაა.

პრეზიდენტს, აგრეთვე თავისი უფლებით, საკონსტიტუციო საბჭოს თავმჯდომარედ შეუძლია დანიშნოს საბჭოს ნებისმიერი წევრი, მათ შორის ყოფილი პრეზიდენტი.

პრეზიდენტის ეს უფლება პრინციპულ ხასიათს ატარებს, ვინაიდან კონსტიტუციამ გაითვალისწინა ხმათა გაყოფის შემთხვევაში საბჭოს თავმჯდომარის ხმის გადამწყვეტი მნიშვნელობა. კაცმა რომ თქვას, ესეც გარკვეული საგარანტიო ბუფერია იმათთვის, ვინც საკონსტიტუციო საბჭოს თავმჯდომარეს ირჩევს და ნიშნავს. მეტწილ ქვეყანებში, მაგალითად, პრეზიდენტის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის მოტივაცია ზოგად, არაპარამეტრირებად და ამდენად ფორმალურ ნორმად რჩება. საფრანგეთში კი მთავრობის თხოვნით სწორედ საკონსტიტუციო საბჭოს შეუძლია აღნიშნული მდგომარეობის კონსტატირება, და ვინ იცის, გადამწყვეტი ხმაც შეიძლება საჭირო შეიქნეს.

საბჭოს გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება მას თავად გამოაქვს. ეს ხდება მუდმივი არაქმედუნარიანობის ან ფუნქციათა შეუთავსებლობის შემთხვევაში. საკონსტიტუციო საბჭოში საქმიანობა შეუთავსებელია მთავრობის წევრის ფუნქციებთან, პარლამენტის წევრის მანდატთან, ეკონომიკური და სოციალური საბჭოს წევრობასთან, აგრეთვე სხვა ნებისმიერ საჯარო სამსახურთან, რომელზეც საბჭოს წევრი იმყოფებოდა საბჭოში მის დანიშნამდე. საბჭოს წევრებს შეუძლიათ არჩევნებში მონაწილეობის მიღების სურვილის გამოთქმა. საბჭოს წევრის ასეთი განცხადება იწვევს მის გადადგომას. ყოველგვარი მოსალოდნელი ცვლილების შესახებ საბჭო დაუყოვნებლივ აცნობებს რესპუბლიკის პრეზიდენტს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — პარლამენტის დაინტერესებული პალატის თავმჯდომარეს. საბჭოს წევრებს ეკრძალებათ პოლიტიკურ პარტიებსა თუ დაჯგუფებებში ხელმძღვანელი პოსტების დაკავება და მათ საქმიანობაში აქტიურობის გამომჟღავნება.

საკონსტიტუციო საბჭოს წევრს უფლება აქვს გადადგეს, რისთვისაც იგი წერილობით მიმართავს საბჭოს. გასული წევრი ახალი წევრით ერთი თვის განმავლობაში უნდა შეიცვალოს. სხვათა შო-

რის, გადადგომით უნდა დაიწყოს წინასაარჩევნო კამპანია საკონსტიტუციო საბჭოს წევრმა, თუ პრეზიდენტობას გადაწყვეტს, ვინაიდან მხოლოდ თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ ზდება იგი უფლებამოსილი მიიღოს მონაწილეობა პრეზიდენტის არჩევნებში.

საკონსტიტუციო საბჭოს დანიშნული წევრების მოვალეობაა რესპუბლიკის პრეზიდენტის წინაშე ფიცის დადება. საბჭოს წევრი ვალდებულია დაიცვას საბჭოს სხდომებისა თუ კენჭისყრების საიდუმლოება, არ გაავრცელოს ინფორმაცია საბჭოს საქმიანობის შესახებ. ეს მოვალეობები საბჭოს ყველა წევრზე ვრცელდებოდა, მაგრამ 1959 წლის 4 თებერვლის ორდონანსით გაკეთდა გამონაკლისი. ყველა ზემოჩამოთვლილი მოვალეობა საბჭოს წევრისა არ არის სავალდებულო რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტებისათვის, რომლებიც სიცოცხლის ბოლომდე საკონსტიტუციო საბჭოს წევრებად რჩებიან, მათი გაყვანა საბჭოს შემადგენლობიდან მხოლოდ მათივე თანხმობით შეიძლება. რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტების მონაწილეობა საბჭოს შემადგენლობაში, როგორც თითქმის ორმოცწლიანმა პრაქტიკამ აჩვენა, ფრანგული კანონმდებლობის სუფთა თეორიული ნაწილია, ვინაიდან მეხუთე რესპუბლიკის მანძილზე ყოფილ პრეზიდენტებს ასეთი სურვილი არ გამოუხატიათ.

საკონსტიტუციო საბჭოს პირველმა შემადგენლობამ, რომელიც დანიშნულ იქნა 1959 წლის 21 თებერვალს, საკმაოდ სერიოზული კრიტიკული შენიშვნები გამოიწვია. ეს კრიტიკა სამი მიმართულებით გავრცელდა:

1. გამოითქვა უკმაყოფილება დანიშვნის აშკარად პოლიტიკური ხასიათის გამო. საბჭოს 9 წევრიდან 5 მიეკუთვნებოდა დე გოლის მიმდევართა პარტიას “ფრანგი ხალხის კავშირს” და “ახალი რესპუბლიკის დაცვის კავშირს”. ეს, რა თქმა უნდა, ეჭვქვეშ აყენებდა საბჭოს მიუკერძოებლობის საკითხს. 1971 წლის თებერვალში საბჭოს შემადგენლობის განახლების შედეგადაც იგივე განმეორდა. მ. პრელო აღნიშნავს, რომ “რესპუბლიკის პრეზიდენტისა და ეროვნული კრების თავმჯდომარის მიერ დანიშნული ყველა პირი გოლისტის რეპუტაციით სარგებლობდა”.<sup>1</sup>

2. გამოითქვა შენიშვნა საბჭოს წევრთა კომპეტენტურობის თაობაზე. საბჭოს თავდაპირველ წევრთა შორის არცერთი არ იყო

<sup>1</sup> ვ. პ. სერებრენიკოვის აღნიშნული ნაშრომი, გვ. 179.

კონსტიტუციური სამართლის სპეციალისტი, მიუხედავად იმისა, რომ მათი საქმიანობა ღრმა, სპეციალურ ცოდნას მოითხოვდა. ამჟამად საკონსტიტუციო საბჭოს შემადგენლობაში კონსტიტუციური სამართლის სამი პროფესორი მოღვაწეობს.

3. საყვედური გამოითქვა საბჭოს დანიშნული წევრების ასაკის მიმართ. 1959-1961 წ.წ. მათი საშუალო ასაკი აჭარბებდა 65 წელს, ხოლო ხუთი უხუცესი წევრის ასაკი საშუალოდ 70 წელი იყო. მ. დიუვერჟეს აზრით, მსგავსი პრაქტიკა ყოველად დაუშვებელია. მოგვიანებით, განსაკუთრებით 1965 წელს ჩატარებულმა დანიშვნებმა, რამდენადმე გამოასწორეს მდგომარეობა, წევრთა საშუალო ასაკმა 63 წლამდე, ხოლო უხუცეს წევრთა საშუალო ასაკმა 65 წლამდე დაიწია<sup>1</sup>.

### 7-3. საკონსტიტუციო საბჭოს უფლებამოსილება

საკონსტიტუციო საბჭო აღჭურვილია საკმაოდ მრავალფეროვანი პრეროგატივებით. მათ შორის გამოირჩევა საჯარო ხელისუფლების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობაზე კონტროლი. ამ სფეროში კონტროლი შეიძლება იყოს სავალდებულო და ფაკულტატიური, პირდაპირი და არაპირდაპირი. სავალდებულოა კონტროლი ორგანულ კანონებზე, პარლამენტის პალატების რეგლამენტებზე და პარლამენტის იმ კანონებზე, რომლებიც ეხება მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლება-თავისუფლებებს.

ორგანული კანონები მათი პრომულგირების წინ ექვემდებარებიან სავალდებულო კონტროლს საკონსტიტუციო საბჭოს მხრიდან. ეს იმით აიხსნება, რომ ორგანული კანონები უშუალოდ გამოდინარეობენ კონსტიტუციის ტექსტიდან და პარლამენტს შეუძლია მათი მიღებით კონსტიტუციის ერთგვარი შეცვლა. პარლამენტის მიერ მიღებულ ორგანულ კანონებს საბჭოს გადასცემს პრემიერ-მინისტრი.

პარლამენტის პალატების რეგლამენტების კონტროლის დროს საკონსტიტუციო საბჭო მეტად საჩოთირო როლს ასრულებს. იგი ახდენს პარლამენტსა და მთავრობას შორის “პოლიტიკური თამაშის” წესების სისტემატიზაციას. ამგვარი კონტროლი მნიშვნელოვანი და აუცილებელია, რათა არ მოხდეს პარლამენტის საკანონმდებლო უფლებამოსილებათა და მთავრობის საქმიანობაზე კონტროლის

<sup>1</sup> იქვე.

კონსტიტუციური შეზღუდვების დარღვევა პალატების რეგლამენტების დებულებებით. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოს არ შეუძლია “პოლიტიკური თამაშის” იმ ფორმების საკუთარი ინიციატივით შეტანა, რაც არ არის გათვალისწინებული კონსტიტუციით და პალატების რეგლამენტებით. მისი დანიშნულება მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ შესაბამისობაში მოიყვანოს პალატების რეგლამენტები კონსტიტუციის დებულებებთან. რეგლამენტები მთლიანად, ან მათში შეტანილი შესწორება-დამატებანი საკონსტიტუციო საბჭოს გადაეცემა შესაბამისი პალატების თავმჯდომარეების მიერ. რეგლამენტების ის დებულებები, რომლებიც საბჭომ ცნო როგორც კონსტიტუციასთან შეუსაბამო, აღარ გამოიყენება.

უნდა აღინიშნოს, რომ ორგანული კანონების პრომულგირებამდე კონტროლის შემოღებით საფრანგეთის კონსტიტუციამ დასაბამი მისცა პრევენტიულ, წინასწარი საკონსტიტუციო კონტროლის იდეას, რომელიც ფრანგული საკონსტიტუციო საბჭოს თავისებურებად მიიჩნეოდა და დიდხანს სწორედ ასეთად რჩებოდა. მხოლოდ ახლა, უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე, პოვა მან განერცობა, როცა ევროპული ქვეყნების სამართალმა უკვე სპეციალური საკონსტიტუციო სასამართლოების პრაქტიკაში დაიწყო პრევენტიული კონტროლის დანერგვა, თუმცა ფრანგული საგან განსხვავებით, შეზღუდული თემატიკის ფარგლებში.

ჩვეულებრივი კანონები პრომულგირებამდე არ ექვემდებარება კონტროლს. საკონსტიტუციო საბჭოში ჩვეულებრივი კანონების თაობაზე მიმართვის ფაქულტატიური ხასიათი იმით აიხსნება, რომ ამ კანონების ტექსტები უკვე იყო პარლამენტში საჯარო დებატების საგანი, სადაც მონაწილეობას იღებდა მთავრობაც. ამ შემთხვევაში საბჭოში მიმართვის უფლება გააჩნია რესპუბლიკის პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის პალატების თავმჯდომარეებს და სამოც დეპუტატს ან სამოც სენატორს.

საკონსტიტუციო საბჭოს დადებითი გადაწყვეტილება იძლევა პარლამენტის მიერ მიღებული კანონის პრომულგირების საშუალებას, ხოლო უარყოფით გადაწყვეტილებას შეუძლია გამოიწვიოს შემდეგი შედეგები:

ა) კანონის მთლიანობაში პრომულგირების შეუძლებლობა კონსტიტუციასთან შეუსაბამობის გამო.

ბ) კანონის სრული პრომულგირების შეუძლებლობა კონსტიტუციის საწინააღმდეგო დებულებების დანარჩენებისაგან ჩამოცილების შეუძლებლობის გამო.

გ) სადავო კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მყოფი ნაწილის პრომულგირების შესაძლებლობა ან რესპუბლიკის პრეზიდენტის მოთხოვნით მთელი კანონის პარლამენტისათვის ხელმეორე განხილვისათვის გადაცემა.

ანალოგიური შედეგები შეიძლება იყოს ორგანული კანონის მიმართაც. ხოლო ჩვეულებრივი კანონი შეიძლება არაკონსტიტუციურად გამოცხადდეს არა მარტო მისი კონსტიტუციასთან შეუსაბამობის გამო, არამედ ორგანული კანონისაგან განსხვავების მიზეზითაც.

გარდა პრომულგირებისათვის გამზადებულ კანონებზე დასკვნის გაცემისა, საკონსტიტუციო საბჭო უფლებამოსილია პირდაპირ ჩაერიოს საკანონმდებლო პროცესში. მას შეუძლია აკრძალოს ან ნებადართულად გამოაცხადოს ამა თუ იმ საპარლამენტო აქტის მომზადებაზე მუშაობა, აგრეთვე გარკვეულ შემთხვევებში, გადაწყვიტოს საკითხი უკვე პრომულგირებული კანონის კონსტიტუციურობის შესახებ. საკონსტიტუციო საბჭოს გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება პარლამენტის წევრთა იმ საკანონმდებლო წინადადებებსა თუ შესწორებებს, რომლებიც, მთავრობის აზრით, კანონის ფარგლებს სცილდება, მიღებულ უნდა იქნეს რვა დღის მანძილზე და გადაეცეს დაინტერესებული პალატის თავმჯდომარეს და პრემიერ-მინისტრს. თუ მთავრობა გაუფრთხილებლობით ან პოლიტიკური მოსაზრებებით საკონსტიტუციო საბჭოს პრომულგირებამდე არ გადასცემს კანონს, რომელიც სცილდება კონსტიტუციის 34-ე მუხლით დადგენილ ჩარჩოებს, ამ შემთხვევაში საბჭოს შეუძლია კანონის გაუქმება თავისი დეკრეტით. ამასთან, ეს მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბჭო განაცხადებს პარლამენტის მიერ კანონის ფარგლების გადაცდომას.

თუ პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობაში საკონსტიტუციო საბჭოს "შეჭრა" პირდაპირი ხასიათისაა, მთავრობის სარეგლამენტო ფუნქციებში ჩარევა არაპირდაპირ ხასიათს ატარებს. ეს კი იმაში მჟღავნდება, რომ ნებისმიერი სამთავრობო აქტი, რომელიც საკონსტიტუციო საბჭოს მიერ კანონისთვის მიკუთვნებულ სფეროში "შეიჭრა", უკანონოა და ანუღირებულ უნდა იქნეს თავად მთავრობის მიერ.



საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, რომლებიც დადებულია თანამეგობრობის ჩარჩოებში და საჭიროებენ რატიფიკაციას ან პარლამენტის მოწონებას, შეიძლება წინასწარ განხილულ იქნეს საკონსტიტუციო საბჭოს მიერ. ამ შემთხვევაში საბჭოში მმართველის უფლებით სარგებლობენ რესპუბლიკის პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრის და პარლამენტის თავმჯდომარეები.

საკონსტიტუციო საბჭოს უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების რატიფიცირება თუ მოწონება შეიძლება მოხდეს მხოლოდ კონსტიტუციის გადასინჯვის შემდეგ. კონსტიტუციის ძალით დადგინდა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების პრიმატი კანონებზე. სათანადო წესით რატიფიცირებულ ან მოწონებულ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს გამოქვეყნებისთანავე აქვთ უფრო მეტი იურიდიული ძალა, ვიდრე შიდასახელმწიფოებრივ კანონებს, თუ ხელშეკრულებების ან შეთანხმებების მეორე მხარეც იცავს ამ პირობას. აქედან გამომდინარე, კანონი, რომელიც ეწინააღმდეგება საერთაშორისო ხელშეკრულებებს ან შეთანხმებებს, ეწინააღმდეგება კონსტიტუციასაც. ბუნებრივია, ამ გარემოებების დადგენა საკონსტიტუციო საბჭოს კომპეტენციაა. მაგრამ, საბჭო არა მარტო ადასტურებს წინააღმდეგობის ფაქტს, მან უნდა შეისწავლოს ასრულებს თუ არა მეორე ხელმომწერი მხარე ამ ხელშეკრულებას.

საკონსტიტუციო საბჭო ახორციელებს კონტროლს საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებზე, აგრეთვე რეფერენდუმების ჩატარებაზე.

საპარლამენტო არჩევნებისადმი კონტროლი, ერთი მხრივ, იმ დავების გადაწყვეტაში მდგომარეობს, რომლებიც ამ არჩევნებს უკავშირდება, ხოლო მეორე მხრივ, დეპუტატისა თუ სენატორის მმართველობის საქმიანობის სხვა სფეროებთან შეთავსებადობის შემოწმებაში. ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო საბჭო, მ. დებრეს სიტყვებით, გამოდის “მორალიზატორის” როლში. იგი ააცილებს პარლამენტს გადამღლელ დისკუსიებს მისი წევრის არჩევის სისწორეზე, ზარუნავს არჩევნებისა და კენჭისყრის თავისუფლების დაცვაზე.<sup>1</sup> 1958 წლის კონსტიტუციის თანახმად, არჩევნების შედეგები ამომრჩევლების ან პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატების მიერ შე-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 186.

იძლება გასაჩივრდეს არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან 10 დღის ვადაში. საკონსტიტუციო საბჭოს გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ეცნობება პარლამენტის დაინტერესებულ პალატას და პირს, რომლის არჩევის სისწორე დგას ეჭვქვეშ. ამა თუ იმ საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგების არასწორად გამოცხადების შემთხვევაში საკონსტიტუციო საბჭო ან აუქმებს მათ, ან, ცვლის რა გამოცხადებულ შედეგებს, არჩეულად ასახელებს სხვა კანდიდატს. უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო საბჭოს მიერ ამა თუ იმ ოლქში არჩევნების შედეგის გაუქმება იშვიათად ხდება, რადგან მრავალწლიანმა პრაქტიკამ ცხადყო, რომ კანდიდატს, რომლის არჩევაც გასაჩივრდა და გაუქმდა, ხელახლა ირჩევდნენ.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკონსტიტუციო საბჭოს კონტროლს საპრეზიდენტო არჩევნებისა და რეფერენდუმებზე. საბჭო ამოწმებს წამოყენებული კანდიდატურების შესაბამისობას კანონით დადგენილ მოთხოვნებთან, ზედამხედველობას უწევს საარჩევნო ოპერაციების სწორად ჩატარებას. საკონსტიტუციო საბჭო უფლებამოსილია დანიშნოს ერთი ან რამდენიმე რწმუნებული საერთო ან ადმინისტრაციული სასამართლოს მოსამართლეთაგან საარჩევნო კამპანიის მეთვალყურეობისათვის. მთავრობა ვალდებულია სისტემატურად მიაწოდოს საკონსტიტუციო საბჭოს ინფორმაცია არჩევნების მსვლელობის შესახებ, შეატყობინოს იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც ტარდება მთავრობის მიერ საარჩევნო კამპანიის პროცესში. დადგენილი დარღვევის ხარისხის მიხედვით, საკონსტიტუციო საბჭოს შეუძლია უცვლელად დატოვოს კენჭისყრის შედეგები, ან გამოაცხადოს მათი სრულად ან ნაწილობრივ გაუქმება. საპრეზიდენტო არჩევნების რეზულტატებს საბჭო აცხადებს არჩევნების ჩატარების თარიღიდან 10 დღის ვადაში. თუ საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის მსვლელობის დროს მთავრობა არღვევს ოფიციალური პროპაგანდის საშუალებებით სარგებლობის წესებს, საკონსტიტუციო საბჭო უფლებამოსილია გაუკეთოს მას შენიშვნა.

საკონსტიტუციო საბჭო აცხადებს რეფერენდუმის შედეგებს. ამის თაობაზე აღნიშნულია დეკრეტში, რომლითაც ხდება სარეფერენდუმო კანონის პრომულგირება. ამასთან, საკონსტიტუციო საბჭოს კომპეტენცია რეფერენდუმებთან დაკავშირებით არასრულია, რადგან, საქმის არსიდან გამომდინარე, საბჭომ თავად განსაზღვრა, რომ ხალხის მიერ უშუალოდ გადაწყვეტილი საკითხები კონ-

ტროლს არ ექვემდებარება. ეს შედეგად იმაშიც, რომ იგი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს რეფერენდუმის კონსტიტუციურობაზე და გააკონტროლოს რეფერენდუმის მოსამზადებელი ოპერაციების. ჩატარება. საკონსტიტუციო საბჭოს უფლება აქვს მთავრობას მისცეს შენიშვნა წინასარეფერენდუმო კამპანიის დროს ოფიციალური პროპაგანდის საშუალებებით მოსარგებლე ორგანიზაციების სიის არასწორი შედგენისთვის.

მთავრობის ინიციატივით, საკონსტიტუციო საბჭო ადასტურებს პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში დაბრკოლების არსებობას. კონსტიტუცია და სხვა ნორმატიული აქტები არ განმარტავენ. თუ რა პოლიტიკური ან ფიზიკური ხასიათის დაბრკოლებაზეა საუბარი. მ. დიუვერჟეს აზრით, აქ საუბარია არა პოლიტიკური, არამედ ფიზიკური ხასიათის დაბრკოლებაზე.<sup>1</sup> თუ საკონსტიტუციო საბჭო აცხადებს, რომ დაბრკოლება აღმოუფხვრელი და გამოუსწორებელია, 20-დან 35 დღის ვადაში ინიშნება საპრეზიდენტო არჩევნები. ისეთი გარემოებების არსებობისას, როგორცაა სტიქიური უბედურება, სამხედრო მოქმედებები და ა. შ., საბჭოს შეუძლია გადადოს არჩევნები უფრო მოგვიანებით. საბჭო გამოთქვამს მოსაზრებებს სახელმწიფოს მეთაურის გადაწყვეტილებაზე, კონსტიტუციის მე-16 მუხლის თანახმად, დაამყაროს დროებითი საპრეზიდენტო დიქტატურა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საკონსტიტუციო საბჭოს როლი საფრანგეთში საკმაოდ მნიშვნელოვანია.

წარმოადგენს რა არასაპარლამენტო ორგანოს, მისი შემქმნელების ჩანაფიქრით, იგი უნდა იყოს ერთგვარი ჯებირი, რომელიც დაიცავს ეროვნულ წარმომადგენლობით ორგანოს სახელმწიფოსათვის ზიანის მომტანი გადაწყვეტილებების მიღებისაგან. საკონსტიტუციო საბჭო თავისი საქმიანობით ხელს უნდა უწყობდეს მთავრობასა და პარლამენტს შორის პოლიტიკური წონასწორობის შენარჩუნებას.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 188.

# თავი მეოთხე. ადგილობრივი მართვის ორგანიზაცია საფრანგეთში

## 8-1. ადგილობრივი მართვის სისტემა

საფრანგეთის მესუთე რესპუბლიკის ადგილობრივი ორგანოების სისტემა აგებულია ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის პრინციპზე, რომელიც სათავეს იღებს მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნის მიჯნაზე გატარებული რეფორმებიდან. მას მერე მნიშვნელოვნად არ შეცვლილა ადგილობრივი ორგანოების ფრანგული სისტემის ძირითადი ელემენტები, ამ სისტემის ორგანიზაციის პრინციპები, ცენტრსა და ადგილებს შორის ურთიერთობის ხასიათი.

ადგილობრივი ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების განვითარების თანამედროვე ეტაპი დაკავშირებულია 1982 წლის რეფორმასთან. საფრანგეთის პარლამენტის მიერ მიღებული “კომუნების, დეპარტამენტებისა და რეგიონების უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ” კანონით გაფართოვდა კომუნების ავტონომია, გაუქმდა პრეფექტორული მეურვეობა და დაწესდა რეგიონალური საბჭოების საყოველთაო არჩევითობა. აღნიშნულმა კანონმა გააუქმა დეპარტამენტის პრეფექტის თანამდებობა და მისი ფუნქციები გადასცა გენერალური საბჭოს თავმჯდომარეს. ცენტრის წარმომადგენლად ადგილებზე მოგვევლინა რესპუბლიკის კომისარი, რომელსაც დაეკისრა ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებების კანონმდებლობასთან შესაბამისობის დაცვა. კონტროლი ფინანსურ საკითხებში დაეკისრა სპეციალურად შექმნილ საანგარიშო-რეგიონულ პალატას.

1982 წლის რეფორმის უმნიშვნელოვანეს დებულებას წარმოადგენს ცენტრალური ორგანოების წარმომადგენლების მეურვეობის გაუქმება, რაც ხელს უშლიდა ადგილობრივ დაწესებულებებს თვითმმართველობის უფლებათა სრულ რეალიზაციაში. ადგილობრივ დაწესებულებაზე სახელმწიფო კონტროლი შენარჩუნდა, მაგრამ იგი ხორციელდება მხოლოდ უკვე მიღებულ გადაწყვეტილებებზე და არა წინასწარი კონტროლის ფორმით, როგორც ეს ადრე იყო.

1982 წლის კანონმა გაითვალისწინა ზოგიერთი ახალი აქტის მიღება, რომლებიც შეეხებიან კომპეტენციის გამიჯვნას კომუნებს, დეპარტამენტებს, რეგიონებსა და სახელმწიფოს შორის, აგრეთვე კომუნათა შორის თანამშრომლობის ფორმებისა და ადგილობრივი არჩევითი პირების განსაზღვრის საკითხებს.

საფრანგეთის ძირითადი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები ერთდროულად წარმოადგენენ ადგილობრივ კოლექტივებსა და სახელმწიფო მართვის ორგანოებს. მართვის სახელმწიფო ერთეულებს, დეპარტამენტებისა და კომუნების გარდა, წარმოადგენენ აგრეთვე, სპეციალური ადმინისტრაციული ოკრუგები და რეგიონები.

რეგიონი ყველაზე მსვილი ერთეულია. მეტროპოლიაში 22 რეგიონია და მას ემატება ოთხი დამოუკიდებელი რეგიონი – გვადელუპა, გვიანა, მარტინიკა და რეიუნიონი. მეტროპოლიაში ყოველი რეგიონი რამდენიმე დეპარტამენტს აერთიანებს, განსხვავებით აღნიშნული დამოუკიდებელი რეგიონებისა, რომლებიც ამავდროულად დეპარტამენტს წარმოადგენენ.

1982 წლის რეფორმის შემდეგ რეგიონი იქცა “ტერიტორიულ კოლექტივად” საკუთარი ბიუჯეტითა და საგადასახადო შენატანებით.

საფრანგეთში ადმინისტრაციული რეგიონების შექმნა განაპირობა დაგეგმვისა და საწარმოო ძალების რაციონალური განლაგების პრობლემებმა. ამავე დროს, შენარჩუნდა დეპარტამენტები, როგორც სახელმწიფო მართვის ძირითადი ერთეულები.

ამჟამად საფრანგეთის ტერიტორიურ სტრუქტურას შეადგენს 101 დეპარტამენტი, რომელთაგან 96-ს ითვლის მეტროპოლია და გაერთიანებულია მის 22 რეგიონში, ხოლო 5 განთავსებულია ზღვისიქითა ტერიტორიებზე. ეს ზემოთ დასახელებული ოთხი ე. წ. შეთავსებული რეგიონ-დეპარტამენტის გარდა, კიდევ ერთი დეპარტამენტია – სენ-პიერ-ე-მიკელონი.

ამას გარდა საფრანგეთის გაბნეული გეოგრაფია მოიცავს კიდევ ერთ ტერიტორიას სპეციალური სტატუსით – მაიოტი და ოთხ ზღვისიქითა ტერიტორიას (ახალი კალედონია, პოლინეზია, ვალის ე ფიუტიუნა, სამხრეთ და არქტიკული ტერიტორიები).

რეგიონი შეიქმნა არსებული კოლექტივების მაგალითზე, ამიტომ იგი ბევრად წააგავს დეპარტამენტს. მათ თითქმის ერთგვაროვანი ორგანოები გააჩნიათ, მაგრამ არის ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება. კერძოდ, 1964 წლის რეფორმამ შექმნა ეკონომიკური განვითარების რეგიონული კომისიები. რეგიონს ოფიციალურად ეწოდა რეგიონული მოქმედების ოკრუგი. რეგიონს ჰყავდა პრეფექტი, რომელიც ერთდროულად წარმოადგენდა იმ დეპარტამენტის პრეფექტს, რომელშიც მდებარეობდა რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრი. რეგიონული ეკონომიკური განვითარების კომისიები შედგე-

ბოდა არანაკლებ 20 და არაუმეტეს 50 წევრისაგან. ისინი ასრულებდნენ საკონსულტაციო როლს და არ გააჩნდათ გადაწყვეტილების მიღების უფლება.

1982 წლის რეფორმამ რეგიონს მიანიჭა ტერიტორიული კოლექტივის სტატუსი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციის უფლებით. რეგიონს ხელმძღვანელობს საყოველთაო პირდაპირი კენჭისყრით არჩეული რეგიონული საბჭო. რეგიონის კომპეტენციაში შევიდა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სამეცნიერო განვითარების უზრუნველყოფა. მან შეიძლება განახორციელოს დამატებითი ფუნქციები სახელმწიფოსთან ერთად.

რეგიონში იქმნება ეკონომიკური და სოციალური კომიტეტი, რომელიც რეგიონის საკონსულტაციო ორგანოს წარმოადგენს. აღნიშნული კომიტეტი რეგიონულ საბჭოში წინასწარ უნდა გამოთქვამდეს თავის აზრს ისეთ საკითხებზე, როგორცაა რეგიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმის მომზადება და შესრულება; რეგიონული განვითარების გეგმის პროექტი და მისი შესრულების ყოველწლიური შედეგები; რეგიონული ბიუჯეტის პროექტის ძირითადი მიმარულებები.

ფრანგული ადგილობრივი და რეგიონული მართვის სისტემა აგებულია მმართველობისა და თვითმმართველობის საფუძვლების ორგანულ შეხამებაზე. პირველს ასრულებენ ზევიდან დანიშნული მოხელეები (რესპუბლიკის კომისარი, სუპრეფექტი და სხვა), ხოლო მეორეს — არჩევითი ორგანოები. ყოველივე ეს კი ხელს უწყობს, ერთი მხრივ, უფლებამოსილებათა გამიჯვნას, ხოლო, მეორე მხრივ, საერთო ინტერესების სფეროში გარკვეულ თანამშრომლობას, ინტეგრირებას.

არჩევითი ორგანოები იქმნება კომუნებში, დეპარტამენტებსა და რეგიონებში. კომუნა ტერიტორიული ორგანიზაციის საფუძველს შეადგენს და დღეს საფრანგეთი 36 ათასამდე ერთეულს ითვლის, რომლებიც ერთიანდებიან დეპარტამენტებში და მათი საშუალებით — რეგიონებში. რამდენიმე კომუნას შეუძლია გაერთიანდეს კომუნათა სინდიკატში, რომელიც მართვის ადგილობრივი ორგანო იქნება. დიდი ქალაქებისათვის კი გათვალისწინებულია მის ტერიტორიაზე განთავსებული მრავალი კომუნის გაერთიანება ერთიან ორგანოში, რომელსაც საქალაქო საზოგადოება ეწოდება. რაც შეეხება პარიზს

და მის რეგიონს, იგი მართვის განსაკუთრებულ რეჟიმს ექვემდებარება და ამაზე ცალკე გვექნება საუბარი.

## 8-2. დეპარტამენტები და კომუნები

დეპარტამენტი, როგორც მართვის ადგილობრივი ორგანო, 1838 წლიდან არსებობს.<sup>1</sup> მისი ხელმძღვანელი ორგანოა გენერალური საბჭო, რომელიც კანტონის მოსახლეობის მიერ 6 წლის ვადით აირჩევა. კანტონი აერთიანებს რამდენიმე კომუნას და წარმოადგენს არა თვითმმართველობის ერთეულს, არამედ სადეპარტამენტო ორგანოების საარჩევნო ოლქს. გენერალური საბჭო 3 წლის ვადით თავისი შემადგენლობიდან ირჩევს ბიუროს და გენერალური საბჭოს თავმჯდომარეს. გენერალური საბჭო სესიაზე იკრიბება წელიწადში ორჯერ. სესია ერთ თვეზე მეტ ხანს არ უნდა გაგრძელდეს.

თითოეული კანტონიდან აირჩევა ერთი გენერალური მრჩეველი. სპეციალური აქტებით რეკლამენტირებულია გენერალური მრჩეველის ფუნქციის შეუთავსებლობა გარკვეულ სახელმწიფო თანამდებობასთან. ყოველ დეპარტამენტში კანტონები იყოფა 2 კატეგორიად, რაც საშუალებას იძლევა სამ წელიწადში ერთხელ განახლდეს გენერალური მრჩეველების რაოდენობის ნახევარი.

გენერალური საბჭოს მუდმივ აღმასრულებელ ორგანოდ გამოდის სადეპარტამენტო კომისია. იგი ყოველწლიურად აირჩევა გენერალური საბჭოს წევრთაგან, 4-7 კაცის შემადგენლობით. კომისია იკრიბება თავის სხდომებზე თვეში ერთხელ მაინც, საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მოწვეულ იქნეს რიგგარეშე სხდომა.

დეპარტამენტი, როგორც სახელმწიფო მართვის ორგანო, ფუნქციონირებდა პრეფექტის მეშვეობით, რომელიც ხელმძღვანელობდა დეპარტამენტის სახელმწიფოებრივ სამსახურებს. პრეფექტი წარმოადგენდა მთავრობის რწმუნებულს და თვალყურს ადევნებდა კანონებისა და სახელმწიფო გადაწყვეტილებების შესრულებას. პრეფექტი სახელმწიფოს სახელით დებდა ხელშეკრულებებს, მის მოვალეობაში შედიოდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, მას პერსონალურად ემორჩილებოდა დეპარტამენტში მყოფი სახელმწიფო პოლიციის პირადი შემადგენლობა.

<sup>1</sup> ადგილობრივი მართვის ორგანიზაცია საზღვარგარეთის ქვეყნებში. თბილისი, "ზედაშე", 1991, გვ. 63.

1982 წლის რეფორმამ გააუქმა პრეფექტის თანამდებობა და მისი ფუნქციები გადაეცა გენერალური საბჭოს თავმჯდომარეს. ამავე დროს, შემოღებულ იქნა რესპუბლიკის კომისრის თანამდებობა, რომელსაც მიენიჭა ისეთი ფართო კომპეტენცია, როგორც ადრე პრეფექტს გააჩნდა.

რესპუბლიკის კომისარი, რომელიც მინისტრთა საბჭოს დეკრეტით ინიშნება, წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლებას დეპარტამენტში. იგი ცენტრალური ხელისუფლების სახელით გამოდის გენერალურ საბჭოში და არის პრემიერ-მინისტრისა და ყოველი ცალკეული მინისტრის წარმომადგენელი. მას ეკისრება ეროვნული ინტერესებისა და კანონების დაცვა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე მეთვალყურეობა, კომუნებისა და დეპარტამენტების მიერ თავიანთი კომპეტენციის ზუსტად შესრულებაზე კონტროლი.

დეპარტამენტი, როგორც ადგილობრივი მართვის ორგანო, გენერალური საბჭოს მეშვეობით უფლებამოსილია განახორციელოს: აუცილებელი სადეპარტამენტო საჯარო სამსახურების შექმნა და მართვა; დეპარტამენტის ქონების მართვა; საჯარო სამსახურების ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, საზოგადოებრივი სამუშაოების ან სადეპარტამენტო ქონების მართვასთან დაკავშირებული სავაჭრო გარიგებები; დეპარტამენტის ბიუჯეტის მიღება და კონტროლი მის შესრულებაზე; დეპარტამენტის სათათბირო ორგანოს უფლებამოსილებანი თავის ტერიტორიაზე სამეურნეო დაგეგმვისა და პროგრამირების საკითხებზე<sup>1</sup>.

გენერალური საბჭოს გადაწყვეტილებას სავალდებულო ხასიათი აქვს. იგი ძალაში შედის სესიის მომდევნო ათდღიანი ვადის გასვლის შემდეგ. გენერალურ საბჭოს შეუძლია გარკვეული საქმეების გადაჭრის უფლება გადასცეს სადეპარტამენტო კომისიას, მაგალითად, ბიუჯეტის პროექტი, რომელიც განსახილველად წარედგინება გენერალურ საბჭოს, სასწრაფო შემთხვევების გარდა, შეიძლება სადეპარტამენტო კომისიას გადაეცეს.

კომუნა საფრანგეთში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანიზაციის საფუძველს წარმოადგენს, რამდენადაც იგი ერთდროულად არის სახელმწიფო ოკრუგისა და ადგილობრივი კოლექტივიც.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 66.



კომუნის უმაღლესი ორგანო — მუნიციპალური საბჭო — აირჩევა 6 წლის ვადით, საარჩევნო ოლქში საყოველთაო პირდაპირი კენჭისყრით. საარჩევნო ოლქი შეიძლება მოიცავდეს როგორც მთელ კომუნას, ისე მის ნაწილს — სექტორს. მსხვილი ქალაქები, როგორც წესი, დაყოფილია სექტორებად /მაგალითად, პარიზში არის 14 სექტორი, მარსელში — 8/.

მუნიციპალური საბჭოს წევრთა რაოდენობა მერყეობს 9-დან /მინიმუმში იმ კომუნისათვის, რომელშიც 100 ათასამდე მცხოვრებია/ 69-მდე /მაქსიმუმში იმ კომუნისათვის, რომელშიც 300 ათასზე მეტი მცხოვრებია/.

1982 წლის კანონით შემოღებულ იქნა მუნიციპალური საბჭოების შერეული საარჩევნო სისტემა—მაჟორიტარულია და პროპორციული კომბინაცია. ამ სისტემით, ადგილების ერთი ნახევარი გადაეცემა ხმების უმრავლესობით მიღებულ სიას, მეორე ნახევარი — ნაწილდება იმ სიებს შორის, რომლებმაც ხუთპროცენტიანი ბარიერი დაძლიეს.

მუნიციპალური საბჭო არამუდმივად მოქმედი ორგანოა. იგი ყოველწიურად ატარებს 4 რიგით სესიას /თებერვალში, მაისში, აგვისტოსა და ნოემბერში/.

შემაკავშირებელ რგოლს მუნიციპალურ საბჭოებსა და მოსახლეობას შორის წარმოადგენენ მუნიციპალური კომისიები, რომლებსაც ირჩევენ პარტიული ჯგუფები პროპორციული წარმომადგენლობის საფუძველზე. კომისიები იქმნება კომუნალური მართვის დარგების მიხედვით /ფინანსების, კულტურის, სპორტის და ა. შ./.

მერი და მისი მოადგილეები აირჩევიან მუნიციპალური საბჭოს პირველ სესიაზე საბჭოს წევრთაგან ფარული კენჭისყრით 6 წლის ვადით. მერი წარმოადგენს კომუნის აღმასრულებელ ხელისუფლებას და გამოდის როგორც თვითმმართველობის წარმომადგენელი. მერი არ არის პასუხისმგებელი მუნიციპალური საბჭოს წინაშე. თუ იგი კარგავს საბჭოს ნდობას, ამ უკანასკნელს არ შეუძლია გააუქმოს მისი მანდატი ან აიძულოს იგი გადადგეს.

საფრანგეთში კომუნას უფრო მეტი ავტონომია აქვს, ვიდრე დეპარტამენტს. მაგრამ, ცენტრალურ ხელისუფლებაზე ფინანსური დამოკიდებულების გამო, ეს ავტონომია არასრულია.

კომუნის ხელმძღვანელი ორგანოს — მუნიციპალური საბჭოს უფლებამოსილებაში შედის კომუნის საჯარო სამსახურების ორგა-

ნიზაცია, მსგავსად დეპარტამენტისა; კომუნის ქონების მართვა, მუნიციპალური საკუთრების შექმნა ან გაყიდვა; წარმომადგენლობა კომუნის საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელ ორგანოებში; საზოგადოებრივი და კომუნალური სამუშაოების ჩატარების ხარჯებთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრა; კომუნის ბიუჯეტის შემუშავება და მიღება. კომუნას სხვა მრავალრიცხოვანი ფუნქციაც აკისრია, იქნება ეს საბინაო საკითხები თუ საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ჯანმრთელობის დაცვისა თუ დასვენების საკითხები<sup>1</sup>.

მუნიციპალური საბჭოს გადაწყვეტილება სავალდებულო ხდება სახელმწიფო მეურვეობის ორგანოსადმი მისი გადაცემის მომეტიდან 15 დღის შემდეგ. კონტროლი მუნიციპალური საბჭოს გადაწყვეტილებების კანონიერებაზე ხორციელდება, უპირველეს ყოვლისა, რესპუბლიკის კომისრის მიერ, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება განსახილველად გადაეცეს ადმინისტრაციულ ტრიბუნალს.

მუნიციპალური საბჭოს გადაწყვეტილებები არაკანონიერად ჩითვლება:

ა/ თუ გადაწყვეტილება ეხება საკითხს, რომელიც არ შედის საბჭოს კომპეტენციაში;

ბ/ თუ გადაწყვეტილება მიღებულია საბჭოს არაკანონიერად მოწვეულ სხდომაზე;

გ/ თუ გადაწყვეტილება მიღებულია კანონის დარღვევით.

მერის, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლის, უფლებამოსილება იმაში მდგომარეობს, რომ მან უნდა განუმარტოს კომუნის მოსახლეობას კანონები და უზრუნველყოს მათი შესრულება; უნდა მიიღოს მონაწილეობა ჯარში გაწვევასა და სარჩევნო სიების გადასინჯვაში; უნდა შეასრულოს სამსახურებრივი დახმარებისა და სამოქალაქო მდგომარეობის აქტების წარმოების ფუნქციები.

### 8-3. პარიზის ადმინისტრაციული ორგანიზაცია

უკანასკნელი ოთხი ათწლეულის მანძილზე საფრანგეთის ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა პარიზის ადმინისტრაციის ორგანიზაციის რეფორმებს. თვალი გავადევნოთ ამ ყურადღების რეალიზაციის ქრონოლოგიურ დინამიკას. ეს ნამდვილად რთული და მნიშვნელოვანი წლები იყო პარიზის ადმინისტრაციული

<sup>1</sup> იქვე, გვ. 71.

ორგანიზაციის მოწესრიგების თვალსაზრისით, ვიდრე იგი თანამდროვე სახეს მიიღება.

1961 წლის კანონით შეიქმნა პარიზის რაიონის დისტრიქტი, ხოლო 1966 წლის დეკრეტით დაწესდა პარიზის რეგიონის პრეფექტის თანამდებობა, რომელიც იმავედროულად იყო დისტრიქტის გენერალური წარმომადგენელი.

პარიზის დისტრიქტი არ წარმოადგენდა ადგილობრივ კოლექტივს. გენერალურ წარმომადგენელს ნიშნავდა მთავრობა. დისტრიქტს ხელმძღვანელობდა ადმინისტრაციული საბჭო, რომელიც შედგებოდა არჩევითი პირებისაგან – 54 ადგილობრივი კოლექტივების წარმომადგენლებისაგან. დისტრიქტს გააჩნდა საკუთარი ფინანსური რესურსები, რომელთა მეშვეობით შეეძლო მიეღწია გარკვეული შედეგებისათვის პარიზის რეგიონის კეთილმოწყობის საქმეში.

1964 წელს პარიზს ეწოდა “განსაკუთრებული სტატუსის, კომუნალური და სადეპარტამენტო კომპეტენციის მქონე ტერიტორიული კოლექტივი”. მუნიციპალურ საბჭოს ეწოდა პარიზის საბჭო და მან გააერთიანა მუნიციპალური და გენერალური საბჭოს უფლებამოსილებანი თავის ხელში. პარიზის არჩეულ მერს გააჩნია ის უფლებები, რაც ყველა სხვა მერს, მაგრამ მას არ ეკუთვნის პოლიციისა და პერსონალის მართვის ფუნქციები. იგი პარიზის საბჭოს თავმჯდომარეა.

1975 წლის კანონმა დაარეგულირა პარიზის, როგორც კომუნისა და პარიზის, როგორც დეპარტამენტის ფინანსური რესურსები. აქედან მოყოლებული პარიზის ბიუჯეტი სამი ნაწილისაგან შედგება: კომუნალური ბიუჯეტის ხარჯები და შემოსავლები ნაწილდება მერის მიერ, დეპარტამენტისა – პრეფექტის მიერ, სპეციალური ბიუჯეტისა – პოლიციის პრეფექტის მიერ.

1976 წლის დეკრეტით პარიზის რეგიონს ეწოდა ილ-დე-ფრანსის რეგიონი, შეიქმნა რეგიონალური საბჭო და ეკონომიკური და სოციალური კომიტეტი<sup>1</sup>. ამ რეგიონის მიმართ დაშვებული იყო გარკვეული გამონაკლისები კომპეტენციისა და დაფინანსების საკითხებში. თუმცა ილ-დე-ფრანსის ფინანსური რესურსები ისეთივეა, როგორც სხვა რეგიონებისა.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 77-79.

ილ-დე-ფრანსის რეგიონის კომპეტენცია ვრცელდება ისეთ სფეროებზე, როგორცაა გამოკვლევები, რეგიონისათვის საჭირო კაპიტალდაბანდებების კოორდინაცია და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფო ან ადგილობრივი კოლექტივების ხარჯზე.

ამავე დროს, ილ-დე-ფრანსის რეგიონი კვლავ რჩება პარიზის დისტრიქტის მემკვიდრედ და, აქედან გამომდინარე, იგი კვლავ ფლობს დისტრიქტის ადრინდელ უფლებამოსილებას მწვანე ზონების კეთილმოწყობისა და შენახვის რეგიონული პოლიტიკის განსახლერისა და რეგიონში საგზაო მშენებლობისა და ტრანსპორტის განვითარების ძირითადი მიმართულებების შემუშავების საკითხებში.

რეგიონალური საბჭო აერთიანებს 164 წევრს, ხოლო ეკონომიკური და სოციალური კომიტეტი — 80 წევრს.

1982 წლის რეფორმის მიხედვით პარიზი ფორმალურად კომუნაც არის და დეპარტამენტიც, მაგრამ მოხდა მისი ტერიტორიის დარაიონება. ქალაქის მართვა ზორციელდება მუნიციპალური საბჭოს მიერ, რომელიც უბრალოდ პარიზის საბჭოს სახელით არის ცნობილი. მაგრამ, ვინაიდან პარიზი ერთდროულად კომუნაც არის და დეპარტამენტიც, საბჭოც ხან ერთი და ხან მეორე ტერიტორიული კოლექტივის როლში გამოდის, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორია გადასაწყვეტი საკითხის ხასიათი.

პარიზში სახელმწიფო ხელისუფლება წარმოდგენილია ერთდროულად ორი პირით — რესპუბლიკის კომისართა და პოლიციის პრეფექტით. უკანასკნელის ხელისუფლება ვრცელდება აგრეთვე მეზობელ დეპარტამენტებზე — ზედა სენაზე, სენ-სენ-დენიზე და ვალ-დე-მარნზე. აღმასრულებელი ხელისუფლება პარიზში ეკუთვნის მერს.

მუნიციპალური საბჭო აირჩევა ე. წ. შერეული — მაჟორიტარულ-პროპორციული სისტემით. უკანასკნელ ხანებში პარიზის მუნიციპალური საბჭოს წევრთა რიცხვი 109-დან 163-მდე გაიზარდა.

1982 წლის რეფორმის მთავარი სიახლეა აგრეთვე საოლქო (რაიონული) საბჭოების შექმნა, რაც პროცედურულად ასე ხდება: მოსახლეობა ირჩევს ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც მოიცავს ერთ ან რამდენიმე საქალაქო რაიონს, რაიონის ტერიტორიაზე არჩეული საქალაქო საბჭოს დეპუტატები ერთდროულად ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატებიც არიან. საოლქო

საბჭოს თავმჯდომარე აირჩევა ქალაქის მუნიციპალური მრჩეველები-საგან და ღებულობს ოლქის მერის ტიტულს.

საოლქო საბჭოებს ეძლევათ ფართო უფლებამოსილებანი სასი-ცოცხლოდ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების ორგანიზაციის სფე-როებში, როგორცაა საზოგადოებრივი და კულტურული დანიშნუ-ლების დაწესებულებებისა და ობიექტების დისლოკაცია, მოსახლეო-ბისათვის ხელმისაწვდომი, ზომიერი საბინაო გადასახადის დაწესე-ბა, საცხოვრებელი სახლების მშენებლობა.

## **დასკვნა - საფრანგეთის სახელმწიფო სამართლის განსაკუთრებული თავისებურებანი**

წინამდებარე ნაშრომის გაცნობისას უდავოდ შეამჩნევდით, რომ საფრანგეთის სახელმწიფო სამართალს ბევრი კერძო, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურება გააჩნია. ჩვენი მიზანია მათგან განსაკუთრებული მნიშვნელობის თავისებურებანი, თემატური განსხვავების მიუხედავად, ერთ მთლიანობაში წარმოვადგინოთ:

— საფრანგეთს დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნისა და ფუნქციონალური გამოცდის ზანგრძლივი და მდიდარი ტრადიცია აქვს. მისი ორსაუკუნოვანი კონსტიტუციური გამოცდილება მრავა-ლი ქვეყნისათვისაა სამაგალითო.

საფრანგეთის 1958 წლის კონსტიტუციამ, მასში ჩამოყალიბე-ბული პოლიტიკური ინსტიტუტებისა და პოლიტიკური ტრადიციე-ბის შესაბამისად, საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკას ერთგვარი ჰიბრიდის სახე მისცა, რომელშიც გაერთიანდა სტანდარტული სა-პარლამენტო დემოკრატიისა და საპრეზიდენტო მმართველობის ნიშ-ნები, მეორეს მოჭარბების ფონზე პირველის მნიშვნელოვანი შეზ-ღუდვის პირობებში. ქვეყნის მართვა-გამგეობის ამ შერეული ფორ-მის შემოღებით საფრანგეთმა დასაბამი მისცა რესპუბლიკის ახალ — ნახევრად საპრეზიდენტო მოდელს, რომელიც დღეს მსოფლიოს 25 ქვეყანაში ფუნქციონირებს;

— 1958 წლის კონსტიტუცია, რომელიც რესპუბლიკის დევი-ზად აცხადებს: "თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა", ხოლო მის პრინციპად: "ხალხის მმართველობა, ხალხის მიერ, ხალხისათვის", მხოლოდ ბლანკეტური ნორმით ადასტურებს თავის დამოკიდებულე-ბას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების პრობლემასთან.

ერთი განსაკუთრებული თავისებურება ფრანგული კონსტიტუციისა იმაში მდგომარეობს, რომ იგი მოქმედი სამართლისა და თავის შემადგენელ ნაწილად აღიარებს 1946 წლის კონსტიტუციის პრეამბულით დადასტურებული ადამიანის უფლებების საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს და 1789 წლის ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაციას. სწორედ აღნიშნულმა დეკლარაციამ ჩაუყარა საფუძველი მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების ინსტიტუტის დამკვიდრებას მსოფლიო კონსტიტუციონალიზმში. და საერთოდ, მოქალაქეობის ინსტიტუტი, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით, სწორედ საფრანგეთის რევოლუციის პირმშოა;

— საფრანგეთში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მნიშვნელოვანი როლი აკისრია რესპუბლიკის მედიატორს. იგი ევროპაში გავრცელებული ომბუდსმენის ინსტიტუტის ნაირსახეობაა, მაგრამ, ყველა ანალოგისაგან განსხვავებით, როცა ამ ინსტიტუტის ბუნებისა და ფუნქციების გათვალისწინებით, ისინი პარლამენტებთან არიან მიბმული და მათ მიერვე ინიშნებიან, საფრანგეთში იგი მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მტკიცდება;

— მნიშვნელოვანი თავისებურებით ხასიათდება ფრანგული საარჩევნო სამართლის ნორმატიული ბაღე. მხედველობაში გვაქვს ცხოვრების ის რითმი, რომელშიც არჩევნებს თავისი პოლიტიკური ელფერი შეაქვს. იმის გამო, რომ ამ ბადის კოორდინატებად არაუცერადი ციფრებია განსაზღვრული, ქვეყანა არჩევნების შედეგებიდან არჩევნების სამზადისზე გადადის. ასეა განუწყვეტლივ — არჩევანის წინაშეა ქვეყანა და მოსახლეობაც თანმიმდევრულ საარჩევნო პროცესშია ჩართული, რადგან ქვეყნის პრეზიდენტი 7 წლით, ეროვნული კრება 5 წლით, სენატი 9 წლით — 3 წელიწადში მესამედის განახლებით, ხოლო დეპარტამენტის გენერალური საბჭო 6 წლით — 3 წელიწადში სანახევრო განახლებით აირჩევა;

— ფრანგული საარჩევნო სამართლის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს პარლამენტის წევრის მოადგილის, "დუბლიორის" ინსტიტუტის არსებობა. პარლამენტის წევრობის კანდიდატთან ერთად ხდება მისი "დუბლიორის" წამოყენება, რომელიც, არჩევის შემთხვევაში, იღებს სადეპუტატო მანდატს პარლამენტის წევრის გარდაცვალების, გადადგომის ან მთავრობის წევრად დანიშვნის შემდგომ. "დუბლიორი" უნდა პასუხობდეს იმავე მოთხოვნებს, რაც წარედგინება დეპუტატობის კანდიდატს;

— ფრანგულ სამართლებრივ დოქტრინაში განცალკევებულია პრეზიდენტის პირადი უფლებამოსილებანი და მთავრობასთან ერთად განსახორციელებელი უფლებამოსილებანი, რომლებიც კონტრასიგნაციის პრინციპზეა დამყარებული. პრეზიდენტს გააჩნია საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, ხელს აწერს და აქვეყნებს კანონებს. თუ პრეზიდენტი არ ეთანხმება კანონს მთლიანობაში ან მის ცალკეულ დებულებებს, უფლებამოსილია დააბრუნოს იგი ხელახალი განხილვისათვის პარლამენტში, გადასცეს კანონპროექტი საკონსტიტუციო საბჭოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის დასადგენად. ყოველივე ამასთან ერთად პრეზიდენტს განსაკუთრებული უფლება გააჩნია: პარლამენტის გვერდის ავლით დანიშნოს რეფერენდუმში საჯარო ხელისუფლების ორგანიზაციასთან და უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციასთან დაკავშირებული კანონპროექტების მისადებად;

— ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება პრეზიდენტის განსაკუთრებული უფლების გამოყენებით რეფერენდუმზე მიღებული კანონისა გახლავთ საკითხი მისი ადგილის შესახებ ქვეყნის სამართლის წყაროების სისტემაში, უფრო სწორად, ნორმატიული აქტების იერარქიაში.

საკონსტიტუციო საბჭომ 1990 წელს მისი ადგილი ჩვეულებრივ კანონთა რიგში განსაზღვრა. და ვინაიდან რეფერენდუმზე მიღებული კანონი ორგანული კანონის ღონეზე ვერ "ადის", მასთან ურთიერთობაც, მიუხედავად იმისა, რომ იგი პირდაპირ არის მიღებული მოსახლეობის მიერ, ისე ყალიბდება, რომ პარლამენტს შეუძლია გააუქმოს ან შეცვალოს რეფერენდუმზე მიღებული კანონის ნორმა. გამონაკლისს წარმოადგენს კონსტიტუციური ნორმა. ასე რომ, ასეთი გადაწყვეტილების მართლზომიერება შეიძლება სადავოც იყოს, მაგრამ ეს საქმეს ნამდვილად ვერ უშველის;

— მეხუთე რესპუბლიკის სახელმწიფო რეჟიმს ახასიათებს ერთი თავისებურება, რომელიც დაკავშირებულია კონსტიტუციის მე-16 მუხლით გათვალისწინებული "კრიზისული მდგომარეობის" არსებობისას პრეზიდენტისათვის განსაკუთრებული უფლებამოსილებების მინიჭებასთან, რაც რადიკალურად ცვლის მის სამართლებრივ მდგომარეობას და ურთიერთობას ხელისუფლების სხვა ორგანოებთან. ამ დროს პრეზიდენტი, შეიძლება ითქვას, ახორციელებს "დროებით დიქტატურას";

— საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკის სიახლეა საკონსტიტუციო საბჭო, რომელიც, ფაქტობრივად, აღჭურვილია საკანონმდებლო ხელისუფლების საქმიანობაზე ზემდგომი ორგანოს უფლებამოსილებით. სხვა ქვეყნების საკონსტიტუციო ზედამხედველობის ორგანოებისაგან განსხვავებით, იგი არასასამართლო ორგანოა და ახორციელებს პოლიტიკური ხასიათის უმაღლეს იურისდიქციას.

საკონსტიტუციო საბჭო იძლევა დასკვნებს პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე. ამასთან დაკავშირებით, საფრანგეთის სახელმწიფო სამართლისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული თავისებურებაა პრევენტიული, წინასწარი კონტროლის იდეა. წინასწარ კონტროლს, მათ ამოქმედებამდე. ექვემდებარება ორგანული კანონები, პარლამენტის პალატების რეგლამენტები. წინასწარი კონტროლის ფრანგული საკონსტიტუციო საბჭოს გამოცდილება, აქტების შეზღუდულ წრეზე და დიდი სიფრთხილით, მაგრამ მაინც მეთოდურად ინერგება ევროპის ცალკეული ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოთა პრაქტიკაში.

საკანონმდებლო აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხის განხილვის გარდა, საბჭო თვალყურს ადევნებს საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების, აგრეთვე რეფერენდუმების ჩატარების სისწორეს, მისი გადაწყვეტილებები საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო საბჭო თავისი საქმიანობით ხელს უწყობს ქვეყანაში კონსტიტუციური წესრიგისა და კანონიერების განმტკიცების პროცესს, იგი შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის პოლიტიკური წონასწორობის შენარჩუნებას.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ფრანგული სახელმწიფოებრივი ისტორიის ყველა ნაწილი იმსახურებს დიდ ყურადღებას სახელმწიფო სამართლის განვითარების თვალსაზრისით. სახელმწიფო სამართლის მეცნიერებაში გამორჩეულია დღევანდელი საფრანგეთის მოდელი მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით და სამართლებრივი ინსტიტუტებით. თუ ერთმანეთს შევადარებთ საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების სახელმწიფო სამართლის საფუძვლებს, დავრწმუნდებით, რომ საფრანგეთში შეძლებისდაგვარად დაცულია სამართლებრივი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ძირითადი დემოკრატიული პრინციპები. ამაზე მეტყველებს ქვეყნის მრავალ-



პარტიული პოლიტიკური სისტემა, ეკონომიკური ცხოვრების წყობა, რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი მოწყობა, სასამართლო ხელისუფლება, სასამართლო სისტემა. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის სახელმწიფო-სამართლებრივი ინსტიტუტები ბევრად ემსგავსება სხვა მაღალგანვითარებული ქვეყნების სახელმწიფო სამართალს, იგი მაინც გამოირჩევა თავისი თვითმყოფადობით და იმ თავისებურებებით, რომლებიც სამართლიანად იმსახურებს სახელმწიფო სამართლის მკვლევართა და სხვა დანიტერესებულ პირთა ყურადღებას.

## POST SCRIPTUM

წიგნი გამოსაცემად მზად იყო, როდესაც საფრანგეთში ახალი, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გაიმართა. სანამ უშუალოდ მის შედეგებს შევეხებოდეთ, გავიხსენოთ რამდენიმე მომენტი საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრების უახლესი ისტორიიდან.

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ჟაკ შირაკის უპირატესობა ლიონელ ჟოსპენის მიმართ უმნიშვნელო იყო. პირველ ტურში გამარჯვების შემდეგ, სოციალისტური პარტიის თავმჯდომარემ — ჟოსპენმა სულ რამდენიმე პროცენტით დაუთმო გამარჯვება საფრანგეთის დღევანდელ პრეზიდენტს.

როგორც ჩანს, ყოველივე ამან უსაფუძვლო რწმენა შესძინა პრეზიდენტ შირაკს მის მიერ გამიზნული კურსის საყოველთაო მხარდაჭერის თაობაზე და ფრანგული პოლიტიკური სივრცის სრული ბატონ-პატრონობა დააპირა. მან ნაჩქარევი გადაწყვეტილება მიიღო, როცა პარლამენტის ქვედა პალატის — ეროვნული კრების ვადამდელი არჩევნები დანიშნა, რაც, ცხადია, შეცდომა იყო და საპრეზიდენტო უმრავლესობის სასტიკი მარცხით დამთავრდა. საპარლამენტო არჩევნების პირველი ტურის შედეგების მიუხედავად, პრეზიდენტ შირაკს ამჯერადაც ისევ მეორე ტურის იმედი ჰქონდა და ქვეყანას მიმართა განცხადებით, რომელშიც, მთავრობაში მემარცხენე ძალების მოსვლის შემთხვევაში, ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მოსალოდნელი საფრთხე “იწინასწარმეტყველდა”. ანალოგიური ხასიათის განცხადებას საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი სათვის — ჟისკარ დესტენისათვის წარმატება არ მოუტანია. როგორც ჩანს, პრეზიდენტ შირაკს სხვისი მწარე გაკვეთილები არარაოდ უღირს. სამომავლოდ მას საკუთარ შეცდომებზე მო-

უწევს დასკვნების გაკეთება, მაგრამ ახლა იგი უისკარ დესტინივით ნახევრად საპრეზიდენტო პოზიციაში აღმოჩნდა – უკეთეს შემთხვევაში ეროვნული კრების შემადგენლობის განახლებამდე.

I იენისის ვადამდელმა საპარლამენტო არჩევნებმა მთლიანად შეცვალა პოლიტიკურ ძალთა ბალანსი საფრანგეთში. გუშინდელი მმართველი მემარჯვენე კოალიცია დღეს უმცირესობაშია – ხელისუფლების სადავეები სოციალისტებს გადაულოცა და, ამდენად, 12 იენისიდან იგი საპარლამენტო ოპოზიციის როლს ასრულებს.

ფრანგმა სოციალისტებმა ყველას დაანახეს, რომ უკვე გადალახულია კრიზისი, რომელიც 1993 წლის საპარლამენტო არჩევნებმა წარმოაჩინა. მაშინ მემარცხენებს პარლამენტის ქვედა პალატის 577 სავარძლიდან მხოლოდ სამოცდაერთი ერგოთ. ამჟამინდელმა ვადამდელმა არჩევნებმა სურათი რადიკალურად შეცვალა – სოციალისტებმა 253 სადეპუტატო მანდატი მოიპოვეს. თუმცა, პარლამენტში უმრავლესობის მისაღებად ისინი კომუნისტებსა და ეკოლოგისტებთან ალიანსში შევიდნენ, რომლებმაც, შესაბამისად, 38 და 7 სადეპუტატო მანდატი მოიპოვეს. რაც შეეხება მემარჯვენეთა კოალიციას, რომელშიც ორი წამყვანი პარტია – რესპუბლიკის მხარდაჭერის გაერთიანება და საფრანგეთის დემოკრატიის კავშირი შედის, 243 მანდატი ერგო.

არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებისთანავე ელისეს სასახლეში ჟაკ შირაქთან შეხვედრაზე მიწვეული სოციალისტთა ლიდერი ლიონელ ჟოსპენი პრეზიდენტის კაბინეტიდან ერთ საათში პრემიერ-მინისტრად გამოვიდა. რას იზამ, ასეთია წესი.

პოლიტიკურ მიმომხილველთა შეფასებით, მსგავსი კრაზი მემარჯვენეთა მოძრაობის ისტორიას არ ახსოვს. ასე რომ, ნახევრად საპრეზიდენტო საფრანგეთის პრეზიდენტისათვის შეზღუდული უფლებრივი – ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობის ხანა იწყება. გაბედავს კი საკუთარი მწარე გაკვეთილით დაძაბუნებული პრეზიდენტი შირაქი ეროვნულ კრებასთან მეორე რაუნდში შერკინებას, თუ შეეგუება მდგომარეობას, რომელიც თავად “მოიპოვა”.

ვნახოთ, დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.

# ავტორთა შესახებ

ოთარ მელქაძე

დაიბადა 1938 წლის 8 აპრილს თბილისში. წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი (1961წ.), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი (1968წ.)

1984 წელს დაიცვა დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის, ხოლო 1995 წელს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად.

ოთარ მელქაძე საქართველოს პარლამენტის წევრია და მუშაობს სახელმწიფო სამართლის პრობლემებზე. გამოქვეყნებული აქვს ცხრა მონოგრაფია, სამი ბროშურა და სამოცამდე წერილი საქართველოს, რუსეთის, ჩეხეთისა და უნგრეთის იურიდიულ ჟურნალებში.

ამჟამად, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრის პროფესორია და ხელმძღვანელობს მის მიერვე დაფუძნებულ მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევით ცენტრს. ასეთი შეთავსება მიზნად ისახავს სახელმწიფოთმცოდნე იურისტების პერსპექტიული გუნდის ჩამოყალიბებას. წინამდებარე წიგნი, ცენტრის მიერ გამოცემული პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერიაში, პირველი ცდაა ამგვარი თანამშრომლობის შედეგის წარმოდგენისა.

გიორგი კვერენჩილაძე

დაიბადა 1972 წლის 21 ოქტომბერს ქ. თბილისში. წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1994წ.)

1993 წლიდან მუშაობდა საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომისიის წამყვან სპეციალისტად, ხოლო 1996 წლიდან არის საპარლამენტო ფრაქცია "ელპ - ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" აპარატის უფროსი.

ამჟამად თსუ იურიდიული ფაკულტეტის სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრის ასპირანტია და მიყავს სემინარული მუშაობა საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართლის კურსში. დასაცავად მომზადებული აქვს საკანდიდატო დისერტაცია საფრანგეთის კონსტიტუციური სამართლის ძირითადი ინსტიტუტების შესახებ, აღნიშნულ თემაზე გამოქვეყნებული აქვს პუბლიკაციები. წინამდებარე ნაშრომიც სწორედ ამ პრობლემის შესწავლის და სრულყოფის ინტერესებს ემსახურება.

მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, რომელსაც იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ოთარ მელქაძე თაოსნობს, გამოსცემს პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერიას.

წინამდებარე წიგნი ამ სერიის მესუთე წიგნია.

უკვე გამოიცა:

ო. მელქაძე. საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი; უცხოელ ავტორთა კრებული – რესპუბლიკა: საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო. შემდგენელი და რედაქტორი ო. მელქაძე;

ო. მელქაძე. საუბრები ქართულ კონსტიტუციაზე;

ო. მელქაძე. სახელმწიფო კონტროლი: თეორია, პრაქტიკა, პერსპექტივა.

უახლოეს ხანში გამოიცემა:

ო. ბეჟიტაშვილი, ო. მელქაძე. იტალიის სახელმწიფო სისტემა. მზადდება გამოსაცემად;

ო. მელქაძე, კ. ყურაშვილი. რუსეთის სახელმწიფო სისტემა.

წიგნების შექმნის მიზნით მსურველთ გთხოვთ დაუკავშირდეთ გამომცემლობა "უფლებას"

მისამართი: 380005, თბილისი, გია აბესაძის ქ. №4/6

ტელ: 92-21-48, 98-30-29

ფაქსი: 92-21-48

გამომცემლობის რედაქტორი: ცირა ჯიშკარიანი

ტიქნიკური რედაქტორი: მაია მამულაშვილი

ფასი სახელშეკრულებო

შეკვეთა № 619

ტირაჟი 1000

სააქციო საზოგადოება "ფარნავაზი"  
რობაქიძის გამზირი №7